

(22) 9

b-179



ჭუნი ჭუმბერ კაკულია

საქართველოს ისტორიის
ახალი აღზება

ჭუნი ჭუმბერ კაპულია



საქართველოს ისტორიის
ახალი აღქმა

თბილისი
1996

შესავალი

წინამდებარე ნაშრომი გახლავთ წერილი, რომლის აღრესატებიც ის პიროვნებები, რომლებიც გაიზიარებენ რა აქ გამოთქმულ მოსაზრებათა ნაწილს მაინც, შეეცდებიან მათ მეტი დოკუმენტალური სიმტკიცე შესძინონ და შინაარსობრივადაც გაამდიდრონ. ამდენად, ჩვენი წერილი უფრო გაკარს მოაგვს და მის დალგინებას დრო სჭირდება. ამ სახით ავტორმა თავისი ნაშრომი თქვენს სამსჯავროზე გამოიტანა არა თავისი ისტორიულ-ლიტერატურული ნიჭის წარმოსაჩენად, არამედ იმის შეგნებით, რომ საქართველოს ისტორიის სრული ახალი ოქტავი და მისი დაკვიდრება ერთი პიროვნების მიერ შეუძლებელია, აუცილებელია თანამოაზრეთა ძებნა, რათა ეს საქმე ბოლომდე იქნეს მიყვანილი. ჩვენთვის ასევე მეტად სასარგებლო იქნება მოწინააღმდეგეთა არგუმენტები, ვინაიდან ისინი შეასრულებენ იმ ცეცხლის მისიას, რამაც უნდა გამოაწროოს ჩვენი იდეა მსგავსად გუთნის პირისა.

საქართველოს ისტორიის ახალი ოქტავი წარმოშვა იმ საოცარმა წინააღმდეგობებმა, რომლებიც არსებობენ ერთის მხრივ ჩვენს ისტორიულ წყაროებსა და მეორეს მხრივ ბერძნულ, ლათინურ, არაბულ და სპარსულ ისტორიოგრაფიებს შორის.

მაგალითისათვის მოვაწვდით ამონაწერს ი. გაგახიშვილის VIII ტომის 185-ე გვერდიდან: „ფარნავაზმა შემოიღოო სახელმწიფო წეს-წყობილება „რამსგავ-სებულად სამეუფოსა სპართასა“ და „განაწესნა ერისთავნი რვანი და საკაპეტი ერთი“, „ხოლო ერისთავთა ქუეშე ადგილთა და ადგილთა განაჩინნა სპასა-ლარი და ათასისთავნი და მათ ყოველთაგან მოვიდოდა ხარკი სამეფო და საერისთაო“ - 7.

რა წყაროებით სარგებლობდა ლეონტი მროველი, როდესაც იყო ფარნავაზის ცხოვრებასა და მოლვაწეობას ვიზეარავდა, არ ჩანს, ეს კი ცხადია, რომ მის ცნობებს ისტორიისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, იმიტომ რომ ისტორიაბონის გეოგრაფიითვან ჩვენ ვიცით, რომ უძველეს დროს ქართლში

(იბერიაში, გ.კ.) საგვარეულო წესწყობილება სუფევდა, კერძო საკუთრებული მაშინ არ არსებობდა და საგვარეულო ქონების გამგედ მამასახლისი იყო. ერთი საპატიო გვარის მამასახლისი კი - ქვეყნის მეუფე მამასახლისად ითვლებოდა.

ლეონტი მროველს ფარნავაზი სამაგალითო მეფედა ჰყავს დასურათებული, იგი იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსის ნათესავთაგანი, ამან განაცრო ენა ქართლისა და არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თუინიერ ქართულისა და ამან შეემნა მწიგონბრობა ქართულიო". ეს იგი მან ქართული ანბანი შემოილოო. ჩასაკვირველია, ეს ცნობები ბავშვური გულუბ-რყვილობის შედეგია".

გასაკუარ აღმოჩენას აკეთებს ს. შავალათია წიგნში „სამეგრელოს ისტორია და ეთონგრაფია“ (გვ. 6): „საქართველოს ძევლი ისტორია ფაქტიურად კოლხეთის ისტორიით იწყება და ისტორიის ვერც ერთი მკლევარი მას გვერდს ვერ აუხვევს. მაგრამ მისიც მიუხედავად კოლხეთის ისტორია ჭერ კიდევ შესწავლელია. ანტიკურ მწერლობაში იგი ცნობილია „კოლხიდის“ სახელ-წილებით და უძველესი ცნობები მის შესახებ შემონახულია ძველ ბერძნულ თქმულებებში და მითოლოგიაში. აგრეთვე საბერძნეთისა და რომის საისტორიო მწერლობაში. მაგრამ კრიტიკულად ეს წყაროები განხილული და შესწავლილი ჭერ კიდევ არ არის. ქართულ საისტორიო წყაროებში ძევლი კოლხეთის შესახებ ცნობები მართვება და სახელწილება კოლხეთი არც კი იძსენიება“. ეს მაშინ, როდესაც XVII საუკუნეშიც არქ-ლამბერტი სამეგრელოს კვლავ კოლხეთის უწოდებს.

თვეენ ვერ წააწყდებით სახელწილება „იბერიას“ ცნობილ ისტორიულ ძევლში „ქართლის ცხოვრება“. თუმცა X საუკუნეშიც ისტორიკოსი კონსტანტინე პორფიროგნეტი დლევანდელ ქართლს კვლავ იბერიად მოიხსენიებს. ასევე (ი.გ. I.311) „ზაქარია ქართველის... აღწერილი პეტრე ქართველის ასურულ ცხოვრებაში ქართლის სამეფო „განთქმულ იბერთა ქვეყნად“ იწოდებოდა“. წინააღმდეგობა იმაში გახლავთ, რომ „ქართლის ცხოვრება მაღავს იმ ფაქტს, რომ სახელწილება „საქართველო“ XV საუკუნეშიც ჩვენი ქვეყნის სამხრეთ ნაწილს ერქვა და არა იბერიას ანუ დლევანდელ ქართლს.

ამნაწერი ი. გავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიიდან“ (გვ. 206): „კორ. კიმილიძისათვისაც „ქართლი“ აღმოსავლეთ საქართველოს მტკვრის სამხრეთით მდებარე ნაწილის ქართული სახელია, რომლის ბერძნულ შესატყვისობად „გოგარენე“-სა და სომხურს „გუგარქ“-სა სოვლის. ამ „ქართლ-გუგარქის“ პოლიტიკური ბედი კი ეკვიდნებაც ისევე აქვს წარმოდგნილი, როგორც ს. კაპაბაძეს“.

ეს „საქართველო-გოგარენე-გუგარქი“ მოიცავდა როგორც მტკვრის სამხრეთ ნაწილს, ასევე სამცხე-საათაბაგოს. ს. კაპაბაძე და კ. კეკელიძე თვლიდნენ, რომ „ეს მხარე განათლებით მაღლა იდგა, ვიდრე, კლასიკურ მწერალთა

დახასიათებით, ბარბაროსული იბერია, როდესაც ძლიერ იბერებს ქართველთა პატარა ტოში შემოუერთებით, ამ ქართველებს თავიანთი მაღალი კულტურული როსნობის წყალობით იმდენი მოუხერხებათ, რომ მათვის თავისი ენა ჟავებია მწერლობა, თავისი სახელი პოლიტიკურადაც კი მიუციათ“.

მოუმზადებელმა მკითხველმა შეიძლება ჩვენი წერილის ზოგიერთი გამონათქვამი პირელოცმულად მიიჩნიოს, რაც არ უესაბამება სინამდვილეს.

„„ქართლის ცხოვრება“ რომ ნატყუარი ძეგლია, ეს ჩერ კიდევ თემურაზ ბატონიშვილმა განაცხადა.

ძეგლი წელთაღრიცხვის VI საუკუნიდან გვაწვდის ჰეკატე მილეტელი ცნობას, რომ მესხები იგივე კოლხები არიანო.

ქართული ენა რომ ბერძნული ენის სამყაროში ჩამოყალიბდა, ეს გერმანულმა ფილოსოფოსმა ლაიბნიცმაც შეამჩნია.

აბხაზებად რომ მეგრელები იწოდებოდნენ და არა აფსარები (აფსუები), ამაში X საუკუნის სომები ისტორიელი ითარები ათი საუკუნეა უდილობს დაგვარწყმუნის.

აյაკი წერეთლისათვის მეგრული ენის სალარო გახლდათ. ეს შექედულება დღესაც მრავალთაგანაა ლიარებული. გაეცანით ამონაშეერს ვ.ჩ.ჩიბინიძის წიგნიდან „სასწაული“ (გვ.332-333): „თანამედროვე ქართული ენის საწყისი ფორმა ანუ უბრალოდ ქართული ენა „მეგრული“ უნდა ყოფილიყო და სახელდობრ მეგრულის თანდათანობით ცელილების შემდეგ მივიღეთ თანამედროვე ქართული და არა - პირიქით. თუ საკითხს იმდვირად შეიუდგებით, როგორც ცნობილი მიეკნელოგი ჭ.ჩელვიკი უდგება, მაშინ ადრინდელ საქართველოში ე.წ. „მეგრული“ ენის პირელადობის საკითხი უდაო გახდება; ყურადღისულებია ის ფაქტიც, რომ საქართველოს (და არა მარტო საქართველოს) ყველა კუთხის, რეგიონის, სოფლის თუ ქალაქის სახელწოდებების უმრავლესობა, რომლებიც არც ერთ ენაზე არ ითარებნება, მეგრულმი სავსებით დასრულებულ და გარკვეულ აზრობრივ მონაცემებს გვაძლევს. მაგალითად: ვარძია (ვარძირა) - ვერ გნახო, ანუ დასამალი ადგილი; ხაშური - შობა სულისა; აგარა - აქაურობაში ტირილი; გორი - ეძებე; ოჩამჩირე - განსაკვები განკვებილია: ქუთაისი (მეგრულად ქუთეში) - ქვით ნაშენი და ა.შ. აგრძოვე ის ფაქტიც, რომ საქართველოს მთიან ჩაიონებში გარეცელებულ ენებში (ხევსურული, სვანური, ფშავერი, მთიულური...) დაცული სიტყვების უმრავლესობა მეგრული წარმოშობისაა, აგრძოვე ინგილო ქართველთა (პერთა), ფერეიდნელ ქართველთა და უკბი ხალხთა გარემოცვაში მყოფ სხვა ქართველთა ენები უმრავლეს შემთხვევაში, მეგრულთანაა მიახლოებული. თუ უძველესი ქართული სიტყვების ახსნას მოენდომებთ მეგრულ ენაზე დაყრდნობით, ხშირ შემთხვევაში იქ ვიპოვოთ ამ სიტყვების სრული შენიშვნელობით აბსრას“.

თურმე კეშხარიტი ცოდნაა საკირო ჩასწევდე ი.ცავკვაძის ცნობილი ტრაზის: - „სამეგრელოში ვიყავ და საქართველო ენახეონ“, - დელაზრას.

მრავლისმეტყველია ის ფაქტი, რომ ჩვენი წარსული იღდგენილ უნდა იქნება
ძირითადად უცხოელ ისტორიულსთა მონაცემებზე დაყრდნობით, რაც ჩვენს
ისტორიოგრაფიას, ჩვენი ერის ლიტერატურის შეტე ავტორიტეტს აშენდება კი
მსოფლიოს ხალხთა თვალში, როგორც ობიექტურად მაღალი კულტურის
მატარებელ ხალხს შეეფერება. ხოლო თუ კეშმარიტების ძიებისას თქვენი^{ავტორი} შეცდომებსაც დაუშვებს - შეუნდეთ.

ქართლის ცხოვრება

„დიდ არს ძალი სიყვარულისაი ჩომელ შორჩილ
 ჰყოფს გონებასა შეკადრებად შეუკადრებელთაც“
 არსენი ამარტოვლი

კომუნისტური რეექიმის თეიონგრევის პროცესში საქართველოში წარმო-
 შობილმა ქაოსში წარმოაჩინა: ჩვენს თავს დატრიალებულ უბედურებათა
 მიზეზებს შორეულ წარაჭულში უნდა ძებნა ქართველები სხეულებრივად
 ვგრძნობთ ერთიანობას მაგრამ გონებრივად მრავალი კიოთვა პარტია რჩება.
 მოსაძებნია ქართველთა ერთობის ფორმულა.

პასუხის მისალებად ი. ჯავახიშვილის თორმეტომეულს მიემართე...
 3. ინგოროვას „გიორგი მერჩულებს“... და გაჩნდა საქართველოს ისტორიის
 ახალი აღქმა, რომლის შინაარსი ქართული ზღაპრის მსგავსია - „იყო და არა
 იყო რა“. აღმოჩნდა, რომ ჩვენ არ ვიცით რა იყო და ვცხოვრობთ იმით, რაც
 არ იყო. ზოაპრებში, ხშირად, სოფელი უწყლოობით იტანჯება, წყაროსთავს კი
 გველებაპი ზის და წყლის საფასურად მსხევრპლს თხოვულობს. ასევე, ცონბილ
 ისტორიულ ძეგლს „ქართლის ცხოვრებას“ ჩაკეტილი იქნა სიმართლის შექი
 ქართული ცნობიერებისათვის. „ქართლის ცხოვრება“ არის... ეროვნული
 უბედურება.

ჩვენი მტკიცება მრავალი მეცნიერის მიერ მოპოვებულ მისალებს,
 ისტორიული ფაქტების გარშემო მათ მსჯელობას დაყყრდნობა და წერილი
 ძირითადად ციტირებით იქნება არაგუმენტირებული. ვისარგებლოთ ასეთი
 წესით: ნაშრომს, რომელიც თხრობაში შემოვა, გაუკეთდება მოკლე აღნიშვნა,
 რომელიც დამტურ იქნება ციტირების დასაწყისში, რათა თავიდანვე ნათელი
 იყოს, თუ რომელი ავტორის მოსაზრებას გავვეცნობით.

განცხადება - „ქართლის ცხოვრება“ = (ქ.ც.ქ.) ნატყუარი ძეგლია - ახალი
 არ არის. (ი.ქ.ქ.ლ.) = ი. ჭავჭავაძე „ქვასა ღალადი“: „ლანგლუაც ჩვენს
 „ქართლის ცხოვრებაზე“ იმასვე ამბობს, ჩასაც სენ-გარტენი და სხვები...
 ლანგლუა ამბობს, რომ დასაწყისი „ქართლის ცხოვრებისა“ ზღაპრიაო და
 სამართლიანადაც ამბობს. ეს ქართლის, კაბოს და სხვა ამისთანები, ჩასაკ-
 ვირველია, ზღაპრად უნდა ჩაითვალოს“.

(ქ.ც.ქ.22)= „ქართლის ცხოვრება“ ს. ყაუბეჩიშვილის რედაქციით, გამოც. 1942
 წ. პირველი ტომი. გვერდი 22: „ამ ერთი საუკუნის წინათ მეცნიერებმა
 თეომურაშ ბატონიშვილმა, მ. ბროსემ და სხვებმა ის დასკუნა ვამოიტანეს,

თითქოს „ქართლის ცხოვრება“ მთლიანად ვახტანგის სწავლულ კაცებს შეეძლონ გინოთ“.

(ი.ჭ. VII.41) = ი.ჯავახიშვილი. თორმეტომეული. მეშვიდე ტომი ისტორიული 41: „ვგონებ დიდი შეცდომა არ მოგვივა თუ ვიფიქრეთ, რომ „ქართლის ცხოვრების“ წყალობით სისტორიით წყაროები ცოტა არ იყოს ცალმხრივად არის შერჩეული და შენახული“

(ი.ჭ. VIII.187) = „წყაროები, რომელიც ლეონტი მროველს მოხსენებული აქვს და საჩვენებლობს, თითქმის ყოველგვარ ისტორიულ ლირსებას არიან მოკლებული, ამიტომ მისი თხზულება, როგორც სანდო მასალა ქართველი ერის ისტორიისათვის ახლა თითქმის სრულებით გამოუდევარია... ლეონტი მროველის მიერ დაწერილი ქართლის მოქმედება და წმინდა ნინოს ცხორება თითქმის სიტყვა-სიტყვით გამეორებაა შატბერდისეულ წმინდა ნინოს ცხორებისა. არც ერთი იმ ნაკლთაგანი, რომელიც იმასა აქვს, ლეონტი მროველს თავიდგან არ აუცილებია. თავისი შრომის ამ ნაწილში ლეონტიმ ვერავითარი თავისებურება და უნარი ვერ გამოიჩინა“.

(ი.ჭ. VIII.192) „წუანშერი რომ ვახტანგ მეფის მერმე „შემდგომად ეამთა მრავალთა“ ცხოვრობდა და როცა თხზულებასა სწერდა, სანდო მასალა მის შესახებ ხელთა არა ჰქონდა, ეს საუცხოვოდ მისი „ისტორიითა“ - ცა მტკიცდებოდა: იგი ზღაპარს უფრო გავს, ვიღრე უტყუარს და სანდო საბუთს“.

(ქ.ც.)-ის ასეთი შეაცრი შეფასების გამო, დამკვიდრებულია აზრი, რომ ი.ჯავახიშვილმა (ქ.ც.) კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა. ს.განაშიას აზრით, ზედმეტადაც კი. სამწუხაროდ, ი.ჯავახიშვილზე შეიძლება ითქვას იგივე, რაც მან ბატონიშვილ ვახუშტიშვილი ბრძანა:

(ი.ჭ. VIII.345) „საკმარისი იყო სახელოვან ქართველ მეცნიერს კიდევ ერთი ნაბიჯი გადაედგა, რომ მას სრულ კეშმარიტებამდის მიეღწია, მაგრამ მას ეს ნაბიჯი არ გადაუდგამს და სწორედ ეს იყო რომ ვახუშტის მუშაობას ამ მხრივ ზოგჯერ სასურველი შედეგი არ მოჰყოლია და აქ-იქ შეცდომაც ჩაუდენინებია. ვახუშტი საბუთებისადმი გადამეტებული ნდობით იყო გამსკვალული და თითქოს ფიქრადაც არ მოსდიოდა, რომ საბუთი შეიძლება ან ყალბი იყოს, ან მერმინდელი გადამწერის მიერ, თუ რომ ისტორიკოსს საბუთის დედნის მაგიერ მხოლოდ პირი ჰქონდა ხელთა, დამახინჯებული და უვარევის ყოფილიყო“.

ი.ჯავახიშვილი არ დაინტერესდა, თუ რისთვის სტყუის (ქ.ც.), რაში უნდა დაარწმუნოს მკითხველი, გან დაიგერა (ქ.ც.)-ის დედააზრი და ძირითადად ქრონოლოგიის შემოწმებით შემოიფარგლა. ქრონოლოგიური თანმიმდევრობა კი (ქ.ც.)-ში დამაგებაყოფილებელია, ვინაიდან (ქ.ც.)-ის ავტორთა ხელში არაურთობა დოკუმენტურამა ისტორიულმა ძეგლმა გაიარა. ამის შედეგია, რომ ი.ჯავახიშვილი მისდაუნებურად თავისი ავტორიტეტით გადაეფარა ამ ნატ-

ყუარ ძეგლს და გაუხანგრძლივა სიცოცხლე, არადა, უსმინეო, რა აზრისაა/მ
ისტორიულ წყაროზე ვახტანგ VI-ის უახლოესი შთამომავალი:

(ი.ქ. VIII.379) „განასაკუთრებით ყურადღების ღირსია ქართლის ცხოვრების
მ.ჯანაშვილისეული ხელთანაწერის ერთ-ერთი გვერდის არშიაზე 1799 წ. უცხო-
ბი პირისაგან მიწერილი შენიშვნა „ამას კვემოთ“ (ე.ი. გიორგი ბრწყინვალის
შემდგომ რაც სწავლულ კაცთ შეუღებიათ) „ამ წიგნში ყველა სწორედ არ
აღუშერიათ. ღმერთმან მიუტეოს ეგნატიშვილის ბერს იმდენი შურით და
მტრობით სიცრუე. მაგრა წერილის დაგდება მტრობით კეთილი და უჭირობესი
საქმე არ არის“ -ო, ამ შენიშვნის უცნობი დამწერიც, რომელსაც არაერთი და
რჩი სამართლიანი სხვა შენიშვნებიც შეუტანია ამ ქართლის ცხოვრების გავ-
რძელების ხელნაწერის კიდევებზე, გიორგი ბრწყინვალისაგან მოყოლებული
საქართველოს ისტორიის ანუ ქართლის ცხოვრების გაგრძელების შემდგრეობის
რამდენსამე პირს ჰყულისხმობს: სწორედ არ „უშერიათ“ -ო, თუმცა შენიშვნის
ავტორი არ ამბობს ვინ იყვნენ ქართლის ცხოვრების გაგრძელების აღმწე-
რელნი, მაგრამ მას მაინც ნათევამი აქვს: ღმერთმა შეუნდოს „ეგნატაშვილის
ბერს იმდენი შურით და მტრობით სიცრუე“ -ო. ამ სიტყვებითვან საფიქ-
რებელი ხდება, რომ გიორგი ბრწყინვალის „ქვემოთ ამ წიგნებში თუ ყველა
სწორედ არ უშერიათ“, ამის ბრალს შენიშვნის უცნობი ჩამრთავი ეგნატა-
შვილს ბერსა სდებს, რომელსაც მისი აზრითა და სიტყვით საისტორიო მოთ-
ხრობაში თითქოს „შურითა და მტრობით დაერთოს „სიცრუე“, ამგარად, ისე
გამოდის, ვითომე ის რაც „ქართლის ცხოვრების“, არამედ აღმწერელის
მიკერძოებისაგან წარმომდგარიყოს და „შურით და მტერობით“ ნაკარხახვი
სიცრუე ყოფილყოს... უცნობი შემნიშვნელი „ქართლის ცხოვრების“ გაგრძე-
ლების მოთხრობის სხვადასხვა ადგილას მართლაც აქა-იქ კიდურწერილობაში
ამბობს: ტყუილია, ეს დავით მეფე არ ყოფილა, არც შობილა“, „ტყუილია ეს
მეფე არც ყოფილა, არც შობილა“, „ეს კიდევ უფრო მეტი ტყუილია და კიდი: ირასოდეს ამ ქვეყნისა ეს კაცი არა ყოფილა. ზემო მეფე ალექსანდრე სწერია,
იმან აღაშენა: მცხეთა. კათალიკონზები და წელიწადთ რიცხვით აშლით არის.
ვახტოშტო ბატონიშვილის წერილი უფრო შეიწყნარება. თუმცა თავისი სახლის
სირცევილები არა დაუფარავს რა და ვეტიც უშერია“. ამ შენიშვნების ავ-
ტორი, როგორც ეტყობა, ვახტოშტის მერმინდელი დროის მწერალი, „ქართლის
ცხოვრების“ გამგრძელებლებს ცნობებს უწუნებს, ზოგიერთი მათგანის
სიმართლეს უარყოფს და ბრალსა სდებს. რომ მას მაინც ევნატაშვილისადმი
ბოროტი გრძნობა არ ალაპარაკებდა, ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ
ნათევამი აქვს „ღმერთმან მიუტეოს ეს ბრალიო“.

უკეთ რომ გავიაზროთ (ქ.ცხ.)-ის შექმნის იდეა, აღვიდგინოთ ვახტანგ VI-ის ღროინდელი საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგრადების
სურათი.

(გ.მელიქ.198)=გ.მელიქიშვილი „საქართველოს ისტორია“ გვ.198: 1587

1594 წლებში სამცხე-საათაბაგოში ოსმალობა დამყარდა. სულთნის ბრძანებით ქვეყანა ასწერეს. მიწისმფლობელობისა და მიწათსარგებლობის ოქუპაციაზე წესები შემოიღეს... ამ დროიდან დაიწყო სამხრეთ საქართველოს „გათათ-ჩება“. ეს პროცესი ერთი ან ათეული წლების ამბავი არ ყოფილა... მე-16 საუკუნის მიწურულში დაწყებული ეს პროცესები მე-19 საუკუნის დასაწყისსაც დასრულებული არ ყოფილა. ოსმალობის დამყარება სამცხე-საათაბაგოში ფეოდალური საქართველოს უდიდესი მარცხი იყო. საქართველოს მოსწყდა და მის ეროვნულ, კულტურის შემოქმედებაში აღარ მონაწილეობდა ქვეყანა, რომელიც საქართველოს ტერიტორიის ერთ მესამედს შეადგენდა“.

(გ.მელიქ.224) „მე-17 საუკუნეში... დასავლეთ საქართველო ასევე თანდა-თანი დაცემის გზით მიღიოდა... გაიზარდა სამთავროების განცალკევება და განკურძოება. სამთავროთა ზორის განსაკუთრებით გაძლიერდა ოდიში, რომ-ლის მთავარი ლევან მეორე დადიანი (1611-1657), ხელმწიფობას იჩიმებდა და თავისი ხელმწიფობის ქვეშ დასავლეთ საქართველოს გაერთიანებასაც ლამობ-და... ფეოდალური ომები გამარტვებულს იმდენად არ აძლიერებდა რამდე-ნადაც დამარცხებულს ანადგურებდა... მე-17 საუკუნის დასაწყისიდანვე აფ-ხაზთა მთავარმა, გურიილმა და ლადიანმა, ხოლო უფრო გვიან იშერეთის მეფემაც, იყისრეს ოსმალთა ყოველწლიური ხარჯი“.

(გ.მელიქ.22) „ბოლომოულებელი ურთიერთთავდასხმები სავსებით აჩანაგებდა მშრომელ მოსახლეობას. მძეინვარებდა გამანადგურებელი ტყვის სყიდვა. ტყვის მსყიდველმა ბრბოებმა მოიცვეს არა მარტო განაპირა აღვი-ლები, არამედ შიგნითა რაიონებიც... ტყვის სყიდვამ დასავლეთ საქართვე-ლოში საშიშარი ხასიათი მიიღო“.

(გ.მელიქ.226) „1677 წლიდან ამ საუკუნის დასასრულამდე ირანის შაჰი კახეთის სამმართველოდ ან განწის ბეგლარ-ბეგებს ან ცალკე ხანებს აძლევდა... ხანები უმთავრესად ყიზილბაშთა სამხედრო ძალასა და მოახალშენე თურქ-მანებს ემყარებოდნენ. ისინი აშკარად ხელს უწყობდნენ ლეკთა მოსახლეობის გაძლიერებას კახეთის აღმოსავლეთ ნაწილში - კარში... გაძლიერდა ლეკთა შემოსევა მე-18 საუკუნის დასაწყისიდან. დალესტნელები კარელებთან ერთად მუდამდე აჩბევდნენ კახეთის სოფლებს... კახეთში მეტად მძიმე მდგომარეობა შეიქმნა“.

(გ.მელიქ.228) „მე-18 საუკუნის პირველ წლებში ქართლის სამეფო ტახტზე ერევლე პირველი ვახტანგ გვევარებული შეცვალა. ვახტანგის მოლევაწეობა მრა-ვალუეროვანი და მეტად შინაარსიანი იყო. ქართლის საზოგადოებრივი თუ სახელმწიფო უძრავი ცხოვრების არც ერთი მხარე არ დარჩენილა, რომელსაც ვაბტანგი არ შეხებოდეს... ვახტანგის თაოსნობით მოწვეულ იქნა საეკლესიო კრება, რომელმაც გადააყენა ერევლეს მიერა დასმული კათალიკოსი და მტხ-

თის კათალიკოსად ვახტანგის ძმა ღომენტი აირჩია. ღომენტის სახით ვახტანგში ქართლის ეკლესიაში ერთგული მომხრე გაიჩინა...

(გ.მელიქ.229) „ვახტანგის კარზე საკანონმდებლო მუშაობა იყო და ფინანსურის ღებული... ვახტანგმა შეაგროვა ძველი ქართული თუ უცხოური (ებრაული, ბერძნული, სომხური) სამართლის წიგნები და ერთ კრებული და შეკერა ისინი. ამ კრებულს შემდეგ მან საკუთარი „სჯულიც“ დაუწიოთ... ვახტანგის მოლვა-წეობის ამავე ხანას ეკუთვნის მისი მეორე საკანონმდებლო ძეგლი დასტურ-ლამაღი... ამრიგად, ამიერიდან სახელმწიფო და კერძო წერილობითი სამარ-თალი კვლავ მტკიცედ მოწესრიგდა.

ქართლი ვახტანგის დროს ეკონომიკურად კიდევ უფრო დაწინაურდა. თეთო ვახტანგი ამ მხრით ენერგიულად მუშაობდა. მან ხელახლა დაასახლა გლეხები დიდი ხნის წინ დაცლილ სოფლებსა და მთელ მხარეებში, ააგო სასახლეები, ქარვასლები. ვახტანგი ზრუნავდა გზებისა და ხიდების მოვლა-შენავაზე, სახელმწიფო შემოსავლის მოწესრიგებაზე, ფულის მოვრის საქმის გაუმჯო-ბესებაზე. ვახტანგმა განაახლა დიდი ხნის წინ მოშლილი სარწყავი არხები...

ქართლის სამეცნიერო ცხოვრების გაცხოველების შესაბამისად თბილისი მნიშვნელოვანი სავაჭრო-სახელოსნო ცენტრი გახდა“.

(გ.მელიქ.231) „ერთი სიტყვით, როგორც მოსახლეობის რაოდენობის მხრით, აგრეთვე სოფლის მეურნეობის, ხელოსნობისა და ვაჭრობის მხრით ქართლი მე-18 საუკუნის პირველ ოცეულში საქართველოს ყველა სხვა ნაწილს დიდად წინ უსწრებდა... 1709 წელს თბილისში პირველად მოწყო სტამბა... ვახტანგის სტამბაში საკულესიო წიგნების გვერდით მაღლ საერთო ხასიათის წიგნების ბეჭედაც დაიწყეს. ბეჭედავლენენ „ვეზნისტყაოსანს“, სას-წავლო სახელმძღვანელოებს, სამეცნიერო თხზულებებს.

ვახტანგმა დიდი ამავი დასდო საქართველოს ისტორიის დამუშავებასაც. ამ მიზნით ვახტანგმა შეადგინა „სწავლულ ქაცთა“ კომისია ბერი ეგნატაშვილის ხელმძღვანელობით. კომისიამ თავისი დროისათვის ღირსეულად შეასრულა ქს რთული საქმე - შეედგინა საქართველოს ისტორია მე-14 საუკუნიდან მე-18 საუკუნეშედე (როგორც ვიციო ამ აზრს არ იზიარებს ვახტანგის უახლოესი შთამომავალი. ჭ.ქ.).

ვახტანგის სკოლაში მიიღო აღზრდა და ამავე ხანაში დაიწყო მოლვა-წეობა ქართული საისტორიო მწერლობის დიდმა წარმომადგენელმა, ვახუშტი ბატო-ნიშვილმა, რომელიც ვახტანგის შვილი იყო.

ქართველ მეცნიერთა ამ დასს ეკუთვნოდა და სამართლიანად მის სიამაყეს წარმოადგენდა ვახტანგის აღმზრდელი სულხან-საბა რაზელიანი - დიდი მეცნიერი, ლექსიკოგრაფი... თვითონ ვახტანგიც... გვერდში ედგა ამ მოლვა-წეებს როგორც ღირებულებრივი მეცნიერი, ისტორიკოსი, პოეტი და მთარგმნელი“.

(გ. გელიქ. 233) „მე-17 საუკუნის შეორე ნახევრიდან ქართლში კვლავ გამოც ცოცხლდა ძველი მიღზეულება დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთა- ვროთა საქეშეგმი ჩატარდა და მუდმივი ზეგაულენისადმი. ქართლის ქარი და ერი დანერი ცდილობდა საქართველოს ფეოდალურ ძალთა შეკავშირებას. ვახტანგი იჩანს გაემგზავრა, მას შაპისაგან მეფობა უნდა მიეღო“.

შაპის თავდაპირველად ვახტანგის ძმა, მაპმადიანი იქსე გამოაგზავნა 1714 წელს ქართლის მმართველად. ხოლო 1716 წელს ვახტანგმაც მიიღო მაპმადია- ნობა და 1719 წელს ქართლში მეფედ დაბრუნდა.

ოქტომბერი გადაიშალა XVII-XVIII საუკუნეების საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრება, რომელშიც მოუწია მოღვაწეობა ვახტანგ VI-ს. საქართველო გაყოფილია სპარსეთსა და ოსმალეთს შორის. მიმდინარეობს სამცხე-საათაბაგოს გამაპმადიანება ოსმალთა მიერ და ეს მხარე წყლება საერთო ქართულ სამყაროს. საქართველო სამთავროებადა დაშლილი და დაუკლურებულია შინაომებით. ქვეყანა ტყვებით ვაჟრობამ წალევა. ვახტანგ VI იძულებულია ქართლშიც აკრძალოს ტყვის სყიდვა. კახეთში ლერიანობაა.. და შექმნილ ვითარებაში აღმავლობის გზაზე ღამდგარი ქართლის სამეფო კარის მცდელობა საქართველოს ერთიანობის აღდგენისა სავალდებულოც გაბლდათ.

სპარსეთსა და ოსმალეთს გარდა კაკასის ვიშართ სახელმწიფოებრივი ინტერესები უჩნდება ჩრდილოეთიდან საქართველოს საზღვრებთან მოახლოე- ბულ რუსეთის იმპერიას. რუსეთი თავის თავს მესამე რომს უწოდებს და გვევლინება ქრისტეანულ სახელმწიფოთა დამცველად. დაწყებული ივანე IV- დან რუსეთი საქართველოსთან კონტაქტებს ამყარებს, ვინაიდნ რუსეთი სამხრეთ კავკასიაში, საკუთარი მიზნების განსახორციელებლად, ძირითად დასაყრდენ ძალად ერთმორწმუნე საქართველო და ასევე ქრისტეანი სომეხი ხალხი შეიჩნდა.

ამ სამ სახელმწიფოთა ინტერესების გათვალისწინებით შოქმედებდა ვახტანგ VI, რაც მშვენივრად გამოხატა დავით გურამიშვილმა:

„სამ დიღს ხელმწიფების პირს აძლევს, სამგან იკეთებს ყმობასა,

უენის სპასალარის, თავს ირკვამს გის რაყმობასა,

რუსთ ხელმწიფესთან მამობს, ხეანთქართან ჩემობს ძმობასა“.

ი. ჭავჭავაძე გვაწვდის მნიშვნელოვან ცნობებს ვახტანგ VI-ის მოღვაწეობის პერიოდზე.

(ი. ჭ. ჭ. ლ.) „ეზოვმა... გამოხატა... წიგნი... „Снощения Петра Великого с Аргаманским народом“... რუსეთის იმპერატორს პეტრეს კარგა ხანია თვალი გეირა სპარსეთზე და ცვიტრობდა აქეთ რუსეთის კავკასიის განდიდებას და ამისათვის გზების შექმნასა და გახსნას... როცა ნეიმტატის მორიგეობამ 1721-

წ. აგვისტოს 20-ს შვედებთან საქმე გაათავით, მაშინ თითქმის მთლად მოიცავა/თავისი დიდი ხნის სურვილისათვის. ჩომ სპარსეთზე გამოილა შექროს, გარემონტიკური ყარაბაღი მაშინ მთლად სპარსეთის ხელში იყო და აქაური სომხობა, შეუწყესებული სპარსეთაგან, ჰუცილობდა თავი როგორმე დაელწია და ამის გამო პეტრე დიდთან საქმე დაიკირქს. სხვათა შორის ვარდაპეტი მინასა გაგზავნილი ჰყავდათ პეტრე დიდთან და ეს ვარდაპეტი იყო პირდაპირი შუამავალი იმპერატორის მთავრობასა და სომხებს შორის - თვით ჩუქეთში, რომელიაც, თვით სომხების სურვილისამებრ ჰპირდებოდა განგა-ყარაბახის ვარდაცემას.

პეტრე დიდმა ამ ვითარებას საქმისას ხელი მოჰკიდა და მიზეზად ეს გაიხადა. ისიც იცოდა ამ ბრძენება იმპერატორმა, რომ ქართველებიც აქ ხელს შეუწყობენ, ჩადგანაც საქართველოსაც ემძიმებოდა სპარსთა ასე ახლოს ყოფნა და კარგი იყო განგა-ყარაბაღიდამ გაერევნათ სპარსები. რა თქმა უნდა, რუსეთთან, როგორც ერთმორწმუნე ერთან, - მეზობლობა ერჩივნათ ქართველებს, ვიდრე სპარსებთან. ეს კარგად იცოდა პეტრე დიდმა და ამიტომაც სომხებს დაპირიდა და ქართველებსაც აცნობა - მე ჩემი მხედრობით მოვალ და თქვენ თქვენის მხელობით მზად იყავით, მიზეზიც კარგი გამოიჩინდა. შამახიას ამ დროს დაეცნენ ლეკები ყაზიუშუბელები, რომელიც მოიწეოეს იქაურთა მუსლიმანთა. ლეკებმა მთლად აიელეს შამახია, იქ მყ. აფნი რუსეთის ვაკეარნიც გასძარცეს...

რაკი პეტრე დიდმა ეს ამბავი შეიტყო, ვახტანგ მეფეს მოსწერა, რომ მე ასტრახანიდან წამოვალ და შენც, შენის ალთქმისამებრ მომეშველე და შენის მხედრობით წამოლი განჯას საქრისტიანოს დასახსნელადო და, სიტყვითაც შემოეთვალა ლეკების გვერი ამოიყარეო. ვახტანგმა შეკუარა მხედრობა რიცხვით 30000 კაცი და წავიდა ლეკებზე. ლეკებმა პნახეს თუ პრა, გაეცალნენ. მთელს ამ მოძრაობას ის ფერი დასდევს, ვითომც მარტო ლეკების დასასწელად წავიდა ვახტანგი, რომ სპარსელებს ალოთ არ აელოთ და არ მომზადებულიყუნენ. თვით სპარსელებს ვითარება შიიტებს, ეგარად ლეკების, ვითარება სუნიტების, შესეკა შამახიაში და ვახტანგის მადლობელნიც დარჩნენ, რომ ასე მოიჭერა. ლეკებთან რომ საქმე გაათავით ვახტანგმა შერე დაიბანაკა განგასთან და აქ ელოდა პეტრე დიდს ასტრახანიდამ. იმპერატორ პეტრეს რაღაც საქმე აღმოიჩინდა შიდა რუსეთში, უეცრად ასტრახანიდამ შინ დაბრუნდა და ვახტანგს აუწყა, კულავ მოვალო. იმედგადაწყვეტილი ვახტანგი უკან წამოვიდა ტფილის.

პატრიარქი ისაია [განგა-ყარაბაღის სომხეთი პატრიარქი. ქ.ქ.] ამ ვახტანგის აზბავს სწერს რუსეთში ვარდაპეტ მინასას, რომელიც წინა მოვახდენით, რომ ვახტანგი 30000 კაცით მოვიდა და წავიდა ლეკებზედაც. მეც თან გვაყევიო. მივედით თუ არა ლეკები გაგვეცალნენ, მეტე როცა ვახტანგი იმედგადაწყვეტილი, რომ პეტრე დიდი აღარ მოვათ, დაბრუნდა ტფილისში. ისაია პატრიარქიც თან გამოჰკოლია და მთელზე რთხი თვე დარჩენილა

ტფილისს. იმავე წერილში ისაია უწყებს ვარდაპეტ მინასას, რომ ვაზტანგი
სექტემბრის ბოლოს ხელისად პირობის წასვლის განჯისაკენ და თან მიჰყავს
ქართველებისა და სომხების მხედრობათ. ეხლა ქართველები და სომხები
სულით და გულით ერთი არიანო, ერთმანეთის თანაგრძნობით სავსენი და
მარტო პეტრე დიდის მოშველებასთან ელიანო. შენც მანდ ეცადეო...

ვარდაპეტი მინასა აჩც ერთ თავის მოხსენებაში, რომელიც-კი წარუდგენია
პეტრე დიდის მთავრობისათვის, ერთი სიტყვითაც არ ამბობს სამღერავს
ქართველებზე. პირიქით, ერთს თავის მოხსენებაში, სხვათა შორის, იწერება:
„ტფილისიდამ გვწერენ, რომ ვახტანგის დიდად მაღლობელი არიან, ჩვენ,
სომხებს, დიდის სიყვარულითა და მოწყალებით გვეპყრობაო...“ არქიეპის-
კოპოზი სომხებისა მინას პეტრაზიანი... ქართველებს... მაღლობითაც კი
იხსენებს: „ღმერთმა ეხლა მწყემსად და პატრიონად მოგვცაო ვახტანგი. ეს
გვისნის და გვმფარველობს მტრებისაგან, ამან გავიდევნა მტრენი, ერთად
თავი მოუყარა სომხებს და თვითონ გვპატრიონობს და გვიფრთხილდებაო“. ეს
არქიეპისკოპოზი სომხებისა ვახტანგთან ერთად იყო განჯაში და იქიდამაც
ისაია პატრიარქისავით თან გამოჰყა ტფილის მაშასადამე, ეს ორივე
მამამთავარნი სომხებისა თვითმხილველი მოწამენი არიან“.

ი.ჭავჭავაძის ეს ცნობა არის გასაღები იმ ფარული დედააზრისა,
როსთვისაც შეიქმნა „ქართლის ცხოვრება“.

საყოველთაოდ ცნობილია რუსეთის იმპერიის ოცნება - რუსეთის
საზღვარი გასულიყო სპარსეთის ყურეზე, რითაც იმპერია მოიპოვებდა პეგე-
მონიას აღმოსავლეთისა და დასავლეთის შემართობელ სავაჭრო გზებზე.
დასახული მიზნის მისაღწევად აუცილებელია ჩრდილო კავკასიაში შემოსვლა,
შემდგომ საქართველოს და სპარსეთის ტერიტორიების შემოერთება სპარსე-
თის ყურემდე ასევე აუცილებელია ეს განზრახვა გამართლებულ იქნეს საკუ-
თარი ქვეყნისა და მსოფლიოს თვალში იურიდიული და ისტორიული არგუმენ-
ტებით. თუ საქართველოში, როგორც ერთმორწმუნე ქვეყანაში, ქრისტე-
ანობის განმტკიცების იდეით შემოსვლა იოლი ასახნელია, ჩჩებოდა სპარს-
ეთის საკითხი. აქ უკვე ჩნდებიან სომხები, რომლებიც პეტრე პირველს
ახსენებენ, რომ მათ ადრე საქართველოს სამხრეთით ჰქონდათ არმენიული
სახელმწიფო. ამ სახელმწიფოს ტიგრანის დროს დიდი სივრცე ეპყრა
სპარსეთის ტერიტორიაზე და ამ ტერიტორიების სპარსთავან განთავი-
სუფლების შემდგომ შესაძლებელია კლავ აღსდგეს უკვე რუსეთის იმპერიის
ერთგული ქვეყანა - ახალი არმენია (ქ.ს.ქ: 9.464) XVI-XVII ს.ს. მანძილზე
სომხეთის საერო და სასულიერო მოღვაწეები თხოვნით მიმართავდნენ ევრო-
პული ქვეყნების მმართველ წრეებსა და ვატიკანს, დახმარებოდნენ გამანთავი-
სუფლებელ ბრძოლაში, მაგრამ უშედეგოდ. XVII ს. II ნახევრიდან ორიენ-
ტაციია აიღეს რუსეთზე. ეს გამოწვეული იყო რუსეთის მზარდი ავტორიტეტით

საერთაშორისო სარბიელზე. ამ შხრივ სომხეთის ეროვნულ-გამანთაფილუფელ მოძრაობაზე გვილენა იქონია საქართველოს პოზიციამ რუსეთთან ურთიერთობის საკითხში. სომხეთში რუსეთის ორიენტაციის განმტკიცებული დიდი როლი შეასრულა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილმა მოღვაწემ ისრაელ ორიმ, რომელიც საბოლოოდ დარჩმულდა ეროვნის ქვეყნების უმოქმედობაში. 1701 წ. ივი წარსდგა პეტრე I-ის წინაშე და გააცნო სომხეთის განთავისუფლების გეგმა. პეტრე I-მა აღუთევა დახმარება შვედებთან ომის დამთავრების შემდეგ... სომხების განმათავისუფლებელ მოძრაობას მეთაურობდა დავით-ბეგი, რომელიც ქართველთა მეფის ვახტანგ VI-ის კარზე მსახურობდა":

ჩრდილო კავკასიაში რუსეთის იმპერიის ძირითად დასაყრდენ ძალად ოსები გვევლინებიან, რომელთაც კავკასიაში არ გააჩნიათ სახელმწიფო-ებრივი წარმონაქმნი. ზოლაპარაკებათა უშეულო მონაწილეა ქართლის სამეფო კარი, რომელიც ღვეულობს რუსეთის საიმპერატორო კარის გარანტის, რომ წარმატების შემთხვევაში საქართველოში აღსდგება ტერიტორიული მთლიანობა და გაერთიანებული საქართველოს წინამდობლად თავისთავად ქართლის სამეფო კარი იჯულისხმება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთთან კავშირს არა მარტო ქართლის სამეფო ამყარებს, არამედ შაქართველოს სამთავროები ასევე ဖდილობენ მოიპოვონ რუსეთის გფარველობა.

ამრიგად, რუსეთის საიმპერატორო კართან გარიგების შედეგად, სომები არქიეპისკოპოსებთან თანამშრომლობით, ქართლის სამეფო კარზე შეიქმნა „ქართლის ცხოვრება“, რომელსაც ამოძრავებს სამი ძირითადი ამოცანა - წარმოაჩინოს, რომ:

1. ქართლი საქართველოს ისტორიის დასაწყისიდან არის შეუცვლელი მეთაური მხარე ქართველთა.

2. ტერიტორია, შემოსაზღვრული აღმოსავლეთით ესპიის ზღვით, დასავლეთით შავი ზღვით, ჩრდილოეთით კავკასიის ჩრდილოეთით და სამხრეთით საარსეთის ყურით, ოდესაც ერთი, მთლიანი სახელმწიფო გაერთიანება იყო.

3. კავკასიელ და მეზობელ ხალხებს, რომელთაც დავიწყებული აქვთ ოსების (ალანი ია) და სომხების (არმენია) სახელმწიფოებრიობა, შეახსენოს ანუ ახლებურად წარმოაჩინოს, რომ ოსები კავკასიის უძველესი, აბორივენი ხალხია და საქართველოს სამხრეთით სპარსეთის ყურემდე არსებობდა სომებთა დადი სახელმწიფო.

პირველი ამოცანის ვალაწყვეტა თითქმის ფანტასტიკური იყო, ქართლის სამეფო წარმოაქმნა XV საუკუნის ბოლოს და უფრო მეტიც, სახელწოდება „ქართლი“ არ აჩინებობდა 1460 წლამდე.

„რომის პაპის წერილები“



განვიხილოთ მ.თამარაშვილის შექმნილი „რომის პაპის წერილები“ ვუწოდოთ.

1453 წ. 29 მაისი ქრისტენული სამყაროსათვის ტრაგიული დღეა - ოსმალებმა კონსტანტინეპოლი აიღეს, ბიზანტია დაეცა... პაპი პიო II გვა-როსნული მოგების ორგანიზებას იწყებს კონსტანტინეპოლის უკან დასაბრუნებლად. პაპის ელჩები მოემგზავრებიან საქართველოშიც. მ.თამარაშვილის გამოქვეყნებული წერილები მოლაპარაკებათა გარშემო, გვიხატავს საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების რეალურ სურათს XV საუკუნის მეორე ნახევარში. გვაანალიზოთ წერილებში მოყვანილი ქართველ მოქავშირეთა სიები, რომლებიც მზად არიან მონაწილეობა მიიღონ ქვაროსნულ ომებში.

(ი.ქ.III.294) „1458 წ. პაპის ერთ წერილში ნათქვამია:

Inter quos sunt... Catholicon
Georgianis, rex Persarum,
rex Georgianiae, rex mengreliae,

imperator Trapezuntinus

რომელთა შორის ითვლებიან...

ქართლისა კათალიკოზი,

მეფე „პერსთა“ (?) მეფე საქართველოსი,

მეფე სამეგრელოსი,

ტრაპიზონის ხელმწიფე“.

(ი.ქ.III.291) „გიორგი მეფე თავის 1459 წლის ეპისტოლეში მოქავშირეებად ასახელებს:

„Ego Georgius rex Persarum“

„Bedian rex Mingreliae“

„Gorgora dux Georgianae“

„Rabia(sic) dux Anocacie“

შეგიორგი მეფე პერსთა (sic, სპარსთა?)

ბელიანი სამეგრელოს მეფე

ყუარყუარე ქართველთა მთავარი

რაბია (sic) ანოკაციის მთავარი

თეით ყუარყუარე ამავე წელს დაწერილსა და ბურგუნდიის მთავრისადმი გაგზავნილ წიგნში ამ საქმის მონაწილედ თვლის თავს და შემდეგ პირებს:

„Ego Gorgora dux Georgianae“

„Georgius rex Persarum“

„Bendian rex Mingreliae“

„Rabia dux Anocasiae“

შე ყუარყუარე ქართველთა მთავარი

გიორგი მეფე პერსთა (სპარსთა?)

ბენდიან სამეგრელოს მეფე

რაბია ანოკაციის მთავარი

დასასრულ, საქართველოთგან ევროპაში 1460 წელს მისულს ელჩებს განუ-
 ცხადებიათ, რომ ოსმალთა საწინააღმდეგო სამხედრო ზოქმედებაში მონაწი-
 ლეობას მიიღებდნენ:

„Bendas (sic) Mengreliae et

Abasiae rex et

Pancratius Iberorum qui

nunc Georgiani vocantur et

Mania (sic) marchio Goriae

et Fadia dux Angosiae“

ბენდიან (sic) სამეგრელოს და

აფხაზეთის მეფე და

ბაგრატი იბერთა, რომელიც

აწ გიორგიანებად იწოდებიან, და

მარია (მამია) გურიის ერისთავი

და ფაბია ანგოსის მთავარი“.

ი. გავახიშვილი პირველი წერილის თარგმნისას უშვებს მნიშვნელოვან შეც-
 დომას, წოდება „Catholicon Georgianis“ ითარგმნება როგორც „კათოლიკოსი
 ქართველების“ და არა „ქართლისა კათოლიკოზი“. სულხან-საბა თრბელი-
 ანისათვის - გორგიანი, გიორგიანი - არის საქართველო და არა განცალ-
 კავებით - ქართლი. ი. გავახიშვილი (ქ. ცხ.) - ის მოჩინევი მეცნიერია და მისთვის
 წარმოუდგენელი იყო, რომ საქართველო გამორჩეულად რომელიმე სხვა
 მხარეს ჩამოაყალიბდა.

ამ წერილებში „მეფე საქართველოსი“, „ქართველთა მთავარი“ განცალ-
 კავებით მიეწოდება სამცხე-საათაბაგოს მთავარს ყუარყუარეს. საათაბაგო ამ
 პერიოდისათვის ეკლესიურადაც გამოყოფილი იყო დანარჩენი საქართვე-
 ლოსაგან. (ი. გ. III. 278) „ყუარყუარე ათაბაგს საეპისკოპოსო პირების არჩევის
 უფლება უყანონდ მოუტაცნია და თვით ჩაუვდია ხელში“. ამდენად, პირველ
 წერილში ხსნებული „კათოლიკოსი ქართველების“ არის საათაბაგოს ეპის-
 კოპოსი (კათოლიკოსი) და არა „ქართლისა კათოლიკოზი“. თავადაც ყუარ-
 ყუარე თავის თავს უწოდებს „შე ყუარყუარე ქართველთა მთავარი“ და ამას
 აღიარებენ გიორგი მეფე, ბაგრატ მეფე, ბეჭერ მეფე, მარია გურიის

„მარკიზი“, რაბია ანოკაციის მთავარი და უცხოელი ელჩები. აქ ჩამოთვლილ პირთა ეტორიტეტის გათვალისწინებით ჩევრ უნდა დავაფიქსიროთ:
საქართველო (გეორგი) - გამორჩეულად ეწოდება სამცხე-საათაბაგოს მთავარი და უფლებელი მემკვიდრეობის მიმღები საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების უკეთესად წარმოსახვისათვის ჩავიხედოთ საშუალო სკოლების ისტორიის სახელმძღვანელოში.

(ს.ი.209): „საქართველოს ისტორია“ ჩედაქტ. ნ.ასათიანი, გვ.209 „საქართველოს დაშლა სამეფო სამთავროებად. ერთიანი საქართველოს უკანასკნელი მეფე იყო ალექსანდრე დიდის ვაჟიშვილი გიორგი VIII (1446-1466 წ.წ.). გიორგი VIII-ს თავდაპირველად აუგანყდა სამცხის მთავარი ყუარყუარე, შემდეგ განუდგა იმერეთის ერისთავი ბაგრატი, რომელმაც იგი დაამარცხა ჩიხორითან ბრძოლაში (1463 წ.). მეფეს ყველაზე დიდი მარცხი მოვალიდა ფარავნის ტბასთან, 1465 წელს, სადაც გამარჯვებულმა სამცხის მთავარმა ყვარყუარე მოითონ მეფეც კი დაატყვევა. ამის შემდეგ სამცხე საბოლოოდ გამოეყო ერთიან საქართველოს და დამოუკიდებელ სამთავროდ იქცა. საქართველოს დანარჩენ ნაწილში კი თანდათან ჩამოყალიბდა ქართლის, კახეთის და იმერეთის სამეფოები. ასევე დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გაძლიერდნენ სამეგრელო-აფხაზეთისა და გურიის სამთავროები, რომელიც იმერეთის მეფეს ნაკლებადა ემორჩილებოდნენ. ფარავნის ბრძოლის შემდეგ მოვლენები ასე განვითარდა: გიორგი VIII-ის დატყვევებით ისარგებლა იმერეთის ერისთავთერისთვეში ბაგრატ გიორგის ძე... ქართლი დაიკავა და თავი საქართველოს მეფედ გამოაცხადა. ამის შემდეგ ყვარყვარე განთავისუფლა გიორგი მეფე, ბაგრატ ქართლის თავადებმა მას მხარი არ დაუჭირეს და ისიც იძულებული გახდა კახეთში გადასულიყო. ამრიგად, საბოლოოდ ერთიანი საქართველოს უოფილ მეფეს მხოლოდ კახეთილა შერჩა სამეფოდ.“

მოცემული პერიოდი არასწორად ისწავლება. 1458 წლიდან, განსხვავებით ჩევნი სახელმძღვანელოს შემდგენელი ისტორიკოსებისაგან, გიორგი მეფე, ბაგრატ მეფე, ყუარყუარე ქართველთა მთავარი, მამია გურიის ერისთავი და უცხოელი ელჩები ბელიანს აღიარებენ, როგორც მეფეს სამეგრელოსა და აბასისა და არა როგორც მთავარს.

(გ.მელიქ.180) „საბედიანოში შედიოდა აფხაზეთი, სამეგრელო, გურია და სამი იმ ტრიოსათვის მნიშვნელოვანი ზღვისპირა ქალაქი - ცხუმი ანუ სებასტიონი (ახლანდელი სოხუმი), ფოთი და ქართი ციხე (ძეველი პეტრა ახლანდელ ციხისძირთან). საბედიანოსვე ეკუთვნოდა ბათუმი“. წერილები ჩევნი მეფე მთავარების ურთიერთდამოკიდებულებათა საინ-ტერესო სურათს იძლევიან. 1458 წელს ერთიანიდებიან გიორგი მეფე, ყუარყუარე (რომელიც თავდაპირველად თავისთვის მეფეს უწოდებს), ბელიან მეფე (რომელსაც ბოლომდე მეფედ იღიარებენ) და იმპერატორი ტრაპიზონისა (ეს

არის გამსენება იმისა, რომ არსებობდა ტრაპიზონის იმპერია). 1459 წელს ეს კუპირი გრძელდება, მხოლოდ ყუარყუარე უკვე არა მეფედ, არამედ “ქართველთა მთავრად” და ჩაბია კი “ანოკაციის მთავრად” გვევლინებიან. 1460 წელს მდგომარეობა მკვეთრად იცვლება, კაშმირიდან გადინ გიორგი შეუვე და ყუარყუარე. მათ ადგილს იკავებენ მამია გურიის ერისთავი და, “ბაგრატი იბერითა”, რაც იმის მომასწავებელია, რომ ბაგრატს ჭერ მეუვე არ ეწოდება, მაგრამ მომავალი ქართლის (დასავლეთი იბერიის) და იმერეთის ფაქტიური შეართველია. წერილები გვაწვდიან ასევე ძირიფას ცნობას: ტრაპიზონის მხარე გავირვების უამს ჩვენს გვერდითაა და სიერთო ინტერესებით ვცხოვრობთ XV საუკუნეშიც.

შეცდომას უშვებს ი.ჯავახიშვილი. როცა მეოთხე წერილში იგი აღარ თარგმნის სახელწოდება “Georgiani”-ის და გვაწვდის “ბაგრატი იბერთა, რომელნიც აწე გიორგიანებად იწოდებიან”: უნდა იყოს “ბაგრატი იბერთა, რომელნიც აწე ქართველებად იწოდებიან”. რაც იმას ნიშნავს, რომ იმ სამეფოს, რომელსაც შემდგომ “ქართლი” ეწოდა, ადრე ერქვა “იბერია” (იბერიის დასავლეთი ნაწილი) და რომელიც 1460 წლისთვის “აწე ქართველებად იწოდებიან” - ი. ე.ი. ადრე ეგნი ქართველებად არ იწოდებოდნენო, ამ დროისათვის რომ ყოფილიყო სახელწოდება “ქართლი”, გაშინ მსგავსად “rex Mengreliae” (მეფე მეგრელთა), “dux Georgianac” (მთავარი ქართველთა), “marchio Goriae” (ერისთავი გურიისა) იქნებოდა “rex ან dux Kartliiae” (მეუვე ან მთავარი ქართლისა). განცალკევებით სახელწოდება “ქართლი” (“კართლი”) შოთაშენიება XVI საუკუნის ჩასვეთის დიპლომატიის საბუთებში. შევეცადოთ ავსნათ ოურაობ ქვია სამცხე-საათაბაგოს გამორჩეული საქართველო და ამ მხარის შევიდრო - ქართველები. (ი.ქ. III.294):

“ყუარყუარე მის დროინდელ ქართულ საისტორიო წყაროებში ასე იწოდება: საქართველოისა ათაბაგი, სამცხეისა სპასალარი წაყელ-ციხისწევა-რელი...პატრონი ყუარყუარე”. ე.ი.სამცხე-საათაბაგო ორი მხარისაგან შედგებოდა: ერთი იყო საქართველო და მეორე - სამცხე. სამთლობელო წაყელებისა მოიცავდა ტრერიტორიას მტკვრის ზედა წელის ხეობას ბორჯომიდან სამხრეთით და გახლავთ მესხეთის ისტორიული ტერიტორიის ნაწილი, რომელიც კოლხეთმა შეიირთა (როცა მესხეთი გიყო კოლხეთს, იბერიისა და აზენის შორის). ამ მხარეს ქართულ წყაროებში სამცხე ეწოდება მესხეთის ერთ-ერთი მხარის საქელწოდების მიხედვით (სამცხისა სპასალარი). მეორე ნაწილს საათაბაგოსი წარმოადგენდა კორონის ხეობა, ანუ კლარჯეთი, ტაო და სპერი და ოლიოგან წარმოადგენდა სამეგრელო-კანეთს. დღესაც აქ ლაზები (მეგრელ-კანები) სახლობენ. აი, ამ მხარეში (კორონის ხეობაში) შეიქმნა ქართული ენა და ქართული დამწერლობა, აქედან განივრცო ქრისტეანული რწმენა სრულიად საქართველოში და ამ მხარის გამო ეწოდა

შემდგომ ჩვენს ქვეყანას საქართველო. როდესაც ერთიანი საქართველო ზარ
შალა სამეფო-სამთავროებად, ამ მხარის მკიდრებმა კანონიერად უწოდეს
თავიანთ სამთავროს საქართველო. ამის გამოც ეწოდებოდა ამ მხარის უწოდეს
თველს საქართველოს ათაბაგი.

(ქ.ც.)-ის ავტორები ცდილობენ რა დამალონ, რომ საქართველო ხაზ-
გასმით ჭორობის ხეობას ეწოდება, ამ გაერთიანებულ სამთავროს ეშმაქურად
უწოდეს სამცხე-საათაბაგო. ვინაიდან თუ ბმარობ მხარის, ქვეყნის აღმნიშვნელ
სახელწოდებას - "სამცხე", მაშინ მეორე მხარის სახელწოდებაც ასევე უნდა
მოიხსენიო. ე.ი. "სამცხე-საქართველო". ხოლო თუ ბმარობ წოდებას "ათა-
ბაგი", მაშინ უნდა იყოს "ათაბაგ-საქართველო".

თქვენ თუ არ დარწმუნდით ჩვენი მსჯელობის სიმარტლეში, ეპვი მაინც
უნდა შეგვარეოდათ, რომ შესაძლებელია სახელწოდება "ქართლი" 1460
წლამდე მართლაც არ არსებულიყო და მაშინ მართლაც ფანტასტიკურად
ძნელი უნდა ყოფილიყო ვაბტანგ VI-ის კომისიისათვის ნომერ პირველი
ამოცანის შესრულება - დაბტეკილონ, რომ ქართლი საქართველოს ისტორიის
დასაწყისიდან არის შეუცვლელი მხარე ქართველთა. თუმცა კომისია
ფანტასტიკურადვე იოლად წყვეტს ამ ამოცანას: ყოველივე ქართულს ის
ცელის ქართლით (ი.ქ. VIII.28) "ცნობილს ქართულს საისტორიო კრებულს ჯერ
"ქართველთა ცხორება" ეწოდებოდა, მერმე "ცხორება ქართლის", შემდეგ
"ქართლის ცხორება". ასევე გმერჩილეს ცნობილ ისტორიულ ძეგლში
"ცხორება გრიგოლ ბანძთელისა" წერის:

"ქართლად ფრიადი ქვეყანაზ ალირიცხების, რომელსაცა შინა ქართუ-
ლითა ენითა ქამი შეიწირვის და ლოცვაზ ყოველი აღესრულების".

აქ თითქოს სადაც არაფერია, მაგრამ არც არაფერია ნათქვამი. ამ წინა-
დაღების აზრი შემდეგნაირად აიხსნება:

"საქართველოდ ფრიადი ქვეყანაზ ალირიცხების, რომელსაცა შინა ქარ-
თულითა ენითა ქამი შეიწირვის და ლოცვაზ ყოველი აღესრულების".

განსხვავება იმაშია, რომ ეს სტრიქონები მაშინ დაიწერა, როდესაც საქარ-
თველოში იყო მხარეები, რომლებიც ყოველდღიურ ცხოვრებაში ქართული
ენით არ შეტყველებდნენ და მათი გამაერთიანებელი, გარდა სახელმწიფო-
ებრივი ინსტიტუტისა, იყო ქრისტეანული რელიგია და ამ რელიგიის ქართული
ენით გამავრცელებელი ქართული ეკლესია.

შეიძლება გავიწნდნთ კითხვა, თუ რა საერთო აქვს (ქ.ც.)-ს და გორგი
მერჩილეს. საქმე იშაში გახლავთ, რომ თუ მხოლოდ (ქ.ც.) იქნებოდა ნა-
ცრული ძეგლი და გარშემო მისი სიყალბის დამამტკიცებელი ძველი ისტო-
რიული წყაროები იარსებებდნენ, (ქ.ც.) ასაკირველია, ერთ დღესაც ვერ
იცოცხლებდა, მან კი დღემდე მშვიდობიანად მოაღწია. ვინაიდან საქართველის არ
იყო მხოლოდ (ქ.ც.)-ის გაყალბება, აუცილებელი შეიქმნა საქართველოში

არსებული უკლებლივ ყველა ისტორიული წყაროს თავმოყრა და მათი „გადა-
მუშავება“. (ქ.ც.Б.)-ის ხელნაწერებში მოიპოვება ვაბტანგ VI-ის შემდეგი
წინასიტყვა:

(ქ.ც.І.XXI) „პატიოსანნო და დიდებულნო ქართველნო, უამთა ვითა-
რებისაგან ქართლის უხოვრება განრყენილ იყო რომელიმე მწერალთა მიერ და
რომელიმე უამთა ვითარებისაგან არღარა წერებულ იყო, ხოლო მეტად განვითარდა
ვაბტანგ, ქემან ლეონისამან და ძმისწულმან სახელოვნის გორგისამან,
შექრიბნა მეტნერნი კაცნი და მოიხვნა საცა რამ ქართლის უხოვრებაებები
პოვნა, და უსალად გუჯარნი მცხოვრისანი, გელათისანი და მრავალთა
ეკლესიათა და დიდებულთანი, და შეამოწმეს, და რომელი განრყენილ იყო,
განმარტეს, და სხუაცა წერილნი მოიბუნეს, რომელიმე სომებთა და სპარსთა
უხოვრებისაგან გამოხვნეს და ესრუთ აღაშერინეს“.

პირველი, რასაც აქ ყურადღება უნდა მივაკეთოთ, არის ის, რომ ვაბტანგ
შეფერი თავის თავს მეტად უწოდებს (ჩვენი ისტორიულსებისაგან განსხვავებით
ს.ს.ორბელიანი თავის იმზრდილ ვაბტანგ შეფერი ასევე მრავალგზის ვაბტანგ
შეხურტეს უწოდებს თავის ლექსიკონში). ჩვენ ვენდოთ ისტორიის ლაპირინ-
თვებში გარკეყულ შეფერი და აქედან იგი ვაბტანგ მეტად მოვისხენიოთ.

მეორე საყურადღებო ფაქტი ვაბტანგ V-ის აღიარება, რომ
არსებული განსხვავებები ძველ უხოვრებებსა და ჩვენს ხელთ არსებულ (ქ.ც.Б.)-
ს შორის და ამაში ადანაშაულებს „რომელიმე მწერლებს“ და კეშმარიტების
აღდგენის მიზნით საქართველოში რაც კი ჩამ ცხოვრებები და გუჯარნი
არსებულა ეკლესიებსა და კერძო პირთა მფლობელობაში, მოუგროვებისათ და
რომელიც არ მოეწონათ - „გამარტეს“.

(ინგოროვა.15) = 3.ინგოროვა „გიორგი მერჩულე“, ვამოც. 1954 წ. გვ.15
„სამწერხაროდ ძველი ქართული მწერლობის საუნდე, როგორც ცნობილია,
შეტწილად დალუალუად. ძველი ქართული მწერლობის ძველებიდან - მხოლოდ
ნაწილი, შეიძლება ითქვას, უმცირესი ნაშილია გადარჩენილი“.

(ქ.ც.І.XVIII) „ამრიგად „ძველი ქართლის საქართველოს. ქ.ქ.წ ცხოვრება“
შეიცავდა იმ ქართულ საისტორიო თბზულებებს, რომელიც ეხებოლა
საქართველოს მმბებს უძველესი დროიდან XIV საუკუნეებდე ეს თბზულებები
თავის დროზე არსებობდა როგორც ცალკე მონოგრაფიები ქართველთა
ცხოვრების ამა თუ იმ პერიოდის შესაბებ. მაგრამ გას შემდეგ, ჩაც ისინი
შევიდნენ „ქართლის ცხოვრების“ შემადგენლ ნაწილად, მოხდა ზოგიერთი
ცელიება ამ თბზულებათა ტექსტში: როდესაც „ქართლის ცხოვრების“
ჩედავტორები აერთიანებდნენ ამ თბზულებებს ერთ კრებულად, მათ შენი-
შენეს, რომ ზოვგერ თბზულების ბოლოში აღწერილი იყო ის ამშები, რომ-
ლებითაც იწყებოლა მომდევნო თბზულება; ამიტომ „ქართლის ცხოვრების“

რედაქტორებმა კრებულისათვის ერთიანი სახის მისაცემად ზოგიერთ თანხუ
ლებას ბოლო მოჰკვეცეს, ზოგიერთს თავი მოაცილეს. ამ გარემოებით აისწნევა
ის, რომ “ქართლის ცხოვრებაში” შესულ თხზულებათა სათაურები წალენჯი
არც კი ვიცით. არ ვიცით ზოგჯერ აგრეთვე ზოგიერთი ამ თხზულების
ავტორის ვინაობაც (ავტორის ვინაობა ან თავში იქნებოდა მოხსენებული, ან
თხზულების ბოლოში). თანამედროვე საისტორიო მეცნიერებას უხდება
კალევა-ძიების წარმოება იმის გამოსარკვევად, თუ ვინ იყვნენ ამ თხზულებათა
ავტორები, ან რა ეწოდებოდა ამა თუ იმ “ქართლის ცხოვრებაში” შესულ
საისტორიო ძეგლს”.

არცერთ ამდაგვარ თხზულებას დამოუკიდებელი სახით ჩვენამდის არ
მოუღწევია და თითქმის უკლებლივ, ჩვენამდის მოლწეული ქართული დამ-
წერლობის ძეგლები დაწყებული წვრის მონასტრის წარწერებიდან და
“შუშანიკის წამებიდან” - გადაკეთებული ან შელანძლულია.

ლეონტი მროველი

(ქ.ც.ხ.) მიაგავს უფლისწულ დემნას, რომელიც თამარის მამაშ, გიორგი
მეუებ დასაჭა. დემნას თვალები დაუწვეს, სხეული დაუმაპიჯეს... მაგრამ ის
მარც უფლისწულია. (ქ.ც.ხ.) ჩვენი წარსულია და პატივი უნდა ვცეო,
მითუმეტეს, რომ სანამ კომისია მის ხელში არსებულ კეშმარიტ ისტორიულ
წყაროებს გაანალიზოთ, მრავალი ცოდნა ჩვენი ისტორიული ცხოვრებისა
მასში იქნა აღმოჩნდილი. ჩვენი ვალია გამოვარჩიოთ რა იყო და რა არ იყო.

უნდა არსებულიყო ლვაწლმოსილი პიროვნება თავის დროისა ლეონტი
მრიველად წოდებული, რომლის სახელიც გამოყენებული აქვთ (ქ.ც.ხ.)-ის
ავტორებს. (ქ.ც.ხ.)-ის შესავალი ნაწილი, მიჩნეული ლეონტი მროველის ნაშ-
რობად” და რომელსაც ერთხმად ზღაპრად აღიქვამენ, გახდავთ ტვინი
ნატუარი (ქ.ც.ხ.)-ისა, მასში ჩაღებულია სამოქმედო პროგრამა (ქ.ც.ხ.)-ის
დანარჩენი ნაწილისა. გავეცნოთ (ქ.ც.ხ.)-ის შესავალს:

(ქ.ც.ხ. I.I) ”პირველად ვახსენოთ ესე, რამეთ სომებთა და ქართულთა,
რანთა და მოვაკნელთა, ჰერთა და ლეკოთა და შეგრელთა - ამათთუისთა ერთი
იყო მამა, სახელით თარგამოს. ესე თარგამოს იყო ძე თარბისი, ძის წული
იაფეთისი, ნოეს ძისა საქ უნდა გაგასხენოთ, რომ ძევლი ბერძნები კოლხებს
(მეგრელებს) და მოსინიებს იაფეტის შვილებად თვლილნენ. ჩ.ქ.]. და იყო ესე
თარგამოს კალი გმირი. და შემდგომად განყოფისა ენათასა, ოდეს აღაშენეს

ბაბილონს გოდოლი და განეყუნეს მუნ ენანი და განიშენეს მუნ ყოველს
ქუეყანასა წარმოვიდა ესე თარგამოს ნათესავითორთ მისით,

დაქმეციდრა ორთა მათ მთათა შეუკაცებულთა არარატსა და მიმდინარე
და იყო ნათესავი მისი დიდი და ურიცხუი, ამეთუ ესწნეს ცოლ მრავალ, ძენი
და ასული და შეილნი, და შეილის-შეილნი ძეთა და ასულთა მისთანი.
რამეთუ ცხოვნდა იგი ეჭუსას წელ და ვერდარა იტევდა ქუეყანა არარატისა და
მასისა. ხოლო ქუეყანა იგი წილით ხდომოდა - ესე არს საზღუარი ქუეყანისა
მისისა: აღმოსავლით ზღვა გურეგნისი ქასპიის ზღვა. ჭ.ქ.], დასავლით ზღვა
პონტიისი [შავი ზღვა. ჭ.ქ.], და სამხრეთით ზღვა თერიისა სპარსეთის ყურე.
ჭ.ქ.] და ჩრდილოთ მთა კავკასია [აი, ასე მარტივად შესრულდა პეტრე
პირეველის დავალება, ტერიტორია კავკასიიდან სპარსეთის ყურეშიდე გამოც-
ხადდა ბაბილონის გოდოლის ისტორიიდან დაწყებული ერთ სახელმწიფო
ერთეულად (გაერთიანებად). ჭ.ქ.]. ხოლო ჰაოს უმეტეს გმირი იყო ყოველთასა
[რომელმაც 428 წელს ტაპკარგა სახელმწიფო ბრიობა 1918 წლამდე. ჭ.ქ.],
რამეთუ ეგვიპთის არაოდეს ყოფილ იყო, არ წყლის-რაღუნას წინათ და არცა
შემდგომად, ტანითა და არითა და სისხნითა, ხოლო ვერდარა იტევდა ქუეყანა
არარატისა და მასისა. განუყო ნათესავი თუისი თარგამოს რეათა ამითა
გმირთა: ნახვარი ნათესავისა მისისა და ნახვარი და უმჯობესი ქუეყანისა
მისისა ჰავოსას; ხოლო შეიდოთა ამათ მისცა ხუევდრი მათი არძანგებისაცებრ
მათისა, წარმოიყუნანა შეიღნი იგი ჩრდილოთ კერძო და განუყუნა ქუეყანანი
ლირებისაცებრ მათისა [აქ არ უნდა დავეთანმოთ ჩევნი ისტორიის მწვალებ-
ლებს. ჰავოსიანთა ტანადობა და იერსახე გემოვნების საკითხია, მხოლოდ მიწა-
წყალი რომ ქართლოსს და ეგროსს უკეთესი არვუნა მამამ, ამისათვის
თარგამოსს მაღლობა ეთქმის. ჭ.ქ.].

მისცა ქართლოსს და უჩინა საზღუარი აღმოსავლით ჰერეთი და მდინარე
ბერდუჭისი, დასავლით ზღვა პონტია, სამხრისა მთა რომელი მიჰყუბის
ბერდუჭის მდინარის თავსა, და მთა რომელი მიჰყუბის დასავლით კერძო,
რომლისა წყალი გარდონდის ჩრდილოთ კერძო და მიერთუის შტეუარსა,
რომელ მიჰყუბის მთა შორის კლარჭეთს და ტაოსა ვიდრე ზღვამდის, და
ჩრდილოთ საზღუარი ლალო, მთა მცირე, რომელი გამოვლის პშტოლ
კავკასიისაგან და მოჰკიდავს წუერი დასასრულსა ლალოსა, რომელსა ვეუიან
ლინი და ამათ საზღუართა საშუალ მისცა ყოველი ქართლოსს წვერი წარ-
სულიდან ვიცით, რომ საქართველოს ჩუქა ვახუშტი ბატონიშვილმა შეადგინა,
ძნელი სათქმელის, მათ ეს რუქა აქვთ წინ გადაშლილი როცა ამ სტრიქონებს
წერდნენ, თუ აღრეც არსებობდა საქართველოს ჩუქა, ვინაიდან ეს ტექსტი არ
არის მოგზაურის ჩანაწერებიდან აღდგენილი მონაბაზი, არამედ ისტორიი
სრულიად გარკვევით რუქას დასცერიან ამ ტექსტის შედგენისას. აქ მნიშ-

ვნელოვანი გახლავთ ის, რომ საზღვრის ხაზის გაყვანისას ასახელებენ მთებს, ქედებს, მდინარეებს, ზღვას და არ ასახელებენ გამოცალკავებით ქართლის არც ერთ შხარეს, გარდა კლარჯეთისა და ტაოსი. კლარჯეთის დასაუთარებელი მისი როგორც ქართლის შემაღებელი ნაწილის გამოცხადება, არის მათი უმთავრესი სტრატეგია. ჩვენ წინ ხელჩართული ბრძოლები გველის ჩვენი ისტორიის მწვალებლებთან კლარჯეთის წარსულის აღსაღებნად. კლარჯეთი არის გული სამეგრელოსი, გული სრულიად საქართველოსი და ეს იმიტომ, რომ აյ აღმართული ქართველთა უპირველესი ტაძარი - ოპიზა. ასევე დასაცავია ტაოს წარსული, ვინაიდან ტაო-კლარჯეთიდან შემოვიდა ბიზანტიური, ქრისტეანული არქიტექტურა საქართველოსა და პაიასტანში. ჭ.ქ.]. ბარდოს მისცა მტკუარს სამხრით ბერლეჭის მდინარითგან ვიდრე ზღუამდე, სადა შეკრძიან მტკუარი და არასი. ამან ბარდოს აღაშენა ქალაქი ბარდავი და დაეშენა მუნ. ხოლო მოვაკანს მისცა მტკუარს ჩრდილოთ, მცირისა ალაზნისა თავითგან ვიდრე ზღუამდე. და ამან აღაშენა ქალაქი მოვაკნეთი და დაემკვიდრა მუნ. ხოლო ჰეროსს მისცა ქუეყანა მტკუარისა ჩრდილოთ, მცირისა ალაზნისა ვიდრე ტბამდენ, რომელსა აწ ჰქეუიან გოლგოლა, და ამან ჰეროს აღაშენა პირველად ქალაქი შესაქრებელთა შორის ოჩთავე ალაზანთასა და უწოდა სახელი თუისი ჰერეთი, და მის გამო ჰქეუიან ჰერეთისა ჰერეთი, და აწ მას აღგილსა ჰქეუიან ხორანთა. ხოლო ეგრისისა მისცა ქუეყანა ზღვის ყურისა და უჩინა დასავლით ზღუა, მდინარე მცირისა ხაზარეთისა, სადა წასწდების წუერი კავკასიისა. ხოლო ამან ეგრის აღაშენა ქალაქი და უწოდა სახელი თვისი ეგრისი. აწ მას აღგილსა ჰქეუიან ბელია... ხოლო ჰაოს დაამჟუიდრა საყოფელთა თარგამოსისათა და იპყრა ქუეყანა ჩრდილოთ ვიდრე ზღუამდე გურგენისა, დასავალი ზღუამდინ პონტოსა. და ამათ შვიდთავე გმირთა ზედა იყო განგვებელ და უფალ ჰაოს, და ესე ყოველნი იყუნეს მორჩილ ჰაოსსა და ამით ყოველთა იყო ერთი ენა სომხური". ჰაოსის ქებით ჩვენი ისტორიის მწვალებლები ისეთ ეშვში შევიდნენ, რომ მთელი კავკასია და სპარსეთი "სომხურად" აალაპარაკეს.

უნდა გვახსოვდეს, რომ არმენია, იბერია და ალბანეთი ჩილებიან კავკასიის ტერიტორიაზე ალექსანდრე მაკედონელის ლაშერბათა შემდგომ ძვ.წ. IV საუკუნის მეორე ნახევრიდან და უფრო დაზუსტებით ძვ.წ. III საუკუნიდან, როდესაც დაიშალა ალექსანდრე მაკედონელის მიერ შექმნილი იმპერია და მის ნანგრევებზე წარმოიშვა მრავალი, ეგრეთ წოდებული ელინური სახელმწიფოები. ამდენად, კავკასიელი ხალხებისათვის (განსაკუთრებით კოლხებისათვეს) არმენები (პაიკი) ახალგაზრდა ერია, თუნდაც მათ სამხრეთელ მეზობლებთან - ასირიელებთან, სპარსებთან და მრავალ სხვასთან შედარებით. ამდენად, კოლხებიც და სხვა კავკასიელებიც ძვ.წ. III საუკუნემდე მაინც იძულებული იქნებოდნენ თავიანთ ეზებზე ეზეტყველათ.

სამწუხაროდ, (ქ.ც.ქ.)-ს მხარს უბაშს და უფრო დიდი მაღიო გამოიჩინეს მოვსეს ხორენაცის „სომხეთის ისტორია“.

(ხორენაცი.23) = მოვსეს ხორენაცი „სომხეთის ისტორია“, ა.აბდულაშვილის „გამოც.1984 წ. გვ.23: „მოვსეს ხორენაცის მიხედვით, სომხეთს ჩრდილოეთის ქვეყნებს შორის გამორჩეული ადგილი ეჭირა. „სომხეთის ისტორიის“ ზოლო თავში, რომელსაც მოკლედ შეიძლება „გოდება“ ეწოდოს, თავისი დაცუმული ქვეყნის გულდამწვარი ჰირისუფალი, მოვსესი მოთქვამს: დაგტირი შენ, სომხეთი ქვეყანავ. დაგტირი შენ, ყოველთა ჩრდილოელთა შორის გამორჩეული“. ჩრდილოეთის ცნებაში ხორენაცი აქ მთელ კავკასიის გულისხმობს. ეს ჩანს შემდეგიდანაც: ხორენაცის „ისტორიაში“ ერთგან (I.8) ნათქვამია, რომ „სპარსთა და პართელთა მეფე არშაკ დიდმა“ თავისი ხელისუფლებისათვის მიზანშეწონილი და ჩათვალია“ საკუთარი ძმა ვალარშაკი გაემზევებინა სომხეთში, „სატაცტო ქალაქიდ მისცა მას ნიზიბინი და სამფლობელოდ გამოუყო ასურეთის ერთი ნაწილი, პალესტინა, აზია, მთელი შეა ხმელეთი (მცირე აზია. ა.ა.)... პონტოს ზღვიდან იქამდე, საღაც კავკასიის მთა მისწვდება დასავლეთის ზღვის (კასპიის ზღვა), აგრეთვე ატრპატაკანი (ატროპატენა - ა.ა.) სხვაც შენი იყოსო, უთხრა მას, რამდენსაც შენი გონება და სიმბაცე მისწვდება, რამეთუ ვაკეაცი ისეთივე საზღვრები აქვთ, რა ზომითაც მათი მახვილი გავკეთს“. აშეარაა, რომ ამ ცნობის მიხედვით, სომხეთა მეფე ვალარშაკის ხელისუფლებას სხვა ქვეყნებთან ერთად ექვემდებარება მთელი კავკასიაც. მეორეგან (II.3) ხორენაცი იმავე ამბავს უფრო მოკლედ გადმოვცემს: „არშაკა იმ ხანებში სომხეთა ქვეყანაში თავისი ძმა ვალარშაკი გამეფთა, მისცა მას საბრძანებლად ჩრდილოეთი და დასავლეთი“ [(ხორენაცი.248) „პართელ არშაკიდთა დინასტიის წარმომადგენლები სომხეთის მეფეები ხდებიან ა.წ. I საუკუნიდან. მოვსეს ხორენაცი კი, სომხურ საისტორიო ტრადიციაზე დამყარებით, ცდილობს დავგარჩმუნოს, რომ არშაკილთა გამეფება ირანსა და სომხეთში დაახლოებით ერთდროულად, ე.ი.ძვ.წ. III ს. შეა ხანებში მოხდა. ეს იმსწერება იმიტ, რომ ა.წ. II-III ს.ს. მიზნაზე სომხეთის არშაკილები სომხურ, ეროვნულ დინასტიად ჩამოყალიბდნენ და ამიტრილან, როგორც ეტყობა, პატრიოტულად განწყობილ სომხურ წრეებშიც ჩნდება წარმოდგენა, თოვებას არშაკიდები სომხეთის ფლობებ „უსსოვარი დროიდან“, იმავე ხანებიდან, როცა მათი მთავარი შტო ირანს დაეპატრიონა.] მოტანილი ცნობების შეჯრებით ირვევა, რომ ხორენაცი ჩრდილოეთის ცნებაში აქ მთელ კავკასიის გულისხმობს. აქედან გამომდინარე, ხორენაცის თვალისაზრისით, სომხეთის ხელისუფალო ექვემდებარებოდა საქართველოც, კერძოდ იბერია. „სომხების ისტორიაში“ დაცული ცნობების (I.29, II.22.24) თანახმად, იბერიის ხელისუფალი, ჩვეულებრივ, სომხეთა მეფების ნების აღმსრულებელი, მათი

მორჩილნი არიან, რაც შეეხება იბერიის გამქრისტეანებელ მირიანს, იგთ ხორენაცის „ისტორიაში“ მიუხედავად იმისა რომ მრავალჯერ იხსენიება (II.85.86; III.6.9), არც ერთხელ მეფედ არა წოდებული. ხორენაციის მიხედვით მირიანი სომხეთის მეფის ერთ-ერთი სარდალია მხოლოდ (II.85;III.6) და არა იბერიის ძლევამოსილი მეფე. ასევე, ხორენაცის თანახმად, სომები უფლის-წული ვაჰაგანი ქართველთა ქვეყანაში გაუმდებრობით და მისი დიდი ზომის ქანდაკება დაუდგამთ (I.3!). იბერიის გამქრისტეანებაც თითქოს სომხეთის შემწეობით მომხდარა (II.86) და ა.შ. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, გასაზიარებელია ლ.ჭანაშის შემდეგი მოსაზრება: ხორენაცის კონცეფციით ქართლი სომხეთის ერთ-ერთი მხარეა, ხოლო ქართლის მმართველი, სომხეთის მეფის ქვეშევრდომია”.

ა.აბდალაძე ჩვენი მოსაზრების ჩამოყალიბებამდე ბევრად აღრე, საოცარი სიზუსტით გვიხსნის ხორენაცის „ისტორიის“ დედააზრს:

“**მოხირისი ერთი დღის სავალ გზაზეა არქეოპოლისს [ნოქალაქევს] და შო-რებული და შეიცავს მრავალს მცირდოდ დასახლებულს სოფელს. კოლჩიდის მიწაწყალზე ის საუკეთესო მხარეს წარმოადგენს : ლეინოც კარგი მოდის და სხვა ნაყოფიც იქ კარგად ხარისხი, თუმცა ლაზიეს სხვა აღგილებზე არ შეიძლება ეს ითქვას. ამ მხარეს ჩამოუდის მდინარე, სახელად რეონი (ჩიონი); მის სანაპიროებთან ძელადვე კოლხებს აუგიათ ციხე, რომელსაც კოტაიონს უწოდებენ ელიონური ენით, ამგად კი მას ლაზები ქუთათისს ეძახიან ”-ო”.**

კურუობენ ჩვენი ისტორიის მწვალებლები, როცა ატადებენ - ფარინგაზმა აღაშენაო მარგვეთში მდებარე ქალაქი შორაპანი. სტრაბონის ცნობით კოლ-ხეთი ერთი მთლიანი სახელმწიფოა დაყოფილი ზურ სკეპტურის (ოლქად): პიტიუნტის, დიოსკურის, ფასისი, სარაპანის, ტრაპეზიუნტის. ე.ი. შორაპანს სარაპანი ერქვა.

Σαραπισ, Σεραπιος [სარაპის, სერაპის] - Сарапид или Серапис (египетский бог жизни и исцеления)

შორაპანს სარაპანი VI საუკუნეშიც ერქვა: (მაკალათია 41) “**ამ ციხე-სიმაგრეებს პროკოპი კესარიელი ასე აგვიშტრის: “ლაზთა სოფლუბი ხომ აქ ყველა მდებარეობს მდინარის აქეთა ნაპირის და ქალაქებიკე მათ აქ აუშენებიათ, მათ შორის არის არქეოპოლისი, ძალიან გამაგრებული. სევასტოპოლის არის აქ და პიტიუნტის სიმაგრეც, ხოლო სკანდა და სარაპანი იბერიის საზღვრებისაკენაა ”. ე.ი. შორაპანი VI საუკუნეშიც სარაპანი ქვეით და არის სამეგრელოს ქალაქი.**

დავუბრუნდეთ (ჭ. ქ.ბ.)-ას და თვალი გვადევნოთ, თუ როგორ “**აქართლულებენ**” (ჭ. ქ.ბ.)-ის ავტორები ქართულ ენაზე მოსუბრე ისტორიული სამეგრელოს მხარეების : იმერეთის, გურიის, აჭარის მცვრელობას.

ს. განაშია ეთანწმება ს. მაკალათიას : “ ჭუანშერის გადმოცემით VII ს. დაბ-
ლეგს ეგრისში აღგილობრივი დინასტია სულ არა ჩანს და მთელი ქვეყანა აფხა-
ზეთის სამთავროს საზღვრამდის ქართლის ერისთავებს ეკუთვნის ” .

(მაკალათია 66) “ აქ მოხსენიებული არჩილი იყო ქართლის მეფე (668- 718),
რომელიც არაბების შიშით იძულებული იყო ქართლიდან გაქცეულიყო ეგრის-
ში და როგორც ისტორიკოსი ჭუანშერი გადმოგვცემს, მას და მის მემკვიდ-
რეებს დაუპყრიათ ეგრისის სამეფო ოფხაზეთის საზღვრამდის ” .

ასევე “ ისტორიკოსს ” ჭუანშერის გადმოცემით ქართლიდან ეგრისში გაქ-
ცეულ არჩილს და მის მემკვიდრეებს არ დასდგომიათ კარგი დღე .

(ქ. ც. I.149) “ ჩამეთუ მოიწია ამისა აგარიანი ქართლად, რომელსა ერქუა
ყრუ მურეან, ძე მომადისი... და ყოველნი მთვარინი და პატიახშინ, ნათესავ-
თანი ერისთავთა და წარჩინებულთანი შევიდოდეს კავკასიად, და დაიმალნეს
ტყეთა და ლრეთა; და მოვლო ყრუმან ყოველი კავკასია, და დაბყრა კარი
დარიელისა, დარუბანდისა და შემუსსრა ყოველი ქალაქინი და უმრავლესნი
ციხენი ყოველთა საზღვართა ქართლისათა. და ვითარ ცნა, ჩამეთუ მეფენი
ქართლისანი და ყოველი ნათესავნი მათნი წარვიდეს ეგრისად და მუნით
კუალად მიიცვალნეს აფხაზეთად. შეუდგა კუალსა მათსა და შემუსსრა ყო-
ველი ქალაქინი და სიმაგრენი ქუეყანისა ეგრისისანიცა და ციხე სამზღვუდე,
რომელ არს ციხე გოჭი, შემუსსრა და შევლო ზღუდე, საზღვარი კლისორისა და
მოსლვასა მისსა კათოლიკოსი იყო თაბორა .

და ვითარცა შევლო ყრუმან კლისორა, რომელი მას ჟამსა იყო საზღვარი
საბერძნებისა და საქართველოსა, და შემუსსრა ქალაქი აფხაზეთისა და აფში-
ლეთისა ცხუმი, და მოადგა ციხესა ანკარიფისასა .. მუნ შინა იყუნეს მაშინ მე-
ფენი ქართლისანი მირიან და არჩილ; ხოლო მამა მათი გარდაცვალებულ იყო
და დამარხულ იყო ეგრისს შინა ” .

○ “ ისტორიკოსი ” ჭუანშერი არ ვამცნობს, თუ რა მძიმე დანაშაული მიუძ-
ლოდათ არჩილსა და მის მემკვიდრეებს მურვანის წინაშე, რომ მათი გული-
სათვის საშეგრელოც და აბასგიაც აუოხრებიათ .

(მაკალათია 68) “ მურავანის მიერ სამცხისა და ეგრისის დალაშევრა - ეს
არაბების მხრივ იყო ბიზანტიაზე აშეარა შეტევაზე გადასვლა, რაღაც არი-
ვე ქვეყანა იმყოფებოდა ბიზანტიის მფარველობაში. ამიტომ ბიზანტიის შიშით
ქვეყანა დააქციეს და რა შიშხეა საუბარი] არაბებმა იქ ვერ შესძლეს ფეხის
მომაგრება და მათ ეს მხარე ჩქარა დატოვეს ” .

არაბები საქართველოს აღმოსავლეთით დამკვიდრებულან .

(მაკალათია 69) “ მურავანის შემოსევის შემდეგ შეიცვალა არაბების პოლი-
ტიკა და ახლა არაბები უფრო სასტიკად ექცეოდნენ დაპყრობილი ქვეყნების
მოსახლეობას და მათ მთავრებს, ავიწროებდნენ ქონებრივად, უფლებრივად და
სარწმუნოებრივად ” .

(მაკალათია 70) "არაბებისაგან დევნილი ქართლის მოსახლეობის ნაწილი ინტენზურობდა სამხრეთ დასავლეთ საქართველოში, სახელმისამართის მფარველობაში იყვნენ. იქ შედარებით მშვიდობიანობა სუფევდა. აღმოსავლეთ საქართველოდან ეგრისში გაიზნეას ამ დროს ჰქონდა ფართო ხასიათი. მაგალითად, როდესაც ნერსე ქართლის ერისთავი აფხაზეთში გაიზინა, მას გაპოლია 300 მამაკაცი, დიდებულთა მრავალი ოჯახი თავიანთი ყმებითა და მსახურებით.

ეგრისში გაიზინენ თავიანთი ამაღით ქართლის ერისთავები: არჩილ, იოანე, ჭუანშერი და სხვა. (ქ. ც. გვ. 208, 216). ჩეენ ვიცით, რომ ეგრისში რიონის სამხრეთით მდებარე შხარე V-VI საუკ. ირანსა და რომს შორის ხანგრძლივი ბრძოლების გამო თითქმის უკაცრიელი იყო. VI საუკუნიდან დაწყებული VII-VIII საუკ. ჩეენ სპარსელებისაგან და შემდეგ არაბებისაგან დევნილი აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა ამ მხარეში ინტენზურობდა, სახლდებოდა თავისუფალ აღგილებზე და იგი აქ პოულობდა მეტ პოლიტიკურ-ეკონომიურ თავისუფლებას. ამგვარად VII-VII საუკუნეებში ჩნდება ეგრისის გაქართველებული ნაწილები: აქარა, გურია და იმერეთი".

(ი.ქ. II. 82) "საგულისმრთა, რომ ერთბაშად მრავალი სული იყრებოდა და მიღიოდა, მეტადრე თუ ვინმე დიდებული ხელისუფალთაგანი გაიზინებოდა; ნერსე ქართლის ერისთავს მარტო თეოთონ 300 მამაკაცი გაპოლია; ამდენი გაპკებოდა აბლა მის სახლობას, რომელიც ნერსემ პირდაპირ აფხაზეთში გაისტუმრა? უკეცელია ყველანი არ ბრუნდებოლენენ უკან; აკეთ მცის სამშობლოს დიდხანს დაწყნარება არა პლირსებია. ისინი იძულებულნი იყვნენ იქ დარჩენილიყნენ და შევიდრობა მოეკიდებინათ. აი რა დროს და საითგან უნდა გაჩენილიყო კართების მოსახლეობა დასავლეთ საქართველოში იმერეთსა და გურიაში".

ი. გვახიშეილიც დიდ ყურადღებას უზმობს რიონის სამხრეთს.

(ი.ქ.ქ.ე.ი.I.429) "პროკოპი კესარიელის სიტყვათ რიონის სამხრეთით მდებარე ქვეყანა იმის (V-VI ს.ს.) მეტად ნაკლებად ყოფილა დასახლებული, თითქმის სრულებით უკაცრული ყოფილა. ეს სწორედ ის აღგილია, რომელსაც გურია ეწოდება. მაშასადამე ცხადისა, რომ გურიის მერმინდელი მცხოვრები აღგილობრივი მკეიდრნი არა ყოფილან და როგორც ჩანს იბერიიდან და ქართლიდან უნდა იყვნენ გადმოსახლებულნი. სპარსელ ბიზანტიელთა მიანობისა და იქნებ სხვა შიზეზების წყალობით აღგილობრივი თავდაპირველი მეგრულ-ლაზური მოსახლეობა ამოწყვეტილა და VI ს ეს მხარე ცარიელი ყოფილია. ამგვარად გურიის ახალი მოსახლეობა შეიძლება გაჩენილიყო VI საუკუნის შემდგომი VII, განსაკუთრებით VII-VIII ს. მაშინ ჩრუა აღმოსავლეთი საქარ-

თვეულო იბერია არაბთა მძღვანელ და შეკურ ბატონობის ქვეშ იყო და ხარის აუტანელ მოხარუელობას გაუჩრდოდა. ახალშენებს რიცხვმრავლობით მცირე-რიცხვოვანი შევიზრნი გაუქართვებიათ, მაგრამ თვითონაც შეუთვისებული მცირებული გან ბევრი რამ და ნარევ მოსახლეობას შეუქმნია ახალი ენა - კილო".

სამწუხაროდ ბევრ ქართველს არა სცოდნია რომ რიონის სამხრეთით კოლხეთის დაბლობი (სადაც იმოგზაურია პროკოპი კესარიელმა) დღესაც დაუსახლებელია, იმის გამო, რომ რიონის სამხრეთით კოლხეთის დაბლობში მდებარეობს საქართველოს მასშტაბებისათვის დიდი ტერიტორიის მომცველი კოლხეთის ვაობი.

გ.მელიქიშვილი აფართოებს სამეცნიელოში შემოხიზნულთა ორეალს :

(გ.მელიქ.87) "დიდი აჯანყების ცეცხლი არაბების წინააღმდეგ, უფრო აღრესომხეთში დაინთო, იმიტომ რომ სომხეთში ხალხი კიდევ უფრო გაწამებული იყო. ქართველები ეხმარებოდნენ სომხებს. დამარცხებული სომხები მთავრები ქართლსა და ეგრისში პოულობდნენ თავშესაფარს".

ი.ჯვარიშვილი არ იფარგლება მარტო არაბთა ბატონობის პერიოდით :

(ი.ჯ. II.88) "გამასუთრებული ყურადღების ღირსია აგრეთვე ის გარემოება თუ საითევნ იხიზნებოდა და სად პოულობდა თავშესაფარს ქართველობა, როდესაც მას განსაცდელი და გაბატონებული მტრის მომძლავრება აიძულებდა საკუთარი მიწა-წყალი დაეტოვებინა. თავთავის აღგილას აღნიშნული იყო, რომ ქერ კიდევ სასანიცელთა ბატონობის დროს დევნილნი თუ ლტოლვილნი, ქართ-კახეთიდან დასავლეთ საქართველოში, ლაზიკაში გადაიღილნენ და იქ, ეგრისში თუ აფხაზეთის მთებში ჰქოულობდნენ თავშესაფარს".

ჩვენი (ქ. ც.)-ის მორჩილი ისტორიულისაგან ისე გამოდის, რომ აუსულებს სამეცნიელო კი არა, იბერია დაუპყრიათ, ვინაიდან აუსულებაზდე სამეცნიელო იბერიილებსა და ჰაიკებს დაუსაკუთრებიათ. (ქ. ც.)-ში არ არის შემოხვევა თუნდაც მძიმე პერიოდში, როდესაც რიონს სამხრეთით ბიზანტიელებსა და სპარსელებს მეგრელების ამოსაწყვეტი საომარი პოლიგონი ჰქონიათ მოწყობილი, მეგრელები გამოკეულიყვნენ საქართველოს აღმოსავლეთით ან თუნდაც ფეხი გადმოედგათ. მეტისმეტად ჰყვარებიათ თავიანთი კუთხე-კუნძული, თუმცა დღევანდლელ აბასგია-აფშილეთში დატრიალებული ტრაგედიის დროს ისე გამოემართნენ აღმოსავლეთით, რომ ლაგოლებს ჩაალწიეს.

VIII საუკუნის ეგრისის ორ საწინააღმდეგო სურათს გვიშლის ი.ჯვარიშვილი: (ი.ჯ. II.83) "VIII საუკუნის ბიზანტიის ქრისტიან კეიისტების მფარველობის ქვეშ მყოფ დასავლეთს საქართველოში მშვიდობიანობა და მყუდროება იყო ისე, რომ მათს აღმოსავლეთის თანამოძმებებს მათი მდგომარეობა სანეტაროდ ერვენებოდათ".

(ი.ჯ. II.92) "სწორედ VIII საუკუნეში ბიზანტია დასუსტებული იყო არაბებთან ბრძოლითა და შინაური საეკლესიო უთანხმოებისა და გამწვავებული 150

ბრძოლის გამო ხატების თაყვანის ცემელთა და უარმყოფელთა შორის არა
უსაჩერებლია აფხაზეთის იმ დროინდელ ერისთავის. მემატიანეს სიტყვებით ჩან
ეამს მოყდლურდეს ბერძენი, გადგა მათგან ერისთავი აფხაზთა, პამბერი
ლეონ, ძმისწული ლეონ ერისთავისა, რომელსა მიეცა სამკიდრო აფხაზეთი :
ესე მეორე ლეონ ასულის წული იყო ხაზართა მეფისა და ძალითთა მათითა
გაადგა ბერძენთა, დაიპყრა აფხაზეთი და ეგრისი ვიზრე ლიხამდე. სახელ იდგა :
მეფე აფხაზთა” - ი.

ქართლ - კახეთიდან არაბებს გამოქცეული ლტოლვილები ეხლა აფსუებს
ჩავარდნიათ ხელში. ლეონ II-ის გამეფება და სამეგრელოს გაუსუება მომ-
ხდარად ითვლება 786 წ. ამის შემდგომ ჩათვალეს ჩა დასახული ამოცანა
შესრულებულად, სახელწოდება “საეგრო” შხოლოდ ერთხელ გაიფართხალებს
(ქ. ცხ.) - ის ფურცელებზე საბოლოოდ ჩაქრიობის წინ.

(ქ. ცხ. L198) “შემდგომად ამისსა თავადთა ამის სამეფოსათა, ნიანის ქუა-
ბულის ძემან, ვარდან სუანთა ერისთავმან, იყლეს სიყრმითგან ვიორგი მეფე და
აშალეს ქუყანა: ივანე მოირთნა კახი დაცგა ქსნის პირსა; და ნიანი წაულო
ქუთათისისა საჭურულე და შედგა ქუთაოსის შინა; და ვარდან გააღვინნა სუანის
ავის მოხარულნი, დაარბიეს და ამოსწყუიდეს საეგრო”.

გარკვევით სწერია “ამოსწყუიდეს საეგრო”. ეს იმ ტყვიის ჰეთი, მხედარი
რომ იძულებულია თავის ფეხშიორებილ ცხენს დაახალოს - არ იწვალოს. ძნე-
ლი სათქმელია, მაგრამ ფაქტია, ჩვენი ისტორიკოსები, რომელთა პატიოს-
ნებაში დაიწვებაც კი არასერიოზული გაფიქრებას. მორჩილნი არიან (ქ. ცხ.) -
ის ამ ნატურარი ძეგლისა უმთავრესად ქართული ენის ბუნების არცოდნის
გამო. ისინი რომ ქართული ენით თქვენს ავტორზე უცხოესად მეტყველებენ, არ
ნიშნავს ქართული ენის ბუნების ცოდნას. მათ ვერ წარმოუდგენიათ ქართლის
გარდა სხვაგან დაბადებულიყო ქართული ენა და ის გაბლავთ ის პალო, რო-
მელზედაც მიბმულნი არიან და მხოლოდ იმ მინძილს მიმოიხილავენ. რასაც (ქ.
ცხ.) - ის თოვის სიგრძე აძლევს სამუალებას. სხვანირად ვერ იგზანით იმას,
რომ ასე არასერიოზულად თვლიდე ჭუანშერად წოდებულ ნაწილს (ქ. ცხ.) - ისა
და ასე სერიოზულად ამტკიცებდე ჭუანშერისე შეთხშულს.

რომ ქართული ენის ბუნების, ანუ მისი კოლხური წარმოშევლობის არ-
ცოდნაა მათი დამაბრკოლებელი, მაგალითი თვალი ი. ჯავახიშვილის (ი. ჯ.
ქ. ე. ი. 1.429) - დან მოყვანილი მსჯელობის დასაწყისი ნაწილია, რომელიც 427-ე
ჯვერდიდან იწყება. დასაწყისში ის უურიისა და იმერეთის მოსახლეთა ჩამო-
მავლობას აღვენს ქართული, ენის კლევით. ანუ მისი ერთ - ერთი მახასი-
აოებლით და აკეთებს შედარებით სწორ დასკვნას :

(ი. ჯ. ე. ი. 1.427) “პლინიუსის, პტოლემიონისა და პალეონი კესარიელის
ცნობები ამტკიცებენ, რომ კოლხეთის სამხრეთსა და აღმოსავლეთს ნაწილში
მხოლოდ მეგრელ ლაზების ტომები ცხოვრობდნენ, მაგრამ ამას ცოტა არ იყოს

ის გარემოება არღვევს, რომ ეხლა იმ ადგილებში, სახელდობრ გურიისა და
იმერეთში, მეტრული კი არა ქართულია გაბატონებული. გურულები და
იმერელები მეგრელ-ლაზების მიწა-წყლის შიგ შეუგულები არიან შეკრელების მიზან
მეგრელებსა და ლაზებს ერთი-ერთმანეთისაგან აშორებენ. ამისდა მიუხე-
დავად ჩვენი ზემოაღნი მნული დასკვნა იმის შესახებ, რომ თავდაპირველად
კოლხეთის ის მიწა-წყალი მხოლოდ მეგრელ-ლაზებს ეკუთვნოდა, მაინც
შეურყეველი ჩამოა იმიტომ. რომ გურიის საგეოგრაფო სახელების დაკაირვება
გვიმტკიცებს, რომ იმ ადგილას, სადაც ეხლა გურულები ცხოვრობენ, წინათ
მეგრულად მოსაუბრე ტომი უნდა სახლებულიყო; ბევრ სოფლებისა და მდინა-
რეების სახელების მნიშვნელობის ახსნა მხოლოდ მეგრულის საშუალებით
შეიძლება, ან არადა, გათ ცხადი მეგრული დამახასიათებელი თვისებები აქვთ.
მაგალითად : მთა ჭიხანჯირი (ჭიხა - ციხე), ჯუმათი, კუმნევარი (კუმნი - მუხა),
მდ. რჩხომური (რჩხომურა ჩხომი = თუები), როგორც ოქალმახე, ოქილაური
(ო-ქილაური = საქილაო), კუვიში კუვიშაური, კანიეთი, მდ. გუბაზეული, მდ.
კინტრიში, ონჯიცეთი, ონჯოხეთი, ს.ოცხანა გურიაში და სხვა. ამგვარი
სახელების დარქმევა მოებისა და მდინარეებისათვის, ცხადია, მხოლოდ
მეგრელ-ლაზების ტომებს შეეძლოთ, მაშასადამე, ძირითადი და თავდაპირ-
ველი მოსახლეობა გურიაში მეგრელებისა უნდა ყოფილიყო. მაგრამ მარტო
გურიაში კი არა, ეხლა ცხენისწყალი სამეგრელოს, აღმოსავლეთის საზღვრად
ითვლება; საგეოგრაფო სახელები კი ამტკიცებენ, რომ ამ მდინარის აღმოსავ-
ლეთითაც თავდაპირველად მეგრელებს უცხოვრიათ; მაგალითად : სოფ.
ჭიხაიში (ჭიხა = ციხე), ჩხენიში, კულაში, ნაკიხევი (= ნაციხევი). ქუთაისში
არქიელის გორას “უქიმერიონს” ეძახიან და ეს სახელი, როგორც პროკოპი
კესარიელის ისტორიიდან ჩანს VI ს. უკვე ყოფილა; უქიმერიონი უდრის
მეგრულს “ოხვამერი”-ს და სალოცავს პნიშნავს. ქუთაისის ჩრდილოეთითაც
მდ. რიონის მიღამოებიც ძველად მეგრელებს უნდა სეტროდათ; იქაც ასეთი
საგეოგრაფო სახელები გვხვდება, როგორც მაგალითად : ჭიბასვარა (ჭიმა =
ძმა), ოფურჩხეთი, ვანკეიში, ტყვიში, ნაკოროლეში, გვირიში, კორენიში,
ოქრიძა და სხვა. თვით პლინიუსიც ამბობს: რიონი მეგრელების მიწაზე დიო-
დაო. საგეოგრაფო სახელების შესწავლა, მაშასადამე, უკველ პყოფს, რომ
მოელი ეს მიწა-წყალი მხოლოდ მეგრულ-ლაზური შტოს ტომებს ეკუთვნოდა.
ასე იყო, როგორც ჩანს სტრაბონის, პლინიუსის და პოლემიონისის თბზუ-
ლებებიდან, პირველს ორს საუკუნეში. შემდეგ, როგორც ეტყობა, ერთ-ერთი
ქართველ ტომთაგანი, ან აღმოსავლეთით, ან არა და სამხრეთ აღმოსავლეთით
შიგ შეუგულში შეკრილ და მეგრელები და ლაზები ერთი ერთმანეთის დაუ-
შორებია, ხოლო დაყრობილი ადგილების მცხოვრებლებს ქართული შეუ-

თვისებიათ. ამის გამო ეხლანდელი გურულები და იმერლები გაქართვებულ
მეგრულ-ლაზებად უნდა ჩავთვალოთ".

უნდა დამტანებოთ : ი. ფავანიშვილს რომ ცოდნოდა - სამეგრელოულისათვე
ლაზების შუაგულში, სამეგრელოში, კლარჯეთში, მეგრული ენის ნიადაგზე
შეიქმნა მეგრელთა, ლაზთა, კანთა და დანარჩენ კოლხურ ტომთა სალიტე-
რატურო, რელიგიური (საკულტო) ენა - ქართული (ქორთული) და ქედან,
სამეგრელო-ლაზეთის შუაგულიდან განვირცო ქართული (კოლხური) ენა - ის
სრულიად სხვა დასკვნას გააკეთებდა გამომდინარე გურია-იმერეთის მეგრული
ტომთნიმიკეთან. მაშინ უკეთ აღიქვამდა VI საუკუნის პროკოპი კესარიელის,
VII-IX საუკუნეების პაიკი უწოდი გეოგრაფოსის, X საუკუნის ბიზანტიის
იმპერატორ კონსტანტინე პროფილიზენეტის, XI საუკუნის ეფთიმე მთა-
წმინდელის ცონბებს, რომ ლიხს დასვლეთი მხარე ოდიოგან მეგრელ-ლაზთა
მხარედ მოიხსენიებოდა. თუმცა უფრო ნათელი წარმოლენა გურია-იმერეთ-
ზე მას შეექმნებოდა, საგოგრაფიო სახელების გარდა იმ აღამიანთა სახელე-
ბისა და გვარებისათვის რომ გადაეხედა, რომლებიც ამ მიწა-წყალს ამშევ-
ნებენ; რომ სახელწოდება კუონი = მუხა გამოიყენება გვარებშიც და მეგრული
გვარებია როგორც კუონია, ასევე ჭყონიძე, კალანდია - კალანდაძე, კეკელია -
კეკელიძე, პატარაია - პატარაიძე, გვარამაძე, ბარამია - ბარამაძე,
გოგია - გოგიშვილი, ყურუა - ყურაშვილი, ოთხოზურია - ოთხშეზური, ანთია
- ანთაძე, კობაზია - კობაზიძე, კვანტალია - კვანტალიანი, მიქაელია - მიქაელე,
არჩია - არჩევაძე, ბაკურია - ბაკურაძე, კოლონია - კოლუაშვილი, იოსავა -
იოსელიანი, ხურცია - ხურციძე, გლენავა - გლენენიშვილი, თოფურია -
თოფურიძე, ბერია - ბერიძე, ლომაია - ლომიძე, ლეგებუა - ლეგებუაძე,
აბურჯანია - აბურჯანაძე, ლაშხია - ლაშხიშვილი, ფაჩულია - ფაჩულ-ლიძე,
სილაგავა - სილაგაძე, დარსსლია - დარსსლაძე, შარია - შარაძე, მამულია -
მამულაშვილი, გულია - გულიაშვილი, მაქაცარია - მაქაცარაშვილები, გუგუ-
შვილები, ანგაფარიძე, ნაკაშიძე, მალულარი, შონია, კუნძულია, გოგელია...
ლმერთმა ამრავლოთ.

გვარების მიმოხილვამ მოგვაწოდა მნიშვნელოვანი ცოდნა - არა მარტო
სოფლების, მდინარეების სახელწოდებებია მეგრული გურიასა და იმერეთში -
მოსახლეობაც მეგრულია (ტომობრივა). გვიხსენოთ ისიც, რომ გვარების
დაბოლოება ძე-ზე და შვილ-ზე საქართველოში გაჩნდა მოგვიანებით. ახლად
შექმნილია გვარები - ელისაბედაშვილი, ეგნატაშვილი, გიგოშვილი, ნათე-
ლაშვილი...; ამ პროცესმა (გვარების გადაკეთებამ) მრავალი ძველი გვარი გააქ-
რო და მაინც ამდენი საერთო დარჩის.

საქართველოს დასავლეთში გვარულებული სახელების ზედაპირული ანა-
ლიზი ცხადჰქოფს, რომ ეს მხარე საქართველოს უფრო დიდიანს იყო ბერ-
ძნული სამყაროს გარემოცვაში : ამბროსი, პროკოფი, ლუკა, კონსტანტინე,

ვარევარა, დესი, სტეფანე, თეოლინა, აგრაფინა, ოლღა, ნესტორი, ფლორი,
მარგალიტა, თეოფილე...; საქართველოს აღმოსავლეთს ძლიერად ატყვას შე-
სულმანურ სამყაროში გავრცელებული სახელების გველენა : ჩვევაზი, მეტანაზი
ფარვიზი, ვატრანგი, თენგიზი, ჭუმბერი, ომარი, თემური, ზეინაბი, ხათუნა,
ლეილა...; სხვაობა საქართველოს აღმოსავლეთისა და დასავლეთის სახელებს
შორის ქრება, საერთო ქართული სახელების გაძლიერებით, რაც სიკეთის,
ერთობის, აღდგომის ნიშანია.

ერთიანი ტოპონიმიების, ერთგვაროვანი გვარ-სახელების დადგენის შემ-
ლები ჩნდება კანონიერი სურვილი მოიძიო საერთო მეტყველებაშიც და თუ
შეგრულ (ლაზურ) ენას პატივისცემით მოეკყრიბით ისიც გაგიმზელო დაფა-
რულს. მოვამთავროთ პტოლემეს ჩუქის მიმობილეა. პტოლემეს მეგრელთა
სამი სახელწოდებილან : ლაზები, მანჩალები, ეგერი, - ლაზები გამოსახული
აქვს ზღვის სანაპიროს გამჭვრივ და ესას სამეგრელოს წარსულის ზუსტი
გამოსახვა. ლაზური ენა ჩვენ ვუწოდეთ პირობითაც მეგრული და ბერძნული
ენების ნარევ ენას და შეგრულ ენაში ბერძნულის დამკვიდრება ძირითადად
ზღვის სანაპიროს ხდებოდა. დღესაც ზღვისპირა მეგრული ჩუქული ენის გავ-
ლენით ძლიერად გამოიჩინევა შედარებით სუფთა, მთის ანუ შიდა სამეგრელოს
ენისაგან. პლინიუსის და პტოლემაიონის, დროსაც არსებობდა შედარებით
ხალასი მეგრული, რომელიც გამოიჩინდა ზღვისპირა მეგრულისაგან. ჩვენ
გავიცანით ა. ჩიქობავას აზრს შეგრული და ლაზურ-კანური ენების იდენ-
ტურობის შესახებ.

(ელემტი 235) "დიდი მხიშენილობა ჰქონდა 1924 წელს ა. შანიძის მიერ
წამოყენებულ დებულებას მეგრულისა და კანურის ურთიერთობის შესახებ.
"მეგრულის სახელწოდებით, - წერს ა. შანიძე - ჩვენ ულიკშვილ ერთისა და
იმავე ენის ორსავე კილოს: რიონის მეგრულს (რომელიც საქართველოს ფარ-
გლებშია მოქცეული, უმთავრესად მდინარე რიონის მარჯვენა მხარეს და რო-
მელიც საკუთრივ მეგრულისა სახელით არის ცნობილი) და კორობის მეგრულს
(რომელიც ამავად თურქეთის საზღვრებშია მოყოლილი). უმთავრესად
კორონის მარცხნა მხარეს, და რომელიც ჩვეულებრივ კანურის ანუ ლაზურის
სახელით არის ცნობილი). საკუთრივ მეგრული და კანური ერთურთის მიმართ
კილოებია და არა დამოუკიდებელი ენები".

რომ არსებობს ერთი ენა, ამის მრავალსაუკუნოვანი დასტურია ჩვენი თაო-
ბის თვალწინ განხორციელებული ფაქტი. ოთხსაუკუნოვანი შეწყვიტილი ურ-
თიერთობების შემდგომ ხედებისან ერთმანეთს რიონის ხეობის მეგრელები კო-
რონის ხეობის მეგრელებს და უთარესიმნოდ საუბრობენ. სერიოზული დაბრ-
კოლებების გარეშე. არა საკირო ენათმეცნიერი იყო. რომ შიხვდე - ეს
ადამიანები ერთ ენაზე საუბრობენ, ანუ ერთი ტომის ხალხია (კოლხები არიან).
განსხვავებები არსებობს აბაშურისა (ცუკნდიდურსა) და წალენჯიხურ (ოდზშურ)

კილოკავებს შორისაც. გურიაში, შედარებით მცირე მასშტაბის მხარეში, ორი კილოკავება აღრიცხული.

ამ საკითხის გარშემო ვაკეთებთ საბოლოო დასკვნას : მეგრელი-ლაზების არის სახელწოდებანი ისტორიულად, ტომიბრივად, ენობრივად ერთი და იგვევ ხალხის მხოლოდ საგვეგრაფიო (მხარეთა) აღმნიშვნელი სახელწოდებანი, მსგავსად ქართულ ენაზე მეტყველი ტომით მეგრელების სახელწოდებებისა : აკარა, გურია, იმერეთი, ჩაქა, ლეჩიშვილი (ამ დასკვნის მეორე ნაწილის განსამტკიცებლად წინ გვილის საუბარი) აյ უნდა გავიხსენოთ პლუტარქეს მიერ დამკიდებული ცნებები - ზედა და ქვედა კოლხეთი, რომელიც მო-ცავდნენ აღნიშნულ ტერიტორიისა.

კტოლებებს ჩუქაზე გამოსახულია ასევე კოლხური ტოშის ორი სახელწოდება და სეანი და სუანი. ღიოსკურის ზევით გამოსახულმა სახელწოდებამ „სვანოკოლხი“ არ უნდა დაბადოს აზრი, რომ ცნება „სეანი“ სხვაა და ცნება „კოლხი“ სხვა. ჩიგორუც ვიცით აქ მოცემული დროის ჰერიონში დღიდი კოლხეთი დაშლილია ზეა კოლხეთი ბეჭოფლება მხოლოდ სამეგრელოს (როგორც მეთაურის ამ კოლხთა გაერთიანებისა). ამის მსგავსი მაგალითი ჩვენი წერილის დასაწყისში განვიხილეთ, რომელსაც სხელწოდება „საქართველო“ გამორჩეულად ჭრობის ხეობას ეწოდა (მისი მეთაური როლის გამო ამ სახელწოდების, მცნების ჩამოყალიბებისას). ამის დასტურია ღიოსკურის ზევით მოსახლეთა პიონიერი სახელწოდება „ეგირო-სეანი“. სადაც სახელწოდება „კოლხი“ შეცვლილია სახელწოდება „ეგირი“-თ, ანუ „მეგრელით“. დღესაც ღიოსკურის ზევით სვანურ-მეგრული (კოლხური) ტოშონიშიერა და ჭისახლეობაც სვანო-მეგრულია. ჩვენ ვიცით, რომ კოლხი ეწოდებოდა ასევე შესხებს, კორაქებს, ჰენიონებს, მოსინიებს, ქანებს; ც

სეანთა შეორე სახელწოდება სუანი [რასაც (ქ. ც. ტ.)-ც ადასტურებს „ვარდან სუანთა ერისთავი“] იყოთხება კოდორსა (ამ მდინარესაც ბერიძულ წყაროებში „ჰიპოსი“ ერქვა) და რიონს (ფასის) შორის მოქცეულ მდინარის სახელწოდებაში „Cuaneus“. ასონიშვილი „C“ ლაციონურში იყოთხება როვორც „C“ და „J“, მაგრამ აქ მოცემული სახელწოდება უკველად „სუანის“ გამოძახილია, ვინაიდან ამ ადგილს ჩამომდინარე მდინარეები სვანეთიდან მოედინებიან (ყოველ შემთხვევაში სვანეთისა და სამეგრელოს წყალგამყოფი ქედებითან).

ჩევნთვის აქ მნიშვნელოვანია, რომ სახელწოდება სვანი იშლება ორად: „სვანი“, „სუანი“ და რაც გვიძტკილებს აზრს, რომ აქ ფუძე საერთო კოლ-სურია:

სუანი (სუანი, სანი) || სანარი (წარარი, სანი) || ზანარი (ზანი, სანი) || საჩი (ტრაპეზულტრან).

ამრიგად ა.ჩიქობავას გამოთქმა: (ჩიქობავა 367) "სვანურის შემაღლებაში გამოიჩინება „ზანური ფენა, აღილეური (ჩერქეზული) ფენა, ძველი ქართულის დამახსინაობებელი ერთი ფენა. ქართველურიმა საწყისში გამოჩენილი დღილებრზე“. დღეებინდელი გაცემით შეგვიძლია ასე წავიკითხოთ: „სვანურის შემაღლებაში გამოიჩინება: კოლხური ფენა“ აღილეური (ჩერქეზული) ფენა, ძველი ქართულის დამახსინაობებელი ერთი ფენა და წამყვანი ფენა სვანურ ენაში კოლხური წარმოშობისაა“. ამას დაემატება ისევ ა.ჩიქობავას გამოწათქმაში: (ჩიქობავა 367) "სვანურ ენას ქართველურ ენათ ისტორიის თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ამ მხრივ მას ძველი ქართული თუ შეედრება“.

პტოლემეს რუკაზე ჩვენთვის საინტერესოა ასევე აფშილეთის ტერიტორიის, მსგავსად კლარჯეთისა, გამოსახვა კოლხეთის შემაღლებელ ნაწილად (ამ შემთხვევაში სამეგრელოს შემაღლებელ ნაწილად):

შეგრული ენა მიმოვინილოთ შემდგომ თავებში და ამწერად დავუბრუნდეთ მურვანის ლაშქრობას ანუ არაბობას საქართველოში.

ირაბობი საქართველოში და იბხო (იბჰო)

არაბთა შემოსვლა საქართველოში ქართველთა მიერ უსამართლოდაა გა-
შუქებული. ჩვენ უნდა დავაკვირდეთ ისტორიულ ფაქტს - არაბთა კავკასიაში
ყოფნის პერიოდი (VII საუკუნიდან მონლოცთა გამოჩენამდე) ემთხვევა საქარ-
თველოს სახელმწიფოებრიობის აყვავების ხანას. გაიხსნეთ როგორ იწყება
ლაზიერის სამეფოს გაძლიერება VII საუკუნიდან და უნდა მივხვდეთ - არაბებმა
შემსრულეს დადგებითი როლი ქართველთა ცხოვრების სინამდვილეში.

დავიწყოთ იქიდან, რომ არაბებსა და ქართველებს შორის საუკეთესო და-
მოკიდებულებები გრძელდება კავკასიონან არაბთა წასვლის შემდგომაც.

(იგოროვა 183) "1492-1496 წლებში კონსტანტინებ თავისი ელჩი გაგზავნა
ეგვიპტის მბრძანებელთან, რომელმაც საქართველოს მეფის მოციქული ქაი-
როში კარგად მიიღო.

კონსტანტინე მეფის მიერ ელჩის გაგზავნა ეგვიპტეში შემთხვევითი აშშავი
არ იყო. მიუხედავად თავისი დაქუცმაცემა-დაკრინებისა, საქართველოს ჭერ
კიდევ ჰქონდა შენარჩუნებული აღმოსავლეთში თავისი ზოგიერთი საერთა-
შორისო კავშირი, თავისი ძველი სახელი და პატივი. განსაკუთრებით ეგვიპტის
შემართველები ეპყრობოდნენ ქართველებს დიდი პატივისცემით. ამის შედეგი

იყო ის უპირატესობანი, რომლებიც ქართველებს ეგვიპტის შპრინგებლებიდან შეუნარჩუნეს პალესტინასა და იერუსალიმში.

ქრისტეანთა სათაყვანებელ ქალაქ იერუსალიმში შესვლისას ქართველები საზეიმოდ მოკაზბულ ცხენებსა და აქლემებზე ისხდნენ გაშლილი ეროვნული დროშებით, თავისუფლად შედიოდნენ ქალაქში და სულთანს დაწესებულ გადასახადს არ აძლევდნენ. ეგვიპტის შპრინგებლელთა განკარგულებით, ქართველთა იერუსალიმის ჭვრის მონასტრის უზრუნველყოფისათვის საგანგებო არაბი მოხელე იყო დანიშნული. ის ვალდებული იყო საქართველოდან მომავალ მლოცვებს ალეპოში დაბვედროდა. იერდან იერუსალიმამდე მიეცილებინა და უკან გაბრუნებისას ისევ ნავსაღგრუმდე გაჰყოლოდა".

სიტყვა "აბხა" საიდანაც შემჟღომ წარმოიქმნა სახელწოდება "აბხაზი", საქართველოში არაბებმა შემოიტანეს. ბედის ირონია, რომ სახელწოდება "აბხა"-ს განმარტება (Б.С.О.)-ში პირველი ტომის 41-ე გვერდზე ზედ "Абхазская автономная советская социалистическая республика"-ს განმარტებისათვზეა.

გვეცნოთ არაბთა დაპყრობითი ომების მოქლე ისტორიას :

(Б.С.Э.2.149) "Арвбские завоевания - военные предприятия арабов, начатые правительством Медины после подчинения восставших племен Аравийского полуострова и создания Халифата. Они завершились завоеванием арабами стран ближнего и среднего востока, северной африки и юго-запада европы".

(ქ.ს.ე.1.522) "არაბთა დაპყრობითი ომები გაჩალდა სალვონ ომების ლოზუნებით 633 წლის ბოლოს, როცა სასანიანთა ირანისა და ბიშანტიის ტერიტორიაზე შეიტრნენ. 637 წელს კადისიასათან-დამარცხეს ირანის ლაშესრი და დაიკავეს სასანიანთა ირანის დედაქალაქი ქ.ტისიფონი. 641 აილეს ქ.მოსული. ხოლო 642 გადამწყვეტი გამარჯვება მოიპოვეს ნაპავანდიან. 652 მოლიანად დაიმზორჩილეს ირანი და შეა აზიის დაპყრობას შევდგნენ".

არაბებს საქართველო ომებით არ დატყეყრიათ. ქართველებს ბატონი გამოეცვალათ. საქართველოს ნაწილი, რომელიც ჩაპარისეთის შემადგენლობაში შედიოდა, ავტომატურად გადადიოდა არაბთა ხალიფატის გამგებლობაში. რა აზიი უნდა ჰქონოდა სპარსეთის დამარცხებელ ძალასთან შებრძოლებას და ამიტომაც იბერიის ერისმთავარმა სტეფანებზე არაბთა სარდალ პაბიძ იბნ-მასტამის ელჩის ბელით საჩუქრები გაუგზავნა და ზავი და მშვიდობა შესთავაზი. პაბიძ იბნ-მასლამამ მოჩომეული საჩუქრები მომვალი ხარჯის ანგარიშში ჩათვალი და იბერიის, როგორც ნებაყოფილობით დამორჩილებულ ქვეყანას, "დაცვის სიველი" მისცა.

(ი.ქ.II.85) "ხელშეკრულების დადების დროის როგორც ჩანს, ორთავ მხარეს დიდი ყურალება აგრეთვე საჩუქროებისათვის მუშაქევით : ქართველებს

უზრუნველისათ, რომ მათი ეკლესიები, მონასტრები და სამღლოცველოები ჰყავთ
ლებელი ყოფილიყო, ხოლო არაბები ამის თანახმანი იყვნენ, ოლონდ კი ქარ-
თველებს მათთვის მოჩიდება გამოეცხადებინათ და უკველწლიური ჭრილების
ძლევა ეკისრათ".

(ი.შ.II.87) "645 წლიდან მოყოლებული 695 წლამდე არაბები თითონ კი არ
მოდიოდნენ ხარჯის ასაკრეფად, არამედ ქართველი ერისთავები თითონა
კრეფლნენ და თვითვე აბარებდნენ არაბებსაო. არაბთა მიერ დაწესებული
გადასახადი ბევრად ნაკლები იყო ადრინდელ გადასახალებზე და თვით-
პირველად არაბები სხვა ხალხთა საჩრდინოებას (კერპთაყვანიშემელთა გარ-
და), მეტადრე კი ქრისტეანობას თავისუფლებას ანიჭებდზენ და ღმობიერად
ეპყრობოდნენ".

ბიზანტიის და არაბების შორის დაიდო ხელშეკრულება.

(ი.შ.II.77) "თეოფანეს სიტყვით 678 წ. [ხელშეკრულება] იყო დადგებული და
შემდეგს პირობებს შეიცავდა : 1) კეისარი მარდაიტების წაქეზებას და არაბებზე
მისვას თავს დაანებდებდა, ხოლო არაბები ბიზანტიელებს ფულად, ცხენად და
ყმებად საზღაურს მისცემდნენ; 2) კეიპრი, სომხეთი და იბერია ვათ საერთოდ
თანასწორად ექმნებოდათ".

არაბთა შფორველობა თავისი დროისათვის იმდენად მომგებიანი ყოფილა,
რომ ლაზიების პატრიკიასი სერგი ბარნუელს 697 წელს ასამყებია ბიზანტი-
ელებს და სამეგრელო ნებაყოფილობით შესულა ხალიფატის შემაღენლობაში
აბასიებისათვის ერთად.

(ინგოროვა 197) "სარკინოზებს ეპყრათ აპაზგიაც, ლაზიკაც და იბერიაც"
ეს აღნიშნულია თეოფანე ემითაალწერლის მატიანეში (ცნობა 717 წლის
თარიღით)".

ამ ცნობების გაანალიზებით უნდა ვიჩწმუნოთ - არაბების შემოსვლა სა-
ქართველოში იყო ის აუცილებელი პირობა, რამაც ხელი შეუწყო ჩვენი ქვეყნის
გაერთიანებას. არაბების შემოსვლამდე საქართველო გაყოფილი იყო ბიზან-
ტიისა და სპარსეთს შორის. ამ თრი ზესახელმწიფოს დაინტერესება საქარ-
თველოს შომავლით გვეთრად განსხვავებულია. ბიზანტიია მოწადინებულია
გაავრცელოს ქრისტეანული რწმენა, სპარსეთი კი მაზრეანობას ნერგავს.
ბიზანტიია მრავალეროვანი სახელმწიფოა და საქართველოში ანვითარებს
ადგილობრივ ენას, უქმნის დამწერლობას, სასულიერო ლიტერატურას (თუნ-
დაც სლავთა გაქრისტეანების მაგალითი აიღეთ), რათა მტკიცელ დამკვიდრდეს
ქრისტეანული რწმენა და ბიზანტიის სამართალმემკვიდრეობა. სპარსეთი მე-
ზობელი ქვეყანაა და ცდილობდა გაეფართოებინა საკუთრივ სპარსეთის ტე-
რიტორის ქართველთა ეროვნული და რელიგიური შეგნების შეცვლით
(თუნდაც მკვიდრი მოსახლეობის სპარსეთში გადასახლებით). არაბებმა სპარ-
სეთის სახელმწიფოებრიობის განადგურებით ქართველებს მოუხსნეს სპარ-

სული მრავალსაუკუნეობრივი პრობლემა და თავადაც დაინტერესებულების იყვნენ საქართველოს ერთიანობით (გათი მფარველობის ქვეშ), ასევე რელიგიური გიტარი შემწყნარებლობით. ხელი შეუწყვეს საქართველოში ქრისტიანული რწმენის, ქრისტეანული კულტურის აღორძინების, რაც დაფიქსირებულია ის-ტორიული სინამდვილით.

ჩვენი მტკიცების ჩატარები გამოხატვაა (ნ. გ. 10.408)-ზე მოცემული XVI-XVIII საუკუნეების სპარსეთის ჩუქა, სადაც საქართველოს აღმოსავლეთი სპარსეთის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ პროვინციადაა გამოსახული. სპარსეთმა შესძლო თუ არა სახელმწიფოებრიობის აღდგნა, საქართველოს აღმოსავლეთი თავის შეღლობელობაში მოაცეია.

“რომის პაპის წერილებში” თქვენ ნახეთ. რომ გიორგი მეფე თავისთავს სპარსეთა მეფეს უწოდებს, რაც რატომლაც იწვევს გაოცებას ჩევნს მეცნიერებში. გასაკვირი ია არ უნდა იყოს: თვით მონღოლთა ბატონობის ხანში დაიწყო სპარსული გავლენის გაძლიერების ზრდა საქართველოს. აღმოსავლეთში. სპარსეთის შაჰები იწოდებოლნენ შაჰინშაჰებად ანუ მეფეთმეფეებადად და მათ ჰყავდათ იშპერიაში რამოდენიმე პატარა შაჰები ანუ მხარეთა გამე გებლები. გიორგი მეფეც ადასტურებს, რომ ის სპარსეთის ერთი ნაწილის მეფეა, როგორც თუნდაც შემდგომში ვახტანგ V. მითუმეტეს, რომ სპარსეთი არ იქნებოდა წინააღმდეგი ქართველთა მიერ თურქეთზე გალაშერებისა.

თავიდათავი მიზეზი საქართველოში არაბთა როლის უკულმართად გამოსახვისა რასაკვირველია, (ქ. ც. 1.)-სა და ასევე ვახტანგ V.-ის კომისიის მიერ შერყვნილი, ჩევნამდე მოღწეული ქართული საისტორიო წყაროები. განსაკუთრებული ადგილი ეთმობა მურვან ყრუს ლაშქრობად წოდებულ სიცრუეს, ეს გახლავთ აპოგეა (ქ. ც. 1.)-ის აკტორთა შემოქმედებისა.

ყრუ გახლდათ, ვინც ეს სახელი მოუგონა არაბ დიდებულს მურვან II-ს, მოპამედის შეილს, რომელმაც ქართველთა დასაცავად, “დაცის სიცელის” პირობის შესასრულებლად ილაშქრა ხაზართა წინააღმდეგ.

(ი. გ. II. 80): “არც არაბ, არც სომებს, არც ბიზანტიელ ისტორიკოსებს მურვანის ლაშქრობის შესახებ დასავლეთ საქართველოში, ეგრისსა და აფრანეთში, არაფერი აქვთ ნათქვამი, რომ გამორკვეულიყო, არმდენად სამართლიანია [მურვანის ლაშქრობა] ზემოთ მოყვანილი ამბავი”.

მურვან II-ს, მოპამედის შეილს არც საქართველოს აღმოსავლეთი აუკრებია. არაბი ისტორიკოსის ბელაძორის სიტყვით: (ი. გ. II. 79) “მურვანს ხალიფა ჰრადანებისახებრ (729-730 წ.წ.) მოელს თავის მხედრობით ქსნით დარიალანის ხეობა და კარი გაუვლია და ხაზარნი დაუმისრუებია. იმიტრკავკასიონგან ერთი ტოში გადმოუყვანია და კახეთში დაუსახლებია. ხოლო 737-742 წლებში ძლევამოსილი ლაშქრობა ჰქონია კავკასიაში და იმიტრ-

კავკასიაში, ისე რომ დაუმორჩილებია და გაუმაპმალიანებია, რასაკვირველი იძულებით, ხაზარი, აულია დაღესტნის მთელი ქვეყანა, სამურის სანახები და შაბირანი, ლეკეთი, ტაბასარანი და დიდოელნი".

მურავან II-მდე არაბთა გამჟებლობა ჩრდილო კავკასიაში არ ვრცელდებოდა.

(ი.ქ.II.78) "არაბები ჰერძნობდნენ, რომ თუ ჩრდილოეთის მცხოვრებთ, იმიერ კავკასიის მკვიდრო, ხაზარებს, როგორმე არ დაიმორჩილებდნენ, მათი მდგომარეობა კავკასიაში არას ღრიოს უზრუნველყოფილი არ იქმნებოდა; იმათითაც ჰქონდათ ხშირად ქართველებს ზურგი გამაგრებული; ამასთანვე მას შემდგომ, რაც არაბთა პირველი ლაშქრობა არაბების დამარცხებით დამთავრდა, გათამაშებული ხაზარნი არაბთათვის მუდმივი საურაობები იყვნენ. ამიტომაც იყო, სხვათა შორის, რომ VIII საუკუნიდან მოყოლებული არაბები ასეთის სიმედგრით ებრძოდნენ ხაზარებს".

გართალს ბრძანებს ი.ჭავაშვილი - ქართველებს ხაზართაგან ჰქონდათ ზურგი გამაგრებულიო, მხოლოდ ეს ეხება საქართველოს აღმოსავლეთ მთი-ულეთის წანარების (სანარების), ეს მხარე უჯანყდებოდა ხშირად არაბებს და მათ არაბი სარდლის ბულა თურქის ლაშქარიც დაამარცხეს (უთუოდ ხაზართა დაბმარებითაც).

ხაზარები მრავალგზის აოხრებდნენ საქართველოს აღმოსავლეთს.

(ი.ქ.II.77) "685 წელს [ეს ის დროა როცა სპარსეთი დამარცხებულია და არაბები ჯერ არ შემოსულან საქართველოში] კავკასიის ასოლიერისა და ლევონ-დის სიტყვით ხაზართა ძლიერი ლაშქარი შემოესია საქართველოს, აღმანეთსა და სომხეთს. ბრძოლაში ქართველთა და სომხეთია ერისთავენი ამოხოცეს და ქვეყანა ააოხრებს".

(ი.ქ.II.78) "717 წ. ხალიფა ვალიდის ძმას მასლამას, სომხეთისა და ადარ-ბაგინის ამირას გაულაშქრია და დარწყებანდი აულია, მაგრამ ხაზარები 717-718 წ. სწრაფუდ გადმოეშვნენ შურის საძიებლად და შირვანში და ადარბაგანში შეიიქრნენ; მათ გადაულობნენ არაბები და ზოგი დახოცეს, ბევრი კიდევ ტყვედ წაასხეს".

სამაგიერო ხაზარებმა არაბებისაგან 722-723 წ. მიიღეს, როდესაც გამშვიდიანთა გარი შეესია ხაზარეთს და საშინლად დამარცხდა. განჩინებულმა ხალიფამ იაზიდ II (720-724) ამირად გასირაპი აბდალლაპის ძე ლააყენა და დიდის ლაშქრით ხაზართა გარის წინააღმდეგ გაისტუმრა. ხაზარებს თვით ხაյანის შეიღლა უძლოდა.

ჯერ კიდევ ხაზარეთში მისულები არ იყვნენ, რომ ალაზნის პირას მოპირდაპირენი ერთო-ერთმანეთს შექმნადნენ; გამარჯვება არაბებს დარჩათ;

ძლეულს მტერს კვალდაკიალ მიჰყვნენ, შევიღნენ ხაზარეთში და დიდიაჭან
დავდა იშვნები.

ხალიფა ჰიშამის (724-743) ბრძანებისამებრ ამირა ჯარიავმა 729-730 წ.
ტფილისის სანახებზე გიიარა, კვლავ ხაზართა ქვეყანას შეესია და ერთი ქალაქი
აიღო. ”

ჩვენ უნდა დავიმახსოვროთ - არაბებსა და ხაზარებს შორის მიმდინარეობს
გამუ-დმებული ოშები კავკასიაში პირველობისათვის, მურვან II-ს არ დაუ-
ლაშქრია ეგრისი და არც აბასია. ეს არასებული “მურვან ყრუს ლაშქრობა”
ეგრისში ჩვენი ისტო-რიის მწვალებლებს დასკირდათ, რათა წარხოცონ სამეგ-
რელოს წარსული და ათქმევინონ ჩვენს ისტორიულებს :

(ინგოროვა 46) “საისტორიო წყაროების ჩვენებიდან იჩვევა რომ კლარ-
ეთში არაბთა ბატონობის უწინარეს ასევებობდა ძეველქართული სამონასტრო
მნიშვნელოვანი ცენტრები - ოპიზა, პარენი, ტაძრები - მერისა, დაბისა,
შინდობინისა. ყველა ეს მონასტრები და ტაძრები მოშლილი და აოხრებულია
მურვან-ყრუს ლაშქრობათა დროს და როდესაც აქ მე-8-9 საუკუნეთა მიწნაზე
ისევ განხდნენ ქართველი “მოწესენი” მათ ხედებოდათ, როგორც ამას ვხევ
დავთ გიორგი მერჩულის მოთხოვნიდან, მხოლოდ გავერანებული, დაცა-
რიელებული სავანეები”.

(ქ.ც.ხ.)-ის მუსიკის ჰანგების ქვეშ იხატება სამეგრელოს აპო, ალიფის სუ-
რათი.

(ინგოროვა 45) “გიორგი მერჩულის თხზულებიდან ჩვენ ვგებულობთ, რომ
ამ ტროს აოხრებული ყოფილა არა შხოლოდ შავშეთ-კლარეთი, არამედ
აგრეთვე “ტაონი” და “ყოველი მახლობელი მათნი ქუყანანი” კრძოდ
“ტაონი” (ე.ი. ამიერი ტაო და იმიერი ტაო). გიორგი მერჩულის ცნობების
მიხედვით იმდენად ყოფილი განადგურებული, რომ ზოგჯერ თვით ძველი კულ-
ტურული ცენტრების ადგილმდებარეობაც კი დავიწყებული ყოფილა და
ადრინდელი დასახლებული და მოშენებული ადგილები “მის ეამისა კაცათვის
მიუვა” ქმნილი იყო. როდესაც მოახალ შენენი მოხვდებოდნენ ამ მიტოვებულსა
და მივიწყებულ ადგილებში, მათ პირველ რიგში უბდებოდათ თვით “გზითი
საქმისა” გამოიიხა, რადგან “გზაიცა მისავალად” ძველი დასახლებული
ადგილებისაკენ წარხოცილი ყოფილა და დიდ საქმედ ითვლებოდა, როდესაც
მოახალ შენენი შესძლებლენ გაეკვლიათ მისადგომი გზები ძველი მიტოვებული
დაბებისაკენ”.

ისეთი სურათი იხატება, თითქოს კლარეთი და ტაო დაბლარი, კაობიანი
ადგილი ყოფილიყოს. ამის კითხვისას უნდა გაგიხსნდეთ ებრაელთა წყველა:
“ბალახი მენახოს შენი სახლის კიბეზე ამოსულიო”. მწვალებლები ამასაც არ
სჭერდებიან.

(ინგოროვა 44) "სუმბატ დავითის-ძე გადმოგვცემს, ჩომ ჩოდესაც აშოტ 1
დამკიდრდა შავშეთში "ხევი შავშეთისა უშენებელ იყო მაშინ გარეშე მეტი-
რედა სოფელთასა, რამეთუ უამთა სპარსთა უფლებისასა აობრდა, თლივიგვია
ყრუქან შემუსარნა ციხენი ყოველნი და მოვლო შავშეთიცა და ლადონი. და
კუალად შემდგომად მისა სლვამან სატლობისამან მოაოხრა შავშეთ-
კლარჯეთი და მცირედო დაშტეს კაცნი ადგილ - ადგილ".

ლიდი ამპლიტუდა აქვს ქართველთა ნიჭირებას, სუმბატმა, დავითის
შეიღმა, მეგრელებს მურვან ყრუდ წოლებული ზღაპარი არ აქმარა და ხოლორა
შეკარა, რითაც საბოლოოდ მოსპო მათი არაებობა ტაო-კლარჯეთში, თუმცა
დღესაც იქ ლაზები ცხოვრობენ. ის, ჩომ მურვანი სპარსად მონათლეს, მეტა-
ნიურ შეცდომად შეიძლება ჩავთვალოთ (მათ დროს არაბები აღარ იყვნენ),
მაგრამ ნამდვილად ზედმეტი მოუვიდათ აშოტ I-თან მიმართებაში.

აშოტ I დიდი თავის სამშობლოში, კლარჯეთში დაბრუნდა იბერიაში ერის-
მთავრობის შემდგომ 813 წელს და თურმე მას კლარჯეთი (იგივე შავშეთი)
დახვედრისა დაკარიელებული და გზების გაკვლევაც კი დიდ საქმედ ითვლე-
ბოდა. მურვან II კი საქართველოში 730 წელს შემოვიდა. ე.ი. ტაო-კლარჯეთი
83 წელიწადი დაუსახლებელი ყოფილა, რაც აბსურდია - ყოვლად შეუძ-
ლებელია ასეთი კატასტროფა ლაზიკაში, ამდენი ქრისტეანული ძეგლების
ნგრევა არ ასახულიყო ბიზანტიის ისტორიოგრაფიაში, რომელიც ყოველთვის
ყურადღებით აღვნებს თვალყურს ლაზიკის პოლიტიკური ცხოვრების მიმ-
ღინარეობას.

(ი.ქ.II.80) „არც არაბ. არც ბიზანტიელ ისტორიოსებს შურეანის ლაშ-
ქრონის შესახებ დასაკლეთ საქართველოში, ეგრისსა და უცხაშეთში, არაფერი
აქვთ ნათელვამი, რომ გამორკვეულიყო, ასმდენად სამართლიანია შურეანის
ლაშქრობა ზემოთ მოყვანილი ამბავი“

ქართველთა და არამთა ხელშეკრულებაში გარკვევით ეწირა - ეკლესიები,
მონასტრები და სამლოცველოები ხელუხლებელი უნდა ყოფილიყო.

(ი.ქ.II.76) „ბელაძორის სიტყვით, იმავ პირობით, რომელიც ზემოაღნიშულ
დაცის სიგელი] საბუთებშია მოყვანილი, დამორჩილდებიან არაბებს საქარ-
თველოს სხვა კუთხებიც: ხერკი, ქსოვრისი, ქსანი, ბუნანი, სამუხე, გარდაბანი,
შავშეთი, ბაზალეთი, კლარჯეთი, თრიალეთი, კახეთი, კუხეთი, არტაპანი,
დარიალანი, წანარნი და დიდოვლნი“. ე.ი. შავშეთ-კლარჯეთიც ხარეს უზღიდა
არაბებს. ამას დაუმატეთ, რომ 697 წ. (მურვან I-ის შემოსვლამდე) სამეგრელო
და აბასგია თავის ნებით შეუერთდნენ არაბეთის ხალიფატს (ი.ქ.II.115)
„მასსული გვარწმუნებს..., რომ აფხაზები და ქართველები (გურჩ.) ტფილისის
აშირიას ხარაჭას აძლევდნენო“.

არსებობდა არავითარი ობიექტური მიზეზი, რათა მურჩევა
II - ს საქართველოს დასავლეთში (და არც აღმოსავლეთში) ჩაეტარებისას
დამსკელი ექსპედიცია. მწვალებლებს ეს სიცრუე დასჭირდათ, რათეც ფინანსურა
მედროვე შემდგენ აზრი გასჩენდათ:

(ინგოროვა. 47) „ახალი მოსახლეობა შევშეთ-კლარჯეთში და მესხეთის
სხვა თემებში, როგორც ირკვევა, გადმოდიოდა ქართლის პროვინციებიდან.
ქართლი, - რომელიც პირველ ჩიგში განიცილა არაბთა ბატონობის მთელ
სიმძიმეს, სადაც მოსახლეობა, ძელი ისტორიუმის სიტყვები რომ გავი-
შეოროთ, იყო „მძლავრებასა ქუეშე [არაბთასა] დამონებულ და ნაკლულე“
ვანებითა და სიგლახაკითა შეერულ ვითარება რეინითა, ხარქსა ქუეშე მათსა
გუემულ და ქენგნილ “ - ვერ უძლებდა ამ „ძნელ ბედობას“, ამიტომაც რო-
გორც ამ ეპოქაში, ისე ამის წინარე ხანაშიაც, ქართლიდან გადმოდიოდა
მოახალშენეთა დიდი ტალღა. როგორც მესხეთის უფრო დაცული მხარე-
ებისაკენ, ისე დასავლეთ სქექართველობაკენ”.

სად უნდა გაქცეოდნენ იბერიილები (მომავალი ქართლი) არაბებს, როცა
არაბების ხელში იყო სამეგრელო, თავისი ტაო-კლარჯეთის სამეფოებით და
აბასინითაც? სად უნდა გაქცეულიყო არარსებული „ქართლის მეფე“ არჩილი
(668 - 718 წ.) არაბთა ქვეშევრდომ იბერიიდან, არაბების ქვეშევრდომ სამეგ-
რელოსა და აბასინიში? ან როგორ უნდა ემეფა მას ევრისში, როცა სამეგ-
რელოს სამეფო 697 წლიდან არაბთა ხალიფატის შემადგენლობაშია და 697
წლამდე კი მართვდა მეგრელი პატრიკიონი სერგი ბარნუკისძე ან რატომ
გადაიყენებდნენ არაბები ისეთ პიროვნებას, რომელიც შათ თავისი ნებით
შეუერთდა (მიზანტიულებს აუჭილყდა).

ასაც შეეხება 781 წელს აბასინიში თავისი ამაღლით გაქცეულ ნერსე II - ს, თუ
დავუფერებთ პ.ინგოროვას:

(ინგოროვა.) „არაბთა ხალიფამ მაპლიმ ნერსე ერისმთავრის ნაცვლად
ქართლის ერისმთავრად დანიშნა იმავე ბაგრატიონთა „სახლის“ წევრი სტე-
ფანოზ IV, ძე გურგენისა. სტეფანოზ IV ქართლის ერისმთავრად არის 781
წლიდან ვიდრე მწ-8 საკურნის ბოლომდე. სტეფანოზ ერისმთავრის შუაძ-
ლებლობით არაბთა ხელისუფლება ნებას დართვს ნერსე II - ს დაბრუნდეს
თავის მხარეში. 782 წლის დასარულს ნერსე, თავის თანმხელე ქართველ ემიგ-
რანტებთან ერთად გადმოდის ქართლში, სადაც ნერსე, ერისმთავრობიდან
გადაიყენებული, ცხოვრობს როგორც კერქი პირი“.

ამდენად, არ უნდა იყოს სწორი ი. ჩავახიშვილის ეკვები ნერსე ერისთავის
ამაღლისა და ნათესავთა ბედის გამო. 781 წელს წასული ხალხი 782 წელს უკანვე
გამოყვებოდა თავის დიდებულს, მისუმეტეს აბასინიშიც და სამეგრელოშიც

არაბთა მართველობაა და ქართლში (იბერიაში) მათი სახლის წარმომაზნენისა ერისმთავრად.

კაცი იყოთხავს, თუ რისთვის დასჭირდათ „მურვინ ყრუს ლაშექრონისუნი“ ლეგენდის შექმნა, როდესაც „ფარნავაზის დროიდან“ იწყებენ სამეგრელოს ტერიტორიების მითოსისებას (ფარნავაზმა აღაშენაო შორაპანი და დიმა), მითი ვახტანგ გორგასლის შესახებ ხომ ძირითადად კლარჯოთის გაქართლებისათვის არის შეთხხული, აქ მარტივი ანგარიშია: თუ ვინმეს ძველი ბერძნული წყაროების ან სხვა საბუთების გამო შეეპარება ეჭვი - კლარჯოთი სამეგრელოა, - ისინი პროფილაქტიკის მიზნით ქმნიან სურათს სამეგრელოს განადგურებისა და განსაკუთრებით, რასაკირველია, კლარჯოთს ეტერებიან, აქ ხომ უკვე შექმნილია ქართული ენა და ქართველთა სამეფო. ე.ი. ტაო-კლარჯოთში ჩაც კი რამ ძეგლი იდგა VIII საუკუნის პირველ ნახევარში სულ დაინგრაო და იქ ვინც აღრე ცხოვრობდა, კველა ამოწყდაო და აი ჩვენო, ქართლის სამეფო კარმა ავაშენეთო ყოველივე იქ არსებული, ქართველთა სამეფო - ქართლელთა სამეფო იყოო და ქართულ ენაზე მეტყველი, ტომით მეგრელი, ქართველები კი არა, ქართლელები არიანო.

ის, რომ ი.გვახიშვილმა, პ.ინგორიოვამ და სხვა ლირსეულმა პიროვნებებმა ვერ შეძლეს ასეთი აშკარა სიცრუის დანახვა, მეტყველებს მათ მიმნდობ და პატიოსან ბუნებაზე, ვერ წარმოიდგინეს, რომ ჩვენამდე მოლწეული ისტორიულ-ლიტერატურული ძეგლები თითქმის უკლებლივ ნაყალბევია ერთი ძირითადი მიზნისათვის - წარმოაჩინონ ქართლის სამეფო კარის მეთაური როლი დასაბამისებან. ი.გვახიშვილი, რომელიც ყოველთვის ეჭვის თვალით უცკერს როგორც ქართულ, ისე ჰაიკთა პირველწყაროების უტყუარობას და არც ისეთი მაღალი წარმოდგენისაა მათზე, მათუ ცერ უშვებს. რომ შესაძლებელია ისინი ერთმანეთს ხელს უწყობდნენ სიყალბის დაწერგვაში ერთიანი მიზნის მისაღწევად.

ჩვენ უნდა დავრწმუნებულიყავთ, რომ გაყალბებულია გიორგი მერჩულის ნაწარმლები, სუბბათ დავითის-ძის მატიანე. ასევე სიყალბეს წარმოადგენს „დავით და კონსტანტინეს წამება“ და „ჰაბოს წამება“, რომელთა მიზანია წარმოაჩინონ არაბობა საქართველოში (ქ.ცხ.)-ის შეთხული ვარიანტის მიხედვით. პირველი ნიშანი სიყალბისა გახლავთ ის, რომ თუ ძეგლს პრეტენზია აქვს ჩაითვალოს XV საუკუნის უწინარეს ხანისა, მასში არ უნდა იყოს სახელწოდება „ქართლი“. სახელწოდები „ქართლი“ უტყუარი ნიშანია იმისა, რომ ლიტერატურული ნაშრომი თუ სრული სიყალბე არ არის, გადაკეთებული შაინც ადა თარიღდება XV საუკუნის აქეთ.

ლიტერატურული წყაროების გარჩევა მომავლის საქმეა, სანამ არ ჩამოყალიბდება ნათელი წარმოდგენა ქართული ენის ბუნების შესახებ. (ქ.ცხ.)-ის ენა არის აღრევა, ახალი და ძველი ქართული ენებისა. (ქ.ცხ.)-ის ენა მიიგავს

წლოვანი კაცის უდას მიბაძოს პატარა ბავშვის ენას და ამის გამო ენას იჩილება. ასევე ცდილობენ (ქ.ც.)-ის ავტორები XVII-XVIII საუკუნეთა ენა ძალით დააძველონ, მიამსგავსთ საუკუნეთა ენას

ასეთი მაგალითი, როდესაც ნაყალბევის ავტორი ცდილობს ენა დააძველოს. შემჩნეული აქვს ი. ჭავახიშვილისაც. „განგება დარბაზიბისა“ -ს მიმოხილვისას ი. ჭავახიშვილი შენიშვნავს: (ი. ჭ. VI. 427) „ამ ძეგლის ზემოაღნიშული ანაქრონიზმები და მისი შემაღვენლის ცხადი წადილი თავისი ნაშრომი უაღრესი სიძველის შარავანდელითა და ავტორიტეტით შეემოსა, გვაფიქრებინებს, რომ აქ ნატყუარ ძეგლთანა გვაქვს საქმე. უმცველი XV ს-ზე უწინარეს შედგენილი არ უნდა იყოს.“

დავუბრუნდეთ არაბობის ხანას საქართველოში. ჩვენ ვნახეთ თუ როგორი „სტატობით“ ააოხრებინეს სამეცნიერო არაბებს და იმავე არაბების ბატონობის ხანშევე შეუდგნენ „ალფენას“ კლარჯეთში, მხოლოდ ცენტრალურ სამეცნიეროს (რიონის ხეობა) არანაკლები განსაკულტოველი მოუმზადეს ჩვენი ისტორიის მწვალებლებშია.

(ქ.ც. I. 161), „ხოლო რაეამს მოუქლურდეს ბერძენი, გაადგა მათ ერისთავი აფხაზთა, სახელით ლეონ, ძმისწული ერისთავისა, რომლისად მიეცა სამეცნიერო აფხაზეთი. ესე მეორე ლეონ ასულის წული იყო ხაზარსა მევისა და ძალითა მათითა გაადგა. ბერძენთა, დაიპყრა აფხაზეთი და ეგრისი, კიდრე ლიხამდე, სახელით მეფე აფხაზთა“. ე.ი. აფსუების (აბასგვარის) მთავარშა ლეონ II-მ ხაზართა დახმარებით იპყრო აფხაზეთი (აბასგვა) და სამეცნიერო ლიხის ქედამდე, სატახტო ქალაქად ქუთაისი გაიხადა და თავისთავს მეფე აფხაზთა უწოდიო. ამ „ისტორიული მოვლენის“ თარიღად სხვადასხვა წლებია და-სახელებული, მხოლოდ თითოეული მათგანი VIII საუკუნის მეორე ნახევარს მოიცავს.

697 წლიდან სამეცნიერო და აუსუეთიც (აბასგვაც) არაბთა ხალიფაჰის გოხარე ქვეყნებია IX საუკუნის მეორე ნახევრამდე მაინც, არაბებს სამეცნიერო საიცოცხლო ომები აქვთ გაჩაღებული ხაზარსა წინააღმდეგ ზა თქვენი აზრით, გამედავდა აფხაზების ერისთავი (არაბთა მორჩილი მხარე) სამეცნიეროს (ასევე არაბთა მორჩილი მხარის) დასპყრობად არაბთა დაუძინებელი მტრები - ხაზარები შემოეყვანა? ეს ხომ პირდაპირ ომის გამოცხადება იქნებოდა არაბთა ხალიფაჰისთვის.

ამ ამონაწერში ყურადსალებია, რომ საქართველოს დასპყრეთი ლიხის ქედამდე (ე.ი. იმერეთიც) VIII საუკუნის მეორე ხაზევარშიც ჩვენი ისტორიის მწვალებელთათვის სამეცნიერო, მიუხედავიდ არჩილებისა და ჭუაბშერებისა. ასევე სიტყვა „წული“ შეგრულ კანკრი წარმოშობისაა და აქედანა გვარები წულებისკირი, წულაძე, წულუკიძე.

რაც შეეხება სახელწოდება „აფხაზის“, იგი გახდავთ გადაკეთებული ვრცელი რიცხვის „აბხაზი“, ვინაიდან ორი თანხმოვნით: „ბბ“, ქართული ენა სიტყვებს ვერ გამოიქვამს, იგი შეცვალა მისთვის ჩვეული ჰარმონიზაცია წყვილით - „ფხ“ (ფხოვი, ფხა, ფხანა, ფხავანი...). ქართულ ენაში ორი თანხმოვნით „ბბ“ -ით გამოიქვეული სახელწოდება „აბხაზი“ ერთადერთი სიტყვაა.

ჰავეჯი ისტორიკოსის იმანე კათალიკოზის მიერ სახელწოდებების „აბხაზის“ და „მეგრელის“ გარგვება არის ისტორიული კეშმარიტება, ვინაიდან სახელწოდება „აბხაზი“, რომლისგანაც სახელწოდება „არმაზის“ ზომსგაცებით, გავლენით შეიქმნა სახელწოდება „აბხაზი“, არაბაბმა შემოიტანეს საქართველოში და ეს სახელწოდება მე-18 საუკუნეში არასოდეს გულისხმობდა აფსუს, არამედ ის იყო სინონიმი სახელწოდებისა “მეგრელი”.

ჩვენ ვიცით “რომის პაპის წერილებიდან”, რომ 1460 წელსაც აფსუეთის (აბაგიას), რომელიც ნომინალურად მაინც სამეგრელოს მორჩილი მხარე იყო, ბედიან სამეგრელოსა და აფსუეთის მეფე, ბაგრატ დასავლეთი იბერიისა და იმერეთის გაერთიანებული სამეფოს მეფე, მამის გურიის ერისთავი, ფაბია ანგოსის მთავარი და უცხოელი ელჩები ამ მხარეს ევროპელთაოვის ნაცნობი სახელწოდებით Abasiae (აბა-სია) - თი მოიხსენიებენ და არა Abkazia (აბაზია) ან Abcazia (აბჯაზია) - თი და რომელი სახელწოდებებიც ამ მხარეში (აბაგიაში) გაჩნდა გვიან, როგორც აბხაზეთის (სამეგრელოს) სამეფოს შემადგენელი ტერიტორია.

(ქ.ს.ე.6.538) “მედინა - (სრული არაბული სახელწოდება - მაღინათ რასულ ალ-ლაპ-ალაპის მოციქულის ქალაქი. ან მაღინათ ალ-ნაბი - წინაპირ-შეტყველის ქალა-ქი). ქალაქი არაბეთის ჩრდ.-დას. ნაწილში”.

(Б.С.Э.1.41) “Абха - город на ю.з. Саудовской Аравии, административный центр провинции Асир, около 25 тысяч жителей. Узел караванных дорог, центр сельско-хозяйственного района (пшеница, сорго, финики, кофе, рис, животноводство).

ამ საუდის არაბეთიდან, საღაც მდებარეობს ქალაქი „აბხა“, წამოსულმა არაბებმა, რომელებიც 654 წლიდან დამკიდრებნებ თბილისში, შემოიტანეს სახელწოდება „აბხა“. არაბთა შემოსვლის დროს იბერიის დასავლეთი მხარე, მტკვრის მარცხნა მხარე არაგვამდე შედიოდა სამეგრელოს სამეფოს შემადგენლობაში და არაბებმა „აბხა“ ამ სამეგრელო-იბერია-აფსუეთის გაერთიანებულ სამეფოს უწილეს. შემდგომ ეს სახელწოდება „არმაზის“ გავლენით ჩამოყალიბდა როგორც „აბხაზი“. ქართულად ამ არაბული ქალაქის სახელი გამოიიტავის როგორც „აბჰაზი“, ნაგრამ ქართულმა ენამ შეიძლება ეს სახელწოდება გამოითქვას გაკირვებით, მხოლოდ ვერ იხმარს. ქართული ენისათვის თანხმოვნების „ბ“-სა და „ჰ“-ს შეერთება წარმოუდგენელია, ამდენად ქართულმაც ეს სახელწოდება „აბჰაზი“ რუსულის მსგავსად გამოითქვა „აბხაზი“.

აქედან წარმომდგარი სახელწოდება „აბხაზეთი“ XIV საუკუნეშიც იჩინდა არებოდა, თუმცა ქართულმა ენამ ასევე არაპარმონიული წყვილი „ბზ“ ვერ იგუა (ამ წყვილით ქართველებს სიტყვა არ გავგანია) და იგი შესცვალა: მისაკუთრ თვის ჩვეული „ფზ“-ით - აფხაზი. ამრიგად აბხაზი - აფხაზი.

(ი.ქ.I.300) „სპარსეთის მეფე ჰორმიზდს მისი სარდალი ბაჰრამ ჩუბინი აუგანუდა და თითონ უნდოდა გამეფება, მაგრამ იმედი გაუტრუდა. დიდებულებმა რომელთაც მეფე სძულდათ, ისარგებლეს ამ შემთხვევით, დაიკირეს პორმიზდი და თუმცა ოვალები დასთხარეს, მაგრამ მეფედ მაინც აჯანყებული სარდალი კი არ გამოაცხადეს, არამედ პორმიზდის შვილი ხოსრო II. ბაჰრამშა ხოსრო, რასაცვირველია, შეფედ არ სცნო და მის წინააღმდეგ გაილაშქრა. ხოსრო II-მ გარის გარშემოყრა ვერ მოასწრო და, უმწეოდ დარჩენილი ქ.ანტიოქიაში გაიქცა და ბიზანტიის კეისარს შეეფარა. მავრიკე კეისარმა შეიწყნარა იგი და თავისი მხედრობა მეშვეობდ მისცა, რომლის დაბმარებითაც ხოსრო II-მ სამეფო ტახტი დაიბრუნა. ამ დაბმარების სამადლობლად ხოსრო II-მ, სომებს ისტორიკოსის სებეოსის სიტყვით, იბერიის მომეტებული ნაწილი ქ.თბილისამდე მავრიკე კეისარს გადასცა. ეს უნდა მომხდარიყო, მაშინადაც 591 წელს და ამ დაომობის წყალობით იბერიია კვლავ ორად გაიყო, ამასთანავე იბერიის დასავლეთი ნაწილი ქ.თბილისამდე ბიზანტიის კეისარის ხელში გადასულა, ხოლო აღმოსავლეთი ნაწილი ისევ სპარსთა ბატონებს შერჩენიათ.

მეფე ხოსრომ ამას გარდა თავის სამეფოში ქრისტიანობის თავისუფლება გამოაცხადა. მხოლოდ მაზდევანობის მიმდევართ ნება არ ჰქონდათ ქრისტიანობა მიეღოთ“.

ბიზანტიელებისათვის იბერიის დასავლეთი ნაწილის დაომობა ფაქტიურად ამ ტერიტორიის სამეცნიელოს სამეფოს გამგებლობაში გადაცემას უდრიდა. ბიზანტიის იმპერიის პაზიციები საქართველოს აღმოსავლეთით განამტკიცა ჰერაკლე კეისარის ლაშქრობამ კავკასიაში. ხოსრო II-მ 640 წ. ბერძნებს ამი აუტეხა. 606-7 წ. კეისარის გარი კარინიდანაც განდევნა. მოსე კალაქანტუელის მოწმობით სამეცნიელოს გზით (ტრაპიზონიდან) 614 წელს ჰერაკლე შემოვიდა არმენიაში და მრავალი სოფელი და ქალაქი აიღო. ჰერაკლეს მეგრელები, აფსუები და იბერიელთა ნაწილი (დასავლეთი იბერია) მიმრჩობია, იბერიის მეორე ნაწილი (აღმოსავლეთი იბერია) სპარსელების ერთგული კოფილა (თბილისითურთ).

(ი.ქ.I.306) „ჰერაკლე კეისარის გამარჯვების შემდეგ, აღმოსავლეთი საქართველო ისევ ბიზანტიის ხელში გადავიდა... ჰერაკლე მეფემ თავის ლაშქრობას სპარსთა წინააღმდეგ სარწმუნოებრივი ხასიათი მისცა : კეისარი წარმართთა წინააღმდეგ მეტრძნლ ქრისტიან მხედარ ხელმწიფელ გამოვიდა და ესცე შესკერილნენ მას ბევრგან სპარსთა ბატონობით შევიწროებულა ქრისტიანენი“.

ეს პერიოდი გახლავთ დასაწყისი ქართველთა (კოლხთა) ერთობის ოქროს
ხანისა. თვლის წერტილად შეიძლება 591 წელი ჩაითვალოს, როდესაც იბე-
რიის დასავლეთი ნაწილი შეუერთდა ბიზანტიის იმპერიას. ქართველთა კოლხთა
ხთა) გაერთიანება ერთიან პოლიტიკურ და ქრისტეანულ სივრცეში, დააგ-
ვირვინა პეტაკელ კეისარია. არაბებთან ბრძოლებში მარცხდება სპარსეთი,
რომელსაც ტრადიციულად პრეტენზიები გააჩნია საქართველოს მიმართ და
დიდი ხნით ტოვებს მსოფლიო არენას, როგორც სერიოზული სახელმწი-
ფოებრივი ძალა. არაბებს არ გააჩნიათ სურვილი საქართველოს გაარაბებისა
და ქრისტეანულ რელიგიის პატივს სცემენ, დაავეცებულნი არიან ხარჯის აქრე-
ფითა და ჩრდილოეთ სახლოების დაცვით. არავინ არ უნდა გაგვიგოს თითქოს
იმას ვამტკიცებდეთ, რომ არაბები კავკასიაში საქართველოს ასაშენებლად
გამოემართნენ, იყო ჩასავირველია აჯანყებებიც და სისხლისღრუაც, მაგრამ
მთლიანობაში ეს არის მაგლიორი ორი ქვეყნის სასოციალო ინტერესების
თანხვედრისა.

იბერია, ბიზანტიის იმპერიაში შესვლის შემდგომ კარგავს თავის პოლი-
ტიკურ დამოუკიდებლობას (ბევრად ადრე იბერიაში მეფობა სპარსელებმა გა-
უქმდეს) და ხდება სამეგრელოს სამეფოს შემადგენელი ნაწილი. ბიზანტიელები
იბერიაში მეგრელ (ქართველ) დიდებულებს ნიშნავდნენ, რომელებიც ქრისტეა-
ნები გახლდნენ და იცნობდნენ, აღზრდილნი იყვნენ ბიზანტიური კანონმდებ-
ლობით. კლარჯეთის დიდებულები გახლავთ სტეფანოზ პატრიკიოსი, დემეტრე
წარტოსი, ადარნასე წარტოსი. არ შეგაკროთ იმან, რომ ვარის მონასტრის
წარწერასში, ბარელიეფზე სტეფანიზი „ქართლის“ პატრიკიოსადაა მოხსენე-
ბული. თუ კარგად დაავირდებით უნდა მიხვდეთ, რომ ეს წარწერა და ვარის
მონასტრის სხვა წარწერებიც ბევრად გვიანაა აღმეცილი ამ დიდებული ტაძ-
რის კედლებზე. კლარჯ დიდებულთა იბერიის ერისთავებად დაანიშნის ტრადი-
ცია გრძელდება არაბების დროსაც. სტეფანოზ IV და აშოტ I ჰიდი. კლარჯ
დიდებულთა აღზევება განპირობებულია იმით, რომ აქ, კლარჯეთშია შექმნი-
ლი ქართული ენა, ქართული დამწერლობა და რომელთა საშუალებითაც უნდა
განიერდოს და განმტკიცდეს ქრისტეანული ჩრდენა სრულიად საქართველოში.

ჩვენს მოსაზრებას ეთანხმება ნაყალბევი სუმბატ დავითის-ძის “ცორება
და უწყებაში” შემონახული ცნობა : (ი.ქ. VIII.197) “რომ გურამ კურაპალატის
ლროს ვარის კელესის აშენებაში მონაწილეობა მიუღიათ გუარამის შეიღს
სტეფანოზს და მის ძმას დემეტრეს, სტეფანიზის შეიღს ადარნასეს და მის ძეს
სტეფანოზს, რომელსაც ვარის კელესის დაუსრულებია. ამ ცნობების სიმარ-
თლეს ამ ეკლესიის კელლებზე შენახული სტეფანოზის, დემეტრეს, ადარნასეს
და სტეფანეს გამოქანდაკებული სურათები და წარწერები ამტკიცებენ”. ეს
ვუარამი სუმბატ დავითის-ძის მიხვდვით მიჩნეულია ქართველ ბაგრატიონთა
მამაშითავრად, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი კლარჯი დიდებულია და ასევე

გართლდება ჩვენი მეორე მოსაზრებაც, რომ ბიზანტიური სკოლის ქართული არქიტექტურაც აქვთ, კლარჯეთიდან განივრებულ სრულიად საქართველოში და ლაზების მიერისათან ერთად მიიღეს, მხოლოდ მაშინ ქრისტეანობა შემოვიდა ბერძნული ენით. ქრისტეანული რწმენა ქართული ენითა და დაწმერლობით საქართველოში განვიტრებულ იპიზელმა მამებმა: ითავე ზედასწერელმა, დავით გარეჯებმა, აბითოს ნეკრისელმა, შიო მღვიმელმა, ისე წილაკელმა, ეზოდერიოს სამთავრელმა, იოსებ ალავერდიელმა, ზენონ იყალთოელმა, ანტონ მარტყოფელმა და სხვებმა.

როცა ისმენ ზღაპარს ასურელ მამათა საქართველოში ქრისტეანული მოღვაწეობის შესახებ, უნდა გაგიჩნდეს კითხვა, რომ ამდენი ასურელი განმანათლებლის შექმნილ სკოლებს რაღაც მცირეოდენი კვალი მაინც უნდა დაემჩნიათ ასურული შეტყველებისა ქართულ ენზე, რაც საერთოდ არ შეიძინევა. (ქ.ც.ხ.)-ის ვეტორითა მიერ ასურელთა ჩამოსახლება ქართლში, მსგავსად ჰურიათა ჩამოსახლებისა (ქ.ც.ხ.)-ის ტყუების გრძელი ზაქეის მოჩიგი რგოლებია. ამით უნდათ შექმნან ისტორიული გამართლება ასურელ მამათა საქართველოში მოღვაწეობისა და ასევე გამართლება ლეგინისა ებრაელთა მიერ მცხოვრით უფლის კვართის ჩამოტანის შესახებ. სიმართლეს ბრძანებდა კამიელიძე:

(ი.გ. 1.394) “კ. ე. ე. ლიძის სიტყვით “ასურელი მამები არ ყოფილან სვიმეონის მოწაფენი და არც მიის გამოგზავნილნი ჩვენში... ჩვენ გვვინია, რომ ისინი ნამდვილად “ასურელნიც” არ ყოფილან, არამედ პირწავარლილი ქართველნი” - ო.”

591 წელს ორად გაყოფილი იბერიია ჰერიკე კეისრის ლაშქრობისას ასევე ორადაა გაყოფილი, დასაცლეთი მხარე ჰერიკეს, მეგრელების და აფსუების გვერდითაა და აღმოსავლეთი იბერიია კი სპარსთა მხარეს იბრძების. არაბების დროს იბერიია უკვე სამაც განაწილებული მოჩანს. არაბი საჩლოის ჰაბიბი იბნ მასლამას “დაცვის სიგელი” შემდგენილად იწყება :

“სახელითა ალაპისა მოწყალისა მწყალობლისათა ეს არს წიგნი ჰაბიბი. იბნ მასლამასაგან თბილისის, არმაზის, მანგლისის მოსახლეობისდრო მართ პიროვნების, ტაძრების, მონასტრების, ლოცვისა და რელიგიის გარსწორების პირობით”.

ე.ი. არაბი სარდალი თავდაპირველად ხელშეკრულებას მტკვრის შარჩვენა შხარის იბერიისათან სდებს (თბილისი მაშინ მტკვრის მარჯვენა შხარეს წარმოადგენდა მხოლოდ). მდინარე არაგვი რომ სამეგრელოს სამეფოს საზღვარი გახლდათ გარკვეული პერიოდის შანძილზე, მტკიცდება თავად მდინარის სახელწოდებით “არაგვი”. მეგრულად ჩაგვა, ჩაგვა ნიშნუს ლობებს, ლობებს ანუ საზღვარის. ეს სახელწოდება გამოიყენება სამეგრელოშიც : ორაგვე - სოფ.

ლანჩხუთის რ-ნში, ორაგვეთი - სოფ. ხონის რ-ნში, ორაგვის - ლალა
მდ.ლანჩხუთის რ-ნში.

სახელწოდება “მცხეთა” წარმოქმნილია მეგრული ენისათვის მათგანთქმული ბელი ჰარმონიული წყვილიდან “ცხ”-დან. ჰარმონიული წყვილით “ცხ”-დან შემდგარ სიტყვებს ჩვენ მეგრული ენის მიმობილვისას გავეცნობით, ამჯერად კი ულინშოთ, რომ ქალაქები მ-ცხ-ეთა, ცხ-უმი, ცხ-ინვალი, სამ-ცხ-ე სამეგრელოს სამეფოს ქალაქები გახლდათ.

(ი.ჭ.1.317) “თბილისი პირველად თეოთანე ბიზანტიილს (VI ს.) აქვს მოხსე-ნებული “ტიფილის”-ი. ამავე ფორმით იხსენებს მას უძთააღმწერელი თეო-თანე “ჰერაკლე კეისარის ლაშქრობის აღწერილობაში”. ს.მაკალათის წიგნში მე-17 გვერდზე გამოსახულია პ.კიცხერტის ჩუკა, სადაც თბილის ეწოდება “ტიფილის”-ი. მსგავსი სახელწოდებისაა დუნაის ერთერთი. შემაღვენელი მდინარე:

თიბისია - თიბისი (პრითო ქ.ისტრ)

ქველი სახელწოდება თბილისისა - ტიბისი შეიძლება აიხსნას მეგრული ენით, “ტიბუ” მეგრულად ნიშნავს თბილს. თბილისის სახელი დროთა განმავ-ლობაში განიცდიდა ცვლილებებს - ტიბილისი-ტიფილისი-ტფილისი-თბი-ლისი. ანალოგიური მაგალითია თავად სამარგალოში, მარგვეთში: წყალ-ტუბო-წყალ-ტიბი = წყალ-თბილი.

სახელწოდება მდინარისა “ტკვარი” მეგრული წარმოშობისაა და ჩვენს გარდა მტკვარის ყველანი ძველ შუმერულ სახელს “კურ”-ას უწოდებენ.

(ინგოროვა 172) “ტკაწა - ტკვარჩელი. ტკაწა ეწოდებოდა სოფელს მდინარე კოლორის ზონაში, ფანავის ქედის სამხრეთ კალთებზე (იხ.არქანქელო ლამბერტის ჩუკა). “ტკვა-წა” ორნაწილედი სიტყვაა. ტკვა მეგრულად ნიშნავს კიბეს; გა ნიშნავს ხეს. “ტკვა-წა” სიტყვა-სიტყვით : კიბე-ხე; ასე ეწოდება ხის ერთიანი მორისაგან გამოიღილ კიბეს.

იგივე ფუქე-სიტყვა “ტკვა” = “კიბე” ჩვენ ვაქვს შუა-სოფლის მხარის მეორე გეოგრაფიულ სახელშიაც: ტკვარჩელი (“ტკვა-ჩჩელი” ასევე ორნა-წილედი სიტყვაა, ნიშნავს: დაფენილი კიბე). ალსანი მნავია, რომ სახელწოდება “კიბე”, როგორც სახელი გეოგრაფიული პუნქტისა, სხვაგანაც გვხვდება საქართველოში (კიბე - სახელი სოფლისა აქარაში, ბათუმის რაიონში; კიბულა - სახელი სოფლისა იმერეთში, ქუთაისის ზონაში).

მ-ტკვა-რს თუ ლინების საწინააღმდეგოდ აყვებით კიბესავით მაღლა, გთებში აგიყვანთ.

მცხეთასთან არაგვის ხეობაშია სოფ. ნატახტარი, რომელსაც აღრე ფურ-ცელი ერქვა. ამ სახელწოდებაში ქალალდის ფურცელი არ იგულისხმება. “ფურცელი” სამეგრელოში ეწოდება ფოთოლს, ე.ი. “ფურცელი” =

“უოთლიანი”. ქართლსა და კახეთში სიტყვა “ფურცელი” დღეს უოთლიან/ მნიშვნელობით არ იხმარება, მაგრამ ვაიხსენეთ სიმღერა “ზამთარია”. ვაკეთები გადასაცემისათვის

“ზამთარი ვარდსა და კუნობს,

ფურცელი ჩამოსცვივა”.

ასევე არაგვის ხეობაშია სოფ. “ჭოპორტი” და “კუოროპორტი” მეგრულად ფიწალს ნიშნავს.

ომის მისახველრად, რომ სახელწოდება “წიწამური” მეგრული წარმოშობისაა, ავხსნათ მნიშვნელობა სიტყვისა თხირამური = თხილამური. მეგრულად თხილს ეწოდება თხირი, ხოლო მურს ნიშავს მოდის, ე.ი. თხილით მოდის. თხილამურები თხილის ბისაგან კეთდებოდა, ვინაიდან მეგრული თხირამურები მრგვალი ფორმისა გახლდათ და თხილი გამოიჩინება თავისი დრეკადობით. ასეთ თხილამურებს ხმარობდნენ როგორც ზამთარში თოვლში სასიარულოდ, ასევე ვაობიანი ადგილებში სასიარულოდაც. “წიწა” მეგრულად ნიშნავს წვრილ ქვას (აქედან უნდა იყოს სიტყვა “წიდა”) და წიწამური გამოდის, რომ წიწამურში რომელიმეს ფერდობილან წვრილი ქვები ჩამოიყრებოდა ანდა მიწის დამუშავებისას მრავალი წვრილი ქვა ამოდიოდა.

სამეგრელოს მდინარეთა ბერძნული სახელწოდებების (რეონი, პიპოსი, გლავეკოსი) მსგავსად სახელწოდება ქართლის მდინარისა “ქსანი” ასევე ბერძნული წარმოშობისაა (ქსანი მთავარი მდინარე გახლდათ ლიკისა).

ზედა-ზენი ასევე მეგრულ-კანური წარმოშობის სიტყვაა.

(ინგოროვა 210) “მდინარე ოფის წყალის სათავეებშია პუნქტი ხალდი-ზენი (=ზენა ხალდი, ზემო ხალდი); ოფის წყალის ზემო შემდინარეს ეწოდება ხალდი-ზენის ხევი; მთებს ამ მდინარის სათავეებთან ეწოდება ხალდი-ზენის მთები”.

ე.ი. ზედაზენის თავდაპირველი სახელწოდება იქნებოდა ზენი=ზემო, ამ მეგრულ-კანური სიტყვის მნიშვნელობის დავიწყების შემდგომ დაემატა იგივე აზრის მატარებელი უკეთ ქართული სიტყვა ზედა და გაბდა ზედაზენი გამოდის ზედაზედა.

სახელწოდება “ლიაზი” -ს მნიშვნელობა უნდა მოიძებნოს მეგრულ ენაში :

(ინგოროვა 154) “ლიაში, ლიაში - ნავთსაღური მძიმოთის ხეობის დას-ვლეთით, მდინარე კველეფსთას შესართავთან, ცნობილი იყო სახელწოდებით - ლიაში, ლიაში.

ფუქე-სიტყვას ლაია ანუ ლია (ზოლოეიდური “-ში” ზანური სუფიქსია).

ძეველქართულად სიტყვა ლია, რომლის პირველადი ამოსავალი ფორმაა ლაია (ლა-ია), ნიშავს იმასვე, რასაც ძეველ-ქართული სიტყვა ლამი (ლა-ამ-ი) : საფლობი ტალახი, მდინარის მიერ დატოვებული შლაში (ჩა. თ. მა).

ბოლოეიდური ფორმანტი “-ია” სიტყვაში ლაია (საიდანაც შემდეგ მიღებულია ლია) და ბოლოეიდური ფორმანტი “-აშ-ი” სიტყვაში ლამი (ლა-

ამ-ი) - იღენტურია. ფორმანტი “-ია” ნიშნავს იმასვე, რსაც “-იანი” ასევე ფორმანტი “-ამ-ი” აგრეთვე ნიშნავს “-იანი” (ასე ეს ამებად მეგრულში და ასევე აოფილა იგი ხელად ზოგად-ქართულშია).

რაც შეეხება სიტყვის ძირს, რაც წარმოდგენილია ამ სიტყვებში ლა-ია (ლია) და ლა-ამ-ი (ლამი), იგივე ძირი ჩვენ გვაქვს მრავლობითი რიცხვის დეტერმინანტის დართვით სიტყვაში ლაფი. (ფუძის დეტერმინანტი “-ფი” მრავლობითი რიცხვის ნიშანის სახეობა; შეადარეთ მეგრულში მრავლობითი რიცხვის ფორმანტში : “-ფ-” = “-ბ-”).

ამრიგად ლია//ლაია (ლა-ია) და ლამი (ლა-ამ-ი) სიტყვა-სტყვით ნიშნავს : ლაფ-იანი.

ეს სახელწოდება დარქმევისა ამ პუნქტს, რომელიც მდინარის შესართავთან მდებარეობს იმის გამო, რომ მდინარის სანაპიროები აქ ლიას ანუ ლამს წარმოადგენს.

აღსანიშნავია, რომ გეოგრაფიული სახელწოდებანი ნაწარმოები იმავე სიტყვებიდან ლია, ლამი, ჩვენ სხვაგანაც გვაქვს საქართველოში : ლია (სოფელი ოდიშში, ზუგდიდის რაიონში); ლამი (სოფელი ქართლში, ცხეთის რაიონში); ლამის-ყანა (სოფელი ქართლში, კასპის რაიონში); ლამიანი (სოფელი ყოფილ არტაანის ოლქში).


იკვევეთ ამასთან, რომ ლაია (ლია) ყოფილა ძველი სახელწოდება ტუაფისისა.

“ლია”-დან წარმოქმნილ სახელწოდებებს უნდა დაემატოს “ლია-ხვი”, “ხვი”-ს აქ შეიძლება აქვს “უ-ხვი”-ს მნიშვნელობა და მაშინ გამოდის უხვი-ლამი, ბევრი-ლამი.

კოლხური ტოპონიმიების მოძიება გავაგრძელოთ შემდგომ ქვეთავაში “კოლხური ტოპონიმიკა”. ამჯერად განვაგრძოთ სახელწოდება “აბხა”-ს მნიშვნელობის მოძიება.

ქალაქ აბხას ცხოვრების შინაარსს თუ ჩავუკისრდებით, ეს დახასიათება ქ.აბხასი ზუსტი მახასიათებელია ქ.მცხეთისა. სახელწოდება “აბხა” უნდა ნიშნავდეს საქარავნო, სავაჭრო გზას, რომელიც წყლის გასწვრივ მიემართება ან საქარავნო გზის, წყლის პირას მდებარე ქალაქს, ქვეყანას. სამეგრელოსა და იბერიის გადიოდა იმ დროისათვის მნიშვნელოვანი საქარავნო, სავაჭრო გზა და ეს გზა მიჰყვებოდა წყლის პირს. ეს გზა ფოთიღან იწყებოდა და რიონის გაყოლებით ნავებოთ შორაპნამდე ამოდიოდა. ლიზის ქედის გადალახვის შემდგომ კვლავ ნავებით ეშვებოდნენ მცხეთამდე, თბილისამდე და აქედან კასპიის ზღვამდე. ამის გამო უნდა ეწოდებინათ საუდიოს არაბერთიგან წამოსულ არაბებს სამეგრელოსა და დასავლეთ იბერიის გაერთიანებულ სამეფოსათვის “აბხა” ანუ წყლის გასწვრივ საქარავნო, სავაჭრო გზის მქონე ქვეყანა. ვინაიდან არაბების შემოსვლის დროს სამეგრელოს საზღვარი აღმოსავლეთით

№ 55. Область Заладнаго Эльбурса, Гиланъ.



172

მცხეთამდე, არაგვიმდე იღწევდა არმაზის გვერდით, სახელწოდები - არაგვის დაბოლოვდა მსგავსად სპარსული სახელწოდებებისა არმაზი - ახელი - მალხაზი - ზი - ფარვიზი - ზი - აბხაზი.

ჩვენს მტკიცებას, რომ არაბული სიტყვა „აბხა“ („აბჰა“) წყლის ცნებასთან არის კავშირში, ადასტურებს ელიზე რეკლიმს 1905 წ. ს.პეტერბურგში გამოცემული მრავალტომებულის „Человек и Земля“ ს პირველი ტომის 367 გვერდზე მოცემული სპარსეთის რუკა, რომელშიც ქ.თეთიანის სამხრეთით გამოსახულ მდინარეს ეწოდება „Арчар“. ჩვენ უნდა გვასოვდეს, რომ არაბულ ენას უძლიერესი გავლენა გააჩნია სპარსული ენის ჩამოყალიბებაში.

ჩვენი წარმოდგენა საქართველოს აღმოსავლეთის VII-VIII საუკუნეებში ტერიტორიის დანაწილების შესახებ შემდეგნაირად უნდა შევაჭროთ. იბერია გაყოფილია სამაც : მტკვრის მარცხნა მხარე არაგვიმდე სამეგრელოს (აბხაზეთის) სამეფოს კუთვნილებაა, მტკვრის მარცხნა მხარე არაგვიდან ალბანეთამდე წანარებს (კახელებს) ეკუთვნით, მტკვრის მარჯვენა მხარე ქართველთა სამეფოს შემაღებელი ნაწილია, ე.ი. განაგებენ კლარჯი დიდებულები.

(ი.ქ.ქ.ე.ი.1430) „VII ს. სომებს გეოგრაფიის სიტყვით: გუგარქი ქართველებს ეკუთვნილა “გუგარქი უტის მახლობლად დევს და ცხრა ხეობას შეიცავს, რომელიც ქართველებს უჭირავთ: ძოროფორი, კოლეისხევი, ტაშირი, თრიალეთი, კანგარი, არტაანი, ჯვახეთი და კლარჯითი“.

ეს შემოსაზღვრული ტერიტორია ზუსტად გამოსახავს ჩვენს მიერ ქართველება (გეორგიანელთა, კლარჯეთის სახლის) სამეფოს კუთვნილ ტერიტორიას. უნდა აღვიქვათ, რომ VII საუკუნისათვის მხოლოდ ამ მხარეს ეწოდება საქართველო (გეორგია, გოგარნე, გუგარქი). არაბებიც თავდაპირველად ხელშეკრულებას მტკვრის მარჯვენა სანაპიროსთან მაცხოვრებელ გურჩებთან (გურჩებთან, გოგარიანელებთან, ქართველებთან) დებენ ხელშეკრულებას (თბილისის, არმაზის, მანგლისის მოსახლეობასთან). აქედან კლარჯეთში დაბადებული მეგრელთა ლიტერატურული ენით - ქართული ენით კრაცელდება ქრისტიანული ჩრდენა შემდგომ დანარჩენ კოლხეთში. ამის გამო მიჩნეული ოპიზა უპირველეს სავანედ და ბოლნისის, მანგლისის ტაძრები და ჯვრის მონასტერი უძველესი სალოცავებია ქართველთა სულიერებისა. ჩვენ უნდა გავახსენდეს “რომის პაპის წერილები”, სადაც კვითხულობთ :

“ბაგრატი იბერთა, რომელიც აწ ქართველებად იწოდებიან”.

ე.ი. აღმოსავლეთ სამეგრელოს (მომავალი ქართლი) და დასავლეთ იბერიის (მომავალი ქართლი) მცხოვრებლებს ეხლა უკვე ქართველები ეწოდებათ (XV საუკუნეში 1460 წელს), ხოლო საქართველო კვლავ გუგარქის, გოგარენეს, გეორგიის დასავლეთ ნაწილს სამცხე-საათაბაგოს ეწოდება გამორჩეულად XV საუკუნეშიც. ამრიგად ნათლად იკვეთება: სამეგრელოსა და

დასავლეთი იბერიის (მომავალი ქართლის) გაერთიანებულ სამეფოს ეწოდებოდა /
“აბხაზეთი”.

(ი.ჭ. II.115) “მასსული ვაირწმუნებს მხოლოდ, რომ აფხაზები [აბხაზები] და
ქართველები (გური), ტფილისის დაპყრობითან მოყოლებული ვიდრე ხალიფა
მუტევაკილამდე (847-861), ტფილისის მირას ხარაჭას აძლევდნენო”.

ამრიგად აბხაზეთი სამეგრელოს აღრე, VII საუკუნის შეორე ნახევრიდან
(645 წ. თბილისის დამორჩილების თარიღის) ეწოდა და არა (ქ.ც.ქ.)-ის
ლეგნდის მიხედვით VIII. საუკუნის მეორე ნახევრიდან ე.ი. ვითომეც აფხუთა
მიერ სამეგრელოს დაპყრობილან. ვაკორებო დასკენს: არაბთათვის
საქართველოს აღმოსავლეთი დასახლებულის აბხაზებით, გურიზებით
(გვორგიანელებით, ქართველებით) და წანარებით (კახელებით) VII-VIII
საუკუნეებში.

IX საუკუნის დასაწყისისათვის არტანუჯელმა დიდებულმა აშოთ
კუროპალატმა და მისმა სიძემ სამეგრელოს (აბხაზეთის) მეფემ თეოდოსიმ
გაიყვეს წანარეთი, აღმოსავლეთ იბერია. აშოთ I დიდი ატარებდა როგორც
ქართველთა, ასევე იბერთა კუროპალატის წოდებას. ბაგრატ II, რომელიც
აფშილეთში, ბეღიაში განისვენებს და რომელმაც დაგვირგვინ კოლხი
გაერთიანება, ეწოდებოდა “ბაგრატ აბხაზთა მეფე და ქართველთა კუროპა-
ლატი”. ეს ტიტულატურა XIV საუკუნეშიც გრძელდება.

(ი.ჭ. III.180) “ბაგრატ V 1360 წ. გამეფიდბულა. მისი მეფედ კუროპალევის წესი
ქუთასისში შეუსრულებიათ, აღმათ ძველი წესის მიხედვით, რადგან როგორც
ქართული, ისევე ტრაპიზონელი ისტორიელისი ცნობების მიხედვით
სრულებით უცილობელია, რომ ბაგრატი გაერთიანებული, სრულიადი საქარ-
თველოს მეფე იყო. მიხეილ პანარეტი 1367 წ. ცნობაში მას უკავი “ქართველთა
და აბხაზთა” მეფეს უწოდებს, რაც მისგან ლიხთ-იმერეთისაცა და ამერეთისაც
სრული მფლობელობის მაუწყებელია.

გაშინდელი საქართველოს სახელმწიფოს საზღვარი სამხრეთ-დასავლეთით
მაკრიალის ხეობის იქნი ყოფილი. პარხალი ტრაპიზონის საკუთრის ხელში
იყო, გრნია და მაკრიალის ხეობა, აჭარა, შავშეთი და კლარჯეთი - კი საქართ-
ველოს ეკუთვნოდა. ბათომში აჭარითური ის დროს გურიელის საგამგეოში
შედიოდა. ბაგრატ მეფის დროს მოელი მესხეთიც საქართველოს ეკუთვნოდა.
ქანისიც წინანდებურად საქართველოს ხელში იყო. ეს ოქუმურ-ლენგის ისტო-
რიკისის შერეფადინი ალი-იეზდის ისტორიკოთაც მტკიცდება”.

ცდება ვახუშტი ბატონიშვილი როცა აცხადებს :

(მაკალათია.87) “ვახუშტი ასე მოვვითხრობს “ხოლო დაწლა ნარინ დავით
მეფედ იმერთა (1259-1293). ამიერით იწოდა დავით და მას კვეშონი მეფედ
იმერთა და არლა-რა-აფხაზთა “-ო”.

საქართველოს ისტორიული დოკუმენტები

როგორც ეხედავთ 1367 წელსაც ძალაშია ტიტულატურა “შეფე აბხაზთა და ქართველთა”.

ჩვენ ვერ ვხედავთ ერთ სპილოს ხელა დეტალს, რომ თუნდაც ნატყუზები მოიპოვთ (X საუკუნის მიწურულს), ხოლო XI-XIV საუკუნეების საქართველოს, რომელიც მოიცავს კავკასიის უდიდეს ნაწილს მანც, ეწოდება “აბხაზეთი” და ქართველ შეფებს “აბხაზეთის შეფენი”. რაოდ დაიჩვედა ასეთი ძლიერი ქვეყანა და მათი შეფენი აფსუათა (აბასგათა) სახელს, როდესაც მათი საკუთრება გახლდათ ისეთი მრავლისმეტყველი სახელწოდებები, როგორებიცაა კოლხეთი, ლაზიკე, შესხეთი, იბერია.

VII საუკუნეში არაბთა მიერ შემოტანილმა სახელწოდება აბხა, აბხაზის დამკეიდრება განაპირობა იმან, რომ იგი არ გამოხატავდა რომელიმე ტომს, არამედ აღმნიშვნელია წყლის გასწვრივ მიმდებარე საქართველო-სავაჭრო გზისა და არ იყო შემაფერხებელი მიხეზი კოლხურ ტომთა გასაურთითანებლად.

უნდა გვაძხოოდეს პ.ინგორიოვას შეგონება - „აბაზეთის სამეფოს შექმნის შემდგომ იწყება ეპოქა ქართული სახელმწიფოებრივი პოლიტიკის სრული და საბოლოო გამარჯვებისა.

აბხაზეთი და აფხაზეთი

ჩვენი წერილის მიზანი მიაგავს მზვერავთა გუნდის ამოცანას - შეისწავლოს მომავალი ბრძოლების ასპარეზი და წეროვნად შეაფასოს მოწინააღმდეგეთა შესაძლებლობები, თორემ ერთი წერილით წარმოუდგენელია საქართველოს (კოლხეთის) ისტორიის სრული ახალი აღმა. აქედან გამომდინარე შეძლებისადგარსად მოკლედ ჩამოვაყალიბოთ ჩვენი შეხედულებები სამეგრელოს სამეფოსა და აბხაზეთის შესახებ.

იმანე კათალიკოსის მიერ სახელწოდებების “აბხაზი” და “შეგრები”, “აბხაზეთისა” და “სამეგრელოს” ცნებათა გაიგივება იმის დასტურია, რომ აბხაზეთის სამეფოში გაერთიანებული ტომების შეთაური სამეგრელო გახლდათ. ამის ერთ-ერთი მტკიცება მ.პანაჩევის ცნობაა, რომლის მიხედითაც “საქართველოსა და აბხაზეთის” მეფის ბაგრატ V-ის 1360 წელს მეფედ კურთხევის წესი სამარგალოს, მარგველივის, მარგვეთის ქალაქ ქუთაისში შეარცულდა და არა, ვთქვათ მცხეთაში.

საქართველოს საეკლესიო ცხოვრებაში სახელწოდება „აბხაზეთი“
საქართველოს დასავლეთის გაფებით, აჩერობდა XVII საუკუნის ბოლომდე
მანიქუ. გვისცენოთ „რომის-პაპის წერილებიდან“, რომ ქართველი დოლებულ
ები და უცხოელი ელჩები აფსუებს აბასებს უწოდებენ და გავეცნოთ შემდეგ
ცნობას :

(ინგოროვა 263) „დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) კათალიკოზის
მაქსიმეს წერილში, რომელიც მიწერილია რუსეთის მეფის ალექსი მიხეილის
ძისადმი (1646 წლის 1 იანვრის თარიღით), მოთხრობილია რომ მან, აფხაზეთის
კათალიკოზმა, ჩამოყავანა ლაზიდან, ოფის ლრმთისმშობლის სახელობის
მონასტრიდან (რომელიც ჯერ კიდევ მოშლილი არ ყოფილა) მონაზონი
გერმანე და აკურთხა იგი ლაზის მიტროპოლიტად „ოფისა და ალანეთის
მიტროპოლიტის“ ტიტულით (“...поставив есъми по закону ко святой
митрополии Хоупейском (=Земгиса, оფიса) и Аланейском”).

საქართველოს ეკლესიის მიერ ლაზეთის იერარქად დადგნილს ამ პირს
შემდეგ განუცდია დევნა ოსმალთაგან. თმალეთის ხელისუფალს სუფერ ფაზას
დაუპარიმრებია ლაზეთის მიტროპოლიტი გერმანე იმ მიზეზის გამო, რომ მან
ქრისტეანობაში მოაქცია „თურქის“ (მუსულმანის ოჯახი. საქართველოს
ეკლესიამ და მეფე-მთავრებმა მიიღეს ზომები დატყვევებული ლაზის
მიტროპოლიტის გასათავისუფლებლად. ოთხი თვეს პატიმრობის შემდეგ ლა-
ზის მიტროპოლიტი გამოხსნილ იქმნა და იგი ჩამოვიდა იმერეთში აფხაზეთის
კათალიკოზთან.

ამის შემდეგ ლაზის მიტროპოლიტი გერმანე, აფხაზეთის კათალიკოზის
მაქსიმეს წერილით, რომელიც მიმართული იყო რუსეთის მეფისადმი, გაემ-
ზავრება რუსეთში 1646 წელს და მოსკოვში წარუდგება რუსეთის მეფეს
ალექსი მიხეილის-ძეს.

ლოსანიშნავია, რომ ყველა დოკუმენტში, რომლებიც ეხება ლაზეთის მიტ-
როპოლიტს და მის მგზავრობას რუსეთში, ყველთვის საგანგებოდ აღნიშ-
ულია, რომ ქვეყანა, საიდანაც იგი არის, ე.ი. ლაზია, ეს არის საქართველო
„საქართველოს ქველი ქვეყუანა“ („Грузинская земля“, „старая Грузин-
ская земля“, „старая Грузия“, „Иверская земля“)."

ჩენი კვლევისათვის ეს ცნობა მრავალმხრივ მნიშვნელოვანია :

1. საქართველო თურქეთსა და ირანს შორის გაყოფილია იმზოსავლეთად
და დასავლეთად. თავად საქართველოს დასავლეთი შედგება აბასისი, ოდიშის,
გურიის სამთავროებისაგან და იმერეთის სამეფოსაგან. საქართველოს დასავ-
ეთის ეკლესიურად გამაერთიანებელი კათოლიკოსი, ცენტრით იმერეთში
(ქუთაისში), თავისთავს აბხაზეთის (საქართველოს დასავლეთის) კათოლიკოსს
უწოდებს და აბხაზეთის (საქართველოს დასავლეთის) ეკლესია ცხოვრობს

თავისი ქართული (აბხაზური) სახელმწიფო ბრივი ინტერესებიდან გამოცდინარე.

2. ვახტანგ V-ის მეფობამდე დიდი ხნით აღრიც ქართველები რუსეთში მიგრირებული და მართვის თვლიან ქრისტეანული სამყაროს მფარველად, მესამე რომად და მოსკოვში ეძებენ სამართალს.

3. თუ ქართლის სამეფო კარის მიერ შექმნილი (ქ.ქ.) არ არის დაინტერესებული ლაზიების ბედით, საქართველოს დასავლეთი (აბხაზეთი) რუსეთის იმპერიისაგან თხოვულობს შეელას ლაზიების გამოსახსნელად თურქთა ბატონობისაგან, როგორც ერთიანი საქართველოს უძველესი და განუყოფელი ნაწილისა.

4. აბხაზეთის კათალიკოსი თავისთვის უფლებამოსილად თვლის, რათა აკურითოს მონაზონი გერმანე ლაზიების მიტროპოლიტად "ოფისა და აღანეთის მიტროპოლიტის" ტიტულის.

5. (ინგოროვა 262) "ოფის ომრთისმშობლის სახელობის ტაძარი, მე-17 საუკუნის რუსულ წყაროებში (რომელიც ეხება ლაზიების მიტროპოლიტის გერმანეს მგზავრობას რუსეთში) მოიხსენიება როგორც მდებარე "ძეველ საქართველოში" ("в старой грузинской земле")... დასახელებულ რუსულ წყაროში... ოფის ტაძარის დაარსება მიეკუთვნება ნინოს ქართველთა განმანათლებელს - "строила святая Ирина (sc Iрина), ею же Иверская земля приведена во святое крещение"... ეს გაღმოცემა მაჩევენებელია ადგილობრივი ლაზური საქრისტეანო ტრადიციების ერთიანობისა ზოგად ქართულ ტრადიციებთან".

საცულის სმოა ქუთაისში (გელათში) აბხაზეთის კათალიკოსის ჩეზიდენციის გადმოტანის ისტორია :

(ქ.ს.ე.2.31) "აფხაზეთის საკათალიკოსო, დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსო, მის დაარსებას ზოგი მკვლევარი VIII ს. ზოგი კი X ს. II ნახევარს მიაკუთვნებს. აფხაზეთის საკათალიკოსო განასახიერებდა ქართულ ეროვნულ და ცენტრალიზებულ ეკლესიას, რომლის პოლიტიკურ საფუძველს ქართული სახელმწიფო - "აფხაზეთის სამეფო" (დასავლეთ საქართველო) წარმოადგენდა. აფხაზეთის საკათალიკოსომ შეცვალა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს დაკვემდებარებული ლაზიების სამიტროპოლიტო და აბაზების საარქიეპისკოპოსო ეპარქიები. აფხაზეთის კათალიკოსის საკათედრო ტაძარი, რომელიც ანდრია მოციქულის საყდრიად იწოდებოდა, ბიკვინთაში იყო. აფხაზ კათალიკოსს "ბიკვინთის კათალიკოსაც" უწოდებდნენ. იერარქიულად იგი საქართველოს კათალიკოსს ექვემდებარებოდა. XV საუკუნიდან, საქართველოს პოლიტიკური დაშლის შემდეგ, აფხაზეთის საკათალიკოსო გახდა და მისი მეთაური "აფხაზეთის კათალიკოს-პატრიარქად" იწოდებოდა. მისი დურის-ზექცია კრისტიანობოდა იმერეთის სამეფოზე, გურიის, ოდიშის, აფხაზეთის

(აბასეგების) სამთავროებრივი და ჩრდილოეთით ბევრად ხციონ-
ებოდა ქართველთა პოლიტიკურ საზღვრების. XVI ს. II ნახევარში, კათალიკოს
ევლემონ წერტილის (გადაეცემული წერტია) (1558-1578) ლროს, აფხაზეთისა
საკათოლიკოსოს რეზიდენცია ბიჭვინთიდან გვლათში გადაიტანეს, რაც
გამოწვეული იყო ქვეყნის საშინაო და საგარეო მდგრადირობის გართულებით
(სამეფო-სამთავროებს შორის შინაომების) და ოსმალეთის, აგრესიის
გძლიერება აფხაზეთში (აბასეგიაში)".

ე. აბასეგიაში სახელწოდება „აბხაზი“ (“აბხაზეთის საკათალიკოსო“)
ჩნდება VII საუკუნიდან რომა „აფხაზეთის (აბხაზეთის) საკათალიკოსომ
შესცვალა კონსტანტინეპოლის საპატრიკიარქოს დაქვემდებარებული“ ლაზიეს
სამიტროპოლიტო და აბაზგის საარქიეპისკოპოსო ეპარქიები. ასევე VIII
საუკუნეში ჩნდება ლიონის სებასტიონის ახალი სკანდ-მეგრული
სახელწოდება „ცხუმი“. ეს ემთხვევა სამეგრელოს (აბხაზეთის) სამეფოს
აღმასვლის პერიოდს. სამეგრელოს გვლენა აბასეგიაზე XV საუკუნეში (სამეგ-
ელო იშლება ოდიშის, გურიის სამთავროებად და იმერეთის სამეფოდ) მკვეთ-
ად ეცემა, ბეგან მეფეს აბასები ნომინალურად ემორჩილებიან და სამეგ-
ელოს (აბხაზეთის) კათალიკოსის რეზიდენცია გადმოაქვთ აღმოსავლეთ
სამეგრელოში, ქუთაისში საკუთარივე სახელწოდებით - „აბხაზთა კათალი-
კოსი“ (და არა აბასთა კათალიკოსი).

სახელწოდება „აბხაზი“ აბასეგის (აფხაზების) ტერიტორიაზე ასევე გვიან
ჩნდება სხვა პუნქტების დასახელებისას :

(ინგოროვა 154) „მდინარე მდიმთას ანტიკურ ბანაში ერქვა აბასხი (აბასეგი),
ე.ი. აბხაზთა მდინარე, რა სახელწოდებაც ამ მდინარეს შერჩია შემდეგ პერი-
დშიაც, ვიდრე ახალ საუკუნეებამდე. ამ მდინარის შესართავთან მდებარეობდა
ნავთსადგური, რომელიც ვენეციურ რუკაზე XIII საუკუნისა აღნიშნულია
როგორც Abkazia, კატალონურ რუკაზე 1375 წლისა - Avogaxia, ბიანკოს
რუკაზე 1436 წლისა - Abcazias, ქ. მაიოლოს რუკაზე 1519 წლისა - Avogazia, ე.ი.
აფხაზეთი. ესვე ნავსადგური (სახელწოდებით Abbasat) მოხსენებული აქვს და აქ
წარმოებული ვაჭრობის შესახებ დაწერილებით მოვითხრობს კაფერის
პრეფექტი ე.ლ'ასკოლი - თბილეულებაში “აღწერა შევი ზღვისა და სათათრეთისა
(1634 წ.)”.

3. ინგოროვა (ქ. ც.ბ.)-ის მორჩილი მეცნიერია და მისთვის სახელწოდება
აბასეგი და აფხაზი იდენტურია და დღესაც სამწუხაროდ (ქ. ც.ბ.)-ის “დამსა-
ურების“ გამო ეს ასეა შეცდომით დამკვიდრებული. აბასეგის შეიძლება და
უნდა ეწოდოს კილვაც აბხეზთი, ვინაიდან იგი საუკუნეების განმავლობაში
აბხაზეთის (სამეგრელოს) შემადგენელი ნაწილი იყო (როგორც დასავლეთ
იბერია), მაგრამ ისინი ერთვნებით აბხაზები არ გამხდარიან და ეს ხალხიც

(აბასები, აფსუები) თავისთავს არა უწოდებენ აბხაზებს - სახელწოდების
"აბხაზი" და შემდგომ აქტებან გამომდინარე "აფხაზი" მათ ჩვენი უცოდი-
რობით ვუწოდეთ.

3.ინგოროვას ეს ცნობა არის ბეჭედი ჩვენი მტკიცებისა - სახელწოდება
აბხაზი ნიშნავდა მეგრელს. ანტიკურ ხანაში მღინარე მძიმთას ერქვა აბასეთი
სახელი "აბასი" (აბასი) და მის შესართავთან მდებარე ნავსაღვურს (თა-
ამერიკულები ადლერი) სამეგრელოს (აბხაზეთის) სამეფოს გაძლიერების შემდგომ,
როცა მისი საზღვრები ნიკოფილი აღწევდა, დაერქვა სახელწოდება
"აბხაზია". უცხოელებს ჩვენსავით უჭირთ არაპარმონიული წყვილით "ბბ"-ით
სიტყვის გამოთქმა და სხვადასხვანირად გამოთქვამენ : 1300 წ. - Abkazia
[აბჟაზია], 1375 წ. - Avogaxia [დაახლოებით ავგაზია], 1436 წ. - Abcazia
[აბჟაზია], 1519 წ. - Avogazia [დაახლ. ავგაზია], ხოლო 1634 წელს, ე.ი. XVII
საუკუნისათვის, როდესაც სამეგრელო რსმაღლეთის გაძლიერების გამო იძუ-
ლებული გახდა გადმოეტანა ბიჭვინთის კათალიკოსის (აბხაზეთის კათალი-
კოსის) რეზიდენცია ქუთაისში (გელათში), მძიმთის შესართავთან ქრება
სახელწოდება "აბხაზია" და ჩნდება ემილიო დორიტელი დაქორის თხზულე-
ბაში - Abbasa [აბბასა, აბასები], ე.ი. აფსუათა სახელი, თუმცა ეს სახელწოდება
თურქებმა შემდგომ შესცვალეს :

(ინგოროვა 154) "нб. Записки Одесского О-ва Истории и
Древностей, XXIV, №.100 - აქ საჭიროა შევჩერდეთ აგრეთვე ამ პუნქტის
შემდეგრიცინდელ სახელწოდებებზედაც. მდინარე აბასების (მძიმთის) ხეობის
ქვემ ნაწილი ახალ საუკუნეებში ცნობილი იყო "არეთ"-თა ანუ "ართ"-თა
თემის სახელით. ამის მიხედვით აბასების ნავთსაღვურს თურქებმა დაარქვეს
"ართ"-თა ნავთსაღვური : "ართ-ლარ" (ბოლოკილური "ლარ" მრავლობითი
რიცხვის ნაწილაკია თურქულად). აბასთა ნავთსაღვური ამ ახალი სახელ-
წოდებით "ართ-ლარ" მოხსენებული აქვს მე-17 საუკუნის 40-იან წლებში
მოგზაურს ევლია ჩელების... მე-17-18 საუკუნეებშივე ეს ახალი სახელწოდება
"ართლარ" სახელთოდ განმტკიცდა. სახელწოდებიდან "ართლარ" მომდინა-
რეობს თანამედროვე სახელი ამ ნავთსაღვურისა "ადლერი".

ბზიბის ხეობაში - ბზის ნავთსაღვურს XVIII საუკუნეშიც შეჩრჩნია
"აბხაზი"-დან ნაწარმოები სახელი "Portus Abcassorum", რომელიც მოგ-
იანებით გაინც გაქრა.

შეიძლება მოგვედავონ, რომ "იტალიურ რუკებზე მე-15 საუკუნისა (რუკა
ბენინკაზისა - 1480 წლისა და კ.ფერდუჩისა - 1497 წლისა) ნავთსაღვური
მდინარე კელასურის შესართავთან მოიხსენება სახელწოდებით Porto Mengrelo
და ამდენად ეს სახელწოდება გამოხატავდა მეგრელს და არა "აბხაზი". მაგრამ
ჩვენ ვიცით "რომის პაპის წერილებიდან" რომ 1460 წლისათვის აბხაზეთის

სამეფო დაშლილია და არსებობს ბედიანის სამეფო, რომელმაც (მსგავსად) კორობის ხეობის მეგრელებისა, რომელებმაც თავიანთ თავს საქართველოს უწოდეს განცალკავებით) თავის თავს განცალკავებით სამეგრელო უწოდება, ხოლო აბხაზეთი ეწოდებოდა მთლიან სამეგრელოს (იონსეურია, აფისირტე, ლიხი) სამეფოსა და დასავლეთი იბერიის, კახეთ-ჰერეთის ნაწილისა და აბასგიის გეროთიანებისა და როგორც მეთაური ტომი ამ გაერთიანებისა სახელწოდება “აბხაზი”-თ უპირველესად სამეგრელო, მეგრელი იგულისხმებოდა.

(ინგოროვა 114) “როდესაც ეს ტიტულატურა შემოკლებით იჩმარებოდა, საქართველოს ხახელმწიფოს მეთაურს ეწოდებოდა “მეფე აფხაზთა”, საქართველოს სახელმწიფოს მთლიანად აღებულს ეწოდებოდა “აფხაზეონი”, “ჭუეყანა აფხაზეთისა”. ასე მაგალითად, როგორც ქართულს, ისე უცხოურ წყარობშიაც, დავით აღმაშენებელს და თამარ მეფეს ხშირად მიემართება ეს ტიტული - “მეფე აფხაზთა”, ხოლო შე-12-13 საუკუნეთა საქართველოს, რომელიც მთელ კავკასიას მოიცავდა, ეწოდება “აფხაზეთი”, “ჭუეყანა აფხაზეთისა”. ამრიგად, სახელწოდება “აფხაზეთი” გახდა სინონიმი ჯერ დასავლეთ საქართველოსი, ხოლო საქართველოს გაერთიანების შემდეგ იგი იჩმარებოდა როგორც სინონიმი მთლიანად საქართველოს სახელმწიფოსი”.

(მაკალათია 75) “დ.გულია თავის “აფხაზეთის ისტორიაში” ამტკიცებს, რომ აფხაზთა სამეფო იყო აფხაზური ეროვნული სახელმწიფო და მთელ დასავლეთ საქართველოში აფხაზები ბატონობდნენ. იმდროინდელი გაერიანებული საქართველოს კულტურულ-პილატიური მოღაწეობაც მიჩნელია აფხაზების საქმედ. ავტორის გაგებით აფხაზეთის მეფე და კათალიკოსი საკუთმპყრობელი ყოფილან მთელი საქართველოსი და სომხეთისაც. აფხაზთა სამეფოს ასეთი გავება შემცირარია და ისტორიულად გრძელებული”.

დ.გულია მართალია და ისტორიულად გამართლებული, როცა ბრძანებს, რომ აბხაზეთის მეფე და კათალიკოსი საკუთმპყრობელი იყვნენ საქართველოსი და ჰაიასტანისა, მხოლოდ ცდება. როცა სახელწოდება “აბხაზი”-ს (“აფხაზი”-ს) ქვეშ აფხაზის (აბასგის) გულისხმობს. სამეგრელოს (აბხაზეთის) მეფე და კათალიკოსი იყვნენ საკუთმპყრობელები მთელი საქართველოსი და ჰაიასანისა და ამ დიდებული წარსულის მითვისებაა უმთავრესი ამოცანა ქართლის სამეფო კარისა.

ქართველთა ცნობიერებაში უნდა შობდეს მნიშვნელოვანი გარდატება - სახელწოდება “საქართველო” XV საუკუნემდე მოიცავდა დღევანდელი საქართველოს ტერიტორიის მცირე ნაწილს. საქართველო თავდაპირველად ეწოდებოდა კლარჯეთის. კლარჯეთიდან შეიქმნა ქართველთა სამეფო და იგი ძირითადად მოიცავდა გოვარჯენს (გუგარჯის, გეორგის) მასარე : კლარჯეთი, არტაანი, კანგარი, თრიალეთი, ტაშირი, კოლფისხევი, ძორიფორი. ამ სამეფოში სხვადასხვა დროს შედიოდნენ აგრეთვე რიზეს მხარე, ანისის მხარე, და -

სავლეთი იბერიისა და აღმოსავლეთი იბერიის (კახეთი, ჰერეთის) სამხრეთი ნაწილები. ასევე ტაოს მხარე, რომელსაც გააჩნდა თავისი სამეფო. საერთოდ, ტაო ისეთივე ყოვლადწმინდა მხარეა ქართველთა სულიერებისა, რომელიც კლარჯეთი, მაგრამ აյ ისეა ჩახლართული ტაოს წარსული (ქ.ც.ხ.)-ისა და პაიკ ისტორიკოსთა ლაბირინთებში, რომ ცალკე ტაოს წარსულის კვლევა გადავდოთ შეძღვომისათვის, როცა მრავალ, სიბრუნვით მოცულ მონაცემთა ჩვენი წარსულისა ნათელი მოეფინება.

გამორჩეულად რომ ეწოდებოდა „საქართველო“ ამ მხარეს, რომელიც ფაქტურად წარმოადგენს გზას წმინდა ნინოს შემოსვლისა მცხეთაში : რიზეს მხარე, კლარჯეთი, ტაო, არტაანი, გვახეთი, თრიალეთი - მცხეთა, ამის გამო მიტროპოლიტი გერმანე რომ ასეთი დაენებით უწოდებს რიზეს მხარეს : “Грузинская земля”, “старая Грузинская земля”, “старая Грузия”, “Иверская земля”.

თამარ მეფის (აბხაზთა მეფის) შეფობის ხანაშიც ჩვენი ქვეყნის სამხრეთ ნაწილს კვლავ საქართველო ეწოდება. თამარის რუქნადინზე გამარჯვების შესახებ სპარსელი ისტორიკოსი პამდალლაპ ყაზინი მოვარდის მიზანი : - რუქ-ადინი გაემგზავრა აბხაზთა და ქართველთა წინააღმდეგო. ამრიგად, თამარის სამეფოში აბხაზეთის გარდა არის საქართველოს მხარეები, მაგრამ ქვეყანას მაინც “აბხაზეთი” და თამარს “აბხაზთა მეფე” ეწოდება, ვინაიდან აბხაზეთი უფრო მნიშვნელოვანია, წამყვანია, თუმცა მთელს აბხაზეთის ტერიტორიაზე მოფენილი კალესიები, მცირეოდენი ბერძნულის გარდა, მხოლოდ ქართული დამწერლობით არიან შემცულნი. საერთოდ, მას შემდეგ, რაც იწყება სამეგრელოს (აბხაზეთის) სამეფოს აღმავლობის ხანა, პარალელურად მიმდინარეობს ქართულენოვანი კულტურის გაფურჩქვნის ხანა, სამეგრელოს (აბხაზეთის) სამეფოს სახელმწიფო ენა - ქართული ენაა და ამ ენის დანერგვას აბხაზეთის ტერიტორიაზე [აბასგია, სვანეთი, ცენტრალური სამეგრელო, აღმოსავლეთი და დასავლეთი იბერია (მომავალი ქართლ-კახეთი)] დიდი დრო დასჭირდა (გაიხსნეთ “რომის პაპის წერილები” - მომავალი იმერეთი და ქართლი “აწ ქართველებად იწოდებიანო” XV საუკუნეში). ეს პროცესი საბოლოოდ დღე-საც ზრ დამთავრებულა. სამეგრელოს (აბხაზეთის სამეფომ) შესძლო დიდი კოლხეთის (ერთიანი საქართველოს) გერათიანება ქართული ენით, მხოლოდ ეკლესიურად. ქართულმა ენამ, რომელიც შეიქმნა კოლხეთში ქრისტეანული რწმენის გასავრცელებლად და კოლხური ტომების საქრისტეანოს დროშის ქვეშ გასახრთიანებლად, შესძლო თავისი მიზნის, ფუნქციის შესრულება სამეგრელოს (აბხაზეთის) სამეფოს სიცონიერის ხანაში და ქართული ენის დანერგვის კოლოსალური გაფა გასწია სამეგრელოს (აბხაზეთის) სამეფომ იმდენად, რამ-ენადაც ქართული ენა გახლდათ სამეგრელოს (აბხაზეთის) მშობლიური, მის

წიალში წარმოშობილი, რელიგიური და სახელმწიფოებრივი ინტერესების
მატარებელი ლიტერატურული ენა.

ქართული ენა შეიქმნა კლარჯეთში, შეგრული ენის ნიადაგზე, მაგრამ უძველეს
გვახსოვდეს ა. ჩიქობავას შევინება :

(ჩიქობავა 114) "სალიტერატურო ენა იქმნება გარკვეული დიალექტის სა-
ფუძველზე, მაგრამ იგი სავსებით არაა თანხვდენილი არც ერთ დიალექტთან
(თუნდაც საორიენტაციო დიალექტთანაც). თვით შეიქმნის მომენტშიც კი
სალიტერატურო ენა ერთგვარიად სცილდება ძირითადი დიალექტის, ამ მთა-
ვარი მასაზრდოებელი წყაროს ფარგლებს. შემდგომი განვითარების პროცესში
კი სალიტერატურო ენა ითვისებს სხვა დიალექტების მასალასაც. განსა-
კუთრებით ეს ეხება ლექსიკას : სალიტერატურო ენის საჭიროებას ერთი დი-
ალექტის ლექსიკური მარაგი ვერ დააკმაყოფილებს, კონკრეტულ ცნებათა
აღმნიშვნელი საჭირო სიტყვები სხვა დიალექტებშიც შეიძლება აღმოჩნდეს და
მისი შემოტანა სალიტერატურო ენას გაამზიდდებს".

ნათელი უნდა გახდეს ჩვენს მიერ ჩესტავრირებული ქართველთა ერთობის
ფორმულის სიღრმისეული აზრი :

"საქართველოდ ფრიადი ქუვეანაზ ალირიცხების, რომელსაცა შინა ქარ-
თულითა ენითა ეამი შეიწირვის და ლოცვაზ ყოველი აღსარულების".

როცა ეს ფორმულა დაიბადა (X საუკუნისათვის), საქართველოში (აბხა-
ზებისა და ქართველთა სამეფოში) იყო მხარეები (მაგ. მომავალი იმპერეთი და
მომავალი ქართლი), სადაც მოსახლეობის კველა ფენა ვერ ფლობდა ქართულ
ენას, მაგრამ საქელმწიფოს და ეკლესიას აერთიანებდა ქართული ენა. ამ
ფორმულის ბუნება კეშარიტად ქრისტენული რწმენის მატარებელია - ქარ-
თველია ის, ვინც ქართულად ლოცულობს, ვინც ამ ენას მშობლიურად მიიჩ-
ნევს და არა მატრო ქართლელი, ან სკანი და სხვა.

ქართული ენა, როგორც ყოველივე სამყაროში, - დაიწყო და დაიწყო იგი
სამეგრელოში, კლარჯეთში, კოლხეთში, შემდგომ იგი განიტრუო შესხეობში,
ასევე კოლხეთში, აარწია სანარეთს, ასევე კოლხეთს, პირველობდა აბასგიაში
(ბიკვინთაში, ლიხნის XI საუკუნის ქართულენოვანი ფრესკებით დამშვენებულ
ტაძარში) და სვანეთის სიმაღლიდან გადმოხედა კავკასიას. ჩვენმა ენამ თუ ფეხი
კლარჯეთში აიდგა, მის აღზრდასა და დალვინებაში საქართველოს ყველა
მხარემ თავისი წვლილი შეიტანა და ამღენად იგი კუთვნილებაა არა რომელიმე
მხარისა, არამედ სრულიადი საქართველოსი.

უნდა ჩაგესმას ი. ჭავჭავაძის ხმა : "ენა, მამული, სარწმუნოება".

ქართულმა ენამ შეაღულაბა ჩვენი მამული ქრისტიანული რწმენით და-
შვენებული.

შესაძლოა დამღლელი იყოს, მაგრამ მოვიყვანოთ კიდევ ერთი მაგალითი მტკიცება, რომ “აბხაზი” მეფეები ქართულად მეტყველებდნენ და კიბეჭულობდნენ :

(ი.ჭ. VI.360) “ამას კახა მეფეურკლეთ-უბუცესის 1259 წ. ჩერნის სიგელში მოცვანილი სიტყვებიც ცხადჲყოფენ : “თუ ვინ იმისი მომშლელი გამოვიდეს ანუ შვილი, ანუ ძმა, ანუ მოყვაისი, ანუ ყუთლუ არსლან ვითარ ყო და ვითა ქირზიშელარიონს უყო : თუ აბხაზთ მეფეთა წიაკითხონ ესე ჩემი დაწერილი” ...

შევეცადოთ ასევე მოკლედ მომოვიჩილოთ დღეს “აფხაზეთად” წოდებული მხარის წარსული.

ჩვენიმდე მრაღწეული ისტორიული წყაროებით კოლხეთის საზღვარი ჩრდილოეთით აღწევდა ქ-ტუაფეს (ნიკოფილი) მიღიამოებს.

(ინგორიოვა 136) “როგორც მოხსენებული გვერნდა, აფხაზეთის მზარეთა ყველაზე ჩრდილოეთით მდებარე პუნქტი იყო ნიკოპილი, რომელიც მდებარეობდა ჩრდილო ჰენიონეთის (შემდეგდროინდელი აფხაზეთის ჯიქეთის) ჩრდილო მიწაზე. სახელწოდება ნიკოლისა შედარებისა აბალი წარმოშობისაა; იგი დამოწმებულია მხოლოდ მე-5 საუკუნიდან ახალი წელთაღრიცხვისა, ზოლო ანტიკურ ხანაში ნიკოფილის ჩქმევია : “ლაზიკა”, (“ძეელი ლაზიკა”), ლაზთა ქალაქი. მე-5 საუკუნის ანონიმი გეოგრაფის პერიპლუსში აღნიშნულია, რომ შავი ზღვის სანაპიროზე, ლიას კონცის ჩრდილოეთით, მდებარეობს პუნქტი “ძეელი ლაზიკა (Παλαια Λαζικη), საღაც ამჟამად არის ეგრეთწოდებული ნიკოფილისი”.

ეს პუნქტი, ამავე სახელწოდებით “ძეელი ლაზიკა”, მოიხსენება აგრეთვე შე-2 საუკუნის ავტორის არინეს პერიპლუსში.

მე-2 საუკუნის შეორე ავტორის კლავდი პტოლემეს გეოგრაფიაში ესევე პუნქტი მოიხსენება სახელწოდებით ლაზია (Λαζιος Ποιλισ, ქილაქი ლაზი, ლაზთა).

ის გარემოება, რომ აფხაზეთის ქვეყნების (ძეელი ჩრდილო ჰენიონეთის) ჩრდილოეთ საზღვარზე მდებარე პუნქტს - ნიკოლისა ჩქმევის ლაზთა ქალაქი და ლაზიკა, ე.ი. იგივე სახელი, რომელიც ერქვა ეგრისის ქვეყანას, - უაღრესად მნიშვნელოვანია”.

ნიკოფილისიდან დიოსკურამდე სახელწოდება “აბასგი” - ს გამოჩენამდე, უძველეს ბერძნულ წყაროებში მოიხსენიებიან “ჰენიონი”, “სანიბი” და “სანიგი”.

(ინგორიოვა 134) “საისტორიო წყაროებში სახელწოდება ამ ტერიტორიებზე მოსახლე ძირითადი აბორიგენული ტომისა დამოწმებულია, როგორც აღნიშნული გვერნდა, შემდეგის ფორმებით : ჰენიონი, სანიბი და სანიგი.

კველა ეს ფორმა ერთო და იმავე ეთნიკური სახელწოდების დიალექტური სახეს ხვაობა. უფრო ადრინდელ ბაზაში, ლაწყებული შე-5 საუკუნიდან ძეელი წელთაღრიცხვისა ვიდრე 1-2 საუკუნეებამდე ახალი წელთაღრიცხვისა, ეს

სახელი გვხვდება ფორმით ჰენიოხი (ასე; იხილეთ ანტიკური ავტორების ჰელანიკ, სკილაქს კარიანდელი, ორტემილორე ეფესელი, სტრაბონი, პლინიუს სეკურდე, კლავდი პტოლემე, ხოლო ახალი წელთაღრიცხვის 1-2 განუმებრივ ნეებიდან ამ სახელწოდების ჩვეულებრივი ფორმაა სანიხი ანუ სანიგი (იხ. პლინიუს სეკურდე, ორიან, მე-5 საუკუნის ანონიმი გეოგრაფიის ჰერიპლუსი, აგრეთვე საშუალო საუკუნეთა ქართული საისტორიო ძეგლი “ისტორია-აზმანი შარავანდელთანი”).

სახელწოდება ამ ტომისა გვიჩვენებს, რომ იგი ეკუთვნოდა ქართველ ტომთა კოლხურ-ლაზურ (მეგრულ) შტოს; ეს სახელწოდებანი - ჰენიოხი, სანიხი, სანი - მიღებული იყო სწორედ კოლხურ-ლაზურ (მეგრულ) ტომთა ჯუფში, სადაც იგი ფართო გავრცელებით სარგებლობდა.

სახელდობრ, გარდა აფხაზეთისა, ეს სატომო სახელწოდება ჩვენ გვხვდება შიდა საქართველოში, საქართველოს კოლხურ-ლაზური ზონის მთელ ჩიგ მხარეებში.

ა. ეს სატომო სახელწოდება მიღებული იყო სამხრეთ კოლხიდაში; ანტიკური ხანისა და ადრეულ საშუალო საუკუნეთა წყაროების ჩვენების თანახმად “ტომი სანთა ჰენიოხთა”, “ტომი ჰენიოხთა” ეწოდებოდა სამხრეთ კოლხიდის ლაზური შტოის ტომს, რომელიც მოსახლეობდა რიზე-ათინის მხარეებში (თანა-შეღრუვე ლაზები).

ბ. ჰენები, ჰენეთელნი (=ჰენიოხთა) ეწოდებოდა ჭანური შტოის ტომს პონტოში (ხალიბების მეზობლად).

გ. სახელწოდება სანები მიღებული იყო პონტოს მთების ჭანურ ტომებში.

დ. სახელწოდება “ჰენიოხი” ჩვენ გვხვდება აგრეთვე კოლხური ტომის გან-სახლების ძველ ტერიტორიაზე. პროვინციაში კოლი მტკვრის სათავეს] კოლის მთებს ეწოდება “ჰენიოხთა მთები”, აგრეთვე “კორახის მთები”. ჩაი მტრიგადი ირკვევა, რომ სახელწოდება ჰენიოხი - სანიხი (სანი) ყოფილა სახელწოდება კოლხურ-ლაზური (მეგრული) ტომებისა, გასაგები ხლება ამის შემდეგ ის გარე-მოება, რომ ანტიკური ხანის წყაროებში აფხაზეთის ჰენიოხების ტერიტორიის ხან ჰენიოხების მიწა-წყალი ეწოდება, ხან კოლხებისა.

ასე მაგალითთაც, ანტიკური ხანის წყაროების ჩვენების თანახმად ქალაქი დიონსკურიი და გისი თემი ჰენიოხების მიწა-წყალზე მდებარეობდა ხოლო დიონსკურიის ეწოდება არა მხოლოდ ჰენიოხთა ქალაქი, არამედ ამავე დროს კოლხთა ქალაქი (იხ. სკილაქს კარიანდელის სახელით წარწერილი ძეგლი, SC, I, გვ.85; სტრაბონი SC,I, გვ.135; პლინიუს სეკურდე SC,II, გვ.179; კლავდი პტოლემე SC,I, გვ.240; იულიუს სოლინუსი SC,II, გვ.278).

ასევე ძველი ქალაქი ბიჭვინთა, რომელიც ჰენიოხების მიწა-წყალზე მდებარეობდა, აგრეთვე კოლხთა ქალაქის სახელწოდებით მოიხსენება (იბ. სტატუსითა და SC.I, გვ.135) !

სახელწოდება „სანი“ რომ საერთო კოლხურია, ჩვენ ამაში დავრწმუნდით პტოლემეს ჩუქის განხილვისას, სადაც მოცემულია წანართა (იბერიის მთი-ულეთის) უძეველესი სახელწოდება „სან-არ-აეი“. პტოლემეს (II ს.) დიოს-კურიის ჩრდილოეთით, ზღვისპირას გამოსახული ჰყავს ჰენიოხები, ხოლო არიანეს (II ს.) ჰენიოხების ნაცვლად სანიგები, აბასგები და ჯიქები, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ადგილობრივი კოლხური ტომები დაიპყრეს ადილეური მოდგმის ხალხებმა და მოცემულ ტერიტორიაზე თავიანთი სახელწოდებები - აბასგი (აბასი) და ზილქები (ჯიქები) დამკვიდრეს.

„სახელწოდება „აბასგი“ (Abasgi) ჩნდება კოლხეთის (ლაზიეის) ტერიტო-რიაზე ჩვენი წელთაღრიცხვის I საუკუნიდან პლინიუს სეკუნდესთან. ეს სახელწოდება წარმომდგარია ჩრდილო კავკასიაში მოსახლე ადილეური ტომის „აბაზა“ - ს სახელწოდებიდან, რომლებმაც გალმოლახეს კავკასიონის ქედი და დაეპატრიონენ კოლხეთის მიწა-წყალს. აფსუების და აბაზგების ენა საერთოა და ქმნიან კალაკ დაჯუფებას ადილეურ ენაში.

(ქ.ს.ე.2.34) „(ადილეურ ენებში) ცალ-ცალეკ დაწეულედება აფხაზურ-აბაზური ენები (ნეოთისა და აც ამიანის გრამატიკული კლასების არსებობა, ბრუნვათა სისტემის უქონლობა) და ადილეური ენები (ადილეური და ყაბარ-დოული; შედარებით განვითარებული ბრუნვება, გრამატიკული კლასების გაქ-რობა). უბისურ ენას გარდამავალი ადგილი უცირავს ამ ორ ქვეფუფს შორის.“

“რომის პაის წერილებიდან“ ვიციო, რომ 1460 წელსაც ქართველი დიდე-ბულები და უცხოელი ელჩები აფსუებს მათი შევიდრი სახელწოდებით “Abasias“ - თი მოიხსენიებენ. აბასებმა, კოლხეთში მრავალსაუკუნვანი ცხოვრების შემდგომ, მათ მეტყველებაში შეკრილი ძლიერი კოლხური ლექ-სიკის გამო თავიანთ თავს კოლხური სახელწოდება „აფსუ“, ხოლო მათ სამთავროს „აფსინ“ უწოდეს. რომ ეს სახელწოდებანი კოლხურია ამის უიველი შტკიცებაა „არგონავტიკა“, რომელშიც კოლხ მედეას ნახევრად ძმას აფსირტე ეწოდება. „არგონავტიკა“, რომელიც ბევრად აღრე შეძქმნა, დაფიქსირდა ძვ.წ. V საუკუნისათვის. ე.ი. იმ დროს, როცა აბასების, აფსუების ხსნება არ არსებობდა. გარდა ამისა, ეს სახელწოდება - „აფსირტე“ ეწოდა ქალაქს კოლხეთის სამხრეთით, ბათუმთან. ასევე ბევრად აღრე, სანამ გაჩ-ნდებოდა სახელწოდება „აფსუ“. აფსუებს სახელწოდების გარდა არავითარი კავშირი არა აქვთ „არგონავტიკასთან“. შესაძლებელია ეს სახელწოდება მათ კოლხებმაც დაარქვეს, ვინაიდან ეს სახელწოდება წყლის პირას მაცხოვ-რებლებს ნიშნავს. აღრე, სანამ გაჩნდებოდა ნატყუარი (ქ.ც.ხ.), ჩვენ მათ პფსა-

რებს უწოდებდით. ეს აბასგთა უძველესი ქართული (კოლხური) სახელწოდება
ფრაგმენტის სახით შემორჩია (ქ.ც.ბ.)-ში :

(ქ.ც.ბ.II.58) “პირველად შემკრებელთა ბედსა და სუესა ზედა ლაშები არის
მელი განმარტებლად სოფლისა ითარებმნა [აფსართა ენითა]”.

როგორც ადრე ვნახეთ, “ლაშა” ასევე კოლხური წარმოშობისაა. სახელ-
წოდება “აფსარი” - “აფსუ” - ს ქართული ერისანტია.

სანი-სანარი-წანარი-ზანარი აფსირტე-აფსუ-აფსარი.

როგორც ვიცით, ეს აბაზებისა და კოლხების ნარევი ხალხი თავისითავს
“აბხაზს”, “აფხაზს” არ უწოდებს და გართალნიც არიან, ეინაიდან “აბხა-
ზეთი”, “აფხაზეთი” ნიშნავს, რომ ეს მხარე საუკუნეების განმავლობაში
შემადგენელი ნაწილი იყო სამეგრელოს (“აბხაზეთის”) სამეფოს. თავდაპირ-
ველად “აბხაზეთის” ქვეშ მხოლოდ სამეფო იგულისხმებოდა (აღმოსავლეთ და
დასავლეთ იბერია, სამეგრელო და აბასგია). შემდგომ სახელწოდება “აბხაზი”
გაიგივებულ იქნა სახელწოდება “მეგრელთან” და ამის გამო ისინი თავისითავს
კოლხურ სახელს (როგორც კოლხეთში მაცხოვრებელნი) “აფსუს” უწოდებენ
და ჩვენც უნდა ალვიდგინოთ მათი. ჩვენს მიერ დარქმეული, სახელწოდება
“აფსარი”. უნდა გვახსოვთეს, რომ სიტყვის დაწყება თავსართი “ა”-თი არ
არის აფსართა პრივილეგია, კოლხური ენა თავსართ “ა”-ს ზომიერად ჩმა-
რობს: თუ აფსარები სოხუმს “აკუას” უწოდებენ, თელავში არის სოფელი
აკურა, საღაც დგას IX ს. ბაზილიკა. ასევე თავსართ “ა”-თი იწყება სახელ-
წოდებები აფსარეთში - აფშანკვარისა სოფ. გუდაუთის რ-ნში; აფშილეთში -
აფშახვა სოფ. ოჩამჩირის რ-ნში; ოსეთში - აფშევევი, გავრცელებული გვარი
ოსებში; ა-ზერბაიჯანში - აფშერონის ნახევარკუნძული და ბოლოს აფში: -
სოფ. დუშეთის რ-ნში.

სახელწოდება ქალაქისა “გუდა-უთა” ასევე ზოგად კოლხურია. გუდაუ-
თაში ჩამდინარე მდინარე “გუდაუ” - ს გამო ეწოდა ქალაქს სახელი “გუდაუ-
თა”, ფუძე აქ არის ზოგადკოლხური “გუდა”: გუდავა - სოფ. გალის რ-ნში;
გუდავა გავრცელებული გვარი სამეგრელოში; გუდა-თუბანი - სოფ.
ხარაგოულის რ-ნში; გუდა-ლეთი - სოფ. კასპის რ-ნში; გუდა-ლურა - მდ.
კასპის რ-ნში; გუდა-მაყარი - მხარე საქართველოს აღმოსავლეთით, გუდა-
მაყარი - სოფ. დუშეთის რ-ნში; გუდა-მაყრის არაგვი - მდ. დუშეთის რ-ნში;
გუდა-ნელები - სოფ. თიანეთის რ-ნში; გუდა-ნი - მთა და სოფ. დუშეთის რ-
ნში; გუდა-ნისკალა - მდ. დუშეთის რ-ნში; გუდა-ჩახი - სოფ. დუშეთის რ-
ნში; გუდა-ჩეხი - სოფ. თეთრი წყაროს რ-ნში; გუდა-ჩეხის წყალი - მდ.
თეთრი წყაროს რ-ნში; გუდა-სახო - სოფ. ხულოს რ-ნში; გუდა-ური -
ულელტეხილი და სოფ. ყაზბეგის რ-ნში; გუდა-წევრი - სოფ. ახალგორის რ-
ნში.

აბასთა (მომზვალი აფსუ, აფსარი) დამკვიდრებას კოლხეთის (ლაზეთის) ტერიტორიაზე, დიონსკურიის ჩრდილოეთ ზღვის პირას, ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნიდან ამტკიცებს შემდეგი ფაქტი : ნიკოფილის ეწოდება და მართვა ლაზიკა, რაც იმის დასტურია, რომ ლაზიკის (კოლხეთის) ჩრდილო საზღვრალ მიჩნეულია დიონსკურია. ეს ფაქტი დამოწმებულია პტოლემეს რუკაზეც.

შეორე მხარე დღევანდელი აფხაზეთის ავტონომიური ჩესპუბლიკისა არის მისიმდანეთი ანუ პტოლემეს რუკაზე გამოსახული სვანო-კოლხეთი.

(ინგოროვა 142) "მისიმიანეთის მხარე, როგორც გმორკვეულია, მდებარეობდა კოდორის ხეობაში.

მისიმიანეთის ტერიტორია ესაზღვრებოდა : სამხრეთის მხრით კოლხებს - ეგრისელებს; დასავლეთის მხრით აბსილებს (კორახ-აბსილთა ნარევ ტომს, რომელიც ენობრივად ამავე მეგრულ-ლაზურ შტოს ეკუთვნოდა); იღმოსავ-ლეთით სვანებს; ჩრდილოეთით საზღვარი იყო კავკასიონი (ქვეუხორის უღელ-ტეხილის ზონაში).

მისიმიანეთის ძველი სახელწოდებაა კოლაეთი (ბერძ. კოლი). ანტიკური ხანის წყაროებში აქ მოსახლე ტომს ეწოდება კოლნი ანუ კოლაელ-ნი.

შეორე სატომო სახელი ამ ტერიტორიაზე მოსახლე ტომისა მისიმიანი ჩვენ გვხვდება ოდრეულ შუა საუკუნეებში (მე-6-8 საუკ.).

ძველი აბორიგენული მოსახლეობა ამ მხარისა კოლხური ყოფილა. უფრო გვიან აქ მომხდარი ჩამოსახლება სვანებისა (მისიმიანებისა), ხოლო შემდეგ მომხდარაშერევა ამ ორი ტომისა - კოლხებისა და სვანებისა და წარმომდგარა ნარევი ტომი, რომელთაც ეწოდებოდა "სვან-კოლხები" ანუ "ეგერ-სვანები" (მეგრელ-სვანები).

(ინგოროვა 144) "სტრაბონი იმ ხალხთა შორის, რომელნიც ემხრობიან დიონსკურიის (სოხუმის) თემს - მოიხსენიებს სვანებს. სტრაბონის სიტყვით სკრინები "არიან პირველი ძალითა და ძლიერებიც (პონტოს მთიელ ტომთა შორის)". ისინი "მბრძანებლობენ ყველა გარეშო ტომებზე" და "უჭირავთ კავკასიონის მთიანი მხარე, რომელიც აღმართულია დიონსკურიის ზემოთ"."

(ინგოროვა 145) "ამრივად თუ შევაწამებთ ყველა იმ ცნობას, რომლებიც დაცულია საისტორიო წყაროებში მისიმიანეთის მხარის მოსახლეობის ეთნო-გრალიული შემადგენლობის შესახებ, ირკვევა შემდეგი :

ა. ძველი აბორიგენული მოსახლეობა ამ მხარისა - კოლაელნი, რომლებიც მოიხსენიებიან მე-6-4 საუკუნეებში ძველი წელთაღრიცხვისა (პერატე მილე-ტელისა და სკილაქს კარიანდელის გეოგრაფიულ ტექსტებში) - ეკუთვნოდნენ კოლხურ შტოს.

ბ. შემდეგ ხანაში, არა უგვიანეს ძველი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნისა, აქ მომხდარა ჩამოსახლება სვანური ტომისა (სტრაბონი)

გ. უფრო ვეიან მომხდარა შეჩევა ამ ორი ტომისა კოლხებისა და სეპონებისა და წარმომდგარა ნარევი ტომი : სვან-კოლხები ანუ ეგერ-სვანები, მეზრები სვანები (კლავლი პტოლემე, უავსტოს ბიზანტიელი)...

შესლებისათვის

აგათია სქოლასტიკოსი აღნიშნავს, რომ მისიმიანი “კოლხთა (ლაზთა) მეფის ქვეშვერდომნი არიან, მსგავსად აფსილებისა, ხოლო გამსხვავებულ ენაზე ლაპარაკობენ და სხვა კანონებს მისდევენ”.

ა აგათია სქოლასტიკოსის ცნობის მიხედვით, აფსილები (ე.ი. აფსილების შზარეში მოსახლე მესხ-კოლხთა ნარევი ტომი) ენის მიხედვით, საფიქრებელია, არ განსხვავდებოდნენ კოლხებისაგან (ვეგრელ-ლაზებისაგან), ხოლო რაც შეეხება მისიმიანებს (ე.ი. მისიმიანეთში მოსახლე სვან-კოლხთა ნარევ ტომს), მათი ენა, როგორც პირდაპირ აღნიშნავს ავათია, არ იყო კოლხური (მეგრულ-ლაზური), ამის მიხედვით მისიმიანეთის მხარის ენა ყოფილა ან სვანური, ან ადგილობრივი მისიმიანური დიალექტი, რომელიც სვანური და შეგრული ენის შეჩევის ნიადაგზე წარმოშობილა”.

მესამე მხარე დღევანდველი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა გაბ-ლავთ აფშილეთი (ლალიძგილან კლასურამდე) და ოდიშის ნაწილი ქრისტიანი ლალიძგამდე) მსგავსად გურიისა (გურია დღევანდველი, აჭარა და რიხეს შზარე), რომელიც შუაგული (=გური) ტერიტორია გახლდათ სამეგრელოსა და კანეთს შორის, ასევე აფშილეთი (რომელ სახელწოდებასაც ბერძნებიც და ლათინებიც ასონიშანი “შ”-ს უქონლობის გამო აფსილეთად მოიხსენიებენ) შუაგული ადგილი გახლდათ აფსარებსა (აბასებსა) და სამეგრელოს შორის, ამდენად, მას ასევე აფსართა და მეგრულთა მიერ “შუა სოფელი”-თ მოიხსენიებოდა. უნდა გავეცნოთ ვრცელ ამონწერს პ.ინგორიოვას “გორგი მერჩულედან”, რომელ-შიც მოყვანილი ფაქტები უნდა იცოდეს საქართველოს ისტორიით დაინტე-რესებულმა ყველა პირმა.

(ინგორიოვა 132) “შუა სოფელი” (ტერიტორია მდინარე ეგრისწყლიდან ვიდრე კელასურამდე, მოევის და დრანდის თემები).

ანტიკურ ხანაში (დაწყებული შე-6 საუკუნიდან დედი წელთაღრიცხვისა) და აღრეულ საშუალო საუკუნეებში მოსახლეობა ამ მხარისა კუელა არსებულ წყაროებში ნაჩვენებია კოლხები - ლაზები.

იბ. ჰეკატე მილეტელი (შე-6 საუკ. ძვ. წ.), SC.I,გვ.2

სკილაქს კარიანდელის სახელით წარწერილი ძეგლი (შე-4 საუკ. ძვ. წ.). SC.I,გვ.85-86 სტრაბონი (I საუკ. ძ. წ.), SC.I,გვ.135

პლიონის სეკუნდე (I საუკ. ძ. წ.), SC.II,გვ.178-179

არიანე (134 წ. აბ.წ.), SC.I,გვ.221-222

კლავდი პტოლემე (შე-2 საუკ. ძ. წ.), SC.I,გვ.240,247

ანონიმი გეოგრაფიი (შე-5 საუკ. ძ. წ.), SC.I,გვ.275

ანონიმი გეოგრაფოსი (მე-5 საუკ. აბ.წ.) პერიპლუსში წერს :

“დიოსკურიიდან ანუ სებასტოპოლიდან [თანამედროვე სოხუმი], კოფუტ
აფსარამდე [თანამედროვე სარფი ბათუმის რაიონში, მდ. კორონქეს-მაშავე
ხრეთით] - სახლობს ხალხი, რომელსაც ეწოდებოდა კოლხი, და რომელსაც
ამ ეამად გადარქმეული აქვს სახელი როგორც ლაზი” [იბ. SC.I.გვ.275,248].

მე-7 საუკუნის ავტორის თეოდოსი განგრელის ცნობების მიხედვითაც ეს
კუთხე საკუთრივ ლაზიების ნაწილია. აქ სოფელ მოქვის სანახებში, მდებარე-
ობდა ერთ-ერთი ჩაზიდვნცია ლაზიების მთავრის - პატრიკიოსისა (ამ ჩაზი-
დენციის სახელწოდება იყო “ჭიხა-ხორა”).

როგორც ამ პერიოდში, მე-5-7 საუკუნეებში (რომელიც უშუალოდ წინ
უწირებდა დასავლეთ საქართველოს “აფხაზეთის სამეფოს” დაარსების ხანას),
ასე ამის შემდეგაც, მთელ საშუალო საუკუნეთა მანძილზე, ამ მხარის მოსახ-
ლეობა ჭართულია. ეთნიკური ცვლილებანი ამ მხარეში მოხდა ახალ საუ-
კუნეებში, მე-17 საუკუნის მეორე ნახევრიდან მოკიდებული...

ჭართველი ისტორიკოსისა და გეოგრაფოსის ვახუშტი ბატონიშვილის
ცნობებიდან ირკვევა, რომ მე-17 საუკუნის პირველ ნახევრში ჭართული
მოსახლეობა იყო არა მხოლოდ “შუა სოფლის” მხარეში (ე.ი. მოქვისა და
დრანდის თემებში), არამედ ჭართველებით დასახლებული იყო ასევე ცხუმის
(სონუმის) რაიონი, რომელიც ამ ხანაში ღილაშთან არის დაკავშირებული.
ოდიშის ფარგლებში შემავალი ჭართული პროვინციის - ცხუმის (სუხუმის)
რაიონის კაზლვარი ამ დროს აღწევდა ვიღრე ანკოფის ზონამდე (თანა-
მედროვე ახალი ოთონი).

უაღმესად საყურადღებოა აგრეთვე ცნობები, რომლებიც დაცულია უც-
ხოურ წყაროებში ამ მხარის მოსახლეობის შესახებ მე-15-17 საუკუნეებში.

იტალიურ რუკებზე მე-15 საუკუნისა (რუკა ბენინჯაზისა - 1480 წლისა და
კ.ცირილუქისა - 1497 წლისა) ნავთსაღგური მღინარე კელასურის შესართავთან
მოიხსენიება სახელწოდებით Puerto Mengrelo. მე-15 საუკუნისათვის (ისევე
როგორც ამის წინა პერიოდებში საშუალო საუკუნეთა მანძილზე) ეს მხარე -
“შუა სოფელი”. ეგრისის ნაწილს წარმოადგენდა და დასახლებული იყო
მეგრელებით, რის გამო კელასურის ნავთსაღგურსაც ეგრისის ანუ მეგრელთა
ნავთსაღგური ეწოდებოდა.

მე-17 საუკუნის უცხოელი ავტორებიდან ცნობები “შუა სოფლის” მხარის
მოსახლეობის შესახებ დაცული აქვთ თურქ მოგზაურს ევლია ჩელების, ევ-
როპელ, ავტორებს ლუი გრანიეს, პატრ იოანეს, არქანგელო ლამბერტის,
დონითერს პატრიარქს, შარლენს, რუს ელჩებს ფელიტ ელჩინსა და პავლე
ზახარიევს.

უაღრესად საყურადღებოა ცნობები თურქი მოგზაურის ევლია ჩელებისა, რომელმაც 1641 წელს მოვლო შევი ზღვის სანაპირო. ევლია ჩელების ცნობებიდან ირკვევა, რომ ქართული ენა (მისი მეტყული დიალექტი) მოსახლეობის დედა-ენას შეადგინდა არა მხოლოდ „შუა სოფლის“ მხარეში (მოქვისა და დრანდის რაიონებში) და ცხუმის (სუხუმის) რაიონში, არამედ ქართული [მეგრული] იყო მოსახლეობის დედა-ენა აფხაზეთის სამთავროს ძირითად ნაწილში, ჩაის (საშერვაშიძეოს) რაიონში. ევლია ჩელები წერს : „მთავარი ტომი აფხაზეთში არის ჩაი, რომელიც ლაპარაკობს იმავე მეტყულით, რომელიც ხმარებაშია. ფაშის იმიტრ მხარეს“. ეს ძირითადი მხარე აფხაზეთის სამთავროსი - ჩაის თემი - არის საშერვაშიძეო, სახელდობრ მხარე, რომლის ცენტრი იყო დაბა ლიხნი, და რომელიც მოიცავდა თანამედროვე გუდაუთის რაიონის ტერიტორიას, ანაკოფიის (ახალი ათონის) სექტორიდან მოკიდებული ვიდრე ბზის ნაცისადგურამდე (მდინარე მიტიშის ხეობამდე).

ამრიგად ეს უაღრესად მნიშვნელოვანი ცნობა მე-17 საუკუნის პირველი ნახევრის თურქი მოგზაურის ევლია ჩელებისა, რომელმაც პირადად მოიარა აფხაზეთის მთელი სანაპირო, საცხებით ადასტურებს და აცხებს იმ ცნობებს აფხაზეთის მხარეთა მოსახლეობის შესახებ მე-17 საუკუნის პირველ ნახევრში, რომელსაც გადმოვცემს ქართველი მეცნიერი ვახუშტი ბატონიშვილი.


მე-17 საუკუნის ეცროპელი ავტორებიდან ამავე ხანას, მე-17 საუკუნის პირველ ნახევრას, ეხებიან ლუი გრანჟი და პატრი იოანე.

ლუი გრანჟის მოხსენება, როგორც ცნობილია, დაწერილია აქვე, „შუა სოფლის“ მხარეში, მოქვში (იგი ასეა ხელმოწერილი : „მოქვი, სამეგრელოში, 2 მარტს, 1615 წელს“)

პატრი იოანეს მოხსენებაში (1629 წელს) აღნიშნულია, რომ ოდიშის საზღვაორი მის დროს აღწევდა ძველი ქალაქის სკისორნუმის ზონამდე, ე.ი. ანაკოფიმდე. ამრიგად, პატრი იოანეს დასახელებული აქვს იგივე საზღვაოს წაზი, რაც ვახუშტი ბატონიშვილს. პატრი იოანეს ცნობის მიხედვით ოდიშთან დაეკავირებულ ამ სექტორში, ე.ი. ცხუმის (სუხუმის) თემში და „შუა სოფლის“ მხარეში ქართული მოსახლეობა იყო.

1638-40 წლებში „შუა სოფლის“ მხარეში, მოქვისა და დრანდის თემები, მოიარეს ჩუსხეთის ელჩებმა ფედოტ ელჩინმა და პავლე ზახარიივემა, რომელთაც ცნობებითაც ეს კუთხე, „შუა სოფლის“ მხარე, ოდიშის ნაწილს წარმოადგენს. უაღრესად საყურადღებოა და მნიშვნელოვანი ცნობები არქანჯელო ლაშტერტისა, რომელმაც ათეული წლები დაპყო სამეგრელოში.

არქანჯელო ლაშტერტის ცნობების თანახმად მე-17 საუკუნის შუა წლებისათვის ჩრდილო-დასავლეთი პოლიტიკური და ეთნიკური საზღვაოს ოდიშისა იყო მდინარე კოდორისა და დრანდის ზონა. არქანჯელო ლაშტერტის ცნობათა მიხედვით ირკვევა, რომ საზღვრის ხაზი ამ დროს გასდევდა ფანავის-



1909

ქედს, აღგებოდა კოდორის შუა წელს წებელდასთან, მიჰყვებოდა კოდორის /
ლრანდის სექტორამდე, ხოლო შემდეგ გადადიოდა კოდორის მარჯვენა მხარეზე
რეზე და აღგებოდა შავ ზღვას ლრანდის თემის დასაცლეთით.

მე-17 საუკუნის ორმოცდაათიან-სამოცდაათიან წლებში ამ მხარეში -
“შუა სოფელში” - იყვნენ დოსითეოს პატრიარქი და შარლენი (დოსითეოსი
ჩავიდა “შუა სოფელში” 1658 წელს, შარლენი - 1672 წელს). ამ ავტორების
ჩვენებითაც “შუა სოფლის” მხარე, კოდორის ჩეგიონი, ოდიშის ნაწილს
წარმოადგენდა.

ასეთია ის ცნობები, რომლებიც ჩვენ საისტორიო წყაროებში მოგვეპოვება
ამ მხარის - “შუა სოფლის” - შესახებ და საიდანაც იჩვევა, რომ მოსახ-
ლეობის ეთნიკური შემადგენლობით “შუა სოფლის” მხარე ქართულ ქვეყანას
წარმოადგენდა როგორც ანტიკურ ხანაში, ისე საშუალო საუკუნეებში და
ახალ საუკუნეთა დასაწყისში”.

ამ ვრცელ მონაწერს პ.ინგოროვას ნაშრომიდან შეიძლება დაემატოს,
რომ ჩვენი ანისტორეზიის (ისტორიის უცოდინრობის) გამო სამურჩაყანოდ
წოდებული მხარე ოდიშისა 1813-1840 წლებში ლუვან V დადანის ეპურა, სამეგე-
რელოს სამთავროს გაუქმების შემდგომ სამეგრელოს მმართველს ეპვებ-
დებარებოდა. 1864 წლიდან სოხუმის სამხედრო განყოფილების შემად-
გენლობაში იყო.

ჩვენს მტკიცებათა დაგვირგვინებაა ფრანგი მეცნიერის ქან ელიზე რეკლიტს
1905 წელს ს.პეტერბურგში გამოცემული მრავალტომეულის „Человек и
Земля“-ს პირველი ტომის 443 გვერდზე მოცემული დასავლეთ კავკასიის
რუქა, სადაც ტერიტორია სოხუმსა და ენგურს შორის გამოცხადებულია
სამეგრელოდ.

შევაფროთ ჩვენი წარმოლგნა დლევანდელი აბხაზეთის ავტონომიური
რესპუბლიკის ტერიტორიაზე მაცხოვრებელ ხალხთა ისტორიულ წარსულზე,
დავიწყოთ მსჯელობა აპიანეს ცნობით :

(მაკალა-ათარი 19) “რომაელ მწერლის აპიანეს (I ს.ძვ.წ.) მოწმობით : “მით-
რიდამ დაიმორჩილა მრავალი მეზობლად მყოფი ტომები, მათ რიცხვში
გულადი ტომი კოლხებისა, რომლებიც ცხოვრობენ შევი ზღვის პირასაო”
(ლათ., I, 2. გვ.526). სტრაბონის ცნობით, მითრიდატი მას შემდეგ, რაც
კოლხეთი მის ხელში გადავიდა, ამ ქვეყნის გამგედ ან მოურავიდ ნიშნავდა
ვისმე თავის მეგობართაგან, მათ შორის იყო, ამბობს სტრაბონი, აგრეთვე დედი
ჩემის ბიძა (პაპი ჩემის ძმა) მოაფერნო. (ლათ., I, 137).

მაგრამ მითრიდატის ბატონობა დიდხანს არ გაგრძელებულა კოლხეთში.”

როგორც ვიცით კოლხეთი აუჭინყდა მითრიდატს. ამ აჭანყებით კოლხეთი
რომის მოქავშირე ხდება. პომპეიუსის პონტოში, პაიასტანში, იბერიაში, ალ-

ბანეთში და კოლხეთში ძლევამოსილი ლაშქრობების შემდგომ ძ. წ. 65

წლიდან კოლხეთი რომის იმპერიის გამგებლობაშია :

(მაკალათია 20) “რომაელებმა აქ შეფერ დააყენეს არისტარჩი, რომელიც ფულსაც სჭრიდა ასეთი წარწერით : “კოლხეთის შეფერ არისტარჩისა”.

სტრაბონის ცნობით კოლხეთი დაყოფილი იყო ხუთ სამართველო მხარე-ებად (სკეპტიკი): ბიჭვინთის, დიოსკურიის, ფაზისის, სარაპანის და ტრაპე-ზუნტის. ე.ი. რომაელებმა თავდაპირველად გააერთიანეს ზედა და ქვედა კოლხეთი.

(მაკალათია 20) “მაგრამ კოლხეთი რომის ბატონობას უჩინობდა და როდე-საც რომის ძლიერი მეტოქე ძალა გამოუწინდებოდა, იგი, მზად იყო განდგო-მისათვის, იულიუს კეისრის (48 წ.ძ.წ.) დროს კოლხეთი გამდგარა და რო-მაელებს იგი ზელმეორედ დაუპყრიათ (ლატ., II, 618-620).“

(მაკალათია 22) “ბოლო რომ მოეღოთ კოლხების მხრივ მოსალოდნელ განდგომისათვის, რომაელებს აქცი მიუმართოვთ თავიანთ ნაცად ხერხისათვის “divide et impera” - დაყავი და იბატონე. არიანეს აღწერის მიხედვით 134 წელს აღრიანე კეისრის დროს კოლხეთში ოთხი პატარა სამეფო ყოფილა : ლაზთა სამეფო შავი ზღვის აღმოსავლეთის სანაპიროზე, მის ჩრდილოეთით აფშილების სამეფო იყო, ამაზე ჩრდილოეთით კი აფხაზთა [აბასთა] და ამაზე უთრო ზევით სანიგების ან სანებრი, სამეფო მდებარეობდა (ლატ., I, 22).

ამგარად, თუ პომპეიუსის შემოსვლამდის კოლხეთი წარმოადგენდა ერთ სამეფოს, სადაც მეფობდა არისტარჩი, უკვე 134 წ. ახ. წ. ამავე კოლხეთში აღმოცენებულა ოთხი სამეფო, რომელსაც ოთხი მეფე თურმე განაცემდა.

არიანეს მოხსენებიდან ისიც იჩვევა, რომ ოთხივე მეფეს ხელისუფლება მიღებული და დამტკიცებული ჰქონდა რომის კეისრისაგან და მათ შორის წინანდელ კოლხეთის მეფის მსგავსად უპირატესობა არც ერთს არ ჰქონია. შართალია, აქ მოხაზლე ტომებს შორის რომის ბატონობის პერიოდში დაწი-ნაურდნენ ლაზები, მაგრამ აფშილების, აფხაზების [აბასების] და სანიგების მეფეებს თავიანთი ხელისუფლება ლაზთა მეფისაგან კი არ ჰქონიათ მიღებული, არამედ რომის კეისრისაგან, რომლისგანაც თვით ლაზთა მეფეც ყოფილა დამტკიცებული. ანტონინე კეისარს ლაზებისათვის მეფედ თურმე ბაჟური დაუნიშნავს (ი.გავაპიშვილი, I, 179). ამასთანავე საყურადღებოა, რომ არიანეს აღწერილობაში კოლხები არც კი არიან მოხსენებულნი”.

მ ცნობებიდან გამომდინარეობს შემდეგი მოსაზრება : ძველი წელთაღ-რიცხვის I საუკუნისათვის კოლხეთს, მითრიდატულ ომებთან დაეკვირებით მძიმე პერიოდი უდგას, მას წერ მითრიდატი იმორჩილებს, მხოლოდ შემდგომ იგი მოექცევა რომის იმპერიის გამგებლობაში. თუ თავდაპირველად რომი აღადგენს კოლხეთის ერთიან სამეფოს (არისტარჩი), კოლხთა აჯანყებების

შემდგომ მიმართეს - “დაყვი და იბატონე” -ს პრინციპს. არიანეს ცნობითი ნიკოფილის (ტუაფსეს) ეწოდება “ძველი ლაზიკე”, ე.ი. ლაზთა (კულტურა) საზღვარი აღწევდა ადრე ნიკოფილის, ხოლო ამ ტერიტორიაზე მას ჭურავებული ჰყავს ლაზთა, აფშილთა, აბასგთა (აფსართა) და სანიგოთა თანასწორ-უფლებიანი სამეფოები. ეს გახლავთ ახსნა იმისა, თუ როგორ შეძლო ჩვ.წ. I საუკუნისათვის აღილეურმა ტომშა “აბაზა” -მ (აბასგი) თავისი სატომო სახელ-წოდების დამკაიდრება კოლხთა ტერიტორიაზე. ე.ი. მათ გაითვალისწინეს რომის იმპერიის ინტერესები კოლხეთის წინააღმდეგ ბრძოლაში და მიიღეს სამეფო კოლხეთის მიწა-წყალზე. ანალოგიური მოვლენებიც ვითარდება ჩვენს თვალწინ. არაეავკასიური წარმოშობის ოსებმა, ემსახურენენ რა რუსეთის იმპერიის ინტერესებს, შეიქმნეს სახელმწიფო წარმონაქმნი კავკასიაში და თუ ისინი შემდგომ შეძლებენ კავკასიელთა ინტერესების გათვალისწინებასაც, შესაძლოა მოშავალმა თაობებმა იჩილონ ოსეთის დამოუკიდებელი რეს-პუბლიკა.

მასიურად აღილეველთა გადმოსვლა კოლხეთში პირველ საუკუნეზე ადრე არ ფიქსირდება. სტრაბონი (ძვ. წ. 64-63 - აბ.წ. 23-24 წწ.) ბიქვინთას კოლხურ ქალაქად მიიჩნევს. აბასგებს ზევით კოლხეთის ტერიტორიას ნიკოფილმდე იყავებენ ასევე აღილეური ტომი “ზილქები” (ჭიქები). ამ აღილეურ ტომებს შორის შემდგომ ითვეითება კოლხური ტომი - სანიგები. ამ პერიოდიდან უნდა დაწყებულიყო ბუნებრივი პრიცესი - კოლხურ და აღილეურ კულტურათა ურთიერთ გავლენა (თუნდაც აღილეური ფენის გაძლიერება სვანთა შეტყველებაში).

კოლხური ენის გავლენით აბასებმა, რომლებიც დღესაც აბაზური ჯგუფის აღილეურ ენაზე მეტყველებენ, თავიანთი კოლხი შეზობლების აფშილების (აფსილების) სახელწილების მსგავსად, თავიანთ თავს წყალთან დაკავშირებული სახელწილება “აფსა” უწოდეს და ამ მხარეს “აფსნი”.

აფშილები მდებარეობდა დიოსკურიის ქვემოთ და ეს მხარე რომ ისტო-გრიკული სამეგრელო - ლაზიკა, ადასტურებს უკლებლივ ყველა ბერძენი ისტორიკოსი, რომლებიც აცხადებენ, რომ “დიოსკურიიდან აფსარამდე (სარტი, აფსირტე) ყაბლობს ხალხი, რომელსაც ეწოდებოდა კოლხი და რომელსაც ამჟამად გადარქმეული აქვს სახელი როგორც ლაზი”.

სამეგრელო-ლაზიკის ისტორიაში სამეგრელო-ლაზიკის განუყოფელი ნაწილის “აფშილების” მეტ ცალკე სამეფოს შექმნა არ არის ერთადერთი შემთხვევა, თუ არ ჩავთვლით ოდიშისა და გურიის სამთავროებს, სამეგრელო-ლაზიკის ისტორიის აბსროვს : კლარჯეთის სამეფო (ჭართველთა სამეფო), ტაოს სამეფო (სამხრითი სამეფო), ბერძინის სამეფო და იმერეთის სამეფო. უყვარ-დათ შეფობა კოლხებს!

სახელწოდება “აფშილთან” დაკავშირებით ჩვენ უნდა გავიცნობიეროთ
სატომო სახელწოდებანი, წარმოქმნილები პარმონიული, წყლის ოღმის შეცვლა
წყვილებიდან “ფს” და “ფშ”-დან, ძლიერი კოლხური ტრადიციაა : მათ დანართები
ქართველი აფსაროსი (აფსირტე) და აფსარი (აფსუ, აფსნი); აფშილეთი
(აფსილეთი) და ფშავეთი (აფშო).

VI საუკუნისათვის, როდესაც იწყება სამეგრელოს (საქართველოს) სამეფოს
აღორძინების ხანა, პროკოპი კესარიელი გვამცნობს :

(მაკალათია 37) “ზღვის პირას, ამბობს პროკოპი კესარიელი, აბაზები
მოსახლეობენ, რომელთა საბინადრო ადგილი კავკასიონის მთებამდე გრძელ-
დება. აბაზები ძველითგანვე ლაზების ქვეშვრდომი იყვნენ, ხოლო მუდამ
ჰყავდათ ორი თვისტომი მთავარი (გეორგია, გვ.103)...

ამათ შემდეგ (ლაზიკეში) შიდა ხმელეთში მოდის სკვიმია და სვანია, ეს
ტომები ლაზთა ქვეშვრდომები არიან. იქაურ მცხოვრებლებს მთავრებად
ჰყავდათ თვითტომთაგანი, ხოლო როდესაც მთავარს აღსასრულის დღე
მიადგება, მათ ჩვეულებრივ მეორე მთავარი ენიშნება ლაზთა მეფის მიერ”
(გეორგია, გვ. 96-97)...

ლაზთა შეფეხბი, ამბობს პროკოპი კესარიელი, ბიზანტიონში გზავნილნენ
ერქებს და მეფის თანხმობით უნათესავდებოდნენ დარბაზისგანთ და
მოჰყავდათ იქიდან ქალები ცოლებად” -ო (გეორგია, 126).“

ამ ცნობებიდან კეთდება მნიშვნელოვანი დასკვნა : VI საუკუნეში ლაზები
აკონტროლებენ ჩრდილო კოლხეთის ტერიტორიას აფსარეთის ჩათვლით.
როცა VI საუკუნეში თავს აძლევ უფლებას თქვა: “აბაზები ძველითგანვე
ლაზების ქვეშვრდომი იყვნენ”, - ეს ნიშანეს, რომ აფსარები სულ ცოტა ერთი
საუკუნე მაინც უნდა ყოფილიყვნენ ლაზების ქვეშვრდომნი, ანუ V საუკუ-
ნიდან მაინც. მრიგად, თუ გავიხსნებთ “რომის პაპის წერილებს” აფსარეთი
სანეგრელოს ემორჩილებოდა სულ მცირე IV საუკუნიდან 1460 წლამდე მაინც.
ე.ი. 11 საუკუნე. ამდენად, ჩვენ არ უნდა გავგიკერდეს, რომ 1641 წელს,
როდესაც თურქებმა უვლია ჩელებიმ მოვლო საშერვაშიძეო (ლიხნი) იმ დრო-
ისათვის შეგრული ენა აფსარებისთვის თითქმის მშობლიურ ენად იყო ქუელი.

მეორე დასკვნა : ე.ი. ლაზების შეფეხ V მაუკუნისათვის იპყრა აფსარეთი და
ეს ფაქტი უნდა ჰქონდეთ გაუკულმართებულად წარმოდგენილი ჩვენი
ისტორიის მწვალებლებს.

შესამე დასკვნა : II საუკუნეში რომის იმპერიის ძლევამოსილების უამს
კოლხეთი დაშლილია, ლაზეთი და აფსარეთი დამოუკიდებელი სამეფოებია,
ხოლო ჭ საუკუნეში, როდესაც კოლხეთი ბიზანტიის გამგებლობაში გადადის,
კოლხეთი ერთიანდება, ანუ ლაზიკას ემორჩილება მთელი ჩრდილო კოლხეთი.
ე.ი. ლაზებს საუკუთესო დამოკიდებულება გააჩნიათ ბიზანტიისთან (ისინი

ბიზანტიელ დიდებულებსაც უმოყვრდებიან. ბიზანტიელთათვის ლაშები წარმოადგენლენ კოლხეთის მეთაურ ტომს.

როცა 562 წელს ზავი დაიდო ბიზანტიისა და სპარსეთს შორის, უფრო უფრო გახდა სვანეთის საკითხი. ბიზანტიელები ამტკიცებდნენ, რომ სვანეთი ლაზიების ქვეშევრდომი ქვეყანაა და ლაზიებისთან ერთად ჩვენ გვეკუთვნისო. ბიზანტიის კეისრის საზაოვ ხელშევრულების წარმომადგენელი, პეტრე უმტკიცებდა სპარსეთის მეფეს ხოსროს : (მაყალათია 61) “ლაზებში, ბატონო, ძველი წესი იყო, რომ სვანეთის სარდალი ემორჩილებოდა ლაზის და შასთან ის აღრიცხული იყო სახარკო საზი და ლაზი კიდევაც იღებდა მისგან ფულერების ნაყოფს და ტყავებს და ზოგ სხვა რამესაც, ხოლო როდესაც სვანების შთავარი გარდაიცვლებოდა, ლაზების მეთაური ახელისუფლებდა მას, ვისაც უნდა მიელო და დაეცვა გარდაცვლილის ძალაუფლება. ამავე დროის ის წერილობით აცნობებდა რომაელთა თვითმკურნობელს მომზდარი ამბების შესახებ და ესეც სამაგიერო წერილით უბრძანებდა მას გაეგზავნა სეანთა მთავრობის ნიშნები, ვისოდისაც უნდოდა, მშოლოდ სვანი კი ყოფილიყო. ეს იყო ძალაში ჩვენი მეფის თეოდოსის დროიდან ვიდრე თქვენი პაპის პეროზისა და ჩვენი მეფის ლეონის დრომდე.”

ამ ცნობებით მტკიცდება, რომ ლაზი მეფეები უნიშნავდნენ შთავრებს როგორც სვანებს, ასევე აფსარებს იმპერიატორ თეოდოსის დროიდან (მართავდა 379-395 წწ.) ე.ი. IV საუკუნიდან და ამას უთანხმებდნენ ბიზანტიის შმართველებს ანუ გარკვეულწილად აქედან ის გამომდინარეობს, რომ ლაზი მეფეები ითვალისწინებდნენ ბიზანტიის ინტერესებს კავკასიაში. ამ ფაქტმა საბოლოოდ უნდა დაგვარწმუნოს ჩვენი აღრიცხული დასკვნის სისწორეში, რომ როცა 591 წ. სპარსეთის მეღემ “ხოსრო I-მ, სომებზე ისტორიკოსის სებეოსის სიტყვით, იბერიის მომეტებული ნაწილი ქ.თბილისამდე მავრიკი კიისარის გადასცა” იგივეა რაც - 591 წელს გავრიკი კიისარმა ლაზეთის (სამეგრელოს) გმეგებლობაში გადასცა დასავლეთ იბერიის მომეტებული ნაწილი არაგვანდე (მომავალი ქართლი). აქედან ის გამომდინარეობს, რომ დასავლეთ იბერიია არაგვამდე (მომავალი ქართლი) სადაც მეფობა, პროკოპი კესარიელის ცნობით, 523 წელს გაუქმდა, გახდა სამეგრელოს სამეფოს შემადგენელი ნაწილი 1460 წლამდე მაინც.

უნდა ვიცოდეთ : მომავალი ქართლის ტერიტორია IX საკუუნის განმავლობაში მაინც სამეგრელოს (აბხაზეთის) სამეფოს შემადგენელი საერისთავოა და ეს გახლავთ უპირველესი გამომწვევი მიზეზი ჩვენი ისტორიის მწვალებელთა თავდადაზოგადი მუდელობისა ყოველნაირად წაშალონ სამეგრელოს (აბხაზეთის, საქართველოს) წარსული.

VII საუკუნეში სამეგრელო იერთებს რიზეს მხარეს, VIII საუკუნეში
ტრაპიზონის მხარეს, IX საუკუნისათვის აღმოსავლეთ იბერიას. ამას დაუუკარის მატეთ კლარჯეთში (ასევე სამეგრელოში) წარმოშობილი “ქართველზე სამეგრელი” და ტაოს სამხრითი სამეფო. აქ უნდა გავვაძლენდეს : ბიზანტიის იყო ის აუცილებელი პირობა, რამაც შევაძლებინა კავკასიისათვის ესოდენ შესმტა-ბური სამეფოს შექმნა, ანუ მეორეჯერ გაერთიანდა დიდი კოლხეთი. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ არაბებმა ჩამოგვაშორეს რა სპარსეთის პრობლემა, უაღრესად დადგებითი როლი ითამაშეს ჩევნს წარსულ სინამდვილეში.

ლაზიკამ აფსარეთზე თავისი ძალაუფლების გავრცელებით კვლავ აღადგინა კონტროლი მის ისტორიულ - კოლხურ მიწა - წყალზე. ხოლო რაც შეეხება დიოსკურიას და ბიჭვინთას, რომლებიც აბასგთა (აფსართა) გამოჩენამდე აღრე ბერძნებმა ააშენეს, ლაზიკამ ბერძნენთაგან დაიპყრო. XI საუკუნეშიც, როდე-საც დიდიხანია აღრინდელ დიოსკურია-სებასტოპოლისს “ცუმი” ეწო-დებოდა, ბერძნები მოსახლეობის შინიშვნელოვან ნაწილს შეადგენდნენ :

(ი.გ. II, 122) “კონსტანტინეპოლის საპატრიიარქოს ეპისკოპოსთა XI ს. ნუს-ხები იმდროინდელ მდგომიარეობას სწორედ გვისურაოთებს, ირკვევა, რომ აფხა-ზეთის ერთი საარქიეპისკოპოსო საყდარი სებასტოპოლში მაშინაც კონსტანტინეპოლის მამამთავრის საწყისოს ეკუთვნოდა ვითარება ავტოკეფალი არქი-ეპისკოპოსი.”

ეს ბერძნეთი ავტოკეფალი საარქიეპისკოპოსო ბერძნთა საარქიეპისკო-პოსო გახდათ. დიოსკურია - სებასტოპოლისი - ცხუმი ოღითგან მდება-რეობდა აფსარეთის, მისიმიანეთის და აფშელეთის საზღვარზე. ეს ქალაქი კომუნისტურ წყობამდე, არასოდეს ყოფილა აფსართა დედაქალაქი. აფსართა ისტორიული ცენტრი - ეს ლიხნია და ამ ტრადიციის, მთადა სასახელოდ, დღესაც იცავენ. სოხუმი დღესაც სამი სხვადასხვა ისტორიული მხარის გასა-ყრჩეა და თუ ამ რესპუბლიკას მომავალი უწერია, ის უნდა ფედერაციული გახდეს.

სახელწოდება “აბხაზეთი” (“აფხაზეთი”) არ გამოხატავს ეროვნულობას. ეს სახელწოდება მიენართებოდა მეგრელებს მხოლოდ როგორც მეთაურ ტომს აბხაზეთად წოდებული გაერთიანებული სამეფოსი. აბხაზეთის სამეფოს სახელმწიფო ენა დროთა განმვლობაში ვახდა ქართული ენა. დამოუ-კიდებლად “აბხაზური” (“აფხაზური”) ენა არ არსებობს. ამ გაერთიანებაში გარდა ქართული ენისა იქმარებოდა აფსარული, სვანური, მეგრულ-ჭანური, მესხური, იბერიული, სანარული ენები და კილო-კავები.

კოლხეთის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე აფსარეთის, მისიმიანეთის, აფშილეთის გაერთიანების სახელწოდება “აბხაზეთი” (“აფხაზეთი”) ილიარე-ბაა იმ ისტორიული სინამდვილისა, რომ ეს მხარე თერთმეტი საუკუნე

განუყოფელი ნაწილი იყო სამეგრელოს ("აბხაზეთის") გაერთიანებული სამეფოს.

გამოთქმა სახელწოდებისა "აბაზი" არ არის სწორი. ჩუსი ისტორიულებობა აფხაზთა აბ სახელწოდებას გამოსთქვამენ ასევე შეცდომით "ახაზია". უზრა იყოს "აბაგია". ეს სახელწოდება აფხაზებს ეწოდებათ ბერძნული ენიდან "აბასუ" და უნდა იყითხებოდეს როგორც "აბას" -ი, "ანას" -ია. სახელწოდება "პელასგი" -ს ჩუსული ლექსიკონი სწორად გამოთქვაში:

Пеласгия-Пеласгия ე.ი. აბაგია-აბაგია

Пеласги-Пеласги-აბასგი-აბაგи

სახელწოდება "აბასგი" -ს დამახინებულად "აბაზი" -ად გამოთქმაში ჩადგებულია სურვილი მიამსგავსონ სახელწოდებები "აბასგი", "აბხაზი" და "აბაზა" ერთმანეთს, რაც მიუღებელია. თუ ბერძნებს არ გააჩნიათ ასონიშვანი "ზ" (ზეტა), ლათინებს გააჩნიათ ასონიშვანი "Z" (ზეტ), მაგრამ ისინი ("რომის პაპის წერილები") გამოსთქვამენ აფხაზთა სახელწოდებას როგორც "Abasiae" (აბასია) ანუ "აბასი" და რაც იდენტურია სახელწოდებისა "აბაზა" || "აბაზი" || "აბასი". სახელწოდება "აბხაზი" კი სულ სხვა ბუნებისაა. იგი წარმოქმნილია არაბული სიტყვიდან "აბპა" -დან. ამ სიტყვის გამოწერა კი შეუძლია ქართულ ენას, მაგრამ გამოთქმით ვერ გამოთქვამს, ანუ უჭირს მისი გამოყენება. ეს არაბული "აბპა" ქართულში და შემდგომ ასევე ჩუსულში დამკვიდრდა როგორც "აბხა" ("აბხა"). შემდგომ ამ სიტყვას დაემატა სპარსული ბოლოსართი "ზი" და განდა "აბხაზი" ("აბხაზია"). თვევნ ნახეთ თუ როგორ უჭირს ამ სახელწოდების გამოთქმა ლათინურ ენებს - Abkazia (აბჟაზია), Avogxia (ავგაზია), Abcazia (აბჟაზია), Avogazia (ავგაზია).

აფხაზებს რომ აბაზები ეწოდებოდათ და არა აბხაზები, მშვენივრად იციან რუსში ისტორიკოსებმა. მოგვივანთ ამონაწერს ზ. რატიანის წიგნიდან „წყაროთა ღარისებითი ანუ პირიქითი საქართველო“, გამოც. 1995 წ. გვ. 41.: „რუსში ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში ძალიან კარგად იციდა, რას წარმოადგნდა თეხაზეთი. ის რას წერდა ერთი უპირველესი ჩუსი ისტორიკოსი, ვასილ ტატიშევი: „Паче же мню, часть Мингрелии Северная, которую турки и Кабардины имяют Авхазос, наши древние именовали обезы... Ныне оной большую часть кубанцы наполняют“. ე.ი. ჩრდილოეთ სამეგრელოს თურქები და ყაბარდოვები ავხაზოს უწოდებდნენ, ჩვენი წინაპეტები კი ობეზებს [ქ.ი. აბაზებს. ქ.კ.] ეძახდნებო და ახლა მის მეტ ნაწილს ყუბანელები იჭერებო... ვ. ტატიშევმა თავისი ვრცელი გამოკვლევა „История России“ 1739 წელს წარდგინა ჩუსეთის აკადემიის და, ამდენად, მისი აქ დამოწმებული ცნობა XVIII ს. პირველი ნახევრის ვითარებას ასახავს. ვ. ტატიშევის მიერ კიდევ დაპყრობილი არ ჰქონდა და ჩუსეთში საქართველოს მიმართ აშენად არ ამ ულავნებდნენ დიდმაყრობელურ შოვინიზმს“.

მეგრული ენა



როდესაც დევბა ეამი გამრავლებისა, ოკანეში მონავარდე ორაგულებმა ფაქტა
ზაფხულობით მიაშურებენ თავიანთ საშო აღგილებს, მთის მდინარეთა მცირე
შენაკადებს და ყრიან ქვირითის. ხშირად საშშობლოსაენ მიმდინარე გზაზე
ელობებათ ხელოვნური წინააღმდეგობა, ადამიანთა მიერ აშენებული წყალ-
სატევების ჯებირები, ვერ ძლევენ ბეტონის კედლის სიმაღლეს და იღუპებიან:
ასევე უნაყოფოა ყოველგვარი ცდა ჩვენი საშშობლოს წარსულის ძიებისა
ქართული ენით მეოთხე საუკუნის იქით, ვინაიდან მეოთხე საუკუნეში, ქრის-
ტეანობის გასავრცელებლად ხელოვნურად შეიქმნა ქართული ენა და შესა-
ბამისად მეოთხე საუკუნის იქით ქართული ენა არ არსებობს.

საქართველო შეიქმნა (აღსდგა ძველი კოლხეთი) კოლხური ტოშების -
სვანების, მეგრელ-ვანების, ჭესხების, საარების და იბერიის გაერთიანებით.
იბერები ითვლებიან შემოსულ ხალხად კავკასიაში და ამ თეორიით ისე ჩანს,
თითქოს ისინი ისტორიული კოლხეთის დასავლეთ სანარებსა (მთიულებსა)
და მესხებს შორის შეკრილან. თუ ეს ასეა, მაშინ ისინი უნდა აღრეულიყვნენ
აღგილობრივი კოლხური წარმოშობის მოსახლეობაში, რომელიც შესაძლოა
წარმოადგენ და სანარებისა და მესხების ნარევ მოსახლეობას. ამის დამამტკი-
ცებელია ის ფაქტი, რომელსაც ჩვენ გავეცანით ურარტუს წარსულის მიშო-
ნილებისას - ყოფილი იბერიის ტერიტორიაზე, როგორც მთის, ასევე ბარის
მოსახლეობაში, დღესაც შემორჩენილია მეტყველებაში და სამეურნეო სიმ-
ღერებში ურარტული კულტურის გავლენა, ურარტუსი, რომელმაც გაა-
ნდგურა კოლხთა დიდი გაერთიანება დიამობი. იბერები აღმოსავლეთია ჩნდე-
ბიან ბევრად გვიან ურარტულთა მსოფლიო სცენიდან გასვლის შემდგომ,
ალექსანდრე მაკედონელის ლაშერობათა შემდგომ. იბერებს რომ გაექროთ
აბორიგენი მოსახლეობა, მათთან ერთად გაქრებოდა ყოველგვარი კვალი
ურარტულთა გავლენისა მეტყველებასა და სიმღერებში. კონსტანტინე პორ-
ფიოროვენეტი სახელწოდება „იბერია“ -ს X საუკუნეშიც შევაბსენებს, ბოლო
(ქ.ც.) ერთხელაც არ მოიხსენიებს. (ქ.ც.) -ის ავტორთა სურვილია წარ-
მოაჩინონ, რომ იბერიის ტერიტორია ოდითგან ქართლია. სინამდვილეში
იბერიისა და ქართლის შორის დიდი სხვაობაა. აქ ჩვენ ვგულისხმობთ იბერიის 523 წლამდე და ქართლს, რომელი სახელწოდებაც XV საუკუნის შემდგომ
წარმოიშვა. იბერიამ 523 წლითან დაყრჩა დამოუკიდებლობა, ხოლო 591
წლიდან მისი, ასე ვთქვათ, „მომავალი ქართლის“ ტერიტორია გაერთიანდა
სამეგრელოს სამეფოსთან და კოლხურ სამყაროში (სხვა კოლხურ ტოშებთან
ერთად) ცხრა საუკუნოების ერთიანი ცხოვრების შემდგომ შეიქმნებოდა დიდი
განსხვავება V საუკუნის იბერიისა და XV საუკუნის იბერიის შორის. ისინი

დიდი ხნის საერთო ქართული (კოლხური) ოჯახის წევრები არიან. მხოლოდ ამით აიხსნება „რომის პაპის წერილებში“ ფრაზა : „ბაგრატი იბერითა, რომელიც აწ ქართველებად იწოდებიან“. ე.ი. „ჩვენ აღრე იბერინი გვერდვა-ცირკა ყავით“ მაგრამ უკვე ქართველები ვართო“. ამის გამოც დაარქვეს თავიანთ მხარეს სახელწოდება „ქართველს“ მიმსგავსებული სახელწოდება „ქართლელი“.

სადღეისოდ საქართველოს ფასეულობებში (არქიტექტურა, სიმღერა, მწიგნობრობა, ხალხური ზეპირსიტყვიერება) არ შეიმჩნევა რაღაც გამოიჩინა, განცალკევებული ზოგად ქართული (კოლხური) ტრადიციებიდან, რომელიც რაიმეთი მაინც მივანიშნებდეს განსხვავებულ იბერიულ კულტურაზე. თუმცა ამ ფაქტში უნდა განვითარდეს ჩვენი შოსაზრება : იბერები თუნდაც კოლხეთში გვიან შემოსული ტომი იყოს, ისინი უმტკიცნეულოდ ჩაწერინენ საერთო კოლხურ სახლში, როგორც საერთო მცირეაზიური კულტურის მატარებელი ხალხი.

ყოველი ერის ისტორიაში სალიტერატურო ენის შექმნა იწყება რომელიმე ტომის დიალექტის საფუძველზე და საქართველოში სალიტერატურო ენა შეიქმნა სამეცნიელოში, კლარჯეთში. საწყისი ფორმულა გახდათ : ლაზური (მეგრული+ბერძნული) + [ბერძნული+ლათინური (ბერძნულ-ლათინური გრამატიკის გამოცდილება)]. ქართული ენის შექმნისას ბერძნულ-ლათინური გრამატიკის გამოცდილების გათვალისწინება არის მიზეზი იმისა, რომ ქართული ენა მიაგავს კილეც კავკასიურ ენებს და თან განსხვავებულია. ი. გავახიშვილი, როცა განიხილავს ჩვენი ერის ნათესაურ კავკასიელ ერებთან, უნდებურად ძირითადად მეგრულ-ჭანურ და სვანურ ენებს ეყრდნობა.

სალიტერატურო ენის შემდგომი განვითარების პროცესს მეტად ხატოვნად გამოსახავს ა. ჩიქობავა და ურიგო არ იქნება თუ გავიმეორებთ :

(ჩიქობავა. 114)) „სალიტერატურო ენა იქმნება გარკვეული დიალექტის საფუძველზე. მაგრამ იგი სავსებით არაა თანხვდენილი არც ერთ დიალექტთან (თუნდაც საორიენტაციო დიალექტთანაც). თვით შექმნის მომენტშიც კი სალიტერატურო ენა ერთგვარად სცილდება ძირითადი დიალექტის, ამ მთავარი მასაზრდობელი წყაროს ფარგლებს. შემდგომი განვითარების პროცესში კი სალიტერატურო ენა ითვისებს სხვა დიალექტების მასალასაც. განსაკუთრებით ეს ეხება ლექსიკას : სალიტერატურო ენის საკიროებას ერთი დისლექტის ლექსიკური მარაგი ვერ დაამაყოფილებს, კონკრეტულ ცნებათა აღმნიშვნელი საჭირო სიტყვები სხვა დიალექტებშიც შეიძლება აღმოჩნდეს და მისი შემთანა სალიტერატურო ენას გაამდიდრებს.“

მტრიგად ქართული ენა იშვა კლარჯეთში, თორემ ფეხი იღვა და დალვინდა სრულიად საქართველოში. მის ჩამოყალიბებაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კველა კუთხემ და დღეს ჩვენს თავს ქართველებს უცწოდებთ, ხოლო ჩვენს ქვეყანას საქართველოს მხოლოდ იმის გამო, რომ ქართული ენა საერთო

ეროვნული ინტერესების მატარებელია. განვაგრძოთ ქართული ენისთვის მეცნიერებული ენის მნიშვნელობის ძებნა. ჩვენი წერილის ნაწილი "მეცნიერებული მრავალწახნაგოვანი კულევის მომცველია და გავყოთ რამოდენიმე ქვეთშემდეგი მომცველია".

I. ძველი ქართული ენა

რაღგანაც წინა დასკვნებილია გამომდინარე ვთვლით, რომ ჩვენამდე მოღწეული ისტორიულ-ლიტერატურულ წყაროთა უმეტესობა მიინც XVII-XVIII საუკუნეთა შემდგომ გადაკეთებულია (შერევნილია), ძველი ქართული ენით მეტად გვხვდების ეტალონად ვკრწმუნოთ ქართული არქეოლოგიისა და ქართული ენის წარსულის ისეთი შეუფასებელი ძეგლი-აღმოჩენა, როგორიც გახლავთ ანისის ქართული წარწერა.

(ქ.ს.ე. 466) "ანისის ქართული წარწერა 1218 წ. საქართველოს კათალიკოსის ეტივანეს განაჩენის ტექსტი, რომელიც მოთავსებული ყოფილა ანისის ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის კედელზე. აღმოაჩინა ნ.მარმა 1910 წ. ანისის არქეოლოგიური გათხრების დროს. განაჩენი გამოტანილია ანისის მართლმადიდებელ მისახლეობასა და ანელ ხუცესთა მორის ატებილი დავის გამო. წარწერა მოვაითხობას, რომ დავა გამოიწვია ანისის სამღვდელოების მიერ ანელი მართლმადიდებელი ქართული და სომხური მრევლისთვის საეკლესიო მისაუმელთა (ჯვრისწერისას, ნათლობისას, წესის აგებისას) გადიდებამ. უკმაყოფილ მრევლი პროტესტის ნიშნად ზოგჯერ წირვა-ლოცვასაც აღარ ესწრებოდა. გამწვავებული ურთიერთობის მოგვარება სცადა საქართველოს კათალიკოსმა ეტივანემ. იგი იძულებული გახდა დაევმო ხუცესების საქციელი და შეეცირებინა საეკლესიო მისაუმელთა ოდენობა. ეტივანეს განაჩენს ხელს აწერს ანისის სომხეთი გვისკოპოსი გრიგოლი და ქალაქის ამირა ვაპრამი.

ანისის ქართული წარწერა იმდროინდელი სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობის მნიშვნელოვანი წყაროა.

ანისის წარწერა მსგავსად "რომის პაპის წერილებისა" არის ჩვენი ისტორიის მშვალებელთა მიერ ხელუხლებელი ძეგლი. ეს წარწერა უნდა ჩაეთვალით ეტალონად სულ მცირე X-XIV საუკუნეების ქართული ლიტერატურული წყაროების შესძოწმებლად და ამდენად ამ ტექსტს უზღა გავეცნოთ გამორჩეული ყურადღებით. ამ ტექსტში თითოეული ასოს გამოყენებას აქვს ჩვენთვის მნიშვნელობა.

(ი.ჭ. VI.347) "ეტივანე კათალიკოზის 1218 წ. წარწერა :

“ტყუეს პმარ საღმრთოს : “უსასყიდლოდ მიგილიეს, უსასყიდლოდ მას-
ცემდით”. ესე იგი არს გეტყუეს || ლმერთი უკვდავი : ჩემდა რაღ-მეცნიერებელ
მადლისა მისუსა, რომელი ჩემგან მიიღეთ”. თქუენცა ჰყიდლით დიდშა || ჩა-
დლსა ჩემგან უსყიდულსა. უკუეთუ მე უსასყიდლოდ მომიცემიეს, არუა თქუენ-
გან ჯერ არს სყიდაზ ლოცახათა ერისა მიმართ. აწ, სასონო ჩემნო ანელნო
ხუცესნო, ნუ იქნებით დასაბრეულებელ||სიტყუათ და ნუცა გარდაპდებით მო-
ცეიულთ მცენებასა. ცუდისა და წარმავლისათუს, ყოვლად უწესო||[ო] არს
აღებაზ თქუენგანცა გურითხევისათუს ასისა დრამისა...||... არსთ
ძალი ედვას, პური აჭამოს. ეგრეთვე მუცდრისათუს რომელი პირს...||... უფრო
შესჭირდების მისისა სულისა. ეგდენივე ასისა ტუილურისა მიეცეს და...||
პური აჭამოს და სხუაზ წალებაზ ძალისაებრად. ყოველი მისაცემელი
მღლელთა უბრკოლ ქებელი იყავნ თქუენდა მოსაცემლად. მეუღრნო ამისა
ქალაქისანო ქართველნო. რ...ცა...|იგი|||პირეულად დიდად პატიცემდით.
მღლელთაგან გიქმს ლირუვაზ და წირვაზ. ნუ გიწყინების მათთუს ძალი|||სასებრი
მისაცემელი. უფროსად მხიარულებით მისაცემლით თუნიერ დაჭირებისა,
რამეთუ მხია||[რ]|||სულებით მისაცემელი უყ<უ>არს ოპერალსა. და თქუენ
გიყ<უ>არდენ ვითარეცა მამანი სულიერნი და მათ უყ<უ>არულით ეკვითარეცა|||
შეიღნი სულიერნი. ლოცვასა ნუცა თქუენ დააკლდებით და ნუცა თქუენ.
ყოველსა ზედა უფროსად საღმრთოს |იგი|||სიყ<უ>არული ერთმანეთისა
მოიგეთ და ამით მიეცით სასურვო საღმრთოთა მცნებათაზ. ესე მე ეტიფე|||ანეს
კათოლიკოზესა ჩემითა ხელით დამიწერია, ოდეს ანის ეკლესიანი ვაკურთხენ.
ტფილური ასი დრამა|||იგი იყოს : დანგი ერთი გ მრეცეს. და ზროხის ტყავი
რომელ ერთობ წაგილია აქაზლის, აწ საწირავად|||ეს მისაცემლით თუთო შოლტს.
და ჩუენ საეკლესიოთა წესთაგან რა შეიცვალებით? ვინცა ესე ჩემი გა[გე]|||ბული
შეცვალოს, არ...ბრძანებაზ ლმრთისაგან. და მისთა წმიდათაგან ქორონიკონს
ჰლებ”.

მოუსმინეთ რაოდენ თვინიერი ქართულია.

ეტიფანე კათალიკოსის წარწერა დათარიღებულია 12:18 წლით, ანუ თამარ
დედოფლის გარდაცვალების შემდგომ მხოლოდ ბუში წელია გასული. არ არის
საჭირო იყო ქართული ენის სპეციალისტი იმის დასადგენად, რომ წარწერის
ენა და “ვეზნისტყაოსნის” ენა მკაფიორად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.
ანისის წარწერის ენა საქართველოს დასაცვლელისათვის დამახასიათებელი
კილოკავების მატარებელია: “უსასყიდლოდ შიგილიეს”, “მომიცემიეს”,
“გიცემიეს”, “შოცეციულთ”, “დიდათ პატიცემდით”, “ერთობ წაგილია აქაზ-
დის”, “რა შეიცვალებით”. არც ვევრისტყაოსნისათვის”, არც (ქ.ც.)-ისა და
არც სხვა ისტორიული წყაროების ენისათვის არ არის შესამჩნევი ასეთი ძლი-

ერი გამოვლენა საქართველოს დასავლეთისათვის მახასიათებელი სიტყვების
და გამოთქმებისა (XIII საუკუნეში).

დროებით შევწყვიტოთ მსჯელობა ქვა-წარწერის გარშემო, რენაისტილი
მუდამ იქნება ჩვენი ყურადღების ცენტრში როგორც ეტალონი X-XIV საუ-
კუნის ქართული მეტყველებისა და საჭიროების შემთხვევაში მოვიხმობთ რო-
გორც უტყუარ საბუთს.

○

II. მეგრული ენის ლექსიკა და “ვეფხის ტყაოსანი”

მეგრული ენის ლექსიკაზე, მის ბუნებაზე წარმოდგენას შეგვიძენის მ.ძადა-
მიას “მეგრული ლიალექტის” მოკლედ გაცნობა.

(ძადამია 1.11) = მ.ძადამია. ორტომეული “მეგრული ლიალექტი” გამოც. 1991
წ. ტომი I. გვერდი II. “ქართულისაგან განსხვავებით მეგრულს გააჩინია” ს და
“გ” ბეგრები, რომლებიც აღნიშვნული ნიშნებით გამოიხატებიან (ეს ბეგრები
აუცილებელია სვანური და სხვა კავკასიური ენებისთვისაც): ამასთან, მსგავსად
ძველი ქართულისა, ავევ გამოიყენებიან “გ” და “გ” ბეგრებიც. მათგან, “ს”
წარმოადგენს თანხმოვანს, “გ” ნახევრადგენვანს, “გ” და “გ” - ხმოვან-
თანხმოვნებს.

“ს” ბეგრა მეგრულში, ისევე, როგორც ქანურში, საქმაოდ ხშირად გამო-
იყენება. ასე მაგალითად : “სუდე” (სახლი, საყუდელი), “სალა” (ცოფიანი),
“სვილუა” (მოკვლა), “სიდირი” (ყიდვა), “სვალი” (ყველი), “სოროფა”
(სიწვარული), “სურაფი” (ყმუილი), “სუჭი” (ყური), “სუმური” (ტყემალი),
“სუნაფა” (წაყვანა) და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ ქართულის შესატყვის სიტყვებში მოცემული ბეგრა “ყ”
მეგრულში ხშირად იცვლება. “ს”-თი, რაც აქ წარმოდგენილი მაგალითების
შიხედვითაც ნათლად ჩანს და მის წარმომავლობაზეც ნათლად მიუთითებს.

განსაკუთრებით ხშირად გვხვდება მეგრულში ნახევრადგენვანი “გ”. იგი
უმეტესად თავს იჩენს თანხმოვნებთან და ასრულებს მათი შემარბილებლის
ფუნქციას...

“გ” ბეგრა ვიწროხმოვან “ი” და “უ” ბეგრებისაგან არის წარმოშობილი
[უფრო სწორი იქნებოდა : “გ” ბეგრა ერთდროულად შეიცავს “ი” და “უ”
ბეგრებს და სიტუაციიდან გამომდინარე აძლევს უპირატესობას ერთ-ერთს]

ასე მაგალითად : “წი”-საგან წარმომდგარა “წვ”, “გუ”-საგან “გვ” და “კუ”-
საგან “კვ” და ა.შ.

“გ” ბეტრის გამოყენებისას სამურზაყანულ-ოლიშურ მეგრულში აღნიშ-
ნული და სხვა ცალკეული თანხმოვნები, აგრეთვე, თანხმოვანთა ჭულები სრუ-
ლიად გასავებ სიტყვის გვაძლევს. ესენია : “ტვ” (ცური), “გვ” (გავს), “ლვ”
(ვარდება), “წვ” (წელს), “კვ” (ნაწლავი), “კვ” (რქო), “ვვ” (სველი “ში”-
საგან), “შვ” (ახსოვს “შუ”-საგან), “ცვ” (ოცლა), “ძვ” (ძევს, დევს), “ჩვ”
(აჭამა), “რლვ” (იყო), “კვკვ” (კინქლი), “დგვ” (დგას), “ჩჩკვ” (ჩვილი
ბავშვი), “ლვრლვ” (პოხარშული ლერლილი), “ძვლვ” (ციკუინა, ძუნწი,
ეჭვიანი, მოუშორებელი ადამიანი), “რვნტვ” (თბის ზედმეტი საბელია,
ზოგჯერ ცეტ ადამიანზეც იტყვებან გადატანითი მნიშვნელობით), “სქრლვ”
(შშრალი) და ა.შ.

“ჩ” და “ვ” ბეტრები სამურზაყანულ-ოლიშურ მეგრულში არ გამოი-
ყენებიან და ისინი მხოლოდ მარტვილურ-სენაკურ მეგრულში გვრცება.

ასე მაგალითად : “ცვილპა” (მოკვლა), “ჭარპა” (წერა), “მუშე” (ნაცვლად
“შუ რე-სი”, რა არის), “ძალბაში” (ძალიანი), “ლზური” (ნაცვლად “ლური”-
სა, ძილი) და ა.შ.

ამდენად “ც” და “ვ” ბეტრები, რომლებიც ძველ ქართულში არ გვხვდება,
ჩვეულებრივ, დამახასიათებელია მეგრულისათვის. აქ ისინი მეორეული წარ-
შოშობის ბეტრებს წარმოადგენენ და ორივე მათგანის არსებობა მეგრუ-
ლისათვის აუცილებელია. ამასთან მათ შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა
აქვს ნაჩვერად ხმოვან “ვ”-ს. პისი მეშვეობით სიტყვაში ერთად თავშეყრილი
თანხმოვნები აღვილად გამოითქმის. ეს ბეტრა მიღებულია ხმოვანთა ასიმი-
ლაციის შედეგად, რის გამოც იგი შინაგანად შესაბამისი ფუნქციის მატა-
რებელიც არის”.

ამ ამონაწერში მიღებული ინფორმაცია საკიტოებს გირკვეულ ანალიზს.

(ქ. 1. ე. 1. 434) “ანიანური დამწერლობა მით უფრო იღვალურად ითვლება,
რამდენადც თითოეული (გრაფება) ზუსტად შეესატყვისება სათანადო ფონე-
ზეს. ამ მხრივ არსებულ ანბანთა შორის ყველაზე სრულყოფილია ქართული
ანბანი. აქ თვითოეული ფონება სათანადო გრაფებით აღინიშნება. ქართული
ანბანში არ არის შემთხვევა, რომ არამდენიმე ნიშანი ერთ ფონების აღნიშ-
ნავდეს, ან კიდევ გამოყენებული იყოს ფონებითა ჭვეულის აღსანიშნავად (რო-
გორც აშას ადგილი აქვს სხვა ენათა ანბანებში...).” ეს გამორჩეული ბუნება

ქართული ანბანისა არის უცილობელი მტკიცება ქართული ენის ხელოვნური შექმნისა.

ქართული ანბანი იყენებდა ბგერებს “**წ**”-სა და “**ჲ**”-ს. თავდაპირულებრივი ავლნიშნოთ, რომ “**წ**” და “**ჲ**”-ის მსგავსი რთული ბგერები ჩვეულებრივი მახასიათებელია კიფებისური და არა მხოლოდ კავკასიური ენებისათვის

(ჩიქობავა. 151) “ენათ უმრავლესობაში გვხვდება ხუთი ძირითადი ხმოვანი: ა, ე, ი, ო, უ; თუმცა ისეთი ენებიც არსებობს, რომელებშიაც გარჩეულია მხოლოდ სამი ძირითადი ხმოვანი ბგერა : ა, ე, ი; ასეთი ვითარება გვაქვს ზოგი იბერიულ-კავკასიურ ენაში.”

მსგავსი რთული ბგერა არსებობს ძველ ბერძნულში, რომელსაც ზოგი პლასილიონად და ზოგი უფსილიონად გამოსახავს.

ასევე ავლნიშნოთ - გრაფემები “**წ**” და “**ჲ**” თანამედროვეა, ანუ ახლად შექმნილი და ამ გრაფემებით გამოხატული ბგერების მნიშვნელობა ქართული ანბანის პირველ ვარიანტში გამოისახებოდა სხვა გრაფემებით.

ქართული ანბანის პირველი ვარიანტის გაცნობისას თქვენ უნდა გავჩეროდათ კანონიერი კითხვა - თუ ქართული ანბანის პირველ ვარიანტში არ გამოისახებოდა ბგერა “უ” (უნი), მაშინ რაოგორ გამოითქმებოდა კოლხურ ენაში ასეთი ჭარბი რაოდენობა სიტყვებისა ბგერა “უ” (უნი)-ს მონაწილეობით (ურუმი, ურუნა, ურუტი, ურუბი, ურუშა, ურს, მეურშე). ამ კითხვის პასუხი დევს მ. ძარამიას ნაშრომილან მოყვანილ ამონაწერში.

ბგერა **წ** “ არის “**ი**” (ინი)-სა და “**უ**” (უნი)-ს ერთობა;

ბგერა “**წ**” არის “**ყ**” (ყარი)-სა და “**უ**” (უნი)-ს ერთობა;

ვინაიდან ქართულ ანბანს (პირველ ვარიანტში) არ გააჩნდა ბგერა “უ”-ნი და ქართულ (კოლხურ) ენაში კი ბგერა “უ” (უნი) ჭარბად გამოიყენებოდა, დღევანდელი გრაფემებით გამოისახული “**წ**” და “**ჲ**” ბგერები ქართულ ანბანში. შესაბამისად “**წ**” (ინი)-თ და “**ჲ**” (ყარი)-თ გამოისახებოდა.

მას შემდეგ, რაც ლთინური ანბანის გავლენით (V ს.) ქართულ ანბანში გააჩნდა ორი ძველი გრაფემით გამოსახული დამოუკიდებელი ბგერა “**Qq**” (უნი), ბგერებს “**წ**” (ინი)-ს და “**ჲ**” (ყარი)-ს ჩამოშორდა “უ”-ს მნიშვნელობა და აჭერან ისინი გამოითქმებოდნენ მარტივად “**ი**” და “**ყ**”.

ჩვენი მოსახრების მტკიცებაა მეგრული სიტყვა “**წუდე**” (სახლი). ეს სიტყვა “**წ**” ბგერის ერთ-ერთი შემადგენლით “**ყ**”-თი გამოითქმული “**ყუდე**” არის ქართული მეტყველების ღუძე სიტყვათაგნი : სა-ყუდე-ლი; სიმ-ყუდ-როვე; ნავსა-ყუდე-ლი; შივე-ყუდე.

კლარჯეთის ეპვმიუტანლად ეწოდებოდა ასევე “ქართველთა ყუდე”. მის ცოდნა მშენებელი გახდა (ქ.ც. 1.119) „უკეთე განძლიერდნენ სპარსი ჩუენ ზედა საყუდელი ჩუენი აქ ყოფად არა“. ე.ი. მისაყუდებელი კი არაა, ყუდე (სახლი) იქნება ჩვენიო. სახელწოდება “ქართველთა ყუდე” მწვალებლებმა შესცალეს სახელწოდებით “კლარჯეთის სახლი” იმის მომიზეზებით, რომ ბაგრატოვნები აქედან აყვნენ და ამით შეეცადნენ საქართველოსათვის კლარჯეთის მხარის უმთავრესი დამ-სახურების მიჩქმალვას. სახელწოდება კლარჯეთისა “ქართველთა ყუდე”, ე.ი. ქართული ენის საშო ადგილი (ქართველთა მეორე ბეთლემი), ყუდე იმას გვასწავლის, რომ კლარჯეთია უპირველესი სალოცავი სანთელი ქართული სულიერებისა.

სახელწოდება “ბუღე” შემოჩენილის ასევე ბეგრა “ბ”-ს მეორე ვნიშ-ვნელით “უ”-თი - “უუდე” → “უდე” სოფ. ადგიგნის რ-ნში.

საინტერესოა მ.ძაბაძის მიერ ა.ცაგარელის 1880 წელს პეტერბურგში გამოცემული წიგნიდან “Мингрельские антиклины” ამოლებული წინადალება : “დამიღები ქირაზე სამი წლის ვადით და სამ ისეთ კვიანურ სიტყვას გასწავ-ლი...” მეგრულად მცნება “სიტყვა” გამოითქმება “სიტყუა”-თ. ამ ცნობით ჩვენ უნდა დავაფიქტიროთ, რომ გასულ საუკუნეშიც (1880 წ.) მეგრულად ქარ-თული “სიტყვა” გამოითქმებოდა როგორც “სიტყუა”. ესლა გადავხედოთ ეტიფანეს განაჩენს: “ტყუს ქმაშ საღმრთოა”, “ესე იგი არა გეტკუს || ღმერთი”: ორივე შემთხვევაში გამოითქმება არა ახალი ქართულით “სიტყვა”, არამედ მეგრული “სიტყუა” გამოყენებით.

ბეგრა “უ”-ს ლიდერი მნიშვნელობა დამახასიათებელია მეგრულისათვის : სიტყუა (სიტყვა), ქარუა (წერა), ხანტუა (ხატვა), ლახუა (გა-ლახვა), გუალე (მიღის), თქუალირი (თქმული)...; იგივე მეორდება ეტიფანეს განაჩენში: მისთუს, თქუენტა, უკეთო, სიტყუათ, მოპეიულთ, კურთხევისათვუს, მკუდრისათვუს, სხუაშ...; ამ ფაქტის ცოდნის გამო (ქ.ც. 1.10) ავტორები, ცლილობენ რა მიასიგავსონ თავიანთი მეტყველება ძველ ქართულს, ქართველის მაგიერ ხმარობენ “ქართუელი”:

(ქ.ც. 1.9) “პოვეს ქამი მარჯუე სომეხთა და ქართუელთა და განუდგეს სპარ-სთა”

(ქ.ც. 1.10) “მოვლო სომხითი და ქართლი... პოვს ქამი სომეხთა და ქარ-თუელთა”

(ქ.ც. 1.11) “ვერ წინალუდგეს სომეხი და ქართუელთა... მაშინ დაუტევა სპარდატ ბრძოლა სომეხთა და ქართუელთა... განთავისუფლდეს სომეხი და ქართველი”. ბოლოს მაინც ქართველი წამოცდიდა.

მეგრული ენის სიახლოვეს ეტიუანეს განაჩენის ტექსტთან ანუ მათ ერთბეჭდ
ნებოვნებას ბევრა “უ”-ზე ძლიერად ამტკიცებს ბევრა “ვ”.

ჩვენ დავრწმუნდით თუ რა პეილრო კავშირია ძველ ბერძნულსა და ლიტერატურისა
(მეგრული+ბერძნული) ენებს შორის. შემდგომ ასეთივე დამოკიდებულება
გრადულდება ძველ ბერძნულსა და ძველ ქართულ ენებს შორისაც ბიზანტიის
დაცვამდე.

(ი.გ. VIII.42) “შეითხველი... შეამჩნევს, რომ პირველ ხანში XIV საუკუ-
ნებდე ქართულ საისტორიო მწერლობაში სამაგალითოდ ძველი ბერძნული და
ელინური საისტორიო მწერლობა ყოფილა მინეული და ელინური მწერლობის
ცოდნა ქართველ ისტორიკოსებს ცხადათ ეტყობათ... ელინური საისტორიო
მწერლობის ცოდნა ქართველებს გარდა ძველს მახლობელ აღმოსავლეთში
თითქმის არავის ემჩნევა და არც არაბულმა, არც სომხურმა ძველმა სის-
ტორიო მწერლობამ თითქმის არაფერი იყოდა ელინური ისტორიათაღ-
მწერლობისა... ქართულად ბერძნულითგან ნათარგმნი საისტორიო თხზუ-
ლებებიც აღმოჩნდა”.

მიუხედავად გაყალბებისა, ჩვენი უმჭიდროვესი დამოკიდებულება ბერძნულ
ერლტურასთან მაინც იყითხება ჩვენამდის მოღწეული ლიტერატურული
წყაროებიდან. ბერძნული ენის გავლენის ერთ-ერთი შედეგი გამოიჩატება
შემდეგ ფაქტში : კლაიკურ ბერძნულ ანბანს არ გააჩნია ბევრა “ვ” (ცინი) და
ამის გამოა რომ ბევრულ და ძველ ქართულ ენათა ლექსიკში (მეგრულსა და
ძველ ქართულში მრავალი ძველი ბერძნული სიტყვის გადმოსვლის შედეგად)
ბევრა “ვ”-ს გამოყენება მკვეთრად შემცირებულია.

ჩვენს ხელთა ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზე-
უმის მიერ 1971 წელს გამოცემული “ქართული ხალხური პოეზის მასალები”
(ჩეგრული ნიმუშები) გამოსაცემად კ. სამუშაის მიერ მომზადებული. მეგრული
ლექსიების ტექსტების ვერდით მოცუმულია შესატყვისი სრა თავისიუფალი
თარგმანი) ქართული ენის ტექსტები. ეს წიგნი საუკეთესო საშუალებაა
მეგრული და ანალი ქართული ენის შესადარებლად, ანუ ბევრა “ვ”-ს გამო-
ყენების ინტენსივობის შესადარებლად. ბევრა “ვ”-ს გამოყენების ინტენ-
სივობის (სიბშირის) დასადგნად გაბნევით ბერძნულ იქნა 12 ლექსი. 12 მეგრულ
ტექსტში ბევრა “ვ” ვრცელდება 83-ჯერ, შესატყვის 12 ქართულ ტექსტში 180-
ჯერ. მაგალითისათვის : მეგრული ცოდა = ქართული ცოდვა, მეგრული
გუაცხადი = ქართული გავაცხადე და ა.შ. ე.ი. ახალი ქართული მეგრულთან
შედარებით 2-ჯერ და მეტად ხმარობს ბევრა “ვ”-ს.

ამის შემდგომ თუ ეტიუანეს განაჩენს (ტ. ქართულ ენას) წავიკითხავთ
ასალი ქართული ენით ანუ : ტყუს = იტყვის, გიტყუს = გეტყვის, მისოუს =
მისთვის, თქვენცა = თქვენსა, უსყიდულსა = უსყიდველსა, თქუენგან = თქვენ-

გან, სიტყუათ = სიტყვათ, წარმავალისათუს = წარმავლისათვის, თქუნენგანაცე = თქენენგანაცა, გურგუნთა = გვირგვინთა, კურთხევისათუს = კურთხევისათვის, მკუდრისა = მკვდრისა, მღდელთა = მღდელთა, თქუნდა = თქენდა, მკუდრნო = მკვიდრნო, მღდელთაგან = მღვდელთაგან, მათთუს = მათვის, თუნიერ = თვინიერ, უყუარს = უყვარს, თქუნ = თქვენ, გიყუარდენ = გიყვარდენ, უყუარდით = უყვარდით, ვითარცა = ვითარცა, თქუნ = თქვენ, სიყუარული = სიყვარული, ჩუნ = ჩვენ, ვღებულობთ, რომ ძველ ქართულით ამ ტექსტში არსებულ ბგერა “ვ”-ს 21 ერთეულს უნდა დამატოს ახალი ქართულით წაკითხვისას 27 ერთეული ბგერა “ვ” და გამოდის 48 ერთეული. ე.ი. ძველი ქართული ენით ეტიფანეს ძეგლში გამოყენებულია ბგერა “ვ” 21 ერთეული, ხოლო ახალი ქართულით საპიროა 48 ერთეული, ანუ 2-ჯერ მეტი. მეორდება ივივე სურათი, რაც გვერნდა მეგრული და ახალი ქართული ენების შედარებისას.

კეთდება დასკვნა : ბგერების “უ”-სა და “ვ”-ს გამოყენებით ნათლად იკვე-
თება მეგრული ენისა და ძველი ქართული ენის ერთბუნებოვნება, ერთგვა-
როვნება შედარებით ახალ ქართულ ენასთან.

909 “პირველ ამოდ ილალობეს, მერმე მედგრად წაიკიდნეს :

თვითო ტოტი ერთმანეთსა ჰქის, სიკედილსა არ დაპრიდნეს;

გამოპრიდა ველბრძან გული, - დედამთაცა გამოპრიდნეს! -

და ლომი მედგრად გაეკიდა, იგი ვერვინ დააშვეიდნეს.

910 “ლომსა დავუგმენ ნაქმარი, ვარქვი ”არა ხარ ცნობასა,

შენ საყვარელსა რად აწყენ? ფუ მაგა მამაცობასა!”

ხმალ-გამოწვდილი მივუხე, მივეც ლახვართა სობასა,

და თავსა გარდავკეპარ, მო-ცა-ვკალ, დავჭხსენ სოფლისა ომობასა.

911 “ხრმალი გავტყორცნე, გარდიქერ, ვეფხვი შევიპყარ წელითა;

მის გამო კოცნა მომინდა, ვინ მწვავს ცეცხლითა ცხელითა;

მიღრინვიდა და მაწყენდა ბრჭყალითა სისხლთა მლვრელითა.

და ველარ გაფუქელ, იგიცა მოვკალ გულითა წელითა.

912 “რაზომსაცა ვამშვიდებდი, ეფუზი ეერა დავაშვიდე,

გავგულისდი, მოვიქნივე, ვჰქარ მიწასა, დავაწყვიდე;

მომეგონა, ოდეს ჩემსა საყვარელსა წავკიდე;

და სული სრულად არ ამომხდეს, რას გიყვირს, რომ ცრემლსა ვჰლორიდე!
ახალ ქართულ ენასთან შედარებით: “ვეფხისტყაოსნის” ამ მონაცემთში ორ
სიტყვაში ბგერა “ვ” ზემდეტობადაც გვევლინება - თვითო=თითო და
მოვიქნივე=მოვექნი. “ვეფხისტყაოსნი” არის ტრიუმფი ბგერა “ვ”-სი. ის აქ-
უცვე დლევანდელ ქართულთან შედარებითაც ჭირბადა, რაც იმის მიმართ-

ნებელია, რომ “ვეფხისტყაოსანი” (ჩეგნამდე მოღწეული სახით) შეიქმნა, რომ
იყო პიყი აზალ ქართულ შეტყველებაში ბეჭრა “ვ”-ს შემოტევისა.

ს.ს.ორბელიანის ლექსიკონში დაფიქსირებულია პერიოდი როცა გერმანულების
იჩმა-რება სიტყვები ბეჭრა “უ”-ს უპირატესობით, მაგრამ იგი უკვე განი-
დევნება მრავალ სიტყვაში ბეჭრა “ვ”-თი და ამდენად ლექსიკონში მოცე-
მულია ორივე ვარიანტი. გავეცნოთ მაგალითებს ს.ს.ორბელიანის ლექ-
სიკონიდან :

ასონიშან “ვ”-დან დაწყებულ სიტყვებში : გვაღრავი - გვაღრავი, გვაღ-
რობს - გვაღრობს, გვაღრული - გვაღრული, გვაღავი - გვაღავი, გვაღე -
გვაღე, გვაღვა - გვაღვა, გვამი - გვამი, გვანება - გვანება, გვარი - გვარი,
გვარლი - გვარლი, გვარჭილა - გვარჭილა, გვეღი - გვეღი, გვემა - გვემა,
გვაჭი - გვაჭი, გვერდი - გვერდი...;

ასონიშან “შ” : მკვარი და მკუარი, მკვახე - მკუახე, მკვდარი - მკუდარი,
მკვეთრი - მკუეთრი...;

ასონიშან “ნ” : ნაწვართი - ნაწურთი, ნაწევთი - ნაწუეთი, ნაწელარი -
ნაწულარი, ნაწნევი - ნაწუნევი...

ამრიგად, “ეტიუანეს განაჩენში” ქარბობს ბეჭრა “უ”, ს.ს.ორბელიანის
ლექსიკონში გარდატების პერიოდია (ბეჭრა “ვ” იწყებს მძლავრობას),
“ვეფხისტყაოსანში” კი ბეჭრა “ვ”-ს ტრიუმფია.

ჩვენი ლოგიკით სათაური აზალი ქართულით უნდა იწერებოდეს “ვეფხის
ტყაოსანი”. მაგრამ ს.ს.ორბელიანის დროს ჭრ კიდევ არ იჩმარებოდა სახელ-
წოდება “ვეფხვი”, ხმარებაში იყო ვეფხი. ლექსიკონში არის განმარტება ვეფხი
(ოთხფეხი), ასევე აქლებ-ვეფხი (ოთხფეხი), ვეფხი ნახსენებია ვიგრის
განმარტებაშიც და ძალშე გაუგებრად გია-ს განმარტებაში - გია (ხე)
(+ვეფხის-ტყ.). ე.ი. საბას დროს სახელწოდება ვეფხვი არ არსებობდა, იყო
ვეფხი.

ს.ს.ორბელიანი ტყავის ორ განმარტებას იძლევა :

ტყავი - კაცისა და ცხო(ვ)ელთ ქორც გარეგანი საფარველი...

ტყავი - საკუში (ზამოსასხამი D) კეცტყავი, კეცტყაოვანი.

კეცტყავის ერთერთი განმარტება ასეთია :

კეცტყავი - ესე კეცტყაონი კუთა...

კეცტყაოვანი - რომელი კეცტყავითა შემოსილ არიან...

სიტყვების კეცტყავი, კეცტყაოვანი, კეცტყაონი-ს განმარტებები
ბუნდოვანია, მაგრამ ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ ამ დროს არსებობდა
გამოთქმის ორი ვარიანტი “კეცტყაოვანი” და “კეცტყაონი” ანუ “ტყაო-
სანი” და “ტყაოსანი”. ე.ი. შეეცდო ამოგერჩია როგორც “ვეფხის ტყაო-
სანი”, ასევე “ვეფხის ტყაოსანი” და არჩეული იქნა შეორე ვარიანტი “ვეფხის
ტყაოსანი”

ს.ს.ორბელიანმა იცოდა “ვეფხის ტყაოსნის” არსებობა

გია (ზე) (+ვეფხის-ტყ.) ე.ი. ეს სიტყვა “ვეფხის ტყაოსანიდან” არისო, კუნარი (+ვეფხის-ტყ. ZAa) კეთილსანაბავი და მოძღვრილი ZABCხ ვეფხმანშეა

ტყ.

“ადგ(ნ)ენ (დადგეს D) სოფრატ და ავთანდილ ტანითა მით კუნარითა” (aqD.ვეფხის-ტყ.)

შველი ქართული ენის ბუნების უკეთ შესაცნობად ჩაერთოთ ჩევნს არეალში ბეთლემის ლაზთა (მეგრელთა) მონასტრების და ბოლნისის ტაძრის წარწერები (ჭვრის მონასტრების წარწერები გვიანდელი პერიოდისაა).

ბეთლემის მოზაიკით შესრულებული ტექსტები :

1. შეწევნითა ქრისტესითა და მეობებითა წმიდისა თეოდორეშისითა შეიწყალენ ანტონი აბაზ და იოსია მომსბმელი ამის სეფისაპი და მამა-დედას იოსიაშის ამენ.

2. და ძუძულნი მათნი ზაჟურ და გრიორმიზდ და ნაშობნი მათნი.

3. წმიდაო თეოდორე მარუან და ბურზნ... ენა მი ე.

ბოლნისის წარწერები :

1. შეწევნითა ქრისტესითა მე ფარნ... და აზარუხტ შეხუაბთ ესე კარი სალოველად სულთა ჩუღნთათვეს.

2. ქრისტე დავით ვისიქოსი ქრებულითურთ და ამას ეკლესიასა შინა შენდა მიმართ თავყანისმცემელნი შეიწყალენ და მშრომელთა ამას ეკლესიასა შენა შეხერივ.

3. [შეწევნითა წ'დ]-ისა სამებისამთა ოც წლისა] პეროზ მეფისა ზეობასა დაბი]

[დვა საფუძველი] ამის ეკლესიაშისაპი და ათხუთმეტ წლისა შემდგომად]

[განხეშორა ვინ აქა შინა თავყანისხცეს ლნ შეიწყალენ და ვინ ამის ეკლესიაშისა]

- [მაშპნებელსა დ'ოც ვისიქოსისა ხულოცოს ივიცა ლნ შეიწყალენ]

ჩვენ სამ უძველეს ქართულ წარწერაში (ბეთლემის, ბოლნისის და ვანის წარწერებში) ეხედავთ, თუ როგორი მნიშვნელოვანი ადგილი უყავას საქუონ-დიდოში დღესაც ცოცხალ ბგერა “ზ” (იორა)-ს. დოკუმენტალურად ის უუცილებელი ბგერაა V საუკუნიდან სულ მცირე XIV საუკუნიმდე. “ვეფხის ტყაოსანი” საერთოდ უარყოფს “ზ” (იორა)-ს.

შევადაროთ “ზ” (იორა)-ს გამოყენების ინტენსივობა დაკუმენტალურ (დოკუმენტალურში ველისმობრი ძეგლებს, რომელთა უტყუარობაში ეჭვი არ გვეპარება, თორემ (ქ.ცხ.)-ც ძეგლია) ძეგლი ქართულისა და (ქ.ცხ.)-ის შეტყველებაში. ბეთლემის უმცირეს ტექსტში “ზ” გამოიყენება 5-ჯერ. ბოლნისის ასევე უმცირეს ტექსტში 4-ჯერ. ვანის ნახევარი გვერდის მომცველ ტექსტში

13-ჯერ. (ქ.ც.ხ.)-ის ლეონტი მროველად წოდებულ ნაწილში, რომელიც
თარიღდება VIII-XI საუკუნეთა ფარგლებში და რომელ პერიოდისაც მოიცავს
ჩვენი უკავშირობრივი ძეგლები, გრაფები “ღ” (იორთა) გამოიყენება მეტყველებულ
6-ჯერ (88 გვერდზე !!!). ლიმილის მომგრელია, თუ რა სიტყვების გამოსახვისას
ხმარობენ “ღ”-ს - “ენაღ” 3-ჯერ, “დაღ”, “ვაღ” და “ბედიაღ”.

შეიძლება წარმოგვიდგინონ არგუმენტი : საეკლესიო ენა ხმარობდა “ღ”-ს,
სამოქალაქო მეტყველებაში კი არ იყო მიღებული. ეს არგუმენტი თავიდანვე
უნდა იქნეს უარყოფილი, ვინაიდან ქართული ენა ჯერ საეკლესიო ენა იყო და
შემდგომ გახდა ხალხური, ასევე საქაუნდილოში შემორჩენილი “ღ”-ს გამო-
ყენების ტრადიციაც მეტყველებს, რომ “ღ” გამოიყენებოდა სამოქალაქო
მეტყველებაშიც.

დაბრალდეს გვიანდელი დროის გადამწერებს - გამორჩათ გადაწერისას -
ასევე მოულებელია. ძალზედ დიდი რაოდენობით აკლია “ღ” (იორთა).

გათანამედროვეს XVII-XVIII საუკუნისათვის - მაშინ ენას რაღაც იჩილი-
ფინებრ, ცდილობენ გამოიყენონ არქაული სიტყვები არქაული ფორმებით.

“ღ” (იორთა)-ს გამოყენება რომ აუცილებელია ძეველი ქართული ენის მისამ-
სგავსებლად, იციან (ქ.ც.ხ.)-ის ავტორებმა, მაგრამ უჭირთ ამ ასოს ხმარება. საიდუმლო იმაღლება “ღ” (იორთა)-ს ბუნებაში, როცა მას ხმარობ შესაბამისი
ინტენსივობით, მეტყველება ემსგავსება მეგრულ (დასავლეთ ქართულ) ენას და
ამას კი ისინი როგორც შეგლები ცეცხლს, ისე გაურჩიან.

მივაძყროთ ყურადღება ასონიშან “უ” (ე მერვე)-ს. ეს ასონიშანი არის
ბერძნული ენის გავლენა, რომელსაც გააჩნია ორი “ე” (ენ)-ი - “ე” ე (ეფსი-
ლონ, მოქლე) და “უ” ე (ეტა, გრძელი). ვინაიდან ლაზურ ენაში უარბად იყო
ბერძნული სიტყვები, ამდენად ოპიზელმა მამებმა ბერძნული ანბანის მიხედვით
შევმნეს ქართული ანბანის სრულებრივისათვის “ე” (ენ) და “უ” (ე მერვე).

○ “უ” (ე მერვე) ბეთოლების წარწერაში გამოიყენება ერთხელ, ბოლნისის
წარწერაში 2-ჯერ, ანისის წარწერაში ერთხელ. გრაფება “უ” ბევრად იშვი-
ათად გამოიყენებოდა უიდრე “ღ”, მაგრამ აუცილებელი ელემენტია მეტყვე-
ლებს ისეთ მცირე მონაკვეთებშიც, როგორიც ჩვენი დოკუმენტალური ძეგ-
ლებია. “ვერსის ტყაოსანი” და (ქ.ც.ხ.) გრაფება “უ”-ს საერთოდ არ სცნობენ,
თუმცა ის (ქ.ც.ხ.)-ში, თუ მას სიძველის პრეტენზია აქვს, გრაფება “უ”
გამოიყენებული უნდა იყოს როგორც რიცხვითი მნიშვნელობის მატარებელი
(“უ”-ს შეესაბამება რიცხვი 8) არის მაგალითიც გაგვაჩნია ანისის წარწერაში.

ბერძა “ჰ” (ჰავე) ჩვენს უძველეს წარწერებში გამოიყენება მხოლოდ ანისის
წარწერაში “ჰკიდილთ”, ხოლო “ვერსის ტყაოსანის” ჩვენს მიერ მოყვანილ მო-
ნაკვეთში ასევე ბერძა “ჰ” (ჰავე)-ს ტრიუმფით.

(ქ.ს.ე.11.585) “ჰაეგეტობა, ქართული ენისათვის დამახასიათებელი მოვლე-
ნაა : ჰ-პრეფიქსის ხმარება ზმნებმი მეორე სუბიექტური და მესამე ობიექ-

ტური პირების ნიშნად (პ-ვამთ, პ-უბრძანა და სხვ.) უფროობითი ხარისხის
სახელებში (პ-უმჭობესი), რომლებიც ისტორიულად ზმური ფორმებია, და
ინიან ვაებითებში (პ-იქვმა, პ-იყვ). პატიოტი ტექსტები განვდება VII-VIII საუკუნეებში:
ში: კილო, რომელსაც პატიოტობა ახასიათებდა, გავრცელებული უნდა ყო-
ფილიყო სამხრეთ-დასავლეთით. ხანმეტი კილო, რომელიც საყრდენ დია-
ლექტს წარმოადგენდა ქართულ სამწერლობო ენისათვის, VII საუკუნეში
შეცვალა ჰაემეტმა.

IX ს-თვის პატიოტი გრამატიკული ფორმები იცვლება და მომდევნო დროში
შესაბამისი გრამატიკული მწარმოებლები ჰაემეტი ფორმებიდან მომდინა-
რებს: პ-იქარგება ზმოვნების წინ და ზოგიერთი თანხმოვნის (დ, თ, ტ, ტ, ტ, ტ,
წ, წ, ჩ, ჩ, ტ) წინ იცვლება ს-დ, ზოგჯერ (ჩ, ჩ, ტ თანხმოვნებთან) შ-დ : პ-ვამთ - ს-
ვამთ - შ-ვამთ. პ-ს, ისევე როგორც ხანმეტობას, უდიდესი მნიშვნელობა აქვს
ქართული და ქართველური ენების ისტორიული მორფოლოგის შესას-
წავლად".

ამ ამონაწერის სიმართლე დასტურდება ანისის წარწერით, სადაც მხოლოდ
ერთხელ გაიღერებს ბეგრა "პ" (პა) - პყიდლით, ხოლო "ვების ტყაოსანში"
საპირისპირო სურათია, რომელიც მიუღებელია XII საუკუნის ქართული
მწერლობისათვის. ბეგრა "პ"-ს გარშემო დიდი თემის გაშლა შეიძლება, ჩვენ
კი შემოვითარებლოთ ელემენტარული დაკვირვებით. ქართული ენის ბუნებიდან
გამომდინარე. ასოთა კითხვისას თითოეული ასო-ნიშანი უნდა გამოითქვას
გამოკვეთილად ("უ"-ს ასომთავრული გრაფემაც შესრულებული ორი ასო-
ნიშნის შეერთებით ("Qq") გადმოიღებულია ბერძნულიდან). ამ წესის გათვა-
ლისწინებით ქართულად შეტყველებისათვის ძნელი გამოსათქმელია ბეგრა "პ"
თანხმოვნებს შუა. მაგალითად, წაიკითხეთ "ვჰლერიდე". ამ სიტყვას თქვენ
უწყვეტად, როგორც იგივე სიტყვას "პ"-ს გარეშე "ელვრიდე" ვერ წარ-
მოთქვამთ, თქვენ აულილებლად ბეგრა "ე"-ს მერე აკეთებთ მცირე პაუზას,
გამოთქვამთ ბეგრა "პ"-ს და ამის შემდგომ "ლვრიდე", გამოგდით ვ-პ-
ლვრიდე. ასევე ვერ წაიკითხავთ უწყვეტად სიტყვას "აბპა", კითხულობთ ან
"აბ-პა", ან "აბ-პ-ა". ამის გამო "პ"-ს ხმარება სიტყვის შუაში ამოვარდა,
როგორც უცხო, მიუღებელი. ვლვრიდე განდა ვლვრიდე. დაკვაბენ - დაეხსენ,
დაპრიდნენ - დარიდნენ, ვჰერ - ვკარ.

ასევე ვერ იგუა ქართულმა ენამ სიტყვის დასაწყისში ბეგრა "პ" თუ მის
შემდგომ თანხმოვნან დგება : ჰაეს განდა გაეს, ჰერებდა - ერებდა, პნატრა -
ინატრა, ჰერიდაეს - ქირდაეს, ჰყრია - ყრია...;

IX საუკუნიდან ქართულ შეტყველებაში ბეგრა "პ"-ს გავლენის შესუს-
ტების შემდგომ, XV საუკუნეში იწყება ბეგრა "პ"-ს შეორავი აღმავლობის
პერიოდი და ზენიტს აღწევს "ვეფხის ტყაოსანში", როდესაც თავად ძლიერი

არაბული გავლენის შქონე სპარსული ენა მძლავრობს საქართველოს აღმოსაფერო დემოკრატიული კულტურის მატარებელი მეცნი მართვენ. ისინი ცდილობენ საქართველოს აღმენებას, მხოლოდ სულ სივრცეში. მაგალითად ვახტანგ V-ს (ქ.ცხ.)-ის წინასიტყვიდან ამოღებული ფრაგმენტიც საქმარისია: “სხუაცა წერილი მოიხუნეს, რომელიმე სომებთა და სპარსთა ცხოვრებისაგან გამოხვენეს და ესრეთ ალაწერინეს”. ე.ი. ვახტანგ V-სათვის ბერძნული სამყარო არ წარმოადგენს უპირველეს მეზობელი ქვეყნებიდან. ეს მაშინ, როცა XII საუკუნის საქართველოში, როგორც ი.ჯვარიშვილი ბრძანებს, “სამაგალითოდ ძველი ბერძნული და ელინური საისტორიო მწერლობა ყოფილა მიჩნეული”.

ს.ს.ორბელიანის ლექსიკონში მრავალი სიტყვა მოცემულია როგორც “ჰ”-ს შემადგენლობით, ასევე მის გარეშეც :

რული - მცირე რამ ძილი
ჰრული - მცირე რამ ძილი
რეუა - ჰრევა, უთხრა
ჰრევა - ჰრევა, უთხრა

(ქ.ცხ) იშვიათად ხმარობს ბერია “ჰ”-ს - შეჰქმენ, ჰშვენის, შევჰქადრო, მიჰხედება, ჰქვია, მოჰქველენ, ჰბაძვენ, ჰმართებს, მიჰხედეს, ჰმეტობს, ჰბრძანებთ, ამოჰქვეს, ჰქუიან, ჰყოფდეს, ვჰმადლობთ, ჰკითხა, ჰკუთდა, მოჰკუდენ, ჰყვა და სხვა. მთავარი აქ ის გახლავთ, რომ მსგავსად ს.ს.ორბელიანის ლექსიკონისა, (ქ.ცხ.) ერთი და იგრვე სიტყვაში ხან ხმარობს “ჰ”-ს, ხან ამოადგებს ბერია “ჰ”-ს. 30-ე გვერდზე “ჰბრძოდეს” და 31-ე გვერდზე “ბრძოდეს”. 12-ე გვერდზე “ჰურიათა” და 51-ე გვერდზე “ურიაბთაგან”.

ქართული ენა მშვენდება ბერია “ჰ” (ჰაე) -თი თუ მის შემდგომ ხმოვანი მოლის: ჰაერი, ჰარალო, ჰარირა, ჰაი-ჰაი (შეძახილი), ჰავა, ჰანგი, ჰიმი, ჰარმონია, ჰიპნოზი, ჰირიზონტი, ჰუმანური, ჰომეროსი, ჰათუზი...; თუმცა ზოგიერთი სიტყვა დაიწუნა: ჰაზრი - აზრი, ჰამბავი - ამბავი, ჰარაჟი - არაჟი;

1991 წელს ილია აბულაძის გამოცემულ ს.ს.ორბელიანის “ქართული ლექსიკონის” მეორე ტომის 643-ე გვერდზე ს.ს.ორბელიანის შესახებ წერია:

(ჭკალად მცოვნებისა ეამსა მეფეს ვახტანგს წარჰყავა ხაზარეთს და პეტრებრუხის ჭალაქს მიიცვალა იანვარს, ქ.ქ. უ. იგ.В).

ე.ი. XVIII საუკუნის პირველ ნახევარშიც, ს.ს.ორბელიანის სიკვდილის შემდეგაც, რუსეთს მრავალი ხაზარეთად მიიჩნევდა, ანუ სახელწოდება “რუსეთი” ჭერ კიდევ არ იქდა მტკიცედ ქართველთა ცნობიერებაში და მითუმეტეს! ძნელი წარმოსადგენია ამ ცნების მცვიდრობა XII საუკუნის საქართველოში:

968 “მოვიდიან შესამკობლად ქვეყნით ყოვლის სულიერნი:

კლიით ნადირნი, წყალშიგ თევზი, ზღვით ნიანგნი, ცათ ფრინველნი,
ინდო-არაბ-საბერძნეთი, მაშრიყით და მალრიბელნი,
და ჩუსნი, სპარსი, მოურანგენი და მისრეთით მეგვიპტელნი".
მეთორმეტე საუკუნეში სახელწოდება ჩუსეთი არ არსებობდა,
სახელწოდები "Rosnia" ჩნდება XV საუკუნიდან. ეს ისეთივე სიმართლეა.
როგორც ის, რომ ნიან-ჯები ზღვის მღამე წყალს ვერ იტანენ.

III. "ვეფხისტყაოსნის" სვანური ვარიანტი.

1. ტარიელ. 2. ნესტან-დარეჯან

(ელენტი. 187) "წინამდებარე "ვეფხისტყაოსნის" ორი სვანური ვარიანტი
ჩატერილია ჩემ მიერ 1937 წ. ზაფხულს ზემო სეანეთში. პირველი : "ტარიელ"
ჩატერება 80 წ. მოხუცისაგან - ნესტან ნიარაძისაგან (სოფ. უშგული), მეორე
"ნესტან-დარეჯან" ჩატერება 88 წ. მოხუცისაგან - თაისა (თეიმურაზ) ქალ-
დარისაგან (სოფ. მულახი).

ორივე ვარიანტი შინაარსის მხრით თითქმის იმეორებენ ერთი მეორეს.
ორონდ პირველი ვარიანტი უფრო ვრცელია.

წინამდებარე ვარიანტები მნიშვნელოვანია იშით, რომ, ჯერ ერთი, ეს ვარიანტები განსხვავებულია დღემდის ცნობილ ცველა ხალხური ვარიანტისაგან,
მეორე მნიშვნელობა მთავ სვანურობაშია.

ამ ვარიანტების მოქლე შინაარსი ასეთია :

სილოვან (ქექავაზ) კეისარი და აფრასიონ კეისარი კარგი შეგობრები არიან.
ორივეს ცოლები ორსულად ჰყავთ. სილოვანსა და აფრასიონს მოუხდათ მეში
წასვლა. ერთმანეთს შეუფიცეს: თუ ვაეტი დაებადებოდათ, ძები უნდა გამ-
ხდარიყვნენ, თუ ქალები დაებადებოდათ, დები უნდა გამხდარიყვნენ. [ზოლო
თუ ქალ-ვაეტი დაებადებოდათ, ცოლ-ქმარი უნდა გამხდარიყვნენ]. სილოვან
კეისარი მშში მოკლეს. აფრასიონ კეისარი დაბრუნდა (მეორე ვარიანტის მი-
ხედვით: აფრასიონ კეისარი დაიღუპა მშში და სილოვანი დაბრუნდა). აფრა-
სიონ კეისარის ცოლს ქალი შეეძინა. სილოვანისას - ვაეტი და დასრულებს ტარი-
ელი. ტარიელი მეტად ძლიერი ვაეყალი გახდა. აფრასიონ კეისარი თავის
ქალიშვილს სხვაზე რომ ათხვებდა, ტარიელს წამოსძახეს: შენ თუ კარგი ვაფ-
კაცი ხარ, შენს საცოლოს მოსძებნიდიო, ამაღა მისი ქორწილია. ტარიელი
წავიდა სახლში, დედამისს გამოაცხონა ჰური. ჰური მთლად გამომუშვარი არ
იყო, ტარიელმა შეშოაძო ვარეჯანი და ცხელი ცომი დევდა მიაღმ ძუშუებზე
ორივე მხრიდან, დედას უთხრა : შიოთხარი, მყავდა თუ-არა საცოლო, თუ არ-

მეტყველებს დაგწვავო. დედამ სიმართლე უთხრა : სილოვან და აფრიკის
კეისრები შეფიცული ყოფილია : თუ ქალ-ვაჟი დაიბადებოდათ, ცოლ-მერი
უნდა გამხდარიყვნენ. აფრასიონის ქალი შენი საცოლოა, მისი ქორწილი
ამაღამ არისო. ტარიელი წავიდა იქ, სადაც ნესტან-დარეჯანის ქორწილი იყო.
ნესტან-დარეჯანი ჯვარის იწერდა არაბეთის ხელმწიფის შეილზე. ტარიელი
არაბეთის ხელმწიფის შეილს წაავლებს ხელს ფეხში და მექორჩილეთ დაუწყებს
ამ კაცით ცემას; იმდენს სცემს, რომ მხოლოდ ფეხი შერჩება ხელში. ტარიელი
ნესტან-დარეჯანს სახლში წამოიყვანს და ქორწილს ვადაიხდის. ტარიელსა და
ნესტან-დარეჯანს უსაზღვროდ უყვართ ერთმანეთი, მაგრამ ნესტან-დარეჯანი
ტარიელის საწოლ ოთახში არ შედის. ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის სიც-
ვარულს ქაჯი უშლის ხელს. ტარიელი წავი შეითხავთან. იგი ურჩევს : კიდობანი
გააქცით და შიგ ნესტან-დარეჯანი ჩავიიო. მეორე დღეს ნესტანი ქაჯებს
შეაფურთხებს და შენთან დაწვებაო. ტარიელი მოიქცივა მკითხავის ოჩევის
თანაბაზად. მაგრამ ნესტან-დარეჯანს კიდობნით ქაჯები გაიტაცებენ. ტარიელი
დაეძებს ნესტან-დარეჯანს, მაგრამ ვერსად ნაბულობს. დედა ეტყვის ტარიელს:
წადი შენ ძმა ავთანდილთან და ის დაგეხმარება სატრიოს ძებნაშიო მასთან
ეტყვის კიდევ : ბებიას სამი მერცხალი ჰყავს, თუ ისინი ვერ გაიგებენ ნესტან-
დარეჯანის ამბავს, მაშინ მისი ძებნა ფუქისა. (მეორე ვარიანტის მახედვით სამი
მერცხლის მაგიერობას სამი ქაჯი ასრულებს, რომლებიც ავთანდილის დედას
ჰყავს სკივრში დამწყვდებული). ავთანდილი და ტარიელი ესტუმრებიან ბებიას.
ბებია აღის კოშკის თავზე, თან აიტანს კოლოფს, რომელშიც სამი მერცხალია.
დედაბერი მერცხალს ეტყვის : სანამ კოშკის საბურავიდან ნაწიმიარი წყლის
წვეთი მიწაზე დაეცემოდეს, მანამდის ზღვა და ველი დაისახე და ტარიელის
ცოლის ამზავი გაიგო. მერცხალმა ზღვა და ველი სულ დაიარა. გაიგო : ნეს-
ტან-დარეჯანი ცოცხალია და სხვა ვერაფერი გაიგო. ამის შემდეგ დედაბერმა
მეორე მერცხალი გაუშეს და უთხრა : სანამ მცხობელი დამრგვალებულ ჰყურს
გამოსაცხობად შედებდეს, მანამდის ზღვა და ველი დაისახე და ტარიელის
ცოლის ამზავი გაიგო. წავიდა მერცხალი და გაიგო, რომ ნესტან-დარეჯანი
ცოცხალია, სხვა ვერაფერი გაიგო. დედაბერმა შემდეგ მესამე მერცხალი
გაუშეს და უთხრა : სანამ ლოყაზე ჩამოსული ტრებლი მიწაზე დაეცემოდეს,
მანამდის ზღვა და ველი მოისარე და გაიგო ტარიელის ცოლის ამბავიო.
გატრინდა მერცხალი და გაიგო : შავი ზღვის შუაგულში ნესტანი ქაჯებს ჰყავთ
დამწყვდებული ქაჯეობს კოშკში. მერცხალი ავთანდილს და ტარიელს ურჩევს,
ნესტან-დარეჯანის გამოსახსნელად თან წაიყვანონ. ავთანდილი ფრიდონს
სთხოვს დაბმარებას, მაგრამ ფრიდონი იწყებს. ავთანდილმა სხვა ვერაფერი
მოუტერხა ფრიდონს და ჭოდი მოჰვარა. ავთანდილს გზიდან ბუღა გაექცა და
აქ დროულია მოკიყვანოთ ამონაწერი ი.ჭავახიშვილის მსჯელობიდან “წიგდა ნინოს ცხორების” გარშემო : (ი.ჭ. VIII.106) “1898 წელს ჩემს პირველს სამეცნიერო შრომაში დაწვრილებითი კრიტიკული განხილვის შემდგომ დავარწყნდი, რომ კველა ეს ვითომიცდა თვით ნინოს და მის თანამშრომლების მიერ ნაამბობი და ჩაწერილი მოთხრობები მარტო ყალბ-სათაურიან „ან ფსევდოეპიგრაფულ თხზულებებად კი არ უნდა ჩითვალოს, არამედ თვით შინაარსიც, რამდენადაც იქ ახალი ცნობები მოიპოვება ნინოს დედმშობისა, მისი აღმართისა და უშერეტეს ნაწილად მოლვაწეობის შესახებ, მისი არის, რაღაც ყერდი ეს ცნობები მერეა შეთხსული და ყალბია... ყურადღების ლირისი, რომ ახალი აზრების გასავრცელებლად ასეთი ხერხს ხშირად შმარობლენ ზოლშე : ვიცით მაგ., რომ მართლმადიდებელი და მწვალებელი განსაკუთრებით სხვადასხვა მოციქულების “მიმოსლვისა და ქალაგების წიგნებს” აღვნიდნენ, თავიანთ სახელს შემდგენელი განზრახ მაღლავნენ და ამ თხზულებების აღმწერელად მოციქულო მოწაფეებს ასახელებდნენ. ვიცით აგრეთვე, რომ გრიგოლ სომეხთა განმანათლებლის ცხორების შემდგენელიც ამავე მიზნით განზრახ აცხადებს, ვითომც მას გრიგორი თავის თვალით ენახოს და თვის ყუ-

ჩინ მოქადაგობის მისი ქადაგება, ვითომეც იგი თრდატ შეფის შდივანი ყოფილიყოს და ყველაფერი დაწერილებით იღებეროს.

ეკვიანსა და ურწმუნო მკითხველს შეეძლო უნდღლივთ ეკითხნა, მაგრამ კველა უერთი მართალია და კეშარიტი, მაგრა აქვთ დის სადღა იყო ასე ძვირფასი განძი, რატომ აქამდის არა ვიცოდით რა ამის მსგავსი წმინდა ნინოს და ქართლის მოქადაგის შესახებო. მაგრამ ასეთი კითხვისთვისაც პასუხი მშალ იყო, ძეგლის ბოლოს ხელოთნაწერში შემდეგი ცნობა მოიპოვება : “წიგნი ქართლისა მოქადაგისაზ ესე რომლითა ღმერთმან ნათელი გამოაბრწყინვა დასაბამი წმიდათა ეკლესიათა გამომდრწყინვებისას... ვითარება ტალანტი წინამდლუართაგან დაფარებული შემთხვევად მრავალთა ქამთა და წელთა ვპოვეთ ”-ო.“

ამ მიუგებს ამ თავის მართლებას ს. ძ. ძელელიანის მომიზეზებაც : “რამეთუ უამთა კიციარებითა უჩინო ქმნილი იყო.”

ასევე გავისქსნოთ ფრაზა „ვაბტუნგ V-ის წინასიტყვიდან : “პატიოსანნო და დიდებულნო ქართველნო, ვამთა ვითარებისაგან ქართლის ცხოვრება გან- ყრვნილ იყო”. შეადარეთ ს.ს.ორბელიანის ტექსტი: “ვამთა ვითარებითა... ენა ქართული თვისთა ნებაზედ გაერკვნით.” ღაუმატეთ ასევე ს.ს.ორბელიანის ტექსტის გაგრძელებაში : “ჩათა ისწაონ ენა ქართული, შესრულებული და განვრცელებული ფარნავაზ ქართველთა პირველისა მეტისა მიერ, ბრძნისა და გონიერისა, რომელი იყო ძეთაგან ქართლისინთა წარმართი.”

უდავოს ინტერესთა თანხვდომა (ქ.ც.)-ისა და ლექსიკონის ვეტორის შორის, რომელსაც არ ეთანხმებოდა თეიმურაზ ბატონიშვილი, ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის გორგო XII-ის ვაჟი.

კურაღლება უნდა მიექცეს ს.ს.ორბელიანის სიტყვებს: “ენა ქართული, შესრულებული და განვრაცელებული”. მან იკინ, ჩომ ენა ქართული შეიქმნა ხელოვნურად, ე. ი. გარკვეული ნების შედეგია და არა დროთა ვითარებაში სტიქიურად წარმო-შობილი. ასეთი ენა յოთვისთვად მოითხოვდა განვრცობას და რაც შესრულეს კიდევ არა ფარნავაზშია, არა ასურელშია მამებმა, არამედ ქართულად შეტყიდომა ოპიზელშია მამებმა:

დაუკეირიდთ ს.ს.ორბელიანის შემდგე წინადაღებას: “მე უწინარეს ლათი-ნური და ელენური ლექსიინი ვერ ვნახე, თვარი უკეთესის რიგით აღვწერდი”. საკითხავია ეს პარულ-გურულ-იმერული “თვარი” საიდან აღმოაჩნდა ს.ს.ორბელიანის ენას, ის ხომ შეკრულთან ერთად სწორედ ლათინურისა და ბერძნულის გავლენის აღიარებას, წარმოჩინუბას ებრძვის, თავის “სიტყვათა კონაში”.

ს.ს.ორბელიანი დავით გარეჯის მონასტერში ჩორ არა სასულიერო, არამედ
ძირითად საერო საქმეებით იყო დაკავებული, - მიგვანიშნებს თავად ლექსი-
კონის ბოლოსიტყვაში ფრაგმენტით მისი ბიოგრაფიიდან.

1709 წელს გიორგი XI-ს ტრაგიული სიკვდილის შემდგომ, ქართლის შეუძლებელობა და სევე გიორგი XI-ის ძმის შეინიშნვა, ვახტანგ V-ს ძმა ქაიხოსრო ინიშნება. 1710 წელს ქაიხოსრო ს.ს.ორბელიანს თავისთან ხორქანში იბარებს. 1710 წლის მარტის 25-ელ დეკემბერს (ბერიად ალკვერილი და არა რაიმე სასულიერო წოდების მატა-რებელი) ს.ს.ორბელიანი მიემგზავრება ქაიხოსროსთან ხორქანში. ქაიხოსრო მას თებერვლის 20-ში გამოუშვებს დასაჩუქრებულს „მრავლის ნიკითა“.

1712 წელს (1711 წელს ქაიხოსროს ავლანელებთან ბრძოლაში დალუპვის შემდგომ) აპრილის 23-ს ვახტანგს მიჰყება ისპაანს. დეკემბრის 20-ს ქართლს ჩამოვა. 1713 წელს დვისტოს 27-ს ევროპას მიემგზავრება. აქ ნათლად იკვეთება ს.ს.ორბელიანის მნიშვნელოვანი პოლიტიკური როლი მის თანამედროვე ქართლის სინამდვილეში. ის ევროპას ქართლის სამეფო ოჯახის დავალებით მიემგზავრება. ეხლა ვიკითხოთ : კაცი, რომელმაც ასე წარმატებით მოიახო ევროპა, ვატრიანილან წმინდა კლემენტის თავიც კი წამოილო სხვა ნაწილებთან ერთად, რომ ეთხოვა რომის პაპისთვის რომაული (ლათინური) და ელინური ლექსიკონები მაშვინინეო - არ აშვინენებდნენ? მითუმეტეს, თუ იმასაც დაუმატებდა, რომ ჩემს ხალხს დაკარგული აქვს ლექსიკონი და ახალი უნდა შევუდგინოო. ანდა ქრისტეანმა კაცია, სასულიერო მოლვაშებ ხომ. იცის, რომ საეკლესიო ტერმინოლოგია მთლიანად ბერძნულია და როგორ მოკიდა ქართული ლექსიკონის შედგენის საქმეს ხელი ბერძნული ლექსიკონის გარეშე. ასევე გაითვალისწინეთ, რომ ს.ს.ორბელიანის მიერ ლექსიკონის შედგენას არ უნდა დასჭირვებოდა 30 წელიწადი.

ს.ს.ორბელიანს არ დასჭირვებია ბერძნული ლექსიკონი, მის ლექსიკონში ნათლად იკითხება ბერძნული კულტურის ძლიერი უოლა და ეს მან ამოკითხა კეშშარიტ ქართულ ლექსიკონში, რომელიც მას წინ ედო. ამ კეშშარიტი, ისტორიული ლექსიკონიდან მან მრავალი მასალა გამოიყენა თავისი ლექსიკონის შედგენისას და ეს ლექსიკონი შემდეგ გაუჩინარიდა “ეამთა ვითაჩებითა უჩინო ქმნილ იყო“.

მეტად ილოგიურ განცხადებას კეთებს საბა თავისი ლექსიკონის შესვალში: “ვიცი მრავალი საბასრობელად დასდებენ ნუშრომთა ამთ ჩემთა. მათ თუ ცუცი წერილი უყვარან. მრავალი სხვანი წერილი არიან, სალომნი და საერონი და რომელი ენებოსთ, იგი იყითხენ. ხოლო ეს ჩემები, უცებისათვის აღიწერა, და დაუტეონ. ენაგარყვნილებათაგან სწავლული მრავალთა აქა წერილთა სიტყვათა იუცხოებენ და ხშირად განიშორებენ, თუმა ცოტა მკითხვენ, განმარტება ღრთით ძალ-მიცა და სიკვდილის უკან გათ იციან“.

ამ განცხადებაში მრავალი რამ გაუგებარია. ს.ს.ორბელიანის განმარტებით: ბასრობა - განცხადებული განკუცხა. მრავალი, საბა წინდაწინ აცრადებს: ჩემს ლექსიკონს მრავალი გადამეტებულად გაყიცხავენ (ანუ აღმინითდებიან), ენაგარყვნილ ქართულს მიჩვეული (სწავლული) ჩემი ლექსიკონის

შრავალ სიტყვას იუცხოებენ და მშობლიურად არ ჩათვლიანო (შორის განჩენა შორებენ), მე თუ პირადად (კოცხალსა) მეითხავენ განმარტება შემძლია მივცეო, ხოლო ჩემი სიკვდილის შემდეგ თქვენ იცითო (ჩასაც ახლა წერი ვცდილობთ).

დღეს თითქმის გაუგებარია, რა სიტყვებმა უნდა გახადონ საბას ლექსიკონის „წერილის მოვარული“ ზეითხველები “საბასრობელ“ ხასიათზე. ამის ახსნა იმით, - საბას ეს თავმდაბლობით მოსდისო, - არ იქნება მართალი. საბას ზემდეტი თავმდაბლობა არ აწუხებს, ის პირდაპირ აცხადებს, თუ არ მოსწონა, სხვა ბევრი წიგნია და ის იყითხონო. ეს განცხადება მრავალგზის საეჭვოა, თუ ამ წინააღმდეგის დასაწყისიდან გავიხსენებთ წინადადებას : “(ლექსიკონს) მეხუთე ვახტანგ მეფებან ქართულად „სიტყვის კონა“ უწოდა.“ ე.ი. ვახტანგ V, ეს თავის დროის უგანათლებულესი პიროვნება, ბრწყინვალე ქართულით მეტ-ყველი კაცი არ მოსულა „საბასრობელ“ ხასიათზე საბას ლექსიკონის წარ-ხეის შემდგომ. ის კი არადა ლექსიკონის ბოლოში მოყვანილია ლექსი, რომე-ლიც ვახტანგ V-ს მიუძღვნია საბასთვის თავისი აღტაცების გამოსახატვად, მას ლექსიკონის გაცნობის შემდეგ რომ დაუუფლა :

„რადგან დაშვრა ასრუ საბა, ქება მმართებს აწყა მეცა,

შეუყრია მრავლად სიტყვა, რა ვიზილე სიბრძნე მეცა,

სად ვნახევდი ასრუ კრებით, ქვეყნად მევლო გინჯა მე ცა,

და საქმით სცანით, თუ ვისწვლი, ვით ვინალული კიდეც მეცა.“

ასევე გაუგებარია, რომ თუ შესავლის დასაწყისში აცხადებს : მე სულხან-საბა ორბელიანნა ეს წიგნი ქაბუკობის, სიყრმის დროიდან დიდი შრომის ფა-სად შემიქმნია, ამავე შესავლის ბოლოს აცხადებს: ლექსიკონი “ესე ჩემებრ უცებისათვის ალიშტრა და დაუტეონ.“ ე.ი. მოკლე დროში შევადგინეო და არა ოცდაათ წელიწადშიო ანუ ოცდათი წელიწადი ის მარტო ლექსიკონით არ იყო დაკავებული.

საიდუმლოს გასაღები რასაკირველია იმაშია, რომ ს.ს.ორბელიანი, ვახტანგ V და მათი კომისია ამკიდრებენ ახალ, ძლიერი სპარსული ოზიენ-ტაციის ქართულ ენას, რომელიც მათი თანამედროვეთათვის უცხოა და “შრა-ვალთა აქა წერილთა სიტყვას იუცხოებენ“, ანუ პირველად გაიგონებენ. ამის საუკეთესო მაგალითია მათი უახლოესი თანამედროვის, ასევე სამეფო ოჯახის წევრის იოანე ბატონიშვილის შეტყველების ნიმუში:

(ქ.ს.ე.5.188) “იოანე ბატონიშვილი (ბაგრატიონი) (16.V.1768, თბილისი - 15.II.1830. პეტერბურგი). ქართველი სახელმწიფო მოღვაწე, განმანათლებელ-ენციკლოპედისტი, მწერალი, მეცნიერი, ლექსიკოგრაფი; შვილი ქართლ-კახე-თის უკანასკნელი მეფის გოორგვ XII-სა წიემურაშ ბატონიშვილის ძმა, რომე-ლიც არ სცნობდა (ქ.ცხ.)-ს]. რომელსაც 1799 წელს წარუდგინა მოქსენება

ქართლ-კახეთში, შისი აზრით, აუცილებლად გასატარებელი ჩეფორმების
შესახებ.”

ნაშევეტი ამ მოხსენებიდან ამოვიწეროთ ი. გავახიშვილის თორმეტილურ
ულიდან და რომელიც მეტად თანამედროვედ ულერს:

(ი.ჭ. VI. 119) “სხუა და სხუა გუარმან ცუალებამან კანონთამან უთანქმო-
ებამან და უწესობამა მართებლობისამან მოიყუანეს თითქმის სრულიად სა-
ქართულოშია ერთი განწირულებასა შინა და ამა გარემოებასა შინა აღყუა-
ნებულ იქმნებ, მოხსენებს ითანე ბატონიშვილი გიორგი XII-ს, საყდარსა წინა-
პართა შენთასა და ჰესუსრეტ ყოვლისა ამას უწესობასა და წარუმარტლებობასა
საქმისა და უკეთულონება არა რამასამე მოიპოვონ, ესე უბედურებას იქმნების
განგრძელებულ; მოქრისტიანულისა და ერთგულურისა გულითა, ვითარება
მშობელისა მიწისა ჩიუნისათვის შევედ ესე გუარსა კალინერებასა და ესე
ლონებ, რომელიც იქმნების სარგებლოვანი და არცა სამძიმო ერთათვის, აქა
მოვიბსენენ რაოდენიმე მშებლი ჰესულიადებლად ქურშევრდომთა და სქესთა
მეფისა ძეთასა და შამლვდელო თავადთასა; რომელი, უკეთუ იქმნების სრულუროვა ამისი, ვსასოებ, რათა ამის ძალით იდილნეთ თქუენცა და
სარგებელ ექმნენცა საზოგადოდ მცხოვრებთა საქართულოსა შინა.”

როგორც დავრჩენდით, ითანე ბატონიშვილის მეტყველება ეტიფანე კა-
თალიკოსის ქართული ენის გაგრძელება.

ს.ს.ორბელიანის ლექსიკონის უმთავრესი ამოცაა განლევნოს ქართული
ენიდან მეგრული ენის მკეთრად შახასიათებელი სიტყვები და დანერგოს სა-
ქართველოს აღმოსავლეთში დამკიდრებული ახალი დიალექტი, კილო-კავი
(ქართული+არაბულ, სპარსულ, თურქმენული). ეს ჭაბლავთ მიზეზი იმისა,
რომ: “ორბელიანი არ იფარგლებოდა მწიგნობრული ენით და ლექსიკონში
გაბედულად შემოკენდა ცოცხალი, სასაუბრო მეტყველებაში დადასტურე-
ბული ენობრივი ფაქტები.”

ს.ს.ორბელიანის დამოკიდებულება მეგრული ენის მიმართ კარგად იჩატება
შისი ლექსიკონით, სიტყვა “კლურტული” - ს განმარტებისას:

“კლურტული - მეგრელთაგან მრული ლაპარაკი, გინა ჩინიეთი და კაჭ-
კაჭთაგან ლაპარაკი. ეს არს მეგრელთა და მისთანათა ავენოიანთა ლაპარაკი.
გინა ჩინიეთი და კაჭკაჭთაგან ლაპარაკი. მეგრელთა და მისთანათა ავენოიან-
თაგან ლაპარაკი. კაჭკაჭთ მღერა. კაჭკაჭის მღერა.”

არ უნდა დაგვაიწყდეთ - ორბელიანები, მსგავსად ვახტანგ და ლომენტი
ბაგრატოვნებისა წარმოშობით თავად სამეგრელო-კანეთიდან არიან. ამავე
დროს მეგრული ენის მიმართ მათი დამოკიდებულება ბევრად ლმობიერია,
ვილრე (ქ.ც.ქ.)-ის ავტორთა შეხედულება ქართული ენის ბუნებაზე. ოვენ
გახსოვთ (ქ.ც.ქ.)-ის განცხადება - მთელი კავკასია პაიკურად მეტყველებდა,
მაგრამ როდესაც ნაბუქოდონისორმა იერუსალიმი ჩილო:

(ქ.ქ. I.10) "აქამომდის ქართლოსიანთა ენა სომხური იყო, რომელსაც შეიძლება ვიღეს, ხოლო ოდეს შემოკრბეს ეს ურიცხუნი ნათესავნი ქართლსა შინა, მაგრენ ქართლულთაც დაუტევეს ენა სომხური, და ამათ ყოველთა ნათესავთაზე მიმდინარე შეიქმნა ენა ქართული. იპყრეს სჭული უბორობესი ყოველთა ნათესავთა, რა-მეთუ ცოლქმრიობისათურის არა უნდა ნათესავობა და ყოველსა ნათესავსა სუ-ლიერსა ჰქონდეს; საფლავი არ იყო, მკუდარსა შესკამდეს."

ხედავთ? როგორც კი მიუტოვებით ჰაითა ენა და ქართულად ამეტაველე-ბულან, კაციქამიობა დაუწყით და მკადრებსაც კი მიირთმევდნენო, მხოლოდ აქ გარკვევით არ. სწერია, ძვლებიანიან ხრავდნენ თუ უძვლოდ, თუმცა უფრო საფიქრებელია ძვლებით, ვინაიდან მიწის თხრა არ ყოფილა საჭირო. ქართვე-ლებს ცოტა ერთმანეთის ჰამა (მშობლიური მაინც სხვა) რომ ვვიყვარს, სი-მართლეს არაა მოკლებული, მაგრამ აი მკადრებს კი რაც მართალი მართალია, არაფრეს ვერჩით.

ქართული ენა, განსხვავებით ს.ს.ორბელიანისაგან, შეგრულ სიტყვას "ელურტულს" სულ სხვა განხარტებას აქვთ:

"ელურტული - 1.ფრინველთ გალობა - ჰიყიკი მერცხლების; 2.გაღატა-ნითი მნიშვნელობით - ტიტინი, ტიეტიკი ბავშვისა."

როგორც ვნახეთ, ვახტანგ V ორბელიანის ლექსიკონს რომ გასცნობია, მოსწონებია და პოეტურად "სიტყვათა კონა" უწოდა. თავისი დროისიათვის ამ ორ დიდად განსწავლულ პიროვნებაში და არა მარტო მათში, ისე ჰქონია შეგ-რულ ენას, ფესვები გადგმული, რომ მათ ვერ შეამჩნიეს ლექსიკონში ისეთი სიტყვების არსებობა, რომელიც დღევანდელი ქართველისათვის მეგრული ენის ცოდნის გარეშე გაუგებარის, რაც იმის შეტყველია, რომ ეს სიტყვა მათთვის მშობლიური ქართული იყო.

ს.ს.ორბელიანის ლექსიკონში გვხვდება სიტყვა - რაგადობა.

ც "რაგადობა - საუბარი (ალერსიეთი)."

ეს სიტყვა ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში არ არის შეტანილი. ეს გახლავთ მეგრული სიტყვა, რომელიც ნიშნავს ლაპარაკს და რომელიც, რო-გორც ნახეთ, მეგრულს შეუძლია 250-ნარად გამოთქვას.

"სერობა - მიმწუხრი საზრდელი. ვახშმობა."

(ი.ქ.X.103) "ძველს ქართულში სალამოს პურის ჰამას სერი და სერობა ერქვა. უკვე საშუალო საუკუნეებსა და თანამედროვე ქართულში ეს ტერმინი აღარ გვხვდება. აღმ. საქართველოში ამ სიტყვის კვალი ტერმინ სერის კუდ-ში-ლა მოჩანს, რომელიც სამხარის მოვინებული გაგრძელების აღსანიშნავად იხმარება. თანამედროვე მეგრულს-ლა აქვს სერი-ს ძველისძველი მნიშვნელობა დაცული და ლამეს ნიშნავს, ხოლო ვახშამს რსერიშე, ე.ი. სასერე ეწოდება."

სერობა დამკიდრდა ქართულში ბიბლიური სიუკეტის „საიდუმლო/სერობა“-დან. შემდგომ აქედან წარმოიქმნენ სიტყვები სერობა - სერობებული - სეირნობა - სეირი - სერი.

გვალუ - იარე“.

არც ეს სიტყვა გვხვდება ქართ. ენის განმარტებით ლექსიკონში. ამ სიტყვების მხოლოდ მეგრული იყენებს - მა-გვალ-ანს - მიღის.

„ქვიჯა - მცირე როდინი“.

ეს მეგრული სიტყვა სრულად გამოხატავს როდინის შინაარსს - ქვა და ჯა = ხე ე.ი. ხე-და-ქვა.

„ჭილები - ზრობის მომსარელი სენი“.

აღარ გვხვდება აბალ ლექსიკონში. მეგრულში ბერძნულიდან დამკიდრებული სიტყვა „ლები“ დღესაც ავალმყოფს ნიშნავს.

„უპე - ჰიპი, უპედ მას უწოდებენ, აბალშიბილსა ჰიპთა წელებს რომ აბია.“

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ამ სიტყვას თავისი პირვენლელი მნიშვნელობა შეუცვლია : უპე (უპესა) - თვალის გარეთა ნაწილი ლაწვის თავიდან ქვედა ქუთუთომდე.“ ამ სიტყვის წარმოშობის თვალსაზრისით ს.ს.ორბელიანის განმარტება მართებულია, ვინაიდან „უპე“ წარმომდგარია ვანური „უმპა“-დან, რაც კის ნიშნავს.

„კუანწვა - ქალთ როკვაში უსულიანად მიმოგრება“.

განმარტებით ლექსიკონში ახსნილია „კუანწვა“ ორბელიანის ლექსიკონის მიხედვით.

„კუანწვი-ი (ძვ.) თამაშობა, ცეკვა.“

არცერთი განმარტება არ არის სწორი. „კუანწვა“-ს მხოლოდ მეგრული იყენებს და ნიშნავს „კობტაობა“-ს. „კუანწირი ორბელიი“ = „კობტა ბოსტანი“.

ის, რომ ს.ს.ორბელიანს თავის ლექსიკონში შეტანილი აქვს მეგრული სიტყვები შესატყვისი ქართულის გარეშე; შემჩნეული აქვს ი.ჯავახიშვილსაც. შებუთე ტომში, საქართველოში მებოსტნეობის მიმობილვისას იგდ შენიშნავს, რომ ს.ს.ორბელიანს „ქინჯილოწი“ -ს განმარტებით თავი არ შეუწუხებია და მცენარის პირობითი ნიშნის დასმით დაქმაყოფილებულა. „ქინჯილოწა“ მეგრულად ეწოდება სტაფილოს.

(ი.ვ. V.76) „მეგრულად „კოლო“ მწარესა ჰინშნავს და ზოვრერთი მცენარის სახელებშიც მემადგენელ ხაწილად შედის. მაგ. მწარე კვახს „კოლოჭურა“ ეწოდება, ძირმწარეს „კოლინზი“... მწარეს აღმოჩენებით „კოლო“ მარტო მეგრულს არა აქვს დაცული, არამედ ვანურშიც მოიპოვება. მაგრამ ამაზე უფრო საგულისხმოა, რომ ეს სიტყვა „კოლობანი“ -ს სახით სამწერლობი ქართულში ყოფილა. ს.ს.ორბელიანის განმარტებით „კოლომანი“ თურმე არის მწარე დიდად“.

“კოლინგი” = ძირმწარე მეგრულად ასე იკითხება “კოლო-ჭინჭი” = “მწარე ძირი”. სიტყვა ძირმწარე მეგრულად სხვანაირადაც გამოითქმება “ჭინჭი-ჭარი” = “ძირი მეგრელი (მეგრენარი)“ ანუ “ჭინჭარი”. ამდენად გვაჩიშვილმა ჭარაული კოლხური წარმოშობისაა.

მხოლოდ მეგრული ენით ასწავლი სიტყვები გვხვდება არა ზარტო ლექ-სიკონში, მაგალითად: (ქ.ცხ. II.013) “იოანე პეტრიშის აქვს ასეთი გამოთქმა “მე-დინი და ხრწნადი სოფლის შესახებ.“ ს.ს.ორბელიანი სიტყვას “მედინი” ასე განმარტავს: “მედინი - მომდინარე თუ წარმდინარე“. ამ სიტყვას “მედინი” თავად ს.ს.ორბელიანი არსაც არ ხმარობს. “მედინი” მეგრულად ნიშნავს და-კარგვას - “სო მედინი” = “სად დაიკარგე” და პეტრიშის “მედინი” უნდა აღვიქვათ როგორც კარგვადი ანუ წარმავალი. ე.ი. [წარმავალი და ხრწნადი სოფლის შესახებ]. მაგრამ “შედინი” -ს ფუძე არის ბერძნული ბირთვინი [დინე] და რაც ქართულში დამკიდრდა ასევე დინების, მდინარე, მიმდინარეობა და სხვა სახით. მხოლოდ პეტრიშის გამოყენებული აქვს “დინე” -ს მეგრული ვარიანტი “მეფინი”.

ჩვენი ისტორიის მწვალებლებს მშვინივრად ესმოდათ, რომ მხოლოდ სა-ქართველოსა და ჰაიკთა ისტორიული ძეგლების შეკეთებით ვერ შექმნილნენ სასურველ ფონს (ქ.ცხ.) - ის ნატყუარი ისტორიის დასამტკიცებლად. საზღვარ-გარეთ არსებობდა ლიტერატურული ძევლები, რომლებიც ქვემარიტებას ღალადებდნენ და საჭირო იყო მათი ან განადგურება, ან გადაკეთება მაინც. მწვალებელთა კვალს ათონის მთაწეც მიყვავართ. ჩვენი ვერსიის დოკუმენტა-ლური მტკიცებისათვის მოვიხმოთ ფაქტები ც.ქურუციკის მიერ 1983 წ. გამოცემული ბასილი კესარიელის “სწავლათა” თარგმანიდან. ბასილი კესა-რიელის “სწავლათა” თარგმანი გამოცემულია სამი ხელნაწერის შინელვით. ჩვენ კურადღებას გავაძახვილებთ ორ ხელნაწერზე Ath32 (ათონური ხელ-ნაწერი, გადაწერილია ათონშე და დღემდე იქვე ინახება. თარიღდება 977 წლით) და H2251. ამ ხელნაწერებს აქვთ საქართო ანდერძების სახით.

(ქურუციკი 011) “Ath32 ხელნაწერს რამდენიმე ანდერძი ერთვის. ამ ან-დერძებში მთარგმნელი ეფთვიმე, გადამწერი საბა, „წმიდისა ამისა წიგნისა“ მომგებელი იოვანე (ეფთვიმეს მამა), იოვანე თორნიკ ყოფილი და მათი “სუ-ლიერი ძმანი“ არსენი, თეოდორე და გიორგი არიან მოხსენებულნი.

პირველი საკითხავის ბოლოს (47v) ეფთვიმეს ანდერძია :

“წმიდან მამანო, რომელნი ამას იკითხვიდეთ, ლოცვა ყავთ გლახაეისა ეფთომეს თვალს, რომელმან ესე ვთარგმნე, და ლმრთისათვს, ვინცა გარდას-წერდეთ ამას, დაწერეთ ჩემიცა სახელი და ნუ აღმომპორთ მეცა გლახაესა, რამეთუ ამისთვის თავს - მიც ფრიალი შრომად.“

ეფთვიმეს მეორე ანდერძი მოთავსებულია მეორე საკითხავის ბოლოს :

„ლმერთმან დაგაფეროს, წმინდანო მამანო, რომელი ამას იყითხვიდეთ /
ლოცვა ყავთ ცოდვილსა ეფთიმესთპს, რომელმან ესე ვთარგმნე და უფროშესაფალ
წმიდისა შამისა ჩემისა იოვანესთპ, რომელმან იხარკა განსვლა ჩემიც რომელია
უფალმან თქუნცა მაღლი მოგანიჭოს, წმინდანო ღმრთისანო.“

ხელნაწერის ბოლო ფურცელზე (313r) ერთმანეთს მოსდევს საბას და
იოვანეს ანდერძები:

„ქუ, აღიდე სულითა მამაშ იოვანე და შვილი მათი სულიერი ეფთიმე, ამისი
თარგმანი და მეცა შემიწყალე გლახაკი საბა, ამისი უცბად მწერალი. ლოცვა
ყავთ, წმიდანო ღმრთისანო.“

თუ ამ ანდერძების ქართულს „შევადარებთ ეტიფანეს განაჩენის ქართულს,
უნდა ვირწმუნოთ, რომ ეს არ არის X საუკუნის მეტყველება.

(ქურციკიძე 013) „ყველა ეს ანდერძი ხელნაწერის გადამწერის, საბას ხე-
ლითაა დაწერილი. ეფთვიმესა და იოვანეს ანდერძებზე დაკვირვება გვიჩვენებს,
რომ ისინი ამ ხელნაწერთათვის კი არ არიან შედგენილინ, არამედ გადმო-
ტანილი ჩანან სხვა ხელნაწერიდან, აღმას, ეფთვიმეს ავტოგრაფიული ნუს-
ხიდან.

როგორც ქვემოთ ვნახავთ, Ath32 და H2251 ხელნაწერებს ერთმანეთთან
უშესალო კავშირი არა აქვთ, ერთმანეთს არ იცნობენ და ერთი შეორისაგან არ
შორისიარეობს, ეფთვიმეს პირველი ანდერძი კი, რომელიც Ath32 კრებულს
პირველი თხზულების ბოლოს (47v) ერთვის, სიტყვასიტყვით ემთხვევა H2251
ხელნაწერში იმავე პირველი თხზულების ბოლოს (46v) დართული ანდერძის
დასაწყისი ნაწილს.“

ამ ამონაწერიდან უნდა დავასკვნათ: ორივე ხელნაწერის ანდერძები ერთი
წყაროდან მომდინარეობს, ან ერთი პირველებისაგან და თავად თარგმნილი
ტექსტები განსხვავდებიან. განხილულმა ფაქტმა თქვენში უნდა აღძრის
გარევული ექვები.

H2251 ხელნაწერი ნაკლულია, აკლია თავშიც. შეუ ნაწილშიც და
ბოლოშიც. (გაიხსენეთ „შუშანიკის წამების“ ხელნაწერი პარხლის მრავალ-
თავიდან) გადამწერი გახლავთ იორგანე. გავეცნოთ ორივე ანდერძის:

(ქურციკიძე 016) „ესე ბრძანებას ეფთიმესი არს. წმიდანო მამანო, რომელი
ამას იყითხვიდეთ, ლოცვა ყავთ გლახაკისა ეფთიმესთპს, რომელმან ესე
ვთარგმნე (!) და, ღმრთისათვის ვინცა გარდასწერდეთ ამას, დასწერეთ ჩემიცა
სახელი, და ეუ აღმომქმედ მეცა გლახაკისა, რამეოუ ამისთვე. თავს=მიც
ფრიადი შრომას სწავლასა და თარგმნობასა ამისსა, არამთა მილოცვიდეთ. და
ლოცვა ყავთ.. ღმრთისათვის, კურთხეულისა ამის მაშისა იორგანესთპს,
რომელმან ფრიადი შრომას თვას-იდეა და მოვიდა ქართლისა ქუვანის
საბერძნეთს, მთაწმიდას, ღმრთისათვის, თავად და მცრმე ბრძანებისათვე დავით

ქართველთა მეფისა, და თავს-იდვა ჭირი და დაწერა წმიდაშ ესე წიგნი, რომელიც უკავშირდება ვინცა ამას იქითხვიდეთ, ღმერთმან დაგაჭეროს ლოცვა ყავთ ჩეუნ ყოველთაობს”...

“ლოცვა ყავთ გლაბაკისა ეფთიმესთბს, რომელმან ვთარგმნე. სიყვარულისათბს] ღმრთისა, ნუ ვინ მომიგინდების ზომად წერისათბს, ბრძანებად შეუნდა ნუსხვისას ღდენ სისწრაფისაგან. ლოცვა ყავთ გლაბაკისა ბორდანესთბს გამორინისელისაზ, შორის ქუეყანათაგან რომელმან ვლე უთხ-მეოცდაათექუსმეტი დღე ვიდრე მთაწმინდამდე”.

(ქურუკიძე 017) “ამ ანდერძ-მინაწერებში გარკვევით და თანაც არაერთ-გზისაა აღნიშნული, რომ ხელნაწერებში დაცული საკითხავების მთარგმნელი არის ეფთიმე (ეფთვიმე ათონელი), ხოლო კრიბული გადაუნუსხავს (გადაუ-წერია) იორდანეს, რომელიც სასულიერო პირი ყოფილა (ერთ-ერთ ანდერძში მოხსენიებულია როგორც “ქურონეული მამა”). იგი ამ ხელნაწერის გადა-საწერად საგანგებოდ მოუვლინების შორეულ მთაწმინდაზე დავით ქართველთა მეფეს.

იორდანე თავის თავს “მამირენისელს” (მამირენის მკილრი) უწოდებს. შას 96 დღე უვლია, ვიდრე “შორთა ქუეყანითაგან (“ქართლის ქუეყანით”) საბერ-ძნებს, მთაწმინდას, მიაღწევდა. დავალებული ჰქონია, რაც შეიძლება ჩეარა, “სისწრაფისაგან” გადაუნუსხა ხელნაწერი, ამიტომ “ზომად წერისათბს” პატი-ებას თხოვულობს.”

უწდა გაითვალისწინოთ, რომ იორდანეს ანდერძი სადაც ის დავით ქართვე-ლთა მეფეს და ქართლს ახსენებს, არის კიდურწერილობის ნიმუში ანუ ჩამა-ტებულია შემდგომ ხელნაწერის თავისუფალ კიდურზე, გვერდზე, ასევე გაიხ-სენეთ, რომ დავით მეფის ტიტულატურა იყო “მეფე აბხაზთა, ქართველთა...”, ხოლო შემოკლებით გამოითქმებოდა მზოლოდ “მეფე აბხაზთა”. თქენ უკავე საქართვისი ცოდნა დააგროვეთ მიხვდრილიყავით, თუ ვინ იარა 96 დღე ქართლიდან ათონის მთამდე და რატომ უნდა ეჩეარა (აუცილებელი არაა ს.ს.ორბელიანი წარმოიდგინოთ).

განსაკუთრებულ კადევას თხოვულობს ს.ს.ორბელიანის დამოკიდებულება პაკითა ენასთან. ს.ს.ორბელიანი თავისი ლექსიკონის შესავალში, რომლის სათაურით თითქმის თავის თავს განაჩენ გამოუტანა : “ანდერძნამაგი მუშაკისა, ფრიად დამაშერალისა მოსწავლეთათვის. გარნა მრავალნი მოსწავლენი მგმო-ბარ და მოეიცხარ ექმნებიან შრომისათვის და არა სარეწავად მისცემენ ლოც-ვასა” - წერს:

(Z ნუსხა) “ერთი სომხური მომცრო ლექსიკონი ვნახე. რომელსა მათისავე ენითა ბარგიჩე ეწოდების, და მეც მათის ბძით ქელი მივყავ და, რაოდენი ძალმედვა აღვწერე.”

(А ნუსხა) "სომხური ერთი მომცრო ლექსიკონი ვნახე და მე მათის მაძვია
ალვეტერე." სომხური ერთი მომცრო ლექსიკონი ვნახე და მე მათის მაძვია

(Cab ნუსხები) "სէვის ენითა ვნახე და მეც მათის ბაძით ალვეტერე." სომხური ერთი მომცრო ლექსიკონი ვნახე და მეც მათის ბაძით ალვეტერე.

ს.ს.ორბელიანი მეტად უხვად იყენებს მისი წარმოღვენით ჰაირა სიტყვებს, ისე რომ არც იძიებს - შეიძლება რომელიმე სიტყვა თავად ჰაირუ ენაში შე-საძლოა სხვა ენიდან იყოს დამკვიდრებული. საბას ლექსიკონში ვკითხულობთ :

(ს.ს.) ბატი (ფრინ.) სომხურია, ქართულად ლერლეტი ჰქვიან.

"ბატი" არაბული სიტყვაა.

(ს.ს.) ბემი - მაღალი ხარისხი. სომხურია, ქართულად ტვიქი ჰქვიან.

(ს.ს.) ტვე - ბემი, სასხდომლები მრავალთა იორვანე ღრმრთისმეტყველი: "მუნ მოვედით, რომელ არ ტვე ქალაქისა და იყო კაცი განჩალვეული და აქვნდა სნეულება ათორმეტ წელ".

ჩავიხედოთ ძვ.ბერძნული ენის ლექსიკონში:

βημα [θემა] - 3)водительство; 4)судейское кресло; 5)возвышение; б)помост (для ораторов или сторон на суде); трибуна;

ქართული ენის მხგავსად ჰაირა ენაშიც მრავალი ბერძნული სიტყვა მო-იძებნება მსგავსად "ბემი"-სა.

(ს.ს.) დევი - სომხურად ეშმაქს(ა) ჰქვიან, ხოლო ქართულად რომელთამე წერილთა შინა დევი ჯველ-ვეშაპის იდგილს ალუწერიათ და გარეშეთა წერილთა, რომელი საწარმართოს ალუწერიათ, ავ-სახე კაცის მსვავსი, ჩეიანი; იგი მოგონებული ტყუ(ვ)ილია.

(ს.ს.) გაწი - მიწა, ცარცი, საგოზელი (ქართულად ცარცი ეწოდება და სომხურად ბრუოვ).

წრიო [ბრუო] - цвети, расцветать...когда земля покроетсяся растительностью.

საბას დამკვიდრებული ტრადიცია გრძელდება შემდგომაც.

(ი.ქ.VI.333) "ოპიზის განთქმულ სიგელში მოხსენებული არიან "ტაოსა და კლარჭეთის ტანუტერნი" ტანუტერი სომხურად იგვივე მამასახლისია. ზაშასა-დამე ამ საბოთში "ტაოსა და კლარჭეთის მამასახლისინი" არიან ნაკულის-ტევნი. მხოლოდ აქაც "ტანუტერნი" სოფლის მამასახლისებს ნიშნავდა, თუ უფრო მაღალხარისხოვან მოხელეს, არა ჩანს. სომხური სახელი ამ ხელისუფ-ლებისა ალბათ ამ კუთხის წინადროინდელი ხანის ნარევი მოსახლეობის ნაშთი უნდა იყოს."

თუ ჩავიხედავთ ძვ. ბერძნული ენის ლექსიკონში :

τάνυ [ტანუ] - править, управлять.

τερασ [ტერას] - 1)значение, чудесная примета, предвестник.

ამრიგად, მსგავსად მრავალი ქართული სიტყვისა ტანუტერი ბერძნული წარმოშობის შედენილი სიტყვაა და აუც ძალიან ჩვეულებრივია ქართველთა, განსაკუთრებით ტაო-კლარჯეთის მეტყველებაში. სხვათაშორის, პაიოთე უნიტე მღვდლის სახელწოდება “ტერტერა” ამ ბერძნული სიტყვიდან თერაზ-დან წარმოდგება უცილობლად.

სამწუბაროა, რომ სიტყვა “ტანუტერზე” ასევე მცდარი წარმოდგენისაა თანამედროვე ქართული ენციკლოპედია :

(ქ.ს.ე 9.658) ტანუტერი (სომხ. ტანუტერ - მამასახლისი).

უნდა გვასოვდეს - ტაო-კლარჯეთი, უმთავრესი მიზეზი ამ წერილის წე-რისა, ოდითგან მეგრელებისა და კანების ნარევი მოსახლეობის სამკვიდრო გახლდათ.

ბაგრატოვნები

(ქ.ქ.ქ.) არ გახლავთ პირველი შემთხვევა, როდესაც ბაგრატოვნები ჰქმნიან მათვის სასურველ ლიგნებას. ბაგრატოვნებად წოდებული, ქართველ მეფეთა სამეფო კარის მიერ შეთხული, ჩვენამდე მოლწეული უძველესი ლეგენდა გახლავთ:

(ინგოროვა 76) “თოთქოს ქართველ მეფეთა გვარი არის შიამომავალი დავითი ისრაელთა შეფისა.”

(ინგოროვა 78) “ცენტრი ბაგრატიონების ძირითადი საგვარეულო სამ-ფლობელისი, როგორც ირკვევა იყო კლარჯეთი, კლარჯეთი ყოფილა რეზი-დენცია ბაგრატიონთა გვარულობის მფლობელ მთავართა: ამის გამო ამ სამფლობელოს “კლარჯეთის სახლი” ჩქმევია.”

(ინგოროვა 77) “ბაგრატიონები მეფობას მიაღწევენ საქართველოში და სომხეთშიც, სახელდობრ, საქართველოში მე-9 საუკუნის დასაწყისში (აშოტ I დიდის დროს), ბოლო სომხეთში ოდნავ გვიან, მე-9 საუკუნის დასასრულს (885 წ.).”

სირსტორიო წყაროების ჩვენებათა მიხედვით ირკვევა, რომ ქართველი ბაგ-რატიონები, ვიდრე ისინი გამდებოდნენ ქართლის (იბერიის) ერისმთავარნი, და შემდეგ ქართლის (იბერიის) მეფენი, უფრო ადრე ყოფილან შთავრები მესხეთის მხარეთა.”

როგორც დავალგინეთ, კლარჯეთი ოდითგან სამეგრელო გახლდათ, სამეგ-რელოს ერთ-ერთი შემაღვენელი მჩარე და ბაგრატოვნებად აღზევებულთა

წინაპრები იყვნენ არა ისრაელითოგან გადმოხვეწილნი, არამედ ადგილობრივი შეგრული წარმოშობის მთავრები. თქვენ კარგად გახსოვთ, რომ ეს მხარე დღი დღიხანია ბიზანტიის შუარველობის ქვეშა (მისი შემადგენელი ნაწილები) დღი ბიზანტიის კი სვანეთშიც, აბასგიაშიც, ლაზიკაშიც მხოლოდ ადგილობრივი წარმოშობის მთავრებს და შეფეხებს ნიშნავდნენ. გულუბრუყვილობის ჩა ამოუწურავ მარაგსაც უნდა ფლობდეთ, ძნელი დასაჭრებელი უნდა იყოს, რომ აქვთ კლარჯეთში, სამეგრელო-ქანეთის გური ადგილში, კოლხთა ქრისტეანული რწმენის აკვანში ისრაელითოგან გადმოხვეწილნი გამთავრებულიყვნენ. ეს ხომ უნდა დამჩნეოდა ქართულ კულტურას, რომელიც კლარჯეთში გაჩნდა და ებრაულის კვალიც კი არაფერები არ შეემჩნევა. თვით ებრაელური სიტყვები - შაბათი, პარასკევი ხომ ბიზანტიიდან დამკიდრდა საქართველოში და არა ისრაელიდან:

(ი.ჭ. I.158) "ცონბილია, რომ ქრისტიანებმა პირველად შვიდეულის დღეთა სახელები ებრაელთაგან შეითვისეს და შვიდეულის დღეთა აღსანიშნავად ხმა-რობდნენ თამართო [საბატონ] შაბათი, პარასკევი [პარასკევე] პარასკევი, ბეუთერა თამართო, თრით თამართო მეორე, მესამე შაბათთა, ე.ი. ჩვენი ორშაბათისა და სამშაბათის მსგავსად... აღმოსავლეთში, საბერძნეთში კი ქრისტიანებისაგან შემოღებული შაბათის სისტემის სახელები დარჩა შემ-დეგშიაც. ამგვარად, ცხადი ხდება, რომ ქართველებს შვიდეულის დღეების შაბათის სისტემის სახელები ქრისტიანობის შეთვისებასთან ერთად IV ს-ში უნდა შეეძინათ."

ეს ფაქტიც კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩვენს მტკიცებას, რომ ქართული გამწერლობა და საერთოდ ქართული კულტურა იწყება IV საუკუნიდან. ამას კიდევ ის გარემოება უსვამს ხაზს, რომ მეგრულს და სვანერს შვიდეულის აღსანიშნავად უძველესი წარმართული ხანის სახელწოდებანი გააჩნიათ.

ლეგენდის შექმნის დედაბზრი თავად ლეგენდის თხრობაში უნდა ვეძიოთ:

(ინგოროვა 81) "ეს მეორე გადმოცემა, იმ სახით, როგორადაც იგი გავრცელებული ყოფილა საქართველოში მეათე საუკუნეში, ჩაწერილი აქეც 952 წელს ბიზანტიის იმპერატორის კონსტანტინე პორფიროგენეტს თავის ცნობილ ძეგლში (De administrando imperio) იბერიილთა მონათხრობის მიხედვით :

"უნდა ვიცოდეთ, რომ იბერიილები, ე.ი. კურაპალატისანი [ქართველთა სახეფოს მკვიდრნი] ამაყობენ იმით, რომ არაა შთამომავალი ჰურის [წეთელის] მეულის [ბერსავიასი], რომელიც შეირთო მეფემ და წინასწარმეტყველმა დავითმა, სახელდობრი იბერიილები] ამტკიცებენ, რომ არიან შთამომავალი შვილებისა, რომლებიც მას [ბერსავია ხეთელს] შეეძინა დავითისაგან. ამიტომაც ისინი უწოდებდნენ თავს თავს დავით შეფისა და წინას-

წარმეტყველის ნათესავს, და აქედან ყოვლადწმიდა ღრმობისმშობლის ნათესავსაც, რაღაც ისიც [ღრმობისმშობლი] დავითისაგან არის წარმოშობილი ლუკინდის დედააზრი თხრობის თავშივება ჩადებული: არც მეტიცამატება ნაკლები - ჩვენ, იბერიის კურაპალატები ქრისტეს ბიძაშვილ-მამილაშვილები ვართო. ეხლა აცხსნათ, თუ რაში დაიწირდათ ეს ლეგენდა. ჩვენ ვნახეთ რომ ბიზანტიამ მას შემდეგ რაც იბერიი შემოიერთა, რომელსაც ბოლოს უმეტობის გამო სპარსი სატრაპები მართავდნენ, იბერიის ერისმთავრებად, კურაპალატებად საქართველოს დასავლეთის მთავრებს ნიშნავდნენ. ამის მაგალითია აშოტ I დიდი - მეფე ქართველთა და იბერთა კურაპალატი. ე.ი. თვეისანთი მმართველობის სამართლაარობის დასასაბუთებლად კლარჯი დიდებულები ჰქმნიონ ამ ლეგენდას - ჩვენ ვიღაც კოლხი მეგრელები კი არ გვირჩოთ - ქრისტეს ნათესავები ვართო.

კლარჯ დიდებულთა ეს სახლი გამეფდა არა ვარტო იბერიის სამხრეთ ნაწილში, არამედ მათ შექმნეს ტაოს სამეფოც (დავით დიდი) და კახეთ-ჰერეთისაც მმართველობდნენ. ამის კვალი დარჩენილია (ქ.ც.ქ.)-ში:

(ინგოროვა 79) "მე-8 საუკუნის მატიანეში, რომელიც ექვსცერპტის სახით არის ჩართული ჭუანშერისეულ ქრისტიანი, მოთხრობილია გადასახლება კახეთ-ჰერეთში ბაგრატიონთა ერთი შტოსი (აღარნასე "ბრძის" ძმისწულებისა), მეფე არჩილის დროს. მე-8 საუკუნის შუა წლებში, შეორე შტო ბაგრატიონთა გვარისა დარჩენილა ძველ სამულოებელოში - ჭორობის ხეობაში. მემატიანე ბაგრატიონთა ამ ორი შტოს შესახებ შემდეგს მოგვითხრობს:

"მასვე უამსა პიტიახშნი ვინმე (-იგულისხმება ჭირობის ხეობაში დარჩენილი ბაგრატიონები) არა შეეშვნეს კლარჯეთს სახლად და წარვიდეს ნახევარნი მათგანნი და შეიპყრეს კლდე ერთი ტაოს, რომელსა ერქვა კალმახი და აღაშენეს ციხედ. ხოლო რომელნი იგი მოვიდეს კახეთის არჩილის თანა (იგულისხმება კახეთ-ჰერეთში გადასახლებული ბაგრატიონები)... მიუბოძა [არჩილმან] წუქეთი ციხით კარითურთ."

ამ ცნობილან ჩანს, რომ კახეთ-ჰერეთი (ან ნაწილი) უკვე მე-8 საუკუნეში შეურთდა ქართველთა სამეფოს. ბაგრატიონთა წარსულის შესახებ ჩვენს მოსახრებას ეხმიანება ტიტულატურა, რომლითაც მიმართავდნენ ქართველ მეფეებს:

(ინგოროვა 85) "გრიგოლ ხანძთელი, როგორც მოძღვარი ერისა, საპასუხო სიტყვაში ასე მიმართავს აშოტ I-ს:

"დავით წინასწარმეტყუელისა და უფლისა მიერ ცხებულისა შვილად წოდებული პელმწიფეო, მეფობად და სათნოებანიცა მისნი დაგიმედრნენ ქრისტემან..."

ე.ი. ქრისტესგან ხელდასმული ხარო. ამ იდეის განხორციელების გვირგვინია ოპიზის ბარელიეფი.

(ინგოროვა 84) "ჩვენ უკვე მოხსენებული გვქონდა ოპიზის ბარელიეფი აშოტ I დიდის ხანისა, რომელიც ეკუთვნის 818 წლის ახლო დროს, და სკელი აშოტ I წარმოდგენილია როგორც შთამომავალი დავით მეფე-წინასწარმეტებული მეტყველისა და ნათესავი ქრისტესი. (ბარელიეფზე, როგორც მოვიხსენეთ, წარმოდგენილია ჯგუფი: შუაში ტაბტზე ზის ქრისტე, რომლის ერთ მხარეზე დგას აშოტ I დიდი, ოპიზის ტაძრის გამოსახულებით, ხოლო მეორე მხარეზე წარმოდგენილია დავით წინასწარმეტყველი, როგორც წინაპარი აშოტ I-სა და ქრისტესი, რომლის შეშვერობით აშოტ I ენათესავება ქრისტესი)."

კონსტანტინე პორფიროგენეტს მაინც დამაიც არ სჭერა ამ ლეგენდისა და ხშირად იმეორებს: "იბერიელები, როგორც თვითვე ამბობენ", "როგორც ამის შესახებ მოგვითხრობენ თვით იბერიელები"; "ისინი [იბერიელები] ამტკი- ცებენ"; "სახელდობრ [იბერიელები] ამტკიცებენ". მაგრამ ზოგიერთი თუ მაინც სჭერა რომ ბაგრატოვნები წარმოშობით ებრაელები არიან, მაშინ მათ ასენა უნდა მოუქებნონ მტკიც ალოგიკურ სიტუაციას. განვაგრძოთ კონსტან- ტინე პორფიროგენეტის ტექსტი:

"...ისინი [იბერიელები] მოგვითხრობენ, რომ მათი ტომი იერუსალიმიდან არის მოსული, რომ ისინი [იბერიელები] წამოვიდნენ იერუსალიმიდან [ლვთის ბრძანების მომასწავებელი] სიზმრების ჩვენებით და დაესახლნენ სპარსეთის მხარეებთან, ე.ი. ქვეყანაში, სადაც აშეამაღ მკვიდრობენ. ეს სიზმრის ჩვენება რომ მიიღეს და იერუსალიმიდან რომ წამოვიდნენ, იყვნენ [იბერთა წინა- მძღოლნი] დავითი და ძმა მისი სპანდიატი; ამ სპანდიატმა, როგორც ამის შესახებ მოგვითხრობენ თვით იბერიელები, მიიღო, ღმრთისაგან წყალობად, რომ მას ბრძოლებში ხმალი ვერ დაუჭიანებდა სხეულის ვერც ერთ ნაწილს, გარდა გულისა, რომელსაც იგი ბრძოლების დროს იცავდა რაღაც საფარით. ამიტომაც იყო, რომ ასე ძალიან ეშინოდათ მისი სპარსელებს. მან [სპანდიატმა] გაიძარვა კიდევ სპარსელებზე, დასძლია ისინი და თავისი თანამონათესივე იბერიელები დაასახლა მნელად მისადამ ადგილებში, სადაც ისინი დღემდე მკვიდრობენ. აქედან მათ თანდათან გააუართოვეს თავისი საზღვრები, გამ- რავლდნენ და გადაიქცენ დიდ ხალხად...

ვიხილავ იბერიელები, როგორც თვითვე ამბობენ, შთამომავლობით იერუ- სალიმიდან არიან, ამის გამო მათ აქვთ დიდი სიყვარული მისი [იერუსალიმისა] და უფლისა იესო ქრისტეს საულავისა [იერუსალიმში] და განსაზღვრული დროებში უბრად უგზავნიან ფულს წმინდა ქალაქის [იერუსალიმის] პატრი- არქესა და იქანურ ქრისტიანებს.

დასახელებულ დავითს, სპანდიატის ძმას, ჰყავდა შვილი ბაგრატი. ბაგრატს ჰყავდა შვილი აშოტი... სპანდიატი კი, ძმა დასახელებული დავითისა, უშვი- ლოდ გარდაიცვალა..."

ამ მონათხრობილან გამომდინარეობს: - ებრაელები არიან არამარტო ბავ

რატოვნები. არამედ თავად იბერიელებიც. ებრაელებს კი, საღაც არ გირ-
ფანტენ, ყველაგან ასსოვთ თავიანთი წარმოშეავლობა, მიუხედავად იმექანიზმები
ამის გამო მრავალი განსაცდელი გადახდათ თავს და ჩაღა საქართველოს
აღმოსავლეთით, იბერიაში დაავიწყდათ თავიანთი წარსული. ასევე გაითვა-
ლისწინეთ, რომ არც ანთროპოლოგიურად, ენობრივად, წეს-ჩვეულებებით,
კულტურით შეიმჩნევა ჩაიმე მსგავსების ნიშანწყალი. ასევე გაითვალისწინეთ,
რომ თავად კონსტანტინე პორფიროგენეტი კლარჯეთს და იბერიას სხვადასხვა
მხარეებად მიიჩნევს. სხვათა-შორის პორფიროგენეტი არაფერს ჰყვება ქრის-
ტეს კვართის შესახებ. მაშინ ეს ლეგენდა არ უნდა არსებულიყო.

ინტერესუნეთ - ბაგრატოვნები ადგილობრივი, კლარჯი, მეგრელი დიდებუ-
ლები გახლდნენ. ამის გამოც მოხდა უმტკივნეულოდ ცენტრალური სამეგრე-
ლოს (აბხაზეთის) სამეფოსა და კლარჯეთის (ქართველთა, ქორიხის ხეობის
მეგრელთა) სამეფოს გაერთიანება და დავით აღმაშენებელი, წარმოშობით
მეგრელი დიდგვაროვანი, იწოდებოდა - "შეფე აბხაზთა და ქართველთა".

წყვეტილები

წერილის ამ თავში მოყვანილი ამონაწერები და მოსაზრებები დაგვეხმა-
რება საქართველოს ისტორიის ახალი ოლქის უკეთ გააზრებაში.

(ი. გ. X. 447) "დასასრულ, მხოლოდ ის საკითხი-და გვაძვს განსახილველი, თუ
რამდენად სწორე დებულებაა, თითქოს ე.წ. "ხანმეტობა" მარტო აღმ. საქარ-
თველოს მეტყველების დამახასიათებელ თვისების წარმოადგენდეს და თითქოს
დას. საქართველოში, მეგრულსა და კანურში ხანიანობის ოდესშე არსებობის
არავითარი საბუთი და კვალიც-კი არ მოვალეობებოდეს.

სვ. ჯანაშიაშ აღნიშნა, რომ თანამედროვე ქართულში საკუთარ სახელად
შერჩენილია "ხახარე". გუდამაყრულ ერთ ლექსში ერთი გმირის შესახებ
ნათქვამია : "ხახარე ნახა სიზმარი, სიზმარი იყო მპიანი"-ო. ეს "ხახარე"
საკუთარ სახელად თურმე ქართლში სოფ. ლვარებშიაც იხმარება. სვ. ჯანაშიას
სამართლიანი აზრით, "ხახარე უნდა გაგებულ იქნას, როგორც ხარება ზმის
მოხარიბითი ან ბრძანებითი კილოს ფორმა. პირველ შემთხვევაში ხანს ექნება
როგორც პირის სუბშეტური, ისევე მესამე პირის ობბეჭტური
პრეფიქსის მნიშვნელობა, მეორე შემთხვევაში-კი მხოლოდ მესამე პირის
ობბეჭტურისა. ორსავე შემთხვევაში მისი პრეფიქსული ბუნება ნათელია"
(“კიდევ ერთი ნაშთი ხანმეტობისა თანამედროვე ქართულში”, იხ. ქართ.

საენათმეცნიერო საზოგადოების წელიდწლეული...). ს.ვ.ჭანაშიას ეს საგვალო -
ხმო დაკვირვება ხანჩეტობის არსებობის ნაშთის შესახებ აღმოსავლეთ ქართული
ქართველოს ეხება, სადაც ხანჩეტობის არსებობა ისედაც უცილობელ ფაქტიდან
არის ცნობილი.

ამაზე უფრო მეტი მნიშვნელობა იმ ტაქტს აქვს, რომელიც საშვალებას
გვაძლევს გამოვარეკით, იყო თუ არა ხანჩეტობა მართლაც მხოლოდ აღმო-
სავლეო საქართველოს დამახასიათებელი ენობრივი მოვლენა, დასვლეთ სა-
ქართველოსათვის-კი, მაგ. იმერეთისა და სამეგრელოსათვის, სრულებით უც-
ხო და უცნობი იყო. ამ საკითხის გადაწყვეტის საშუალებას ერთი მხრით სვა-
ნური გვაძლევს, რომელიც ხ-ანიანობა საუცხოვოდ აქვს დაცული. უკვე ეს
გარემოება იმ დებულებას; თითქოს ხ-ანიანობა მხოლოდ ლითხამერეთისა და
აღმ. საქართველოს თავისებურება ყოფილიყოს, არღვევს. მაგრამ მეგრულს
რომ არ უჩანს, განა ამას-კი ანგარიში არ უწდა გაწიოს?

უკველია, რომ ეს საკითხიც უნდა გაშეუქმნაული იყოს. მართალია მეგრულს
აბლა არა აქვს, მაგრამ წინათ რომ მეგრულსაც ჰქონია, ამის გამორჩევეცის
საშუალებას საკითხის გამოსავლის დავთარი გვაძლევს, რომელიც XVII ს.
დამდეგს არის შეღებილი და სადაც გადასახადის გამომდებ მეკომურთ შო-
რის დასახელებულნი არიან “კუტუ ხახარია” (გვ.5) და “კუკურია ხახარია”
(გვ.6).

“ხანჩეტობა”, ანუ ხ-ანიანობა რომ მეგრულსაც ჰქონია, ამას უქმე დღის
მეგრული ტერმინი “ტლასუ” -ც ცხადჰყოფს, რადგან ეს სიტყვა უკველია ორი
ნაწილისაგან შესღვება, რომლის პირველ ნაწილს დღა, დღე წარმოადგენს,
მეორეს - კი ხუ. ეს მეორე ნაწილი ხუქმი-ს, ანუ ხუქმი-ს, ე.ი. უქმი-ს ნაშთია.
მთლიანად ეს სიტყვა იქნებოდა დღასუქმი, ე.ი. დღეუქმი და ისევეა ნაწარ-
მოები, როგორც დღესასწაული. შემდეგში, დროთა განმავლობაში მას, პირ-
ველ გარცვალზე მყოფი მახვილის გავლენით, ბოლოკიდური მარცვალი ჩი-
მოცლილი აქვს და ეს ტერმინი დღასუ-დ არის ქცეული.

(ი.გ. I.185). “ვართულ სამწერლობი “ვარსკულავ” -ს, რომელიც ახალ ქარ-
თულ ხალხურში და ნაწილობრივ უკვე საშუალო საუკუნეებშიც “მარსკუ-
ლავ” -ად და “მარსკულავ” -ად არის ქცეული, უდრის მეგრული “მურუცხი”,
“მურუნცხი” და “მურუნცხა” ... მაგრამ მეგრულში ზემოდასახელებულის
გარდა არსებობს “მასქური” და “მასქური” -ც, რომელიც ზეფირისა და
გარდა ვარსკულის მნიშვნელობით იხმარებიან და რომელშიცაც პროფ-
ხედის ვარსკულიას, მნიშვნელობით იხმარებიან და რომელშიცაც პროფ-
ხედის ვარსკულიას სამართლიანი სიტყვით ქართული “ვარსკულავი” და “მარსკუ-
ლავი” -ს პირველი ნაწილი გვაქვს...”

მეგრულ და სვანურ ენებში ჩიტვითი სახელები აღგილობრივი -
კოლხურ-კავკასიური წარმოშობისაა. ქართულში კი ციფრის “6” -ის

აღსანიშნავად გამოიყენება ბერძნული "ბ"-ის აღმნიშვნელი სიტყვა "ჰექსი".
შეელ ქართულში "ექსი" გამოითქვებოდა როგორც "ექსი".

(ქ.ს.ე.Х.383) "ჰექსოდი ბერძნული hek-ექსი და (ელექტრ)ოდიკ-ჰელექტრ
ტრონული მიღავი, რომელსაც აქვს ზელექტროდი."

ასევე ბერძნული "ჰექს"-დან (ექსი-დან, ექსი-დან) წარმოდგებიან
სიტყვები: ჰექსადრი, ჰექსამეტრი, ჰექსაჭრი და სხვა...

როგორც ნ.მარი აღნიშნავს: მეგრულსა და სეანურს გააჩინათ თვეთა უძ-
ველესი სახელწოდებანი, მაშინ, როდესაც ქართული სარგებლობს ბიზანტი-
ური კალენდრით...

ქართული ენის ბუნების უკეთ შეცნობის მიზნით განვიხილოთ ქართულ
სიტყვების ფუძეთა გამოვლენის აამოდენიმე მავალითი :

"მშვიდობა" - ამ სიტყვის ძირი არის "მშვიდი", ხოლო "მშვიდი"-ს ძირი
შესაბამისად - "შვიდი". ვინაიდან კვირის მეშვიდე დღე დასკვნების დღეა,
ქართულმა ენამ ამ დღეს უწოდა "მშვიდი", "მშვიდი-ბიანი". თავად "შვიდი"-
ს ძირი უნდა ვეძიოთ მეგრულ "შევითი"-ში, კანურ "შეით", "შეით", "შეი"
და სეანურ "იშვიდი"-ში.

სიტყვა "ქმაყოფილი" რთული სიტყვაა. "ქმა" არის ფუძე სიტყვებისა ქმა-
ქმარა-საქმარისი; "ყო" გამოიყენება ოდითგან როგორც ყოფის აღმნიშვნელი
- "ნათელ ყო"; "ფილი" ბერძნულად არის სიყვარული. ამდენად სიტყვა "ქმა-
ყო-ფილი" შეიძლება წავიტოხოთ: "იმყოფება საქმარ სიყვარულში".

"დუმილი" - ი-დუ-შალება - ი-მალება - მალვა

"მეცნიერი" - მეცნიობა - ცნობა - ცნობა

"ნუგეში" - ნუ-გეშინია - შიში

"მშვენიერი" - მშვენდება - შენდება - შენება

"სანახები" - სანახავები - ნახვა

"ნათესავი" - ნათესი - თესვა...

(ი.გ.Х.385) "რიცხვითი სახელების პირველ ერთეულს ქართულ სამწერლო-
ბო ენაში თუ ერთი ეწოდება, რომელიც გურულ კილოში ერი-ს სახითაც
გვხვდება (იხ. ს.ელენტის გურული კილო, 22), მეგრულსა და კანურში ამის
შესატყვისაც ართი არის... მეგრულად ზემოაღნიშვნულის გარდა აკა-საც
ხმარობენ, რომელიც აბხაზურითგან ნასესხებად ითვლება.", აյ. ი.ჯავახშვილი
შეცდომაშია შეცვანილი. "აკა"-ს მეგრული ენა რიცხვითი მნიშვნელობით არ
ჩხარობს, მეგრელს თუ უნდა თქვას - "ერთი ქათამი", ის არასოდეს იტყვის -
"აკა ქოთომით", არამედ - "ართი ქოთომით". შეცდომა დაშვებულია იმდე-
ნად რამდენადაც მეგრულად "აკა" თავისი მნიშვნელობით უდრის ქართულ
"აბა"-ს, ხოლო ქართულში "აბა" ხშირად გამოითქმება და განცალ-
კვიპულადაც აღიჭვება როგორც "აბა ერთი". მაგ. მეგრულად ითქმება "აკა
ქოთომით" და ეს ქართულად გამოითქმება როგორც "აბა მითხარი". ასევე "აბა

ერთი მითხარი” ან “ერთი შითხარი”; “აკა ათეს უჯინი” - “აბა ამას უუყრეს” “ერთი ამას უუყრეს”. “აკა” გამოითქმება ჩოგორუც თხრობითი, ასევე ბრძანებითი, ვედრებითი, აღტაცებითი და სხვა ფორმებით. სატრანსლიტერიზაციის რებული ვაკი იტყვის - “აკა ქომოძირუნია” ანუ “ერთი დამანახაო”, ანუ “ნეტავ დამანახაო” და შესაძლოა მდინარე აკმდესის (ჭოროხს) მეგრელმა კაცმა აღტაცებით უწოდა აკა-მ-ფსისი, აკა-მ-წყალიო...”.

შეუძლებელია შევწყვიტოთ, თუნდაც დროებით, მეგრელი ფენის მიმოხილვა ქართულ ენაში, თუ ფრაგმენტულად მაინც არ შევეხეთ ღვინოსთან დაკავშირებულ ტერმინოლოგიას.

ისტორიულად სამეგრელოში შევენახეობა სოფლის მეურნეობის განვითარებულ დარგს წარმოადგენდა, რაზეც შეტყველებს ვაზის ჭიშთა სიმრავლე. ი.ჯავხიშვილის მიხედვით სამეგრელოში (საქართველოს დასავლეთში) ცენტრ ჭიშთა საერთო რაოდენობა 152-ს შეადგინა, მაშინ რაოდესაც ქართლ-კახეთში (საქართველოს აღმოსავლეთში) გავრცელებულ ჭიშთა რიცხვი 57-ს უდრის. ამ შეწინავეობას თავისი კვალი უნდა დაეტოვებინა მელვინეობის ტერმინოლოგიაში.

(ი.გ.V.662) “მეგრულად ყურძნის ტკბილს ნეს ეძახიან, მაგრამ ტკალიც იციან.”

(ი.გ.V.663) “მელვინეობის ქართული ტექნიკისა და ტერმინოლოგიის შესასწავლად ს.ორბელიანს ფრიად საყურადღებო ცნობები მოეპოვება. მისი სიტყვით “ღვინონიცა განიყოფებიან: ჩამეთუ ჩა დაიწნიხა ყურძენი, ეწოდებიან ტყბილი. უკეთუ ტყბილსა აღაზავეს წყალი, უწოდენ დგვიფინას და ურწყოსა ტყბილსა - შეუძა, ვიეთნი აჩმუნესა უქმობენ: უკეთუ ნაწნეი ჰაქა წყლია დაალტვნა და გამოქანჩა, შამანსა უწოდენ, უკეთუ ტყბილსა ძლიერად არა დაედულებს, ამბოხად სახელსდებენ. ახალსა ღვინოსა მაჭარი ეწოდების და შემდგომად ღვნო, და გაწყალებულსა ღვინოსა ეოქო ეწოდების” - ო (ლექსიკ. ღვინო).

მაჭარი და მანქარი მეგრელშიც არსებობს, ხოლო ახლად დაწურულ ლვინოს ნათეთქარსაც ეძახიან (მ.გ.335). მაჭარელნი, აქარელნი.

შემის ეტიმოლოგიის კვალს, მგონია, განსვენებულმა პროფ. იოს.ყიფშიძემ სწორედ მიაგნო. სმის აღმნიშვნელი მეგრელი სახელზნის შუმუ-ზე ლექსიკონში მსჯელობის დროს მას სხვათა შორის შემდეგი მოსაზრება აქვს გამოთქმული: “იქმნებ ამავე ძირისაგან იყოს წარმომდგარი ქართული შუმიც, წმინდა, მაგარი ღვინის [სახელი], ჩაც სიტყვა-სიტყვით დამათრობელის აღმნიშვნელი იქმნებოდა - ო.”

ამ მოქლე შენიშვნითგან ჩანს, რომ შუმი მას მიმღეობად შუმილისა, რომელიც მთვრალისა ნიშნავს, მოლომოკვეცილ-ფრამად ეჩულებოდა. ეს, რა თქმა უნდა, ფორმის მხრით ყველაზე უფრო დასაწერებელია. შუმი, ვითარების 279

უწყლო და ამის გამო მაგარი ღვინო, მირთმეული, რასაკვირველია, დამათ-
რობელი უნდა ყოფილიყო და მნიშვნელობის მხრივაც მას დამათრობელის
სახელი შეშვენოდა კიდევაც.

მაგრამ ზოგიერთი გამონაოქვამი უფლებას გვაძლევს ვიფიქრით, რომ
არსებითად თრობა - დალევა დალევინებას, ხოლო მთრალი - დალეულს
ნიშნავდა. მეგრული სუმას შესატყვისი შუმუს ზმინისაგან ნაწარმოები მიმღე-
ობა შუმილი და ნაშუმა ნასვამსა ნიშნავს. ამიტომ უფრო ბუნებრივია, რომ
შუმი თავდაპირველად სასმილის აღმნიშვნელ სიტყვად გვეგულისხმა.

მართალია, ძველი ქართული სასუმელის შესატყვისად თანამედროვე მეგ-
რულში ოშემალია და აქეოგან შუმი უფრო ძნელი წარმოსალგენია, ვიდრე
შუმილისაგან, მაგრამ საბას ცალკე არმუნწიზეც ნათქვამი აქვს, რომ “არმუნწი
უწყლო ღვინო” - ა (ლექსიკ.).

ქვევრითგან ღვინის ამოსალებად სხვადასხვა კურკელს ხმარობლები “აყირო
ქვევრით ღვინის ამოსალები” (საბას ლექსიკ.). იმერეთში ამას ორშიმოს ეძა-
ხიან: იქაც ეს სიტყვა მწარე ხაპსა ნიშნავს, რომელიც “ჭურიდან ღვინის
ამოსალებად იხმარება (ვ.ბერიძე, სიტყვის კონა).

ღვინის ამოსალებელი კურკლის სახელი ორშიმი უქველია უფრო სწორი
უნდა იყოს, ვიდრე ორშიმო, რომელიც იმერეთში იხმარება. თავის მხრით ორ-
შომი უნდა შემდგარი იყოს ო თავსართისა და შომი ფუძისაგან, ჩ, ო-სა და შ-
ს შორის შენაზარდ ბგერას უნდა წარმოადგენდეს. შომი ოდნავ ფონეტიურად
შეცვლილი შუმი უნდა იყოს, რომელიც, როგორც ვიცით, უწყლო ღვინის
ნიშნავდა. მაშინადამე, ორშიმი “საშუმე” - ს [“ოშუმალი” - ს] აღმნიშვნელი
ყოფილა, ე.ი. საღვინის [დასალევის] მსგავსი სიტყვა ყოფილა, მზოლოდ
ღვინისაგან კი არა, არამედ შუმისაგან წმინდაგან] ნაწარმოები.

მარიგად “ორშიმი” - ს მნიშვნელობა იყითხება როგორც “ოშუმალი” (და-
სალევი), ხოლო ვინაიდან “შუმილი” = “მოკრალს”, უწყლო ღვინის სახელ-
წოდება “შუმი” ნიშნავს დამათრობელს და აქედან გამომდინარე მაგარ ღვი-
ნისაც, მაგარს.

აქვთ კარგად იყითხება, რომ ძველ ქართული “სა-სუმ-ელი” წარმოდგება
მეგრული “სუმა” - დან (სმა - დან). სუმა - სასუმელი - სასმელი - სმა - ნასვამი.

სიტყვა “მაკარი” რომ მეგრული წარმოშობისაა, ამტკიცებს შემდეგი სინ-
ტექსო ფაქტიც: მაკარის დაყენება შეიძლება ყველა საღვინე ჭიშის ყურ-
ძნისაგან, მაგრამ სამეგრელოში (საქართველოს დასავლეთში) გამოყვანილი
ჰქონდათ სპეციალური სამაკარე ჭიშები და ასეთი ყურძნის ჭიშები გავრცე-
ლებული იყო მზოლოდ სამეგრელოში (საქართველოს დასავლეთში)

(ჩ.ქ. V.603) “სამაკარე ჭიშები: ნოშირი შავი (რაჭ.), საღალევო თეთრი
(იმერ.), სამაკრე თ.(იმერ.), სამაკრია შავი (რაჭა, ლეჩხ.), სამანკრო შავი

(სამეგრ., და გურ.), და თეთრი (გურ.), წინწევა თეთრი (იმერ.), ხარდანი უჩი/ (სამეგრ.).

ასევე საინტერესოა, რომ საჩიმიჩე და სამურაბე ყურძნის ჯიშები შრომულდება კართლ-კახეთში გავრცელებული, რაც საქართველოს აღმოსავლეთის გშრა-ლი კლიმატით უნდა აიხსნას.

ახლად დაწურული ლვინის მეგრულ სახელწოდებას „ნაფეოქა“ -ს თქვენს გრძებაში უნდა წარმოესახა ქვევრი, სავსე აბლად დაწურული ლვინით და რო-მელშიც ლვინი სიცოცხლის უძლეველობის სიმბოლოდ ფეოქაას.

ნაფეოქა - ფეოქა - ფეოქება - აფეოქებული - გაფიოქინებული - ფიოქინა

ტკილი - ტყბილი - ტყბილი - ტყბობა...

როცა ვაძბობთ „მეგრული და გურული“, „იმერელი და მეგრელი“, ჩვენ ამით ჩვენს ანისტორეზიას გამოვხატავთ. უნდა გვასოვდეს, რომ 1460 წელსაც (ი.ქ. II.436) „სამეგრელოს მთავარი ქალაქი კი ბათომი იყო“ და აյ სამეგრე-ლოში (აჭარის მხარეში) კორონის ხეგმიდან ჩამორაკრაცია მისი მშვინიერება კართული ენა (კოლხთა სალიტერატურო ენა). ჩვენ უნდა დავუგერიოთ ძველ ბერძნებს, რომ დიოსკურიიდან (ცხუმიდან) აფსირტემდე (სარჯამდე) და ლიხის ქედამდე ლაზიკაა (სამეგრელო), რომ ტორ-კლარჯეთი, აჭარა, გურია, იმე-რეთი, ჩაქა, ლეჩებუში, საკუონდიდო, ოდიში, აფშილეთი ერთო მეგრული ტო-შინს სხვადასხვა ისტორიული მხარეებია და უნდა ვთქვათ “გურული და ოდი-შელი“, „იმერელი და ჰუკონდიდელი“, „აფსარი და აფშილი“...

საქართველოს შეიძლება ეწოდოს “გეორგია კოლხა“, რაც დაახლოებით „შიწათმოქმედ კოლხს“ უდრის. (ი.ქ. V.679) „არქ.ლამბერტი ამბობს: მიწის მუშაობას როგორც საქართველოში, ისე კოლხიდაში იმდენად ეტანებიან, რომ ყველას კეთილშობილურ საქმედ მიაჩინა თავის ყანის მუშაობა“ -ო...“

ქართული ენა უნდა გადამოწმდეს კომპლექსურად, მრავალი ენის სკეცი-ალისტთა მიერ. მაგალითად : ჭანი: ტიბეტური ენის საკუთრებაა და შესაძლოა შონლოლთა მიერ იყოს შემოტანილი: „ცუნი“ ტიბეტურ ენაზე ნიშნავს ფეხის დიდი თითის პირველ ფალანგს, მსგავსია ქართული „ცუნ-ცული“; „ფუ“ ასევე ტიბეტურ ენაზე აღნიშნავს სიცარიილეს. არის მსგავსება ქართულ სიტკვებათან „ფუ-ქავატი“, „ფუ-ლური“, „ფუ-ჭი“; ჩუბინიდე თავის წიგნში „სასწაული“ აცხადებს, რომ ჩვეულებრივი ინდოელი საშუალოდ 2 ათას სიტყვას იყენებს საუბარში და ამათვან რვაასი ქართულის იღენტურია. ქართლში ჩაიდანს უწოდებენ „ქეთლი“ -ს და ინგლისურადაც *ketlike* [ქეთლ] - ქარდალი, ლითონის დიდი ჩაიდანი, ასევე ინგლისურად *stomach* (სტომაქ) - მუცელი, სტომაქი...

როცა შიშველი ფეხით მიწას შეეხები, უნდა იგრძნო, რომ კა შიწის პირი-დან იწყება და შემს გარშემო უამრავი, სხვადასხვა ზომის პლანეტებია და

მთლიანობაში წარმოადგენენ კოსმიურ პარმონიას. ასევე ჩვენი ენის ბუნებრივ შეცნობით თვალწინ გადაგვეშლება მისი უმჭიდროვესი ურთიერთობას მსოფლიო ენებთან და დავიგერებთ, რომ არ გვიცხოვრია სიმარტოვეშეზე რადგან დაც კავკასიის პირქუშ მთებში და უძველესი დროიდან ვართ მცირე, მაგრამ საკუთარი სახის მქონე თანავარსკვლავედი ჩვენი სამყაროს ცივილიზაციისა. წარსულიდან უნდა ვეძიოთ ჩვენი მომავალი. ჩვენი სერითო კოლხური წარმოშობის აღქმით პარმონიულად ვეწერებით მსოფლიო ისტორიოგრაფიაში, ანუ ძალზედ თვალსაჩინოა ჩვენი ნაკვალევი და მისი მიხედვით ჩვენი წარსულის სურათის აღდგენა ჩვეალურია.

გამ ასე კოლხებო, შვილნო იაფეტისანო, შევკრათ კიდობანი სიყვარულისა, გავშალოთ იალქნები პატიოსნებისა და დროის ოკეანეში ვპოვოთ ბედი ჩვენი.

შემოკლებული სათაურების განმარტება



- (ი.ჭ.ქ.ღ.) = ი.ჭავჭავაძე „ქვათა ღალადი“
- (ქ.ც.ბ.) = „ქართლის ცხოვრება“
- (ქ.ც.ბ. = „ქართლის ცხოვრება“ - ს.ყაუხჩიშვილის რედაქტირებით გამოცემული 1942 წ. პირველი ტომი, გვ.15
- (ქ.ც.ბ.II.19) = „ქართლის ცხოვრება“ - ს.ყაუხჩიშვილის რედაქტირებით გამოცემული 1959 წ. მეორე ტომი, გვ.19
- (ი.ჭ.II.120) = ი.ჭავჭავიშვილი. თორმეტტომეტული. მეორე ტომი, გვ.120
- (ი.ჭ.ქ.ე.ი.9) = ი.ჭავჭავიშვილი „ქართველი ერის ისტორია“, გამოცემული 1960 წ. გვ.9
- (გ.მელიქ.198) = გ.მელიქიშვილი „საქართველოს ისტორია“, გვ.198
- (ს.ი.209) = „საქართველოს ისტორია“, რედაქტორი ნ.ასათიანი, გვ.209
- (Δ.Γ.Р.с) = „Древнегреческо-Русский словарь“, ორტომეტული ი.დვორეცკის მიერ შედგენილი. ს.სობოლევის რედაქტორობით, გამოც.1958 წ.
- (მაკალათია 7) = ს.მაკალათია „სამეცნიეროს ისტორია და ეთნოგრაფია“, გამოც.1941 წ. გვ.7
- (ქ.ს.ე.8.550) = „ქართული საბჭოთა ენციკლოპედია“, ტომი 8, გვ.550
- (Б.С.Э.7.293) = „Большая Советская Энциклопедия“, том 7, стр.293
- (Плутарх 89) = Плутарх „Сравнительные жизнеописания“, изд. 1963 г. стр.189
- (Ист.ант.І.149) = „Историки античности“, изд. 1989 г. том первый, стр.149
- (ხორენაცი 258) = ხორენაცი „სომხეთის ისტორია“, ა.აბდალაძე, გამოც.1984 წ. გვ.258
- „მწივნობრობა ქართული“, ე.მაჭვარიანი, 1939 წ. თბილისი
- (ელენტი 235) = ს.ელენტი „ქართველურ ენათა ფონეტიკის საკითხები“, გამოც.1965 წ. გვ.235
- ს.ყაუხჩიშვილი „ლათინურ-ქართული ლექსიკონი“, გამოც. 1961 წ.
- (გორდეზ. „ილიადა“, 262) = რ.გორდეზბანი „ილიადა და ევერისური მოსახლეობის ისტორიას და ეთნოგენეზისს საკითხები“, თბილისი, 1970 წ.
- (რ.კორდეზ.ე.და ქ.69) = რ.კორდეზბანი „ეტრუსკული და ქართველური“, თბ. 1980 წ. გვ.69
- (ინგრიოვა 15) = ჰ.ინგრიოვა „გიორგი მერჩულე“, თბ. 1954 წ. გვ.15

- (არგონავტიები 125) = აპოლონიოს როდოსელი „არგონავტები“, მთარგმნელი
ა.გელოვანი: რედაქცია ა.ურუშაძისა. თბ. 1975 წ. გვ.125
- (Истории 5) = В.А.Истории „Возникновение и развитие письма“,
М. 1965 г. стр.5
- Иоганес Фридрих „Истории письма“, М. 1979 г.
- (ჩიქობავა 6) = არნ.ჩიქობავა „ენათმეცნიერების შესავალი“. თბ. 1952 წ. გვ.6
- (ურუშაძე 11) = ა.ურუშაძე „ძველი ბერძნული ენა“, თბ. 1969 წ. გვ.11
- (ახვლედიანი 89) = გ.ახვლედიანი „ზოგადი ფონეტიკის შესავალი“, თბ. 1958 წ.
გვ.89
- „საქართველოს გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი“,
გამოც. 1987 წ.
- (ძაბაშია I.11) = გ.ძაბაშია „მეგრული დიალექტი“, ორტომეული, გამოც. 1991 წ.
I ტომი, გვ.11
- (ქურციკიძე 011) = ბასილი ქესარიელის „სწავლათა ეფთვიმე ათონისეული
თარგმანი“, ც.ქურციკიძე, 1983 წ. გვ.011
- ზ.ჩატიანი. „წყაროთა ლალალი ანუ პირიქითა საქართველო“ , თბ.1995
- Жан Элизе Реклю „Человек и Земля“, с.Петербург. 1905 г.

შ ი ნ ი ა ს ი

ქართლის ცხოვრება	7
„რომის პაპის წერილები“	16
ლეინტი მროველი	22
კოლხეთი	33
ბერძნული ენა ⁹	47
ლათინური ენა	68
კლარჯეთი, ქრისტეანობა და ქორთუ	74
ქართული ანბანი	83
შუამდინარეთი, პაისტანი, ალბანეთი, იბერია	101
ქარმონიული წყვილები „სუს“ და „ფრ“	115
სამეცნიერო	133
არაბობა საქართველოში და აბხა (აბკა)	156
აბხაზეთი და აფხაზეთი	175
შეგრული ენა	198
I. ძველი ქართული ენა	200
II. შეგრული ენის ლექსიკა და „ვეფხისტყაოსანი“ ⁺	202
III. „ვეფხისტყაოსანი“ სუანური ვარსაცტი	213
IV. ზანიზმები გურულ ზმნებში	217
V. შეგრული ზმნა	236
VI. კოლხური ტომონიმიკა	245
სულბან-საბა ორბელიანი (ქ. ქ.ბ.) -ის სულიერი შამა	252
ბაგრატოვნები	272
წყვეტილები	276
შემოქლებული სათაცრების განმარტება	283

